

თამთა კალმასელიძე

მანგლისი

(ისტორია, ეთნოგრაფია)

„გამომცემლობა განათლება“

თბილისი 2001

რედაქტორი: პროფესორი **ფარნაოზ ლომაშვილი**

რეცენზენტი: პროფესორი **გურამ გასიტაშვილი**

ISBN 99928-54-53-7

© თ. კალმახელიძე,
„გამომცემლობა განათლება“, 2001

„ერის ღაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.

ილია ჭავჭავაძე

აპტორისაბან

ნაშრომი ეხება ქვემო ქართლის ერთ-ერთი უძველესი დასახლების - მანგლისის ისტორიასა და თანამედროვეობას.

მანგლისს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ადრინდელ ანტიკურ ხანაში დღევანდელი დაბა მანგლისის ადგილზე მნიშვნელოვანი დასახლება იყო. ქართლის ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა მანგლისზე გადიოდა. იგი აკავშირებდა შიდა ქართლს სამხრეთ საქართველოსთან, სომხეთთან და ბიზანტიასთან. „მანგლისის მხარე ეკერის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და წალკა-ჭავჭავთოს. იმყოფება რა ალგეთის, თეშმის (სამაქალოს ხევი), კეთურას და ვერეს გამოსაჯლებში, მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეებზე. ბუნებრივ-ი ამიტომ გზების ის სიმრავლე, მანგლისს რომ აკავშირებდა აღნიშნულ რაიონებთან. სომხეთიდან შიდა ქართლში, ჭავჭავთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა“.

მანგლისი რჩეული ნაწილია ისტორიული გარისისა და ქვემო ქართლისა. ამ მხარეს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი „ადრინდელი საქართველოს მეწინავე დროშის ნაწილს წარმოადგენდა. მასზე მიდიოდა ის დიდი სამხრეთის შარა გზა, რომლითაც საქართველოს გულში გუნდ-გუნდად შემოდინდა როგორც მტრის რაზმები, ისე უცხო და ნათესავებთან მიგრაციის ტალღები, ამგვარსავე მოძრაობას აქ ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთიდანაც“.

ასეთმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, ბუნებრივია, ხელი შეუწყო მანგლისის დაწინაურებას: იგი გახდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი კერა. საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე, ე.ი. მეოთხე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი სწორედ აქ აიგო. მანგლისი V საუკუნიდან სავსისკოპოსოს ცენტრია, VI-VII საუკუნეებში - ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. ლეონტი მროველის ცნობით, VI საუკუნეში მანგლისი თბილისთან, უჯარმასთან, ბოლნისთან, რუსთავთან ერთად საქართველოს

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ძეგლების საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 26.

2. გ. ლტოია, ენობრივი ურთიერთობის საკითხები, თბ., 1921, გვ. 234.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად ითვლება. იგი იმდენად დიდი და ცნობილი დასახლება ხდება, რომ მთელი ხეობა მის სახელს იღებს

გვიანდელ ფეოდალურ ხანაში გამუდმებული ომების შედეგად ხეობა გაუქარბოდა და მანგლისმაც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მანგლისში რუსეთის კოლონია დაარსდა. ერივანის პოლის თადარიგში გასულმა რუსმა ჯარისკაცებმა აქ შექმნეს ასალი დასახლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაბა მანგლისი კურორტად გამოცხადდა.

ნაშრომში შესწავლილია მანგლისის ისტორიული წარსული და ასახულია მისი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

წიგნში გამოყენებულია საქართველოს პრეზიდენტისა და ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და წიგნთსაცავებში დაცული მასალები, სამეცნიერო ლიტერატურა. მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემები, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ძეგლები, რევოლუციამდელ და თანამედროვე ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები, ქართველ ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა ნაშრომები, არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა გამოკვლევები.

ამდენად, იმედია, ნაშრომი საინტერესო და სასარგებლო იქნება ქვემო ქართლის მდიდარი ისტორიის, აგრეთვე, ქართული ქალაქებისა და სოფლების ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია დიდი მადლობა მოვახსენო თავაზიანი დახმარებისათვის ყველას, ვინც შენიშვნებით, ლიტერატურისა და მასალის მოწოდებით ბევრი რამ შემატა წინამდებარე ნაშრომს.

ავტორი დიდ მადლობას უხდის აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს, პროფესორებს: ფარნაოზ ლომაშვილს, გურამ გასიტაშვილს, ალექსანდრე ბენდიანიშვილს, ნუგზარ წერეთელს, დოცენტებს: ნატო კეზერელ-კოპაძეს, ზოია ჩიმაკაძეს წიგნზე მუშაობისას გაწეული დიდი დახმარებისათვის

განსაკუთრებით მადლობელი ვარ მამის - ანზორ კალმახელიძის, რომელმაც ბავშვობიდანვე დიდი სიყვარული ჩამინერგა ამ მხარისადმი და მისი ისტორიისა და თანამედროვეობის ამსახველი უამრავი საინტერესო დოკუმენტური მასალა მომაწოდა.

თამთა კალმახელიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ქვემო ქართლის უძველესი დასახლების — მანგლისის ისტორიისა და აწმყოს შესწავლას. სოფლებისა და ქალაქების ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიება დიდად საჭირო და აუცილებელი საქმეა. მას არა მარტო წმინდა მეცნიერულ-მეფეცნებითი, არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „ერის პირველ დამსობა. გათასხირება, გაწყალება იქილამ დიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს“.²

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ქალაქებისა და სოფლების ისტორიის შესწავლა თანდათან დგება მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე. ეს თემა თავისი კვლევის საგნად გაიხსნა ბევრმა მეცნიერმა, მათ შორის არიან გამოჩენილი მეცნიერები: ააფაქიძე, იანთელავა, გაფრასიძე, ვგაბაშვილი, დბერძენიშვილი, სკაბაძე, მლორთქიფანიძე, შამსხია, რმეტრეველი, დმუხხელიშვილი, აღბენდიანიშვილი, ლქილაშვილი და სხვ. გამოკვეყნდა არაერთი ქალაქისა და სოფლის ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, დაუკლია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. შესწავლილია, ეგრძოდ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სოხუმის, ბათუმის, ახალციხის, მარტყოფის, ბარაღეთის, ხიზაბაერის, მუხრანის, ხაშის, მუხათის, უჯარმის, აკურას, რაქის, სენაეთის სოფლის, ციხისძირის და სხვისტორია და აწმყო.³

აკადემიკოსი ნბერძენიშვილი თავის დროზე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „უმწეონი ვართ „გადაღმა“ ალგეთის ქვეყნის ისტორიული ცოდნის საქმეში. ხალხურ ლექსაც ვიტყვით ხოლმე ალგეთური მგლის ლექვებზე და გვგონია რომ ისტორიული ალგეთი იმ როროდე უბადრუკი სოფლის ამარა იყო, XIX საუუენეში რომ მოშენდა გაუდაბურებულ ქვეყანაში. და კი ვერ ვამჩნევთ (არც ვეძებთ!) იმ აურაკებელ ისტორიულ-გეოგრაფიული რიგის ნაშთებს, ალგეთის მოსახლეობის სისშირეს და შუა საუუენებში ამ მოსახლეობის მორკმულობას რომ მოწმობენ.

2. ილია ჭკუაძე, ერთი და ისტორია თბზ, თბ., 1984, გვ.608.

3. შამსხია, დგვრითიშული მდუმბაძე, ასერეულსე, თბილისის ისტორია, 1958 წ. ენაწეობაზე, ქეთაისის ისტორიაზე, 1960 წ., ვგაოშვილი, ქეთაისი (კონომიკურ-გეოგრაფიული დასასოთება) 1962 წ., დგვრითიშული, გორის ისტორია 1954 წ., ვასილბაძე, ბათუმის ისტორიაიდან, 1958წ., ქმსკისაძე, ბათუმი, ისტორიული ნარკვევა, 1959 წ., ლქილაშვილი, რუსთავი, 1958 წ., ვკონბაძე, თეთრი წყარო (მისი აბო წარსული და აწმყო), 1959 წ., სიკლიაშვილი, სამტრედიის ისტორიაიდან (1870-1921 წ.წ.), 1957 წ., იახუაშვილი, მუხათი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) 1989 წ., ვკარბუბიძე, ნკარბუბიძე, ხაშის ისტორია, თანამედროვეობა, 1998 წ., მღურბიძე, სოფელი მარტყოფი 1998 წ., დმუხხელიშვილი, უჯარმა, 1955 წ., რბაბაძე, არმაბაძე, სენაეთის სოფელი 1968 წ., ქრუბაძე, ალგეთიშული, იკვონია სოფელი აკურა 1965 წ.

ასეთივეა ჭეშომ ქართლის დანარჩენი ნაწილის ისტორიული შესწავლის ვითარება“.

მანგლისის მხარის ყოველი კუთხის ისტორიის შესწავლას იმიტომაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ „ქართის კულტურას აკვანი აქ დაირწა, ჭეშომ ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ჭეშომ ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა)“.

მანგლისის მხარე სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით ისტორიულად ყოველთვის იყო და არის მკიდროდ დაკავშირებული საქართველოს სხვა კუთხებთან და განსაკუთრებით მის დედაქალაქთან. „ტფილისი ძირითადად სამხრეთითგან, სომხით-ბორჩალოდან შემოსული სურსათით იკვებებოდა“.

საუბედუროდ, სამხრეთიდან მხოლოდ სურსათი არ შემოდოდა. ოსმალო ავტორის გურჯიზადეს სიტყვებით, ეს გზა იყო აგრეთვე „ისლამის ლაშქრის შემოსასვლელი და გასასვლელი გზა“. ამიტომაც ეს მხარე საქართველოს სხვა კუთხებთან და დედაქალაქთან დაკავშირებულია აგრეთვე ჩვენი მდიდარი და ბედუკულობარითი ისტორიითაც.

ამდენად, მანგლისისა და მისი შემოგარენის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლას, რაც ჩვენი ნაშრომის მიზანია, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ამ მხარისა და ჭეშომ ქართლის, საერთოდ, ასევე მთელი ქართლის ისტორიის, ეკონომიკის, კულტურისა და ეთნოგრაფიის მრავალი საკითხის შესწავლისათვის.

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მანგლისის მხარის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა. მონოგრაფიის მომზადებისას გამოყენებულ იქნა სრულიად ახალი, დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტები და სხვა ეთნოგრაფიული მასალები, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მრავალი წერილი. თემის მონოგრაფიულად შესწავლაში განსაკუთრებულად დიდი დახმარება გაგიწია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ივ.ჯავახიშვილის, ნ.ბერძენიშვილის, ს.ჯანაშიას, გ.ჩიტაიას, მ.ლორთქიფანიძის, ს.კაკაბაძის, ლ.მელიქიეთ-ბეგისა და სხვ. ნაშრომებში მოტანილი ყურადსაღები ფაქტებისა და მოვლენების ანალიზმა ქართლისა და, კერძოდ, მანგლისის ისტორიის შესახებ.

ეფიქრობთ, ნაშრომი გარკვეულწილად დაეხმარება ყველას, ვინც დაინტერესებულია საქართველოსა და, კერძოდ, ჭეშომ ქართლის ქალაქებისა და სოფლების მდიდარი ისტორიის შესწავლით.

წინამდებარე ნაშრომს თეორიულ ღირებულებასთან ერთად აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან წარსულის გამოცდილების ცოდნა საქირო და აუცილებელია მომავლის სწორად განკერძოებისათვის.

5. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, გვ.354.
6 იქვე, გვ.356.
7 ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით, ტფ., 1919, გვ.27.
8. გურჯიზადე თბილისის დავკარობის წიგნი თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცაბულაძემ, თბ., 1975, გვ.21.

ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ქალაქებისა და სოფლების განვითარების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს და მოსწავლე ახალგაზრდობას; მონოგრაფიაში მოტანილი ფაქტები და დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

წიგნი შედგება შესავლის, ოთხი თავის, 18 ქვეთავისა და დასკვნისაგან. მას ახლავს წყაროებისა და ლიტერატურის სია, ილუსტრაციები, XIX საუკუნის I ნახევრის მანგლისის დასახლების გეგმა.

წიგნის პირველ თავში - „მანგლისი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით“ - წარმოდგენილია მანგლისის ისტორიული წარსული, მოყოლებული ადრინდელი ანტიკური ხანიდან. როდესაც დღევანდელი მანგლისის ადგილზე მნიშვნელოვანი დასახლება იყო. იგი „ქართლის ცხოვრებაში“ IV საუკუნეში მოიხსენიება; ვახტანგ გორგასლის დროს მანგლისი სავისიკოპოსო ცენტრი გახდა და ამ დროიდან მთელმა ალგეთის ხეობამ „მანგლისის ხევის“ სახელი მიიღო. VI საუკუნეში იგი ქართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქადაა აღიარებული და ცნობილია ცალკე სამთავროდ იმ თვრამეტთაგან, რომელნიც დამოუკიდებლად დებდნენ ზავის პირობებს არაბებთან. არაბთა „დაცვის სიგელის“ თანახმად, VII საუკუნის 50-იან წლებში არაბთა ლაშქრობის შემდეგ მანგლისი კვლავ რჩება ქართლის ერთ-ერთ ცენტრად. IX საუკუნის ბოლოს თრიალეთს ბაღვაშები დაეპატრონნენ, ალგეთის თავში კლდეკარის ციხე ააგეს და ალგეთის ხეობა ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის აღმოჩნდა. XII საუკუნის დასაწყისში კლდეკარის ერისთავთა ურჩობამ დავით აღმაშენებელი იძულებული გახადა გაეუქმებინა კლდეკარის საერისთავო და ალგეთის ხეობა სამეფო მამულად ექცია.

აღნიშნულ თავში გაანალიზებულია მანგლისისა და მანგლისის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით არსებული ლიტერატურა, გამახვილებულია ყურადღება მანგლისის ეტიმოლოგიაზე, საკმაოდ დიდი ყურადღება დევთომეთ მანგლისისა და მანგლისის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებს, რითაც ასე მდიდარია ეს მხარე. ყერძოდ, ლაპარაკია შუაბრინჯაოს ეპოქის ვეებერთელა ყორღანებზე (ბედენია, ლაკა, გოხნარი, დურნუჯი და სხვ.), აღწერილია მანგლისისა და მანგლისის ხეობის „ციკლოპური“ ნაციხარ-ჩაქალაქეის, დარბაზების, კოშკების, სასახლეების, გამოკვებულების, ნაპრალებისა და სხვ. შესწავლის მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ადრეანტიკური ხანის შესწავლისათვის მანგლისში გამოვლენილ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ნაწილი ინახება აკად. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდში.

ერცლანდაა გაშუქებული აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით 1948 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ ქვემო ქართლის შესასწავლად გამოყოფილი ექსპედიციის მუშაობის შედეგები. ამ ექსპედიციის მიერ გამოვლენილმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქვემო ქართლის, ყერძოდ, მანგლისისა და მანგლისის ხეობის მნიშვნელობა და განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში.

პირველი თავის ცალკე ქვეთავებადაა გამოყოფილი დიდგორი და კლდეკარი, რომლებიც არამარტო მანგლისისა და მანგლისის ხეობის, არამედ მთელი

საქართველოს დიდად მნიშვნელოვანი ძეგლებია ამ ქუთათებში მოკლელაა მოთხრობილი ქარელი ხალხის გმირული წარსულის მოწმე ამ დიდებული ძეგლების როლის შესახებ, სადაც წყდებოდა არა მხოლოდ ამ მხარის ბედი.

ნაშრომის მეორე თავში - „მანგლისი - საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი კერა“ - გამოკვლეული და დასაბუთებულია, რომ მანგლისის მოხერხებულმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე, ე.ი. IV საუკუნის ოცდაათიან წლებში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი სწორედ აქ აიგო. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, ამ ტაძარმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ქრისტიანობის გავრცელებაში. ის გადაიქცა ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად საქართველოში.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა მანგლისში საეპისკოპოსო დააარსა და ეკლესია მანგლელ ეპისკოპოსთა კათედრად გადააქცია. ეს იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი საეპისკოპოსო კათედრა. იგი V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ 12 საეპისკოპოსოს შორის რიგით მეოთხეა. მანგლელი ეპისკოპოსი მოხსენიებულია „განგება დარბაზობისაში“ დასახელებულ 35 ეპისკოპოსის შორის მე-16 ადგილზე. მანგლისის ტაძრის მნიშვნელობა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში იმითაც დასტურდება, რომ აქაური ეპისკოპოსების ხელშეწყობით მანგლისის მხარეში მრავალი ეკლესია აიგო, რაზედაც ლაპარაკია ამ თავის ქუთათებში.

XI საუკუნეში აქ იწერებოდა და ითარგმნებოდა წიგნები. თუნდაც იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ 1048 წელს მანგლისში გადაიწერა მათეს სახარება ეტრატზე, რომელიც გელათის კოლექციაშია დაცული.

მეორე თავში მოტანილი მასალები მოწმობს, რომ XI საუკუნეში, როცა საქართველოში მრავალი დიდებული ტაძარი აიგო, მანგლისის კათედრალს არ დაუკარგავს ის დიდი სახელი და ძლიერება, რომელიც VII საუკუნეში და უფრო ადრეც ჰქონდა.

ამასთან ერთად მოკლედ განხილულია აგრეთვე ტაძრის მშენებლობის ეტაპები, მისი არქიტექტურა და მხატვრული სახე.

აღნიშნული თავი შედგება ორი ქვეთავისგან - „ნაშთი ძველი დიდებისა“ და „თედორე მღვდელი“.

პირველ ქუთათეში მკითხველს ვაცნობთ მანგლისის მხარეში მდებარე შედარებით ნაკლებად ცნობილ ზოგიერთ ეკლესიას, მათ შორისაა აძიკის, დიდი თონეთის სიონი, დიდი კლდეკარის, თხინვალის, მოხისისა და არხოტის ეკლესიების ნანგრევები. მეორე ქუთათე ეძღვნება არა მარტო მანგლისელების, არამედ მთელი ქართველი ხალხის საამაყო მამულიშვილის თედორე მღვდლის უმაგალითო გმირობას.

ნაშრომის მესამე თავში - „მანგლისის მხარე. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“, რომელიც 15 ქუთათისგან შედგება - მეცნიერთა შრომებსა და ჩვენ მიერ მოპოვებულ საველე მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ამ მხარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორია, აგროეთნოგრაფია, ხელოსნობის დარგები, ხალხური მედიცინა.

სხვადასხვა წეს-ჩვეულებანი, რიტუალები, ღღესასწაულები, კვების თავისებურებანი, ტომონომიკა, მანგლისი და მისი შემოგარენი სოფლები ქართულ მწერლობასა და ხალხურ პოეზიაში.

ნაშრომის ამ ნაწილის შედგენისას ძირითადად ვეყრდნობოდით ივ.ჭავჭავაძის შვილის, ს.ჭანაშვიას მეცნიერულ შრომებს, ფართოდ გამოვიყენეთ აკად.ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით კვემო ქართლში ჩატარებული ისტორიულ-ეტიმოლოგიური ექსპედიციის მასალები, აკად.გ.ჩიტაიას ნაშრომი „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღის რაიონში“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, ტფ., 1928), აგრეთვე ლ.ბოქორიშვილის „ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჭავჭავაძის შვილის სახ.ისტორიის ინსტიტუტის მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956), ს.ბედუჯაძის „ხალხური ქეთხურობა ალგეთის ხეობაში“, თბ., 1973, თ.სალარიძის „ალგეთის ხეობის ქართლური“ (ეურნ. „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1971), ი.ახუაშვილის „კვემო ქართლის ეთნოსი ისტორიულ ასპექტში“ (ეურნ. „მნათობი“, № 10, 1989), კრებულ „კვემო ქართლში“ გამოქვეყნებული ა.გოგიაშვილის, მ.ზანდუყელის შრომები.

გამოყენებულია აგრეთვე ჩემ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა. საველე კვლევა-ძიება ჩავატარე 1981-1982 წლების ზაფხულში მანგლისსა და მის შემოგარენ სოფლებში (სოფ. თონეთი, დვალთა, მოხისი, ზირბითი, ნამტერიათი, შეხეტილა, პალიანა, არხობი, ნაფილნარი, ალგეთი და სხვ.). ამ სოფლებში ცალკეულ ინფორმატორთა და ჯგუფური გამოკითხვის შედეგად შევარგოვე მდიდარი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ნაშრომის ამ ნაწილს. თავის დროზე შეგროვილი მასალის ერთი ნაწილი გამოვიყენე სადიპლომო შრომაზე მუშაობისას, რომელიც აგრეთვე მანგლისის ისტორიისადმი იყო მიძღვნილი.

ნაშრომის მეოთხე თავში – „თანამედროვე მანგლისი“ – გამოყენებულია მრავალი საარქივო დოკუმენტი, დაცული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში, ხელნაწერთა ინსტიტუტსა და წიგნთსაცავებში, აგრეთვე რეპოლიტიგრაფიულ და თანამედროვე პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები.

ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით გაანალიზებულია თანამედროვე მანგლისის ისტორია, დაწყებული 1823 წლიდან ღღემდე. ნაშრომის ამ ნაწილში მანგლისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხილვასთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ლაიბ-გრენადერთა ერივანის მისი იმპერატორული უდიდებულესობის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის პოლიკის“⁹ როლს მანგლისის ისტორიაში. აღნიშნული პოლიკი 90 წელი (1824-1914) იყო დაბნაყებული მანგლისში და, ბუნებრივია, მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე მანგლისის ისტორია.

რუსეთი მანგლისის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში,

9. ეს სახელი მას ეწოდა 1828 წელს სპარსეთის ციხე-სიმაგრის ერივანის აღებასთან დაკავშირებით. ეს იყო ყვლაზე უძველესი და ერთ-ერთი ყვლაზე უძლიერესი პოლიკი რუსულ არმიაში.

ატარებდა კოლონიურ პოლიტიკას: რუსეთის ჯარის მეშვეობით იღვენებოდა ყველაფერი ქართული, თუკი სადმე კიდევ იყო შემორჩენილი. ძნელად თუ მოისმენდით ქართულად საუბარს, ნახავდით ქართულად დადგმულ სანახაობებს, სანთლით საქებნი იყო ქართული ეურნალ-გაზეთები, ვერსად ნახავდით ქართულ წარწერებს, ყველა ქუჩის სახელწოდებაც კი რუსული იყო: მურავიოვის, ალექსანდრეს, კოტლიაროვსკის, კომანდირსკის, ბელგარდოვსკის და ა.შ. ამ დროს გაჩნდა წმინდა რუსული დასახლებული პუნქტები: „პოსელენიე“, „პროტიაგალოვკა“, „პისარსკაია სლაბოტკა“ და სხვ., სადაც მხოლოდ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ოჯახები ცხოვრობდნენ. ეს ახალი მოსახლეობა ძირითადად ჩამოსული იყო რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან, უმთავრესად კი ევრონევის, ორლოვის, ტამბოვის, ტულისა და პენზის გუბერნიებიდან.

ასე თანდათანობით გარუსდა ეს ძირძველი, უმშვენიერესი და ერთ დროს აყვავებული წმინდა ქართული მხარე. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ რუსეთი დაინტერესებული იყო ასეთი დასახლებების სახით ამიერკავკასიაში ჰქონოდა საყრდენი პუნქტები, რომლებიც ერთგულად დაცავდნენ მის პოლიტიკას ახლად შემოერთებულ ქვეყნებში.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა XIX საუკუნის 80-იან წლებში, როცა მანგლის მხარეში არაგვისა და გუდამაყრის ხეობიდან მთიულეები და ფშავესურები ჩამოასახლეს. დაიწყო ამ ისტორიული ქართული მხარის ეროვნული აღორძინება, მისი სახელოვანი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღდგენა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდა ამ მხარის მოსახლეობას აღნიშნული მიზნის მისაღწევად. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მანგლისის, ამ უძველესი საკურორტო ადგილის განვითარების საკითხებს, გაანალიზებულია ის მიღწევები, რომლებიც შესაძლებელი გახდა დღევანდელი დემოკრატიული საქართველოს პირობებში.

ცალკე ქეფთაში – „არქიტექტურული ძეგლები“ – ესაუბრობთ არქიტექტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაგებობების შესახებ, რომლებიც თანამედროვე მანგლისის ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ესენია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის საეპისკოპოსო სახლი, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისა და კვებერელი-კოპაძეების ყოფილი სახლები მანგლისში.

როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მანგლისის ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. მიზანს მიღწეულად ჩავთვლით, თუ იგი რამდენადმე დააკმაყოფილებს საქართველოს ისტორიო-ოგრაფიის მიერ წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს.

წიგნის ბოლო თავში ვაქვეყნებთ დოკუმენტურ მასალას კრებულიდან „История Лейб-Гренадерского Его Величества Александра Николаевича полка, за 250 лет“ (1642-1892) часть пятая, С. - Петербург, 1898.

მანგლისი ისტორიულ-არქეოლოგიური მუსეუმის მუშაუსაზრისი

მანგლისი ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილის თეთრი წყაროს რაიონის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. „ქართლის ცხოვრებაში“ იგი IV საუკუნიდან იხსენიება. „მანგლისი ძველი ცენტრია. უფრო ძველი, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ, როცა „მანგლისის ჯუართან“ დაკავშირებით ეს სახელი ცნობილი ხდება IV-V საუკუნეებში, ეი. როცა სომხური უსახელო გეოგრაფია მოიხსენიებს მთელ რაიონს „მანგლიაც ფორის“¹⁰ სახელით. მთლიანი ერთეული ჩანს მანგლისის რაიონი არაბთა შემოსევისასაც მე-VII საუკუნის პირველ ნახევარში. ის ამ დროს ერთ-ერთი „სამთავროა“ იმ თვრამეცთაგან, რომელნიც არაბებს დამოუკიდებლად უდებენ ზავის პირობებს“.¹¹

მეექვსე საუკუნეში მანგლისი ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის „ყვილაზე მნიშვნელოვანი ქალაქები ქართლში... იყო თბილისი, უჯარმა, ბოლნისი, მანგლისი, რუსთავი“.¹²

მანგლისსა და მანგლისის ხეობაში იგულისხმება ალგეთის ხეობის ის ნაწილი, რომელიც შემოსისაზღვრება: ჩრდილოეთით — დიდგორის ქედით, დასავლეთით — არჯვეენის ანუ კადკადი — კარკაიას ქედით და ე.წ. საკროსის მთით, რომელსაც რუსები „ჟოლტაია გორას“ უწოდებდნენ, სამხრეთით ბენდერის ანუ ბედენის ქედით, აღმოსავლეთით — დიდგორისა და ბენდერ-ბედენის მთების კალთებით.

მანგლისისა და მანგლისის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური მასალები მოცემულია პროფ. ეთაყაიშვილის ნაშრომში „Археологические экскурсии, разыскания и заметки“ (вып. IV, Тифлис, 1913), სსლივიცკის ბროშურაში „Древний храм в Манглиси“ (Тифлис, 1902),

10 სომხური სიტყვა „ფორი“ ქართულად ხეც ნიშნავს

11 ნ ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, წიგნი I, გვ. 25.

12 ნ ბერძენიშვილი, იე. ყავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, თბ., 1946, ნაწილი I, გვ. 127

ადაც მოთავსებულია ისლივიცკის სტატია „Храм и Манглич и Агетские пещеры“; აღნიშნული თემა შედარებით უფრო ვრცლად აქვს გაშუქებული პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ნაშრომებში „მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით“¹³ და „ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში“,¹⁴ რომლებშიც საუბარია საქართველოს ახალ აღმოჩენილი ციკლოპური შენობების შესახებ. ამ ნაშრომში პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღწერს 1923 წელს ალგეთის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ამბუშაობებს. ამავე თემას ეძღვნება თ. თორდიას ნაშრომი „მანგლი-ის ხევი“.¹⁵ სახელწოდება მანგლისის წარმოშობაზე არსებობს ორი აალხური თქმულება: პირველის მიხედვით, იგი მომდინარეობს „მანგალიდან“, რაც ძველი ქართულით ნამგალს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, თითქოს მახლობელ სოფელ კველთაში (ამჟამად ნასოფლარი) ამზადებდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილ ნამგლებს. მეორე თქმულება გვამცნობს, რომ ამ ადგილს სახელი დაერქვა ბიზანტიელი ხუროთმოძღვრის მანგლის პატრიქსაცემად, რომელმაც მეოთხე საუკუნეში ააშენა ტაძარი.

მანგლისის სახელწოდებაზე პირველმა გაამახვილა ყურადღება ვახუშტი ბატონიშვილმა. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში იგი აღნიშნავს, რომ სიტყვა „მანგლისში“ გამოსჭვივის ბერძნული ხმოვანება, ბგერა, რომლის ზუსტი მნიშვნელობა ქართველებმა არ იციან. ქართულ ენაში, — წერს იგი, — არის სიტყვა მანგალი, ნამგალი. მისი აზრით, მანგლისი იგივე ნამგლისია, რადგან ნამგალს ძველად ერქვა მანგალი.

ქართულ მატერიალში მანგლისის სახელი პირველად მოიხსენიება იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიან II-ის შესახებ (მეფობდა ჩვენი წელთაღრიცხვის 252-329 წწ.).

„ქართლის მოქცევის“ ქრონიკა (არაუგვიანეს IX საუკუნისა) გვამცნობს, რომ „წარაგლინა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით ქეისა მთელიანი და კირით ხურონი და მოსცნა მეფემან (კონსტანტინემ), და წარმოვიდეს ერუშეთს (ეი. არტანს — არდაგანს) და დადევს საძირკველი ეკლესიისა ... და წარმოვიდეს მანგლისს და დადევს საძირკველი ეკლესიისა ... და ესრეთ მოვიდეს მცხეთად“.¹⁶ როგორც ცნობილია, მირიან მეფემ ეს ნაბიჯი გადადგა მას შემდეგ, რაც საქართველოს განმანათლებელმა წმინდა ნინო კაპადოკიელმა მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღმართა ვაზის ნასხლევისაგან (ტოტის

13. ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“, ტფ., 1924, № 2-3. გვ. 75.

14. ჟურნ. „მნათობი“, ტფ., 1925 გვ. 75.

15. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1970, კრებული XXX.

16. E. Такашвили, Описание рукописей, т. II, ст. 714.

აგან) გაკეთებული ჯერო, გააქრისცხიანა ჯერ ქართლის დედ-
ოცალი ნანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიან და სამეფო ოჯახის
სხვა წევრები.

არსებობს მისაზრება, რომ მანგლისი წარმოდგება ბერძნული
„მონე ეკლეზიიდან“.

საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს პროფესორი ლეონ მელ-
ქსეთ-ბეგი. იგი წერს: „თვით სახელწოდება „მანგლისი“-ს
შესახებ არსებულ ლიტერატურაში მოიპოვება ორიოდე ვტი-
მოლოგიური ცდა, რომელთაგან, ჩვენი აზრით, მისაღებია
მხოლოდ ტრადიციული სიტყვიდან „ნამგალი“. „ნამგალი-ის-
ი“ - „ნამგლ-ის-ი“ - „მანგალი-ის-ი“ - „მანგლ-ის-ი“, ხოლო
მერე ვითომდა ბერძნული „მონე ეკლეზია“-დან წარმომდგარი
სახელწოდების ვერსია სრულიად მიუღებელია“.¹⁷

ანალოგიურ დასკვნას აკეთებს ენათმეცნიერი პროფ. ზ.ჭუმბურიძე:
„სახელწოდება ნანარმოებია ის სუფიქსით: მანგლ-ის-ი. მანგლ
არის შეკუმშული ფორმა მანგალ ანუ ნამგალ სიტყვისა (ასეთი
კუმშვა ხშირია ქართულში; მაგალითად: მარცვალი - მარცვ-
ლის, სარდალი -- სარდლის და მრავალი სხვ.). მანგალ სიტყვა
ამ ფორმით გვხვდება ძველ სალიტერატურო ძეგლებში (ზოგ
კუთხეში დღესაც იხმარება); მაშასადამე, ეს უფრო ძველი
ფორმაა. შემდეგ კი ამ სიტყვაში „მ“ და „ნ“ ბგერები
გადაადგილებულია და მივიღეთ „ნამგალი“.

ამრიგად, მანგლისი ძველი სამეურნეო იარაღის სახელწოდე-
ბისაგან არის მიღებული. ეს არის იგივე „ნამგლისი“.¹⁸

სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს აკადემიკოს
ნ.ბერძენიშვილს. მის აზრით, მანგლისი საყურადღებო მაგალი-
თია „(ვენეტრის“ სახელის შერქმევისა ქვეყნისათვის. იყო ალგ
ტომი, აქედან, ერთი მხრით მივიღეთ ალგეთი, მეორე მხრით
-- ალგ-ის-ი, მ-ალგ-ისი, მან-გლისი... ე.ი. ალგეთი დარჩა
ქვეყნის სახელად („ალგეთს ლეკები“), ხოლო მანგლისი -
პუნქტის სახელად და ამავე დროს ქვეყნის სახელადაც (მანჯა-
ლის).¹⁹

მანგლისსა და მანგლისის ხეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
საქართველოს ისტორიაში როგორც ეროვნულ-კულტურული, ისე
პოლიტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით, ვინაიდან ის იყო
ერთ-ერთი მოკლე გზა, რომელიც აკავშირებდა საქართველოს
დედაქალაქ მცხეთას (V საუკუნემდე) და შემდგომ თბილისს (V
საუკუნიდან) კაბადოკიასთან, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველოში

17. ლ.მელიქსეთ-ბეგი მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური
თვალსაზრისით ჟურნ „ახალ სკოლისაკენ“, ტფ, 1924, №2-3, გვ.72

18. ზ.ჭუმბურიძე რა გვქია შენი თბ, 1971, გვ.63

19. ნ.ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები თბ, 1972, ტ VIII,
გვ.646.

ჩრდილდებოდა დასავლური, ე.ი. ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა.

აკადემიკოსი ნბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „მანგლისს ფრთად ხელსაჭრელი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოში. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხთ-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს... ბუნებრივია ამიტომ გზების ის სიმრავლე, მანგლისს რომ აკავშირებდა აღნიშნულ რაიონებთან. სამხრეთიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა. ბასილი ბულგაროკტიონი — გიორგის წინააღმდეგ, თურქ-ხელჯუთა კოალიცია დაკით აღმაშენებლის წინააღმდეგ (დიდგორი) და ბოლოს თემურ-ლინგი (თვით მანგლისში, ქვათახევში) ყველანი მანგლისზე გადმოსვლით ფიქრობდნენ ქართველთ დამარცხებას“.²⁰

როგორც აღვნიშნეთ, მანგლისი, რომელზეც დიდი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის გზები გადიოდა, ადრევე იქცა ალგეთის ხეობის ერთ-ერთ ცენტრად. „ვახტანგ გორგასლის დროს იგი საეპისკოპოსო ცენტრი გახდა და ამ დროიდან მთელმა ალგეთის ხეობამ „მანგლისის ხევის“ სახელი მიიღო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მანგლისის ხევის საზღვრები სცილდებოდა ალგეთის ხეობის გეოგრაფიულ ფარგლებს და ვერეს (სკვირეთის) ხეობის დიდ ნაწილს მოიცავდა“.

ქართლში არაბთა დამკვიდრების შემდეგ ქვემო ქართლი და მასთან მანგლისის ხევიც თბილისის საამიროს შემადგენლობაში მოექცა. IX საუკუნის ბოლოს თრიალეთს ბალვაშები დაეპატრონნენ და ალგეთის ხეობის თავში კლდეკარის ციხე ააგეს. ალგეთის ხეობა იორ პოლიტიკურ ერთეულს შორის აღმოჩნდა. მისი თემონელი კლდეკარის საერისთავოში შედიოდა, ქვემოწელი კი თბილისის საამიროს შემადგენლობაში რჩებოდა. თბილისის საამიროს იცავდა ორბუთის, ბირთვისისა და ფარცხისის ციხეთა ძლიერი ერთიანი სისტემა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა ალგეთის ხეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში: ვინც მას ფლობდა, ის იყო ალგეთის ხეობის ბატონ-პატრონი. ამიტომ იყო, რომ კლდეკარის ერისთავები თავკამოდებით ებრძოდნენ თბილისის ამირებს ამ ციხეებისათვის. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. XII საუკუნის დასაწყისში დაკით აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ალგეთის ხეობა სამეფო მამულად აქცია. განკითარებულ შუა საუკუნეებში ეს იყო მჭიდროდ დასახლებული და დანინაურებული ქვეყანა, რასაც მოწმობს ამ ხანის უამრავი ნასოკლარი და

მატიერიალური კულტურის ძეგლი. აქ მდებარეობდა საქართველოს მეფეთა საზაფხულო რეზიდენციები: კოჯორი, ტაბახმელა და გუდარჩხი.

XV საუკუნისათვის, როდესაც საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ახალი ვითარება შეიქმნა და სათავადოების სისტემა წარმოიშვა, ალგეთის ხეობა ქციისა და მაშავერის ხეობებთან ერთად საბარათიანოს შემადგენლობაში მოექცა. XVI-XVII საუკუნეებში საბარათიანო რამდენიმე სათავადოდ დაიშალა, რომელთა დიდი ნაწილი ისევ ალგეთის ხეობაში ჩამოყალიბდა (საგოსტაშაბისშვილო — ცენტრით ამლიც-ტბისში, საგერმანოზიშვილო — ცენტრით გუდარჩხში და ა.შ.). XIX საუკუნეში ალგეთის ხეობა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის შემადგენლობაში შედიოდა. ამჟამად ალგეთის ხეობის ზემონელი თეთროწყაროს რაიონს ეკუთვნის, ქვემონელი — მარნეულის რაიონს.

მანგლისი და მანგლისის ხეობა მეტად მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. ხეობის ზემონელის სამხრეთ-დასავლეთით, ბედენის პლატოზე, გათხრილია შუაბრინჯაოს ხანის ვეიბერთელა ყორღანები: ნაპოვნია გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ეპოქის ძეგლები, მეტწილად სამოსახლო გორებზე (ზირბითი, ჩხიკვათა, მანვეანი, თონეთი, საფუძრები, არხოტი და სხვ.). მათგან ზოგს შემოვლებული აქვს მშრალი წყობით ნაგები ენ. ციკლოპური გალავანი. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ვრცელი სამაროყანა შესწავლილი ალგეთის ხეობის შუანელზე — „მადნის ქალაში“. ძნელად მისადგომი ბუნებრივი სიმაგრეები იყო უძველესი სამოსახლოები — ლოდოვნები (ბედენის, ლაკვის, გოხნარის, დურნუკისა და სხვ.), რომელთაც დიდი ხნის მანძილზე იყენებდნენ საცხოვრებლად. ადრინდელი ანტიკური ხანის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ალგეთის სამარხი, ამავე ხანის ძეგლებია აღმოჩენილი მანგლისშიც. მიკვლეულია ელინისტური ხანის მასალა (ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებიანი მონეტები, ბრინჯაოს ნივთები).

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, მანგლისი ორი ნაწილისაგან შედგება — ძველი და ახალი მანგლისი. აწინდელი მანგლისის ადგილას ძველად ორი სოფელი ყოფილა — ქვემო და ზემო ოძისი. ქვემო ოძისი ეწოდებოდა ახლანდელ მანგლისს, ხოლო ზემო ოძისი — დიდი პლაცის „ზედა ნაწილს“.

როგორც მანგლისისა და მანგლისის ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, „ქვემო ოძისის ადგილას არავითარ ძველ ნაშთს არ მოუღწევია ჩვენამდე; ზემო ოძისში კი ერთი საკმაოდ დიდი გვირაბის დანარჩონი და ყოფილი სოფლის

სახლების საძირკველთა კვალი ეტყობა. გარდა ამისა, სოფელ მოხისისაკენ მიმავალი გზის პირად ახლაც არსებობს ერთი ნაში ხატით, ხოლო მის ქვემოთ, დიდი პლაცისა და მოხისის გზას შორის, ძველი სასაფლაოა, სადაც გარკვევით რამოდენიმე აკლდამა ემჩნევა, რომელთაგან ზოგიერთი გათხრილ იქნა ჩემ მიერ წარსულ წელს და მათში აღმოჩენილი საგნები ჩამოტანილი ტფილისში".²¹

ასეთივე სასაფლაო იქნა აღმოჩენილი ქვემო ქალის გზის პირას, რომელიც პირველად გათხარა აგრენმა 1903 წელს,²² ხოლო მეორედ ორიოდე საფლავი გათხრილ იქნა ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ.

ორივე სასაფლაო, ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, XVII-XVIII საუკუნეებისა უნდა იყოს.

საინტერესოა აგრეთვე ქვის ჯვრები: 1. ზემო ქალაში. 2. თხივნალ-თხილნარისაკენ მიმავალი გზის პირას, უბაზისოდ. 3. ძველი მანგლისის ტაძრის შესასვლელთან რვანახნაგოვანი ბაზისით. გარდა ამისა, ე.წ. „მოლიანას“ წინ მოიპოვება ბაზისი, რომლიდანაც ჯვარი ამოუცლიათ.

გოხნარის ეკლესიის ახლოს არის ბორცვი, რომელიც მთლად დაფარულია ვულკანური წარმოშობის უზარმაზარი ქვებით. ესაა ე.წ. „ციკლოპური“, ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „გმირკვეთილი“ სისტემის დიდებული ციხე-ქალაქი, რომელიც რაღაც სტიქური მოვლენის გამო თითქმის მთლად განადგურებულია, თვით ნაქალაქევი რამდენიმე ეპოქის ნაღვეს შეიცავს, ქვის ხანიდან მოყოლებული ძ.წ. VIII საუკუნემდე.

1923 წლის ზაფხულში საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დანებებულებათა მთავარმმართველობის დაჯალბებით მოიწყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთის ხეობაში, რომელიც მიზნად ისახავდა მანგლისისა და მანგლისის ხეობის „ციკლოპური“ ნაცხარ-ნაქალაქევის დაზვერვასა და შესწავლას. ამ საკითხით ფრიად დაინტერესებული იყო ივ.ჯავახიშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სამუშაოები მაშინ ვერ ჩატარდა სათანადო სახსრების უქონლობის გამო.

როდესაც ლაპარაკია მანგლისისა და მანგლისის ხეობის ციხე-ქალაქებზე, დარბაზებზე, კოშკებზე, სასახლეებზე, გამოქვაბულებზე, ნაპრალებზე და ა.შ., არ შეიძლება არ ითქვას მანგლისის ახლოს მდებარე „ვკითელ მთაზე“, რომელსაც სახელივანი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი იხსენიებს „საკრისის“ მთად. ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, ეს

21 ლ მელიქსეთ-ბეგი მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თეოსაზრისით. ტურნ. „ახალ სკოლისაკენ“, ტფ., 1924, №2-3 მაისი, გვ.75

22 ანგარიში ამ გათხრის შესახებ იხ. Уроdoлнoй и зaкpocфaлнчecкoй чeрeч нa Mаngлнйcкoгo нeкpопoлe. Иллeстpиe Kиe. Oтд. Mocк. Apx. O-ва, и. I. cтp. 37.

სახელწოდება, ალბათ, „საკრეისის“ (სა-კრ-[ივ]-ის-ი) გამარჯვებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. და ეს ტერმინი ყრნად საინტერესოა იმ მხრით, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ამოსავალი წერტილი ანუ გასაღები ერთი დებულების ასახსნელად.

საქმე ისაა, რომ ტერმინი „საკრ [ივ] ისი“ კრეის ანუ ბრძოლის ადგილს ნიშნავს. მაგრამ, როგორ და ვის კრეიზე ანუ ბრძოლაზეა აქ ლაპარაკი? საბედნიეროდ, ეს გარემოება საუცხოოდ განმარტება ამირანის თქმულების ერთი ადგილით, სადაც მოხსენიებულია ალგეთის ხეობა.

ასე, მაგალითად, ამირანის თქმულებაში ვკითხულობთ:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი, მეთენი ალგეთისნი...
უცხო მთაში კოშკი მნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,
ძმებმა გარშემოუარეს, ვერა კპოვეს კარი მისი...²³

სხვა ვარაუდში იგივე ადგილი იკითხება ამნაირად:

სამნი ძმანი წამოვედით:
ბადრო, უსუფ და ამირან,
ათი მთა გადავიარეთ;
მეთერთმეტე ალგეთისა.
იქ რომ ერთი კოშკი იყო,
ანაგები სალი კლდისა.
სამი დღე-ღამე უარეთ,
ვერ უპოვეთ კარი მისა...
საცა ამირან ფეხი კკრა
იქ შეიბა კარი მისი...²⁴

ანუ კიდევ:

სანადიროდ წამოვიდნენ:
ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი
მეთენი ალგეთისნი.
მინდორს კვალი გაუკვლიეს,
დანაქლიკი ეშმაკისი.
მთას ირემი წამოუხტათ,
ოქრო იყო რქანი მისნი.

23. ამირანის ლექსი, კმირიანაშვილის გამოცემა ტფ., 1913, გვ. 19

24. ამირან-დარეჯანის მოსე ხონელისა, ზეკიქნაძის გამოც. აფ. 1840.

უცხო მთაზე კოშკი ნახეს,
ანაგები ბროლის ქვისა;
გაუარეს გარეგურგვალთ,
ეერ იპოვეს კარი მისი...
სადაც რო მზემ პირი მოპკრა,
ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გააღო,
იქ შეება კარი მისი...²⁵

კოშკის ასეთი აღწერილობა თითქმის სრულად მიესადაგება საკრისის (საკრ [იკ]ისის) მთაზე მდებარე „ციკლოპური“ სისტემის ნაციხარ-ნაქალაქებს.

ვინაიდან „საკრისი“ სწორედ წალკის საზღვარზეა, ამიტომ სრულიად გასაგებია, თუ ის უცხო მთად რატომ იყო მიღებული. ხოლო სიტყვები „ერ იპოვეს კარი მისი“ (ეი ციხისა) შეეფერება სინამდვილეს იმდენად, რამდენადაც ნაციხარ-ნაქალაქები მართლაც მიუდგომელია და მას არსაიდან შესავალი არ აქვს.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამირანის თქმულების შესაფერი ადგილი გამოგონილი უნდა იყოს ხალხის მიერ რეალურ ნადაგზე, ე.ი. მატერიალური კულტურის ნაშთების გაცნობის შემდგომ, როდესაც მან, ხალხმა, უზარმაზარი ქვებით ციხე-ქალაქს აგება უბრალო კაცის ხელის საქმედ ვერ ახსნა და ამიტომაც მიანერა ის გმირებს; ხოლო იმ მთას, სადაც ამ გმირებს და კერძოდ ამირანს, უნდა ებრძოლათ, მანვე, ხალხმა, უწოდა „საკრისი“ ანუ „საკრისი“ (საკრ [იკ]ის-ი“).²⁶

აღსანიშნავია, რომ მანგლისში გამოვლენილ ძეგლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვემო ქართლის ადრეანტიკური ხანის ისტორიის შესასწავლად.

ამ დროის მოპოვებული ნივთების ნაწილი ინახება აკადს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში (N24-24/1-5 და 25-24/1-6).

ეს ნივთები საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ აღწერა ც.დავლიანიძემ ნაშრომში „ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ.პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში“ განხილულია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ბექთაშენის, მანგლისის, კუმისის, კიკეთის, ახალსოფლის, გომარეთისა და კუშჩის სამაროვნებზე სხვადასხვა ექსპედიციისა თუ დაზვერვითი რაზმის მიერ მოპოვებული ადრეანტიკური-ადრეელენისტური ხანის მასალები (ძვ.წ. V-III სს); ნაჩვენებია თითოეული სახის ნივთის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების გეოგრაფიული არე და

25. „ამირან-დარეჯანიანი“ მოსე ხონელისა, ზ.კეიქანიძის გამოც., ტფ., 1896, გვ.315-316.

26. ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში. ჟურნ. „მნათობი“, №2(10), 1925. გვ.220-221.

ქრონოლოგიური საზღვრები. ავტორი გამოვლენილი ნივთების შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ ქვემო ქართლს ადრეიან-ტიკურ ხანაში საქართველოს ყველა რაიონთან პქონდა სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა. უფრო მეტიც, ქვემო ქართლში გამოვლენილი ზოგი ნაწარმის მსგავსება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდ.კავკასიის ჩდრ. შავი ზღვისპირეთის სკვითურ ყოფილანებში, ირანის ტეროტიორიაზე გამოვლენილ მეტწილად თანადროულ იმავე დასახელების ნივთებთან (მილიანი და სამტრუჩა დოქები, პრმოფრილი და პირგადაშლილი ყვიალები, ორყურა ქლა, სხვადასხვანაირი მძიკები და სხვ.) მიუთითებს ქვემო ქართლის ურთიერთობაზე ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხესთან, ჩრდ.კავკასიის ტომებთან, სამხრეთ რუსეთის ველების მოსახლეობასთან და აგრეთვე წინა აზიის ქვეყნებთან.²⁷

მანგლისსა და მანგლისის ხეობის ისტორიის ამსახველი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები იქნა აღმოჩენილი 1948 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ ქვემო ქართლის ისტორიის შესასწავლად გამოყოფილი ექსპედიციის მუშაობის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ექსპედიციამ, რომელსაც აკად.ნ.ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა, სამი წლის მანძილზე ჩაატარა ოთხი კამპანია აწინდელი თეთრიწყაროს რაიონში. ექსპედიციამ მოიარა ქციის, ალგეთის, ჭიჭყაყის, არაგის, გუდარეხის, ბოგვის, ასურეთის, კოდის, ზირბითის, ლაკვას, საყავრის, მყავისის ხეობები და აღრიცხვა 170 ნასოფლარი და სოფელი, შეისწავლა 296 ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. გამოვლენილ ძეგლთა შორის არის 14 ციხე-სიმაგრე, 4 კოშკი, 9 სასახლე, 8 სამონასტრო კომპლექსი, 19 ეკლესია, 18 ქვა-ჯვარი, 5 სტილა, 2 მენპირი, 19 სამაროვანი, 5 უძველესი სადგომი, 20 ყორღანი, 3 დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლი და აბანო.

ამ მიმოხილვის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა ქვემო ქართლის, კერძოდ მანგლისსა და მანგლისის ხეობის დიდი მნიშვნელობა და განსაკუთრებული როლი ქართველი ხალხის ისტორიაში.

აანალიზებს რა ამ თემას, პროფირაკლი ციციშვილი აღნიშნავს, რომ „მონღოლთა, ირანელთა და ოსმალთა მრავალგზის რბევა-ანოკების შედეგად გაუდაბურებულსა და აოხრებულ ქვეყანაში ჩანს ხალხის ცხოვრების უწყვეტი კვალი, მისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურები. როგორც ჩანს, აქ უნდა ვივარაუდოთ ქართული კულტურის ერთ-ერთი

27. ც.დავლიანიძე. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ 1 ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983, გვ.111.

საწყისი კერა. იგი მონაწილე მხარეა ადრეეკოდალურ ხანაში, სწორედ აქით გადმონაცვლა XII საუკუნეში ყუდალურ საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა. იგი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული გვიანეკოდალურ ხანაშიც, სანამ XVIII საუკუნეში საბოლოოდ არ დაიკალა და მხოლოდ XIX საუკუნეში თანდათან მოშენდა სხვადასხვა ქვეყნიბიდან გადმოსახლებულთა წყალობით...

თუ გავითვალისწინებთ ამ მხარეში XI-XIII საუკუნეთა ძეგლების სიმრავლეს, მის მჭიდრო დასახლებას, სამონასტრო კომპლექსებისა და სამეფო რეზიდენციების არსებობას, მაშინ თვალნათლივ წარმოგვიდგება ამ მხარის მაღალი ეკონომიკური დონე და პოლიტიკური მნიშვნელობა რუსთაველის ეპოქაში²⁸.

1959 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იკვავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგების ჯგუფის მიერ მანგლისის მეზობლად მდებარე სოფელ ორბეთის მიდამოებში, ხშირ მკვლევებით დაფარულ ტყეში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბეჭდიანს“ ეძახის, აღმოჩენილ იქნა მინის საღებავი ქურბის ნაშთები.

ორბეთის მინის სანარმოში დამზადებული ნივთები მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანია. შესწავლილი მასალების მიხედვით სახელოსნოები თარიღდება VII-VIII საუკუნეებით. საყურადღებოა, რომ კავკასიაში მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა მიკვლეული მინის სანარმოთა ნაშთები.

აღზღორი

საქართველოს ისტორიულ ძეგლებს შორის ქართველ კაცს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას აღუძრავს მანგლისის მხარის ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან, ომებთან. მანგლისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ყოველი გოჯი მინა, მასზე გამავალი დიდი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გზების გამო, ქართველთა სისხლითაა მორწყული და, აქედან გამომდინარე, თავისებურად ისტორიული ძეგლია, განსაკუთრებით დიდგორის ველი.

მანგლისის მახლობლად მდებარე დიდგორის ველზე 1121 წლის აგვისტოში ქართველთა ლაშქარმა ძლიერამოსილი ბრძოლა გადაიხადა მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ.

ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოზე თავდასხ-

²⁸ ირ ციციშვილი. რუსთაველის ეპოქის ძეგლები ქვემო ქართლში. ეურნ „ქველის მეგობარი“, თბ. 1966, გვ. 18, 52.

მის წამომწყობი და ხელმძღვანელი ჩანს ერეკლის სელსუკიანთა გამგებელი სულთანი მამმუდ მუჰამედის ძე, რომელმაც, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს, მუსლიმანებს მიმართა: „სადღაცა ვინ იყო, დამასკო და ჰალაბიდან ამოდ- მართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“ მონაწილეობა მიეღო ქართველების წინააღმდეგ ომში.

თურქ-სელსუკთა 400 000 კაციანი ლაშქარი, რომელსაც სულთანის სახელით სათავეში ჩაუდგა ანჭოჯვაროსნული ომის მთავარსარდალი ილღაზი ძე არდუხისი, „აგვისტოსა თორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორს... ყითარცა ქეიშა ზღვისა, რომელთა ვერ იტყვდა ქუეყანა“,²⁹ და დაბანაკდა დიდგორის ველზე წყაროებიდან ცნობილია, რომ დავით აღ- მაშენებელმა ურაცხე მტერს შეაგება 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ყრანგი მეომარი.

საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს წიზბის მხრიდან მიუახლოვდა და დაბანაკდა ორ მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში, რომელზედაც მტერი აპირებდა გაეკლას.

ქართველებმა ხევის ვინაო შესასვლელი ჩახერგეს და ამით უკანდასახევი გზა მოისპეს. ან გამარჯვება, ან მტრისადმი ზურგშეოქცეველი სიკვდილით დაცემა ამ უთანასწორო ბრძო- ლაში -- ასეთი სულისკვეთებით გამსჭვალულ ლაშქარს ბრძო- ლის წინ მეფემ სიტყვით მიმართა -- დაავიცა სამშობლოსა და მეფის ერთგულებაზე

ქართველებმა მტერს ორი მხრიდან შეუტყეს -- ლაშქრის მთავარმა ძალამ დავით აღმაშენებლის სარდლობით წიზბისს ხევით დასავლეთიდან, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დემეტრე დავითის ძემ თავისი ჯარით.

საშინელი ხოცვა-ძლევა თავიდანვე ქართველების სასარგო- ბლოდ წარიმართა. მტრის ლაშქრის უდიდესი ნაწილი განყდა, მხოლოდ მცირე ნაწილმა უშეგლა თავს გაქცევით.

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ განაპირობა საქართველოს სამეფოსათვის თბილისის შემოიერთება /საჭახტო ქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში იქნა გადმოტანილი/, ქვეყნის გაერთიანება, ერთხელ კიდევ უკვე მერამდენედ, გადამწყობა საქართველოს ბედი, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ბოლო მოუღო თურქ- სელსუკთა ბატონობას საქართველოში და მის მეზობელ ქვეყ- ნებში.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდგორის ველზე დიდ მთას ამ გამარჯვების სულისჩამდგმელის მეფე დავით აღმაშენებლის სადიდებლად დავითის მთა შეარქვა, ხოლო დაღუბულ მეომართათვის გაითხარა საერთო, სამო საკვლავი.

რომელსაც, გადმოცემის თანახმად, თურმე ყველა ცოცხლად დარჩენილი მკომარი მუჭით მინას აჭრდა. ასე აღიშართა ბორცვი დიდგორის ველზე, რომელიც თავის წიაღში ინახავს სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებს.

1990 წელს დიდგორის ველზე დაიდგა მემორიალური კომპლექსი, რომლის ავტორია სახელოვანი მოქანდაკე, ფერმწერი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი. არქიტექტორია თამაზ გუნია. მემორიალის სიღიადეს ხაზს უსვამს, ფონს უქმნის დიდებული ბუნება.

დიდგორის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსი ცხადყოფს, რომ ჩვენი ხალხი და მთავრობა არასოდეს ივიწყებს ქვეყნის გმირულ წარსულს.

კლდეკარი

„თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოს გული იყო, კლდეკარი კი — თრიალეთის გასაღები“.

ნ. ბერძენიშვილი

მანგლისიდან ჩრდილო-დასავლეთით 12 კმ-ზე, თრიალეთის ქედის კლდოვან მწვერვალ არჯევანზე მდებარეობს ისტორიული ციხესიმაგრე კლდეკარი. იქვე ახლოს, ქედის თხემზე, მდინარეების თემისა და ალგეთის წყალგასაყარში, დაახლოებით 2000 მ სიმაღლეზე, გაპოზილი კლდე ქმნის კარის მსგავს გასასვლელს. აქედან მოდის იმ ადგილისა და ციხესიმაგრის სახელწოდებაც /კლდეკარი, ეი. კლდის კარი/.

საისტორიო წერილობით წყაროებში კლდეკარის ციხესიმაგრე მოიხსენიება უმთავრესად „მატიანე ქართლისაჲში“ IX-XI საუკუნეების მოვლენების აღწერისას, ორბელიანთა მოღვაწეობასთან დაკავშირებით. მოიხსენიება მატიანის სხვა ადგილებშიც, აგრეთვე სუმბატის ქრონიკაში, შიომღვიმის 1072-1073 წწ. სიგელში.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ კლდეკარის ციხესიმაგრე აიგო მას შემდეგ, რაც IX საუკუნის 70-იან წლებში ბაღვაშების მსხვილ ფეოდალთა საგვარეულოს უფროსი ლიპარიტ I დავით I კურაპალატის ვასალობაში შევიდა და მისგან მიიღო მინა-წყალი თრიალეთში: „შეიჭრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“.³⁰

კლდეკარის ციხის პატრონთა მკვლობელითა თავდაპირველად

30. მატიანე ქართლისაჲ. „ქართლის ცხოვება“, 1, 1965. გვ. 258.

მხოლოდ თრიალეთით იფარგლებოდა, „რადგან არცერთ მეზობელ ხევში მათ ციხე არ გააჩნდათ. თვით კლდეკარის ციხის მდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ძირითადად აგებული იყო თრიალეთში ამავალი გზების ჩასაკვებად თბილისის საამიროს მხრიდან. ამასთან ერთად იგი დარაჯობდა შიდა ქართლის ხეობებით თრიალეთ-ჯავახეთში ამავალ გზებს. შემდეგ თანდათან კლდეკარის ერისთავები აფართოებენ თავის სამეფობებებს.“³¹

კლდეკარი ორი საუკუნის განმავლობაში კლდეკარის საერისთავოს ცენტრი იყო. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური მდგომარეობის წყალობით თრიალეთს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებისათვის. ეს გასაგებს ხდის იმ ძლიერებას და პრეტენზიებს, რაც ჰქონდათ თრიალეთის მფლობელ ფეოდალებს — კლდეკარის პატრონებს. „შეიძლება თქმულიყო კლდეკარის ციხის მიწა-წყალზე, რომ დიდია და ნაყოფიერი /ქვეყანა/ და წარმოადგენს სომხთის /დმანისი, თორე/, ჯავახეთის /წარდეკან/, თორ-გუჯარის /საბიჭახჩი/, ზენა სოფლის /ტანას ხეობა, კლდეკარ-სამაჭალო/ მანგლისის გასაღებს. საკუთრივ კლდეკარი /პუნქტი/ კი არა, არამედ წარმოსადგენია, ის ქვეყანა, /თრიალეთისაწა/, რომელიც შეიპყრა ლიპარიტ ბაღვაშიმა და რომელსაც უთავა ციხე კლდეკართა. ასე რომ ამიერიდან ეს იყო ქვეყანა კლდეკართა.“³²

კლდეკარის საერისთავო მოიცავდა ატენის ციხეს, თრიალეთს, მანგლისხევს და საკურეთს. ის ჩამოყალიბდა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე და შექმნისთანავე ჩაება ამ ბრძოლაში, გაძლიერდა და უმეტეს შემთხვევებში სამეფო ხელისუფლებასაც უპირისპირდებოდა. კლდეკარის ერისთავების ურჩობამ თავი იჩინა ჯერ კიდევ გაერითიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროს. მაშინ რატი ბაღვაში /რატი I/, რომელსაც ჰქონდა დიდი მამული ატენიდან კლდეკარამდე — თრიალეთამდე, წინ აღუდგა ბაგრატ III-ს, დავით კურაპალატის შვილობილს, კურაპალატსაც გადაიბირა, ქართლის დიდი აზნაურების მხარდაჭერაც პოვა, მაგრამ დამარცხდა: ცნობილია, რომ მეფემ ლამით ინახულა მამობილი, შეურიგდა, მარტო დარჩენილი რატი კი კლდეკართან გაანადგურა. ამის შემდეგ კლდეკარის ციხესიმაგრე ბევრჯერ იხსენიება ჩვენს ისტორიაში სამეფო ხელისუფლების მონინაალმდეგეთა მარცხის ადგილად: კლდეკარზე გადაჩეხეს

31. თ.თოდრა, მანგლისის ხევი. „მეგლის მეგობარი“, კრებ. XXI, 1970.

გვ. 52.

32. ნ ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები თბ., 1975, ტ. 8.

გვ 524.

მოკლალაზე თორღის ერისთავი და სხვ.

სამეფო ხელისუფლებამ რამდენჯერმე ჩამოართვა ბაღვაშებს კლდეკარის ციხე. 1103 წელს კი მეფე დავით IV აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო ამ დროიდან კლდეკარის ციხემ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და წერსლობით წყაროებშიც იშვიათად მოიხსენიება. არსებობს მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც თემურლენგი გაუგონარი სისასტიკით იპყრობდა და აოხრებდა საქართველოს, თვითონ მანგლისში ბინადრობდა, ლაშქარს კი კლდეკარში ჰყავდა დაბანაკებული.

ბევრი არაფერია ცნობილი კლდეკარის საერისთავოს მოსახლეობის შესახებ. შემორჩენილია მხოლოდ სტეფანოზ ორბელიანის ცნობა, რომლის მიხედვით, თურქებთან ბრძოლის დროს ბიზანტიის მხარეზე ლიპარიტ IV-ის განკარგულებაში გამოცხადდა მისი ქვეშევრდომი 700 დიდი აზნაური და 16000 მეომარი.

მანგლისის მხარეში მტრის გამუდმებულმა თარეშმა კლდეკარიც — ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მისადგომი ციხესიმაგრე — დააზანა. მან ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. ვინდორაშვილის აღწერით, ეს არის ძველი დიდი ციხის ნამსხვრევის გოდოლი, ირგვლივ კი ბალაჯეროს ნაშთები მიუყვება ციცაბო კლდის ნაპირებს. და მაინც ის ისეთი სიმტკიცით დგას, რომ მნახველის დიდ ინტერესს იწვევს შორიდანაც კი. „როდესაც წალკაზედ დაამგზავრობ, თვალს ადვილად ვერ აარადებ ჩრდილოეთისკენ ერჯევენს მთებიდან გამომყურე განთქმულ ციხე — კლდეკარს. მკაფიოდ მოსჩანს კლდეში ჩაჭრილი უშველებელი კარები — ციხე და შიგ კოხტა ეკლესია კარების აღმოსავლეთის კონწოხზედ აქედანვე მშვენივრად ათვალაირებ ქართლს; ფეხთით თქმისა, ატენის და კავთის ხევის ხეობანი ტყით დაბურულნი შავად გიყენათ, თვალწინ გეხატება დიდებული ისტორიული ამბები“³³ — ასეთად ხედავდა კლდეკარის ციხეს 1900 წელს ცნობილი სასულიერო პირი, მწერალი და პუბლიცისტი ზაქარია გულისაშვილი.

1923 წელს პროფ. ლიონ მელიქსეთ-ბეგი აღწინააყდა, რომ კლდეკართა აღწერა არსად არსებობს, რადგან ის არცერთ მკვლევარს არ უნახავს და ცნობილია მხოლოდ სახელწოდებით. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებაზე 1923 წლის 10 დეკემბერს მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა თავისი შთაბეჭდილებები კლდეკართა ციხის შესახებ, რომელიც „აილი“ 1923 წლის 27-28 აგვისტოს

³³ ზგულისაშვილი გარდაბნის და გაჩიანის საერისთავონი და მათი ნაშთი. გაზ. „ივერია“, 1900, №155

სიმონ მჭედლიძესთან ერთად: „მხოლოდ იმის შექმნაში, როდესაც ჩვენ ვიმყოფებოდით არჯუიქნის ქედის უზენაეს წვერზე მდებარე ციხეში, ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა ის გარემოება, თუ ორბელებმა რატიმ მესძლეს ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაეწიათ აფხაზ-ქართველთა მეფეთათვის. კლდეკართა ციხის მდებარეობა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით იმდენად მარჯვეა, რომ თითქოს მთელ თრიალეთ-ქართლსა და საბარათიანო-საორბელოს ბატონობს. აქედან მოსჩანს მჭკჭრისა, ალგეთისა და ქციის ხეობები. და იქ ყოფნის დროს თქვენ პირდაპირ პგრძნობთ, რომ ვისაც ეჭირა ეს ციხე, მას შეეძლო მყოლობელობა თუ მთელ ქართლზე არა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე მაინც. ამასთანავე ერთად, ვინც ყოფილა ორბელთა დანარჩენ სადგომებში, დარწმუნდება, რომ კლდეკარნი მათზე ბევრად მაღლა დგას თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით.“³⁴ ლ.მელიქსეთ-ბეგის აღწერით, „(ციხე) შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც აშენებულია არჯუიქნის ორ უმაღლეს წვერზე. წარწერა არცერთს არ აქვს. ორივე შედარებით პატარა ზომისაა, ოთხკუთხედი, აშენებულია ქვითკირით, კლდიდან ნაგლეჯი ქვებით. მათ შორის პატარა მანძილია. „სულ ყველაზე სინტიერესოა და პირდაპირ გასაოცარი ენ. „კლდეკარნი“ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ერთია ციხის დასავლეთით და მეორე აღმოსავლეთით. პირველის მიმართულებაა სამხრეთ-დასავლეთითგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ, ხოლო მეორის სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ. პირველი უფრო პატარა და ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე მეორე, რომელსაც სიგრძითა აქვს 110 ნაბიჯი, სიგანით 3-5 ნაბიჯამდე, ხოლო სიმაღლით დაახლოებით 2-3 სართულიანი სახლის ზომია. ეს უკანასკნელი თითქოს გვირავს წარმოადგენდეს და შორიდან არც მოსჩანს ისე, როგორც, მაგალითად, პირველი, რომელიც შედარებით მასთან უფრო განიერთა და ნაკლებ მოგრძო, სამაგიეროდ კი მოსჩანს ყველა მხრიდან, ისე ქართლიდანაც. ...ნათლად ირკვევა, თუ ძველ საბუთებში ციხის სახელწოდება რატიმმა ნახმარევი მრავლობით რიცხვში: „კლდეკარნი“, „(ციხე კლდეკართა“ /და არა „კლდეკარი“, „(ციხე კლდეკარისა“/, რაც სრულიად შეეფერება სინამდვილეს.“³⁵

შემდგომში კლდეკარის ციხესიმაგრე აღწერა აკადემიკოსი მ. შიქიძე: „დაეს კლდეკარის ციხეზე ბილიკი ჩრდილოეთიდან ადის. აქედანვე უნდა ყოფილიყო ასასვლელი ძველადაც სხვა მხრიდან ის სრულიად მიუდგომელია. ჩრდილოეთიდანაც ფერდობი ფერად დაქანებულია და ციხის საფუძველი კლდეები ისე გადმოს-

34. ლ.მელიქსეთ ბეგი „კლდეკარი“. საისტორიო მოამბე. 1. ტფ. 1924.

წლიან ქართლში გარდამავალ გზას და ციხეზედ მიმავალ ბილიკს, რომ ყოველ წაშლილ განადგურება-ამოქოლევას ემუქრებო-
ან. საშუალო საუკუნეების საომარი ტექნიკის პირობებში კლდე-
კარის ციხის იეროშით აღება მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო.
ის საკმაოდ მოზრდილი ფეოდალური ციხეა. აგებულია მთის
ორივე მწვერვალზე, რომელთა შორის შემაერთი კედელი ყოფილა
ამოყვანილი შესავალი დიდი კარებით. დღეს ეს კედელი
გარღვეულია. თათარი გუმბეთას გადმოცემით, აქ კედელი და
კარები სრულიად ხელუხლებლად იყო დაცული. სულ რამოდენ-
იმე წლის წინ მეხმა დაკრა და კედელი დაანგრა. „აქედან
თათარი კაცი არაფერს წაიღებს“ — გვამედეებს გუმბეთა. —
„ერთხელ აქ მე კარგი ქვა ვნახე გათლილი, სახლში წავიღე,
სარკმელს უდებდი; მამამ გამიგო და მაშინვე უკან ადგილზე
მიმატანინა — დაგაქცევსო“. ლიმილით მოგვიყვა გუმბეთა
აქამდის ჩვენში სიძველეთა დაცვის ამ ერთადერთი საშუალების
შესახებ, მაგრამ გუმბეთას გულუბრყვილო ლიმილიდან გაფრთხი-
ლებაც ისმის: აქამდის ცრუ შიში რამოდენიმედ მაინც იცავდა
ძეგლებს, ამიერიდან კი... კლდეკარის მწვერვალზე ერთ საათს
დავრჩით... სამხრეთით, მანგლისს მხრივ, საუცხოვო წინწარი
ტყია, მდინარე ალგეთის სათავეც იქ არის. პირველი სოფელი
აქედან უგუდეთია; ჩრდილოეთით სამაჭალოს ხევი გაცილებით
უფრო ღრმა, ციხის გაღმა, ხევის დასაწყისში ჩანს სოფელი
ზირთა. „იქ ქართველები ცხოვრობენ, — გვეუბნება გუმბეთა
და უმატებს — ჩვენი ყორული იქაა — გვიჩვენებს ზედ
სოფლის თავზე გავლებულ საზღვრის ნიშანს. წინათ ეს სულ
ბატონის იყო, დათიკო ჯავახიოვის, ყორული გადმოღმა წალკა-
ში იყო, ეს ციხეც მისი იყო, მერე ჩვენ ვიჩივლეთ და ჩვენი
ყორული იქ დადევს. ესლა იქ ჩვენი ცხვრის ბინებია, ციხეც
ჩვენ ყორულშია“ — დაასრულა გუმბეთამ. ასეთი ბევრის
მეტყველი სიტყვებით ასრულებს ციხის აღწერას ჩვენი სასიქ-
ადულო მეცნიერი.⁴⁶

თავისებურად აღწერა კლდეკარის ციხესიმაგრე მხატვრული
სიტყვის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ:

“სიტყვად ქორამ ერთი მიხედა გვიანას მონასტრის ნაწრდილს,
ბილიკებზე დაინყო სუნსული.

ხელიკივით აძვრა ფლატეზე. საბელები გადმოუგდო დანარჩე-
ნთ, წამომყვითო, ანუშა მუნჯურად დიდხანს იხოხეს ხაეს-
მოდებულ, დაკბილულ ბილიკებზე. მღვიმე გაიარეს სურითი
დაბურდული ერთი, ტაჯიობი დაუხვდათ აკანთიანი, ისევ მღვიმე

შემოეყარათ, ეს მღვთმცვ განვლეს და აღმა ავყენენ დამრეცილ ბილიკებს. საბელებით ძლიერს იმბარებდნენ თოკს

ბოლოს შეწყდა ცერადმართული ბილიკი. გოდოლი დაუხვდათ ზეთავმორღვეული. გოდოლიც განვლეს და ფლატეებს მიადგნენ თვალშეუღკამს. ქორების სკორეთი გათვთრებულ ფლატეებზე სახაზინო ქვაბები გამოჩნდნენ მთვარიანში, შორიდან.

აქაც იპოვნა სიტყვიამ დაკბილული ბილიკი აღმამიშავალი. ზედ ავოცდა, თოკის კიბენი გადმოუშვა ძირს. ბოლოს თავადაც ჩამობრუნდა და სათითაოდ აიყვანა მღვთმცვი ყველა.

ქვაბთა შორის ხერეილი იყო სავალაყებო. მაშხალები აანთეს. დეკების სამყოფლოს მიაგავდნენ კლდეში გამოკვეთილი პალატები. ქარიმანმა მიმოიხედა, ნიშნები შეამჩნია კლდეში გამოჭრილნი.

მონასტერი ყოფილათ ოდესღაც.

„თავდაპირველად სადილეგოდ ჰქონდა ეს ქვაბები ლიპარიტ დიდს“, — სთქვა ეზოსმოძღვარმა ზოსიმემ, მაშხალა აიღო, კლდეს მიანათა, მაჯისსისხო ჯაჭვები ეკიდნენ ზედ.

“აი აქ იყვნენ დაბმულნი ბაგრატი კურაპალატის ერთგულნი აზნაურნი... რომელნიც ანსიდან გამოიტყუა ლიპარიტ დიდმან”.

ივანე ლიპარიტისძის დროს მონასტრად აქცია ეს ქვაბები ერთმა დაყუდებულმა ბერმა, როცა მალიქშაპის სარანგი ალგეთს მოადგა, ეს მონასტერი გაძარცვეს თურქთა”.

პალატებიდან გასული რკინისკარს მიადგა ქარიმან სეტიელი. უზარმაზარი მოქლონი ეკიდა ზედ...

...ძალაყინებით შელენეს კარი. მცირე ტალანი გაიარეს და ვაზის კარს მიადგნენ დიდის ხელოვნებით ნაკეთებს. კაცის სიმაღლე ვაზისჯვარი იყო ზედ, კუთხეებში პანია ჯვრები აგრეთვე ვაზისა.

ბრველსავე ქვაბში საჭურჭლე აღმოჩნდა.

დიდ-დიდი ირანული ზანდუკები, სკივრები, განჯინები, ზოგი რკინისა, ზოგი რვალისა სპილენძითა და ფერადი თუნუქით შეჭედდინ სხვანი.

კლდეშივე ნიშები იყო, კარშებმულნი აგრეთვე”. /ტიტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, ნიგნი მეორე, გვ. 63. „ლითამიანი მუზარადები“/.

„კლდეკარის უგრძნეულად ალებამ მთლად აადორიაქა თრიალეთელთა წარმოდგენა. დროულ კაცებს ჯერაც ახსოვდათ თუ როგორ განბილდა კეისრის კონსტანტინე მერვის დომესტრიკი ბერძნული ლაშქრითურთ სწორედ ამ ციხის მისასვლელებთან...

...ხევს გაღმა გაიხედა მეფემ: ქვის კეშაპები იწყნენ ქარაფების კლდეზე, ცოცხლებსა მკვანდნენ იგინი. უდარაჯებენით თიქოს ვარამის ხეობაში შეიოსულს...

...როცა ხევიდან ზეგანზე ამოვიდა, მიყვი თვალი შეავლო ამ გაშავებულ ქმერებს, ახლაც ვეშაპებს შკავდენენ ზედმინჯვით ეს ლოდები, რომელიღაც ეკლესიის გუმბათი აელანსა ცისკიდურზე შორს.

ცხენი შეაყენა. ტაფობს გადაახედა. იმ მთას გადაღმა ხეობაა დიდი, იმის გადაღმა უსიერი ტყე და იმ ტყეებშია ლიპარიტის უბანი...

... მიყვი სდუმდა, ცისკიდურს გასცქეროდა. მთვარის შუქსგან განწრდილული მთები გალავანვით გარს ერტყნენ წინამდებარე ტაფობს. სამუხლეუ ბალახს აბიბინებდა სოო, ალაგ-ალაგ ზღვისებრ ლელავდა სათიბი". /ტეგერალიცაა „დავით აღმაშენებელი“, წიგნი მეორე, გვ.54. „თრიალეთური ქარა“/.

საქართველოში, ალბათ, ბევრს არავის დაუდგამს ფეხი კლდე-კარზე, არ დამტკბარა თვალწარმტაცი ბუნებით, ზღაპრული ხედით, იქიდან რომ მოჩანს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, კლდეკარს მართლაც თითქმის მხოლოდ სახელწოდებით იცნობენ. ის მეტ ყურადღებას მოითხოვს.

მანგლისი – საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი შედეგად კერა

ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების უძველესი კერა იყო. საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე, ე.ი. IV საუკუნის ოცდაათიან წლებში, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი სწორედ მანგლისში აიგო. ცხადია, ეს შემთხვევითი ამბავი არ იყო. მანგლისს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა უწყობდა. იგი წარმოადგენდა აღმინასტრაციულ-სტრატეგიულ პუნქტს, რომელიც ქართლიდან ახლო აღმოსავლეთთან უმოკლეს გზაზე მდებარეობდა. სწორედ აქ გამავალი გზა შიდა ქართლს სამხრეთ საქართველოსთან, სომხეთთან და ბიზანტიასთან აკავშირებდა. ამის თაობაზე გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენაშვილი წერს: „... იყოფებოდა რა ალგეთის, თქმის /სამაქალის ხევი/, კავთურას და ვერეს გამოსავლებში, მანგლისს ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეებზე. ბუნებრივია ამიტომ გზების ის სიმრავლე, მანგლისს რომ აკავშირებდა აღნიშნულ რაიონ-

ებთან. სომხეთიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა.³⁷

როგორც აღვნიშნეთ, მანგლისის ახეთმა მნიშვნელოვანმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ ბევრად განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ეკლესია სწორედ აქ მანგლისში ააგეს.

როგორც X საუკუნის ისტორიკოსი არსენ კათალიკოსი მოგვითხრობს თავის თხზულებაში „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, მირიან მეფემ „შემოკრიბნა ქვისთურონი და კალატიონი და კუალად უბრძანა საძირკველი ეკლესიისა მანგლისს“. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მანგლისში IV საუკუნის პირველ ნახევარში ქვის პატარა ეკლესია აუგიათ, სადაც ქრისტიანობის უწმინდესი განძი, ქრისტეს ჯვრის ნაწილები ყოფილა დაცული.³⁸

როგორც აკადემიკოსი მ.ლორთქიფანიძე აღნიშნავს, საქართველოში „პირველი ეკლესიები მცირე ზომისანი იყო, ისინი მინიატურულ სამლოცველოებს წარმოადგენდნენ და დიდი ზომის ეკლესიების მშენებლობა უფრო გვიან იწყება“.³⁹

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა მანგლისში საეპისკოპოსო დააარსა და ეკლესია მანგლელ ეპისკოპოსთა კათედრად გადააქცია. ეს იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი საეპისკოპოსო კათედრა: იგი V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ 12 საეპისკოპოსოს შორის რიგით მეოთხეა.

„...V საუკუნის დასაჩრულისათვის ქართლის სამეფო კლარჯეთიდან პერეთამდე საეპისკოპოსოებად იყო დაყოფილი. ეს საეპისკოპოსოები ახლად დადგენილი კათალიკოსის სამწყისის შუადგენენ...“

ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილი საეპისკოპოსოები განლაგებულია: „კლარჯეთში (ახიზის), არტაანს (ერუშეთის), ჯავახეთში (წუნდის), ქვემო ქართლში (მანგლისი და ბოლნისი), კუხეთში (რუსთავი), სუჯგში (წინწმინდა), პერეთში (ჯერემი), კახეთში (ჩელეთი), კამბეჩანში (ხორნაბუჯი), გარდაბანში (აგარაკი), შიდა ქართლში (მცხეთა, ნიქოზი)“.⁴⁰

მანგლისელი ეპისკოპოსი მოხსენიებულია „განგება დარბაზი-ბისაში“ დასახელებულ 35 ეპისკოპოსის შორის მე-16 ადგილზე. აღსანიშნავია, რომ მანგლელი ეპისკოპოსის შემდეგ ადგილს იკავებდნენ წინწყაროელი, რუსთველი, წილკელი, კანარელი,

37 ნ ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964,


38 76.

39 არსენ კათალიკოსი ცხოვრება წმინდა ნინოსი თბ., 1903, გვ. 39

38 მ.ლორთქიფანიძე ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში თბ., 1979,

37 75.

40 იქვე. გვ. 74



მანგლისის ტაძარი

ურბნელი, მრეცილი, სამთაქელი, ნიქოზელი, მერე მამამსიავარსა ფანაშკერტელი, ბილჩელი, კარელი, ხარჭაშელი, ტვილილი, წალკელი, ბანელი, ქერქელი, დმანელი, დადაბნელი, გიშელი.“

თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მანგლისის ტაძარი მრავალგზის გადაკეთდა /XI, XVII, XIX საუკ./ ჯვრის სახელზე აგებული ეკლესია ამჟამად ღვთისმშობლის ტაძრად იწოდება.

მანგლისა რომ ქრისტიანობის გავრცელების მნშვნელოვანი კერა იყო, მრავალი ისტორიული წყარო ადასტურებს. კერძოდ, სომხურ „ეპისტოლითა ნიგნს დაუცავს ღვთის კრების /506 წ./ მონაწილე ქართლის ეპისკოპოსთა საა“,“ კრების ჩამოთვლილ 24 მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთაგან მეცხრეა მანგლისელი ეპისკოპოსი ილაგას. „ილაგას ეპისკოპოს მანგლიეც“.“

VI-VII სს. მანგლისის ტაძარი იმდენად განთქმული იყო, რომ აქ სალოცავად დადიოდნენ არა მარტო საქართველიდან, არამედ სომხეთიდანაც კი.

ცნობები მანგლისის ტაძრის შესახებ გვხვდება XI საუკუნის ისტორიულ წყაროებშიც, რომლებშიც კვლავ დასტურდება მანგლისის მნშვნელოვანი როლი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში.

ამ მხრივ ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ XI საუკუნეში მანგლისში ნიგნები იწერებოდა და ითარგმნებოდა. თუნდაც იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ აქ, მანგლისში, 1048 წელს გადაიწერა მათეს სახარება ეტრატზე, რომელიც გელათის კოლექციასა დაცული. „გელათში დაცულია სამი დიდი ტყავის წიგნი, მათეს და იოანეს სახარების თარგმანი, რომელსაც მრავალი საისტორიო წარწერა აქვს. მათ შორის პირველ წიგნს, ლიპარიტ ერისთავთა ერისთავის — „დაიწერა წე ესე წიგნი. მანგლის: ბრძანებითა ჩემითა საყოფელსა ძლევა შემოსილსა, ძელისა ცხოვრებისასა“... მეორე წიგნს „დაიწერა წე-ე ესე წიგნი ბრძანებითა ჩემითა დიდებულსა საყდარსა მანგლის საყოფელსა ძლევა მოსილისა ძელისა ცხოვრებისასა““

ეს ისტორიული წყარო იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ლიპარიტ ერისთავთა ერისთავი ტაძარს დიდებულ საყდარს

41 ქონიეები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა /შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თეორდანას მიერ/ ტფ. 1892, გვ. 45-46

42 იაკობ უერტაველი, „მარტილობა შუშანიისი“, ქართული და სომხური ტექსტები გამოცხა. გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურო ილია აბულაძემ, ტფ. 1938, გვ. 54

43 „ეპისტოლითა წიგნი“, თბ. 1901, გვ. 1983 /სომხურ ენაზე/

44 ქონიეები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა /შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თეორდანას მიერ/ ტფ. 1892, გვ. 190-193

უნოდებს. როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში საყდარი ეწოდებოდა ისეთ ეკლესიას, რომელიც ეპისკოპოსის ან ქართველსკოპოსოს საჯდომად ითვლებოდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ ნათქვამი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, აგრეთვე, რომ XI საუკუნეში, როცა საქართველოში მრავალი დიდებული ტაძარი აიგო და შენდებოდა, მანგლისის კათედრალს არ დაუკარგავს ის დიდი სახელი და ძლიერება, რომელიც VII საუკუნეში და უფრო ადრეც ჰქონდა.

XI საუკუნის პირველ მეოთხედში, გიორგი პირველის დროს (1014-27), მანგლისის ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს და გააფართოვეს, სამხრეთისა და დასავლეთის შესასვლელებს კარიბჭეები მიაშენეს და მაღალმხატვრულად შესრულებული ჩუქურთმებით შეამკეს. შენობა გარედან და შიგნიდან შემოსილია რუხი ფერის გოხნარის ბაზალტით, დასავლეთ კარიბჭის შესამოსად გამოყენებულია მოყვითალო ფერის ქვა. ძველი მდიდრულადაა შემკული. ყურადღებას იქცევს სამხრეთი კარიბჭის, ვარსკვლავისებური კამარა, ფასადთა ჩუქურთმები. XI საუკუნის ეკუთვნის კედლის მხატვრობაც, რომლის ფრაგმენტები მხოლოდ ძველის გუმბათზეა შემორჩენილი. სამხრეთ კარიბჭის წინ მონოლითურ ქვის ბაზისზე აღმართულია ქვის ჯვარი.

აღსანიშნავია გუმბათის მხატვრობაში მოცემული ერთი კომპოზიცია, სახელდობრ, ლომზე მჯდომი ჭაბუკის გამოსახულება. ამ გამოსახულების პირი, გადაღებული მხატვარ ტ. შევიაკოვის მიერ, გამოფენილია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

გადმოცემით, საქართველოში მაჰმადიანთა არაერთგზის შემოსევის დროს, როდესაც აქ ისპობოდა ყოველივე, რაც კი დაკავშირებული იყო ქრისტიანობასთან, მანგლისის ტაძარი ხელუხლებელი რჩებოდა, რადგან მის გუმბათში გამოსახული იყო ლომზე მჯდომარე მაჰმადი. ამის თაობაზე „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ამას ქუეით⁴⁵ არს მანგლისი, ეკლესია გუმბათიანი, აღაშენა დიდმან კონსტანტინემ მირიან მეფის ჟამს და დაასუნა აქაფერხის ფიცარი უფლისა; აროდეს შემუსვრილ არს. სამხრით გუმბათსა შინა არს მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვან მის გამო მოჰმადიანთა არაა შეუმუსრაეთ. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის ხეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე.“⁴⁶

ხალხში გავრცელებულია ასეთი გადმოცემაც, თითქოს მანგლისის ტაძრის გუმბათზე ლომზე გადაიმჯდარი მაჰმადი სვე-

45. ლაპარაკია კლდე-ქარის სოფლებზე

46. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. IV, თბ., 1973.

ციალურად გამოესახათ მომხდურნი მაჰმადიანებისაგან ტაძრის დაქვეის მიზნით. ამ ნახატთან დაკავშირებით ისტორიულ თემაზე შეიქმნილი მხატვრული ნაწარმოებების უბადლო ოსტატო კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც ცნობილია ისტორიული ფაქტებისა და პიროვნებებისადმი ფაქტში დამოკიდებულებით, შექმდეგს მოგვიტხოვბს /“დავით აღმაშენებელი“, ნიგნი მეორე, „ლომზე გადამჯდარო მაჰმადი“/:

“ვიდრე წირვა დაიწყებოდა, მანგლელმა მიიყვანა ტაძრის შუაგულამდე მეფე, გუმბათისაკენ აახედა და თითო უჩვენა ზედ დახატული მაჰმადი, ლომზე გადამჯდარო.

შავი ატლასის კაფტანი ეცვა შავწვეროსანს, ლურჯი დამასტის ტურბინთ ქქონდა თავი გაკრული, ოქროსვადიანი, შავ ქარქაშიდან ამონვდილი ხმალი ეჭირა ერთ მარჯვენაში, სამი ვარსკვლავი ეხატა ირგვლივ და მუსლიმური ნახეყარი მთვარე. მეფე გოცნებული მიამტყრდა უცნაურის ოსტატობით შესრულებულ ფრესკას.

სამ თვეს ლოგინად ვიყავ ჩავარდნილი, მეფეც ბატონო, მარჯვე დრო ხელთ უჭერო სატანას და ეგ სურათი დაუხატავს ღამით, ხარაჩოები მზად მაქვსო უკვე, მუქი წამლებით წარვახოცინებო მაგ ეშმაკის კერძს...

თავადაც არ იცოდა მანგლელმა ლიპარიტის გამუსლიმების შემდეგ ერისთავის ბრძანებისამებრ შეასრულა ეს ფრესკა ერთმა მხატვარმა არაბთაგანმა. ხუცებს შეეშინდათ ეპისკოპოსის რისხვისა და ეშმაკს გადააბრალებს ეს საქმე...

დაეითმა დიდხანს უშირა მაჰმადის სახეს, მერმე საკურთხევის კარზე გამოსულს თვალი შეავლო ეშმაკს, რომელსაც წგირიგი ხელშუბს აჩრდა ხახაში, მანგლელს მიუბრუნდა და უთხრა:

„რა უშავს, მამო, სახირო, ზედმეტი ეშმაკი რას დააკლებს ღვთის სახლს“...

ეპისკოპოსებს გულისხმობდბო პატრონი, დასძინა დიაკვანმა. მღვდელმთავარი და მონეხები აღშფოთდნენ“...

შემდეგ საუკუნეებში მანგლისის ტაძრის წარწერებითა და ისტორიული საბუთებით მტკიცდება, რომ ეს ძეგლი, რომელიც თავიდან ჯერის სახელზე იყო აგებული, შეიდეგში ღვთისმშობლის სახელზე უკურთხებიათ.

XIII საუკუნიდან გაუქმდა მანგლელ ეპისკოპოსთა კათედრა, ხოლო 1682 წელს არჩილ მეფემ მოსკოვში წაიღო მანგლელ ეპისკოპოსთა შესანაშნავი მიტრა, რომელიც ნაკეთები იყო რუსუდან დედოფლის მეფობის დროს (1223-1242 წწ.). მიტრამი იდო ლურსმანი, რომლითაც, ბიბლიური თქმულების თანახმად, ჯვარს გააკრეს იესო ქრისტე. გადმოცემით ეს ლურსმანი ბიზანტიის კეისარმა ანატოლიმ საჩუქრად გამოუგზავნა

საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს 318 წელს.

წერალობითი საბუთების მიხედვით, მანგლისის საეპისკოპოსო გაუქმების შემდეგ თბილისის საეპისკოპოსოს შეუერთდა, რის შემდეგ თბილისისა და მანგლისის გაერთიანებული სამწყსოს ეპისკოპოსი მანგლელ-თბილელად იწოდებოდა.⁴⁷

როდის მოხდა ამ ორი საეპისკოპოსოს შეერთება, არ არის ცნობილი. ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო XII საუკუნის დასაწყისში, დიდგორის ბრძოლამდე (1121 წ. 12 აგვისტო), როდესაც თურქთა გაერთიანებული ჯარი მოულოდნელად მოადგა ქალაქ მანგლისს და მუსრი გააკლო მას. ცხადია, ტაძარიც არ დარჩებოდა ხელშეუხებელი. თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ მანგლისმა თავისი დამოუკიდებლობა დაკარგა XIV ს. ბოლოს, თემურლენგის შემოსევების დროს, როდესაც, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე არ იქნა დატოვებული, და, რა თქმა უნდა, ვერც მანგლისის ტაძარი გადარჩებოდა. ამ ვერსიის სისწორეს ისიც ადასტურებს, რომ XIII საუკუნეში მანგლელი ეპისკოპოსი ჯერ ისევ დამოუკიდებელი ჩანს. როგორც გუდარეხის წარწერებშია აღნიშნული, მანგლელმა ედომონმა გუდარეხის ტაძარი აკურთხა. გუდარეხის ტაძარი კი, როგორც ცნობილია, XIII ს. მეორე მეოთხედით თარიღდება.⁴⁸

ამრიგად, უფრო ცხადია, რომ გაერთიანება თემურლენგის შემოსევის შემდეგაა მომხდარი, როდესაც არა მარტო წირვალოცვა შეწყდებოდა მანგლისში, არამედ ეკლესიაც გაძარცვული და აოხრებული იქნებოდა მრავალჯერ.

პირველი ეპისკოპოსი, რომელიც ისტორიულ წყაროებში მანგლელ-თბილელის სახელით გვხვდება, არის 1434 და 1437 წლების დოკუმენტებში მოხსენიებული იოანე II.⁴⁹

როგორც ისტორიული საბუთებით ირკვევა, როცა ქვეყანა ასე თუ ისე დაწყნარდებოდა, მანგლისის კათედრალი თავის უფლებებს იბრუნებდა.

XVIII საუკუნეში, ვახუშტის ცნობით, ეკლესია მოქმედია. აღნიშნული პერიოდის ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში მანგლისის ტაძარი მდიდარი, მრავალი მამულის მფლობელი კათედრალია, ხოლო მისი ეპისკოპოსი მეფის კარზე მიღებული და გავლენიანი პირია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ XVII ს. ბოლოს, 1696 წელს, როდესაც გიორგი მეთერთმეტე ირანის შაჰს ეახლა, მეფეს თან ახლდა „მანგლელი მთავარეპისკოპოსი დოლენჯიშვილი არსენ“.⁵⁰

47. Акты Кавказской Археографической Комиссии, 1878, т.1, с.5, 6.

48. Е.Ткачешвили, "Археологические экскурсии, рассказы и заметки" Тиф., 1905, с.31-32.

49. Акты Кавказской Археографической Комиссии, 1878, т.1, с.5, 6.

50. თ.ჟორდანიას, ქართლ-საქთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, თბილისი, 1903, გვ.228.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნეში მანგლისის ეპისკოპოსი საკმაოდ მოზრდილი რაიონის მღვდელმთავარი ყოფილა — „მწყემსი ალგეთის ხეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე“.⁵¹

როგორც 1706 წლის საბუთიდან ირკვევა, მანგლელი ეპისკოპოსი ამ დროს იმდენადაა გაძლიერებული, რომ ტფილელს სამწყსოს დარბაისლის ნიშანზე და სანირავეზე ეცილება⁵² მაგრამ მანგლისის ტაძრისა და მისი ეპისკოპოსის ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XVIII საუკუნეში მანგლელი ლეკებმა გაძარცვეს, ეკლესია და თვით მანგლისიც მოსახლეობის მიერ მიტოვებულ იქნა“.⁵³ ისლივიცკი მოგვითხრობს, რომ საქართველოს ამ კუთხის გადარჩენილმა მცირე მოსახლეობამ დატოვა მშობლიური მიწაწებები და გადასახლდა ქზიყში, ქსილნალის მახლობლად.

შემდეგ ისლივიცკი აღნიშნავს, რომ ვერავინ, მათ შორის აკადემიკოსი მბროსე, პიოსელიანი, დბაქრაძე, ვერ უთითებენ, თუ რა პერიოდის განმავლობაში შეწყდა მანგლისში წირვა-ლოცვა, როდის მიატოვა ტაძარი და ძველი სახელგანთქმული ქალაქი მოსახლეობამ.⁵⁴

როგორც ჩანს, ეს რამდენიმეჯერ მომხდარა. მტრის შემოსევის შემდეგ მიტოვებულ სოფელსა და ეკლესიაში ყოველთვის, როგორც კი ქვეყანა ოდნავ დაწყნარდებოდა, კვლავ ბრუნდებოდა მოსახლეობა და ახლდებოდა მღვდელთმსახურება.

1784 და 1794 წლებში მეფე ერეკლეს მიერ გაცემულია ბრძანებები. პირველში მეფე უბრძანებს სიმონ მალალაშვილს, რომ გაემგზავროს ქართლში და იქ მტკვრის ორსავე ნაპირზე დასახლებული მანგლისის ეკლესიის გლეხები გადასახლოს მანგლისის მახლობლად, სადაც არსდება ახალი სოფელი, ხოლო 1794 წელს დავით ორბელიანს ბრძანებით ავალებს მოძებნოს ყველგან მანგლისის ეკლესიის გლეხი და გადასახლოს უკანვე, აგრეთვე შეიტყოს, ვინ დაიკავა მანგლისის ეკლესიის მიწები; ჩამოართვას მათ და დაუბრუნოს ეკლესიას.⁵⁵

უკანასკნელი ისტორიული საბუთი, სადაც მანგლისის ეპისკოპოსია მოხსენიებული, 1796 წელს განიკუთვნება.⁵⁶ ამრიგად, მანგლისში XVIII საუკუნის პირველ მესამედში შეწყვეტილი

51. ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ.1941, გვ. 43.

52. თ.გორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ.230.

53. Д.Гриши, დასახ.შრომა, აგრეთვე ფურცელაძის მიერ გამოცემული, ზემოთ მოითხოვული სიგელ-გუჯრები.

54. იხ. „Древний храм в Манглиси“, Тиф.,1902, ст.4-5.

55. Д.Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары (грамоты), Тиф.,1885, ст.12.

56. Д.Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары (грамоты), Тиф.,1885, ст.12.

ცხოვრება მეფე ერეკლეს ენერგიული მოქმედების შემდეგ, საუკუნის ბოლო მეოთხედში აღორძინებულა. ძეგლისთვის ისევე დაუნყიათ შენირულების მიცემა და ამავდროს ძველი დაკარგული მამულების დაბრუნება, აგრეთვე მანგლისის ეკლესიის კუთვნილი სხვა ადგილებში გადასახლებული გლეხების უკან დაბრუნება, მაგრამ დიდხანს არც ეს გაგრძელებულა. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის არა მარტო მანგლისის, არამედ მთელი იმ მხარის დაკარგვლება მოჰყვა, ამიტომ იყო, რომ რადესაც 1824 წ. რუსეთის ჯარის ნაწილი დადგა მანგლისში, ის სრულიად უპატრონოდ მიტოვებული და უკაც-რეელი იყო.

რუსეთის ჯარის ნაწილის მანგლისში დადგომიდან ძეგლის ისტორიაში ახალი ხანა იწყება. რუსი ჯარისკაცებისაგან შემდგარმა მე-7 კარაბინერთა პოლკმა /მოაგვიანებით ერივნის გრიუნადერთა პოლკად გადაკეთდა/ ალაგ-ალაგ შეაკეთა ძველი ეკლესია, შელესა, შეათეთრა და ზოგი უცხო ხასიათის დეტალიც დაუმატა, განაახლა გალავანი და სამხრეთ შესასვლელში ძველი ოთხკუთხა კოშკის ადგილზე ააგო ახალი სამრეკლო, რომლის პირველი სართულის თაღის ქვეშ ჭიშკარია. გალავნის შიგნით შეიმჩნევა სხვადასხვა ნაგებობათა კვალი.

იმის გამო, რომ ამ პერიოდში ტაძრის რემონტს აწარმოებდნენ სარესტაჟრაციო სამუშაოებისათვის მოუშზადებული ადამიანები, მათ ძეგლს გამოუხსნორებელი ზიანი მიაყენეს, რის შედეგად მეცნიერებისათვის ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა. მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ ჩატარებული რემონტის შედეგად ტაძარი ფიზიკურ დანგრევას გადაურჩა და მღვდელმსახურებისათვის აღდგა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე ეკლესიას დროდადრო უტარდებოდა სარესტაჟრაციო სამუშაოები. ნორვა-ლოცვა მანგლისში საბჭოთა პერიოდშიც არ შეწყვეტილა, ეკლესია დღესაც მოქმედია.

ამჟვარად, როგორც ვნახეთ, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მანგლისის ტაძარი ბევრჯერ დაზიანდა და აღდგენის შემდეგ იგი ხელახლა აკურთხეს.

მანგლისის ტაძარი არის არა მარტო ქართული ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, არამედ საქართველოში ქრისტიანობის გაქრცილების უძველესი კერა. ამიტომ, გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ოდითგანვე იჩენდნენ ქართველი მეცნიერები მანგლისის ტაძრის მიმართ. მანგლისის ტაძრის შესახებ არსებული საკმაოდ მდიდარი მასალა შესწავლილი და გამოქვეყნებულია. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ადრინდელი ცნობები მანგლისის ტაძრის შესახებ მოიხსენიება უძველეს ქართულ და სომხურ მკვანელებსა და სხვა წერილობით წყაროებში.

სხვადასხვა დროს მანგლისის ტაძრის შესახებ გამოკვლევები აქვთ ცნობილ მკვლევრებს: ივ.ჯავახიშვილს, ნ.ბერძენიშვილს, ს.ჯანაშიას, ილაბულაძეს, დიმიტრაძეს, ეთაიანიშვილს, გ.ჩუბინაშვილს, ა.შანიძეს, შამირანაშვილს, ლეონ მეღვიძეთ-ბეგს, მანგლისის ტაძრის წარწერების პირველ მკვლევარს მ.ბროსეს, დ.გრიშ, რომელმაც სანკტ-პეტერბურგში 1866 წელს გამოცვა შესანიშნავი ნაშრომი „ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები საქართველოსა და სომხეთში“, რ.შქერლინგს, ნსივეროვს, ა.კუზნეცოვს, ი.ახლიციცის, რომელიც 1850-1854 და 1868-1872 წწ. გაზეთ „ავკაზის“ რედაქტორი იყო. მის კალამს ეკუთვნის 1848 წელს გაზეთ „ავკაზში“ გამოქვეყნებული საინტერესო გამოკვლევები „ტაძარი მანგლისში და ალგეთის გამოქვაბულები“.⁵⁷ მანგლისის ტაძრის შესახებ ასევე საინტერესო გამოკვლევები აქვს ა.უმანეცს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მ.დვალის მონოგრაფია „მანგლისი“, რომელიც იძლევა მანგლისის ტაძრის ფუნდამენტურ გამოკვლევას. მასში განხილულია ძეგლის ისტორია IV საუკუნიდან დღემდე დადგინულია მისი სხვადასხვადროინდელი ფენები. ძეგლის ისტორიის კვლევისას, გარდა საკუთრივ ხუროთმოძღვრების მონაცემებისა, გამოყენებულია და განხილული ყველა წერალობითი წყარო – უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, როგორც ქართული, ისე რუსული, სომხური და უცხოური. ტექსტს ერთვის ძეგლის ანაზომები, ძველი ჩანახატები, ფოტოსურათები და რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მანგლისის ძეგლში ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარების რამდენიმე ეპოქაა არეკლილი, IV საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე. ამრიგად, მანგლისი ფროად მდიდარ მასალას გვაძლევს როგორც ხელოვნების, კერძოდ არქიტექტურის ისე საქართველოს ისტორიისათვის საერთოდ“.⁵⁸

უთუოდ ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე თეიმურაზ ბარნაველის ნაშრომი „მანგლისის ტაძრის წარწერები“, რომელიც 1961 წელს გამოიცა. იგი ეხება ტაძრის როგორც ისტორიულ წარწერებს, ისე მისი გუმბათის ყელში შერწყმულ მისაბულობაზე მოყვანილ საკულტო ტექსტებს.

ნაშრომში მოცემულია როგ წარწერათა ახლებური წაკითხვა სათანადო კომენტარებით, მოტანილია განხილული წარწერების წაკითხვათა ვარიაციები, არსებული პუბლიკაციების მიხედვით.

წარწერების შინაარსის კვლევას თან ახლავს პალეოგრაფიულ თავისებურებათა დახასიათება, რის საფუძველზეც განისაზღვრება წარწერების შესრულების პერიოდი.

57. ია. „Kavkaz“, 1848, №37, 38.

58. მ.დვალის „მანგლისი“, თბ., 1974, გვ.4.

ნაშრომს დართული აქვს წარწერების ზუსტი მონახაზები, შესრულებული ადგილზე ავტორის მიერ. •

მანგლისის ტაძარი ყოველთვის ინვევდა და ინვევს არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის გამოჩენილი ადამიანების დიდ ინტერესს. ისინი ყურადღებით ათვალიერებენ, სწავლობენ ძეგლს და მის ისტორიას. ასეთი ფაქტები, ცხადია, ჰრესის ფურცლებზე აისახებოდა. მაგალითად, გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველს 1895 წ. 20 ივნისს /N128/ აუნყებდა: ჩვენს სახელოვან მეცნიერი „ახახანაშვილი დაბრუნდა ტბილისში მანგლისისა და ალბულაღის დათვალიერების შემდეგ. მანგლისში ჩვენს მეცნიერს დაუთვალიერებია მცხეთის ტაძარზედ წინადა აშენებული ქართული ტაძარი. ტაძარში შესანიშნავი ლვთისმშობლის ხატი უნახავს ხეზედ გამოსახული. თვით ტაძრის აგებულებაც შესამჩნევად განსხვავდება სხვა ტაძრებისაგან“.

როგორც აღვნიშნეთ, მანგლისის ტაძრის შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს. მაგრამ ძეგლის მეცნიერული მნიშვნელობა იმდენად დიდია საქართველოს ისტორიის, არქიტექტურის, ხელოვნების ისტორიისათვის, რომ არათუ ძეგლი, მისი წარწერებიც მოითხოვს დამატებით შესწავლას. ამდენად, ბუნებრივია, ის მომავალშიც არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გახდება.

* * *

მანგლისის ტაძრის შესახებ საუბარი გვინდა დავასრულოთ ნაწყვეტებით ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებლის ვასილ ბარნოვის მოთხრობიდან „ნაძენარის დევი“, რომელიც ერთგვარად ავსებს ჩვენს ცოდნას მანგლისის ტაძრის შესახებ.

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „მემატანენი ყრიად ძუნნად გვანვდიან ცნობებს ხალხის ცხოვრების ვითარებათა შესახებ. მათ ჩანანერებში იშვიათად ვხვდებით მასალას თვით შრომის და ომის, ლაშქართა წყობისა და ციხეთა გარემოცვის გამშუქებელს; ამ ქრონიკებში არ მოიპოვება სწორედ ის დეტალები, რომელნიც ეგზომ ესაჭიროება ისტორიულ მასალაზე მომუშავე მწერალს ერის სოციალური წყობილების, წოდებათა ურთიერთობის გამოსავლენად და გამოსახატავად“. მემატანეთა ამ ხარვეზის გამოსწორება მწერლებს უხდებათ. ვბარნოვის „ნაძენარის დევი“ ამის მაგალითია.

“ალგეთის მარცხნივ, გოხნარის მწვერვალის დასწრეთ, შენდებოდა დიდებული ეკლესია იმ სამლოცველოს მაგივრად, რომელი დაჰნაცვლებოდა ქრისტიანობის პირველ ხანში კერპთა საჯანეს. ხევის ჰერი იმ ადგილას უყვრო ეაკვა, დაღმართი ნელ-

ნელა დაშვებულნი, თანისთანობით. ხეეს რომ ამოხვალ და გაივარებ, უხვ წყაროს ნახავ გადმომდინარეს. ამ წყაროს გვერდზედ შეიგზადებინათ ტაძრის ადგილი: დაესწორებინათ, ჩაეკირნათ, საძირკველი დულაბი ჩაეყარნათ; ღრმა სარდაფი დაეტანებინათ გელაზებით ამოტანილი. ვინრო ხერხელით უერთდებოდა იგი ჯურღმული დიდს გვირაბს, რომელს გაეკლო მთა და გასულიყო ქართლისაკენ მიმართულ ხევში. წყაროსთან პირი ექმნა გვირაბს მერმე ისევ ღრმად ჩახვევდა ალგეთამდინა. უმთაგრეს გვირაბს უერთდებოდნენ სხვა ხერხელები, რომლებს დაეჩხვალათ მთელი კვერნაკი ალგეთისა და მარცხენა შემდინარეს შუა...

...შენობის მახლობლად მთელი თავქვე მოდებული იყო ალგეთის პირხედვე მოჭროლ უზარმაზარ ლოდებით. სხვანაირი ქვაც ბეჭრი იყო შორიდან მოტანილი. მარმარლოს ზოდებიც სჩანდა. შენდებოდა ციხე-გალაჯანი, სამრეკლო, თვით ტაძარი და დიდძალი მასალა იყო საჭირო სხვადასხვა გვარს. კარგა ხანი იყო, რაც ტაძრის ტანს აგებდნენ. კედლები, სვეტები, თალები უკვე აეტანათ და შეეკრათ. შენობა არ იყო ერთობ დიდი, არც მეტად მალალი, ცოტა მძიმეც მოსჩანდა თვალთათვის; მაგრამ ისეთი მკვიდრი და ძლიერი, რომ მის შემხედველ დროთა დენას, ყოვლის დამრღვეველს, გული უნუხდა: იგი თამამად შეებრძოლებოდა სტიქიონთა დამშლელ-დამხრწნელ მოქმედებასა.

უკვე დრო იყო აღემართათ გუმბათი, რომლის საფუძვლად აგებულ იყო მთელი შენობა; ის თვით ცა იყო შენობისა, მისი მიზანი, მის მედიდურად დაგვირგვინება. დღედღეზედ მოილოდნენ ამ ძნელი საქმისათვის დიდ ოსტატს ბაკურ ბერდიანულსა.

ბაკური აქამდისნ მხოლოდ შიგადაშიგ დამხედავდა სამუშაოს და მხელმძღვანელობდა შენობაზედ მდგომ ოსტატებს. არ ეცალა: მრავალი ციხე-დარბაზი თუ ეკლესია შენდებოდა ქართველთა ამ მყუდროდ ცხოვრების დროს და ყველგან საჭირო იყო პაზრიანი თვალი შემოქმედ ხუროთმოძღვრისა. შენობებში საფრთხილო ადგილს მაინც თითონ აგებდა თავისი ხელით: ვერვის ანდობდა. დიდად განვითარებული და გამოცდილი იყო იგი ხუროთმოძღვართუხუცესი. ბიზანტიასშიც იცოდნენ მისი სახელი. ბატონი მეფე ამაყობდა, რომ იმისთანა ხელოვანი ახლდა მას...

... გულდასმით დაათვალიერა შენობა. არ დაინუნა, მხოლოდ მოაშლივინა გუმბათის ფუძე, რომელიც ზევით განიერ რკალად შემორტყმობდა ერთად თავმოყრილ სვეტებს თუ კედელ-თალებსა...

... თითონ დიდი ოსტატი დაადგა გუმბათის ატანას.

... ონისე ქვის გამოყვანას ეხლა სხვას ველარაყის ვანდობ, აირჩიე საუკეთესო ხელოსნები, მათგან გამოთლილმა ყველა

ნაქერმა მაინც შენ ხელში უნდა გაიაროს და ისე მომანოღონ ზევით. ჩემი იარაღი იხმარე, სხვას კი ნურავის ჩაუგდებ ხელში.

რა იარაღი იყო! ბეკრნაირო, სულ შეწყობილი.

მუშაობდა დაკვირვებით დიდი ოსტატე. არა ჩქარობდა...

...ამ ციხე-კლასის აგებას ერთგულად ეკიდებოდა ხალხი. სამლო საქმე რომ მზადდებოდა სულის საოხი, შენდებოდა ნავთიერი კეთილყოფის ზღუდე-ლიმაგრეც. გარემო სოფლებს დაეალებული ჰქონდათ შეკმეკლებოდნენ: ქვისა თუ ხე-ტყის მოზიდვა, მუშა ხელის მიშველება. ხალხი უამურად არ ასრულებდა ბრძანებას; ბეგარის გარეშეც ეხმარებოდა ორსავე ცხოვრებაში დამხმარ კარგ საქმეს. ეხლა, როცა დიდი ოსტატე თითონ მუშაობდა აქ და შენობა უნდა მალე მოთავებულიყო, უფრო მეტი ხალხი და ერთგულობა გამოიჩინეს. ხევის თავადი კვირიკე კიკეთელი, უმთავრესი მზრუნველი ამ დიდ საქმეში, მთლად ყურადღებით გარდაიქმნა: ულუფას აწვდიდა; თითონაც ხშირად დაჰხედავდა და ამხნივებდა. გაისმა ხმა, თავადის მეუღლეს მოუსურვებია შენობების ნახვა... უამათ ოსტატეც: სტუმრობა სახირო იქნებოდა ჰირად მათთვის და ტაძრისთვისაც; დაჰსაჩუქრებდნენ მშრომელთ, შესწირავდნენ საყდარს, გაამშვენებდნენ...

...უნდოდათ ხელი აეღოთ სამუშაოზედ და შეკვებებოდნენ. მომავლებს, მაგრამ დიდმა ოსტატმა არ ინება”.

ასე გააცოცხლა ვბარნოვმა მანგლისის ტაძრის მშენებლობის სურათი.

ნაშთი ქველი ღიღებისა

აკადემიკოსი ნბერძენიშვილი დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „უმწიწი ვართ „გადაღმა“, ალგეთის ქვეყნის ისტორიული ცოდნის საქმეში. ხალხურ ლექსსაც ვიტყვით ხოლმე ალგეთური მგლის ლეკვებზე და გვგონია, რომ ისტორიული ალგეთი იმ ორიოდე უბადრუკი სოფლის ამარა იყო, XIX საუკუნეში რომ მოშენდა გაუდაბურებულ ქვეყანაში. და კი ვერ ვამჩნევთ /არც ვეძებთ/ იმ აურაცხელ ისტორიულ-გეოგრაფიული რიგის ნაშთებს, ალგეთის მოსახლეობის სიხშირეს და შუა საუკუნეებში ამ მოსახლეობის მორჩეულობას რომ მოწმობენ“. როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა წამოიწყო ისტორიული ქვემო ქართლის შესწავლა /1948 წ./, სწორედ ნბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის ექსპედიციას, რომელმაც სამი წლის მანძილზე გამოავლინა, აღრიცხა და შეისწავლა მართლაც აურაცხელი ნაშთი ქველი დიდებისა. ცნობილი არ-ქატქტორისა და მეცნიერის პროფესორ ივ.ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მომახლეობის შედეგად გამოვლინდა ქვემო ქართ-

ლის ნამდვილი მისაშენებლობა და განსაკუთრებული როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. მონღოლთა, ირანელები და ოსმალები მრავალგზის რბევა-ანთხეობის შედეგად გაუდაბურებულსა და აოხრებულ ქვეყანაში ჩანს ხალხს ცხოვრების უწყვეტი კვალი, მისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურები. როგორც ჩანს, აქ უნდა ვივარაუდოთ ქართული კულტურის ერთ-ერთი საწყისი კერა იგი მონინავე მხარეა ადრეფეოდალურ ხანაში, სწორედ აქეთ გადმოინაცვლა XII საუკუნეში ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა." მეცნიერთა ასეთ მოსაზრებებს ამაგრებს მანგლისის მხარეში გამოყვანილი ნასოფლარები, შემორჩენილი ძეგლები თუ ნანგრევები. ჩვენი შრომის ამ მონაკვეთში ყურადღებას გადავამხვილებთ ფართო მკითხველისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილ ზოგიერთ ძეგლზე.

აქსქვი

მანგლისის სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიული ალგეთის ხეობაში მდებარეობს XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი — აძიკვის ერთნავიანი ეკლესია ორი მინაშენით. შემოსილია თლილი ქვის მოზრდილი ფილებით. როგორც პროფ. ციციშვილი აღნიშნავს, ისტორიული და ძველი ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაზრისით საყურადღებოა ეკლესიაზე მიშენებული ეკვთერის კედელში დატანებული ბარელიეფი /1,55 მ X 0,55 მ, ბაზალტი/. მასზე გამოსახულია ოთხი მამაკაცი, მკვლეკართა ვარაუდით დიდებულები. ბარელიეფს ოთხივე მხარეს მიუყვება ასომთავრული წარწერა X-XII საუკუნეებისა. ბარელიეფზე გამოსახულ პირთა სახელებს მკვლეკარები სხვადასხვანაირად კითხულობენ: „ელქატმონ, შოთაი, გამრეკელ, ავაგ“ /პინგოროყვა/, „შოთაი, გამრეკელ, ბეშქენ, ვარაზბაკურ“ /ნბერძენიშვილი/. პინგოროყვას მიაჩნია, რომ ბარელიეფზე შეიძლება გამოსახული იყოს შოთა რუსთაველი; ნბერძენიშვილის აზრით, ბარელიეფის ხასიათი და წარწერა თვით აძიკვის ეკლესიის ასომთავრულ წარწერას უნდა უკავშირდებოდეს და მინის შენირვის დამტკიცება-მონმობას გამოხატავდეს.

აძიკვის ეკლესიამ მკვლეკართა ყურადღება სხვა მხრივაც მიიპყრა: აი, რას წერს ნბერძენიშვილი: „მალე აძიკვის გალავანში შეკედით. ვიდრე ბარელიეფს მივხედავდით, ჩვენი ყურა-

დღეობა საფლავის ქვების სიმრავლემ მიიპყრო, ეკლესიის გარშემო რომაა მოაყენილი. საქართველოს მუზეუმის მუშაკს ირაკლი ქავთარაძეს ბევრი მათგანი ახლად გამოუჩინა ამ ზაფხულს. ეს ლოდები სულ ერთთავად შემკულია საყოფაცხოვრებო თუ სამხედრო იარაღებით: მაღალი ოსტატობით შესრულებული მშვილდი, გურზი, კაპარჭი, მაკრატელი, ხმალი, ცულდი და სხვა იარაღები. ერთ ლოდზე მოცემულია ურემი სოლებიანი თვლებით... ეს ლოდები ღირსია იმისა, რომ თბილისში იქნას ჩამოტანილი /ამის შესახებ მე კარგა ხანს ვლაპარაკობდი/.⁶⁰ საფლავის ქვებზე ამოკვეთილი გამოსახულებები მანგლისის მხარეში მჭიდრობის განვითარების მაღალ დონეზე უნდა მეტყველებდეს.

არხოტი

სოფ.არხოტში გამოვლენილი ძეგლები აღწერილი აქვს პროფ.ლ.მელიქსეთ-ბეგს:

“მანგლისის დასავლეთ რვა ვერსის მანძილზე, ალგეთის პირას, მარცხნივ მდებარეობს ოსების სოფელი არხოტი, სადაც ყურადღებას იქცევს: 1) ყოფილი საგვარეულო ეკლესია თარხნიშვილებისა, ასომთავრული წარწერით სამხრეთის კარების თავზე, რომელიც, სამწუხაროდ, ამოღესილია და ამიტომ ვერ იკითხება; 2) ქვის ჯვრები — ერთი მინიატურული, ბაზისით /ეკლესიის გალავანში/, ხოლო მეორე და მესამე დიდრონის უბაზისოთ /წალკისაკენ მიმავალი გზის ახლოს/; 3) რვა წახნაგოვანი მონოლიტი-ანდეზიტი, სიგრძით ერთ საყინზე მეტი, პატარა ნიშითაა სარკის თუ ხატისათვის და სანთლის მისაყუდებელი ადგილითა /ერთ-ერთი გლეხის ოჯახში/; 4) საკმაოდ დიდი მონოლიტი ტარით, რომელიც მინაშია ჩალრმავებული და რომელზედაც გამოქანდაკებულია მკლავი და მის ორივე მხარეს თითო ჯვარი, ხოლო მათ გარშემო ასომთავრული წარწერა შემდეგი შინაარსისა: „წმინდაი გიორგი კავთისი ესე ბრძანებაი ჩემი არს რუდან ნებთა ღმერთისაითა. აზატატ და შეუკალი არს მამული მათი ნასყიდით და ყოვლითა სამწყსო ნუჟინ შეარყიოს“. ეს გახლავთ იშვიათი მაგალითი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ძეგლის წერისა“, ე.ი. იურიდიული ხასიათის საბუთისა ქვაზე“.⁶¹

60. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები წიგნ. I, 1964, გვ. 273.

61. ლ.მელიქსეთ-ბეგი, კლდეკარი ისტორიო მოაზრ. ტ. I, გვ. 167-168.

ლილი (ორნამენტი)

სოფ. დიდი თონეთიდან 2 კმ-ზე, მდინარე ალგეთის ნაპირას, აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თონეთის სიონი. ეკლესია ერთნავიანია. სამხრეთიდან და დასავლეთიდან მინაშენები აქვს. ინტერიერში საბჯენი თალები კრონშტეინებს ეყრდნობა, მინაშენებში -- პალისოვრებს. ეკლესიაში შემონახულია XI საუკუნის რამდენიმე წარწერა. შეიმჩნევა გვიანდელი გადაკეთების კვალიც. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 500 მეტრზე ნასოფლარი და IX საუკუნეში აგებული კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევებია. სამხრეთით 1 კმ-ზე --- ღვთისმშობლის ეკლესიაა, რომელიც ფრაგმენტების მიხედვით დათარიღებულია XI-XII საუკუნეებით. თვით დიდ თონეთში დგას XVIII საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია.

ლილი კლდისი

სოფელ დიდ კლდისში და მის ირგვლივ ძველი ნამოსახლარები და ეკლესიების ნანგრევებია. მათ შორის აღსანიშნავია სოფლის შუაგულში შემორჩენილი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის — ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები. პროფ. პ. ზაქარაიას მიხედვით, როგორც ჩანს, აქ თავდაპირველად ერთნავიანი ეკლესია მდგარა. ეკლესია საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო. აგებული უნდა იყოს X-XI საუკუნეებში. მოგვიანებით მიუშენებიათ სამლოცველოები, ჯერ სამხრეთიდან, შემდეგ ჩრდილოეთიდან. ნანგრევებში აღმოჩენილია კარ-სარკმელთა მორთულობისა და კარნიზის, აგრეთვე ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. წარწერები ლაპიდარულია.

თხინვალი

ნასოფლარი თხინვალი თრიალეთის ქედის ქსილისის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მანგლისიდან 7 კმ-ზე. შემორჩენილია შუა ფეოდალური ხანის 3 ეკლესია, აგრეთვე შუა-საუკუნეების სასახლე. ყურადღებას იქცევს ძველი სიონური ანუ ბაზილიკური ტიპის ქვითკირით ნაგები ეკლესიის ნანგრევები ხუცურა წარწერებით კარების თავზე. ტიქსტში იხსენიება ვინმე „მანგლელი ეპისკოპოზი“.

„სიკვდილითა სიკვდილი კაცმა დავეთრგუნე, გრძნეულ ფერფლად ვაცხივარ ქვებს და აგურებს“.

მ.ნიშნინიძე

„სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუვარდება დიდი სახელი, თუ იქ დიდი ომი მოხდება“ /კ.პიუგო/... „და მაშინაც გაუვარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადება“ /მ. ჯავახიშვილი/. მანგლისის მხარეში ასეთი უბრალო სოფელია ქველთა (კველთა), დღეს უკვე ნასოფლარი, ხოლო ვაჟკაცი, რომელმაც უკვდავყო ეს გიორგავიული ადგილი, თევდორე ბერი -- თევდორე კველთელია.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1609 წელს საქართველოში მოულოდნელად შემოიჭრნენ ოსმალები და ყირიმელი თათრები, დაარბიეს ახალციხე, რამდენიმე სოფელი ააოხრეს და გაძარცვეს და სწრაფად მიადგნენ მანგლისს. აქედან უნდა გაქრულიყვნენ შიდა ქართლისაკენ, სადაც ამ დროს თემის ხეობაში მდებარე ცხირეთის ციხესიმაგრეში, რომელიც ცნობილი იყო როგორც მეფეთა საზაფხულო სადგომი, იმყოფებოდა ქართლის ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ II გზაში შეიპყრეს კველთელი მღვდელი თევდორე და მეგზურობა მოსთხოვეს. „ხოლო მღვდელი იტყოდა: არა ნაცვალიყო სანუთრო ესე წარმავალსა მას და არა ვიქნე გამცემი მეფისა და ქუეყნისა“ და მტერი სხვა მიმართულებით გაიტყუა, უგზო-უკვლოდ ატარა, ცხირეთის ციხეს ააცდინა და ამით საშუალება მისცა ლუარსაბ მეფეს მოულოდნელად შემოიჭრილ მომხდურთან საომრად მომზადებულიყო. ბოლოს და ბოლოს მტერი მიუხვდა თევდორე ბერს განზრახვას. გამხეცებულებმა ბერი აკუნეს მაგრამ ყველაფერი უკვე გვიან იყო: ქართველებმა ლაშქარი შეკრიბეს და გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის სარდლობით სოფნაბის /ახლანდელი კასპის რაიონი/ ბოლოს, სხერციას ქალაზე მტერი უკუაქციეს. მტერმა გიორგისკენ იბრუნა პირი, მაგრამ მტკვარზე ხიდი აყრილი დახვდა და ახლა ახალციხის მიმართულებით გაქცევით სცადა თავი გადაერჩინა. სოფ.ბრბინასთან მდ.მტკვარი გადალახა და სოფ.ტაშისკართან დაბანაკდა. ქართველთა ლაშქარი სოფ.ახალდაბასთან მტკვარზე გადავიდა და მტერს ახალციხისკენ გასასვლელი გზა გადაუჭრა, იგი განთიადისას მოულოდნელად დაესხა თავს და თითქმის მთლიანად გაანადგურა მტრის ლაშქარი. მხოლოდ

მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. ქართველებს დიდძალი ნადავლი და ტყვე დარჩათ.

თევდორე კველთელის თავგანწირვამ არა მარტო მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, მთლიანად ქართლი გადააწმინდა მორიგ აოხრებას და განადგურებას, უზრუნველყო მტერზე კიდევ ერთი ძლიერმოხალი გამარჯვება ქართველებისა ბრძოლაში, რომელიც საქართველოს ისტორიაში შევიდა ტამისკარის ბრძოლის სახელით.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი მწარე იქნებოდა მეფიდიმეტე საუკუნის ქართლის ხვედრი, როგორ წარმართებოდა ჯერ კიდევ ყმანვილი ლუარსაბ მეორის მეფობა, რომ არ ყოფილიყო თევდორე კველთელი... „სწორედ თევდორე მღვდელი თევდორე, ლეთიური მადლით გადანაშული, მისხაირ მცველებს და ქეშეურდომებს დღემდე მისჭირას ჩემი მამული“ /ნწერეთელი/.

ძველი მწერლობის უკანასკნელი და ახალი ქართული ლიტერატურის პირველი თვალსაჩინო თხზულების „კალმასობის“ ავტორმა იოანე ბატონიშვილმა /ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი/ იქ, სადაც მეფე ლუარსაბ მეორეს წარმოგვიდგენს /„წმიდისა მეფისა ლუარსაბისთვის“/, გვირდი ვერ აუარა თევდორე ბერს. იგი დანჯროლებით მოგვითხრობს მისი თავდადებისა და ქართველების მტერზე გამარჯვების ისტორიას:

„...განზრახეს თათართა მათ რათა დაესხნენ ქართველთა ქვეყანასა, ვინაითგან უწყოდენ, რომელ მეფეი ამათი არს ყრმა, და — „ჩვენ მრავლის ქონებისა მშოყველი განვალთ მამულსა ჩვენსაო“. აღიძრნენ ბილნა ესე და მოიწივნეს მანგლისსა, რომელსა ეწოდა კველთა. გარნა საღმრთოიან მადლიან ესევითარი ბნელი უკვი ნსლი შემოსა ადგილსა მას, სადაცა არს ეკლესია მანგლისისა ღვთისმშობელად წოდებული, რომელ ვერ უძლეს მიახლებადი მისი და ვერცა განაცადეს უკვი თვალითა. და ამა სიარულსა შინა შეხვდათ მათ მღვდელი, სახელით თეოდორე, მის ადგილისა; და შეიპყრეს იგი და სტანჯვიდენ მას, რათა უჩვენოს გზა ქართლისა და, სადაცა არს თვით მეფეი, მიუძღვეს მათ. მაშინ მღვდელმან მან კეთილგანმზრახმან აღირჩია სიკვდილი თვისი, ვიდრე განცემა მეფისა და მამულისა. გამოუძღვა თათართა მათ უფროს აცილებით ცხირეთისა და შთამოუძღვა გზასა ზედა ერთანმინდისა და ქვენა დრისისასა, სადა მრავალი ჭირი ნახეს თათართა მათ იწროისა გზისა გამო, და მრავალნიცა ცხენნი დაეხიაცნეს და წარუხდათ. ამა მიზეზსა გამო წარკვეთეს მღვდელსა მას წმინდა იგი თავი. შთამოსრულნა უკვი თათარნი განეფინენს მდოქვისა მინდორსა ზედა სიმრავლით ვითარცა მკალნი და მცნობი უკვი მეფეი და თავადნი და სხვანი მხენი მამაცნი ერნი ემდევრნენ

უკანით თათართა მათ, და მოსწყვიდნენს მრავალნი მთავართ-
აგან მათ თათართასა და ლაშქართაგან მათაცა.

და ამა ბრძოლასა შინა მხნედ იყვნენ მცირენი იგი ლაშქარ-
ნი მეფისანი და ჩინებულად ციცოშვილი ზაზა, იარალი ბარათაშ-
ვილი და სააკაძე გიორგი და სხვანი თავად-აზნაურიცა, და
მსახურნი კაცნი.

მაშინ იყო თვე ივნისი, და ავდართაგან იყო მტკვარი უკვი
განდიდებული... და რა ხუცესმან მან სომეხთამან იხილა
მხედრობანი თათართა, მსწრაფლ უკუნეცა და გოროსა ხიდისა
ფიცარნი გარდაყარნა წყალსა მას შინა და სრულიად აღილიო
ფიცარნი ხიდისანი. მაშინ მისრულთა თათართა სიდიდისა გამო
მის მდინარისა ვერღა უძლეს განსვლა მას შინა. და თათართა
აიარეს გორისა პირდაპირ და მიიწვიეს სოფელსა ქვენატკოცას
და მუნ დაიბანაკეს თათართა. მეფემან ლუარსაბ... მსწრაფლ
შემოიკრიბა ამერ-იმერნი და საერისთაონი და სხვანი მხედრობანი
საბართაშვილოდგანაც. და შეკრბენ ყოველნი უკვი ერთად, და
მოვიდნენ ერისთავ-ამილახვარი და სხვანიცა თავადნი... და
მისცეს დარიგება მეფესა, ვინაიდგან მას ჟამსა შინა იყო
ათთექვსმეტისა წლისა. და ესენიცა მოვიდნენ და მახლობელ მის
სოფელსა დაიბანაკეს. და მას ლამესა შინა შეევედრენ უფალსა
და განვიდენ მტკვარსა, რომელთა წინაუძლოდა მეფე. განაწყვეს
ქვევითნი და ცხენოსანნი. და მას მეორესა დღესა მიმართეს
თათართა. ხოლო თათარნიცა განწყვენ და იქმნა ძლიერი
ზედადასხმა ერთისა მეორისაგან, და ცემა შუბთა, ხმალთა და
ლახტებთა, და სროლა თოფთა... და ესთავე ძლიერად ზედა-
დასხმამან ქართველთაგან აოტნეს ჯარნი თათართანი. და იძლიენ
სრულიად სანი თათართანი, ვიდრე სამოცი ათასი უკვი კაცი.
და ესოდენი მოსწყვიტნეს და შეიპყრეს, რომელ ათოთხმეტი
ოდენ თათარიღა განერა ხელთაგან ქართველთასა. და ესრეთ
ძლიერაშემოსილნი უემოიქცეს, გარდახდენ ცხენთგან და ალაჯ-
ლინეს ღვთისადმი მადლობა ცრემლთა დამთხვევითა.

და მერეთ ქართველთა ჩვეულებისამებრ გარდუხადა მეფემან
მეჯლისი და ჯილდოებულ ყვნა ყოველნი უკვი მხედრობათა
თვისთაგანი, და აღივსნეს მხედრობანიცა ჩვენნი ალაფითა და
საშოვართა თათართასა“.

თევდორე მღვდელს თავისებური ძიგლი აუგაო პოეტმა შოთა
ნაშინაძემ დიდებული ლექსით „თევდორე“.

თევდორე

1607 წელს თრიალეთზე გადმოსული თურქთა დიდი ლაშქარი თევდორე ბერს გადაეყარა და მეგზურება მოსთხოვა. თევდორემ მტერს გასაკვალი აუბნია და მიზანს დააშორა. მოტყუებულმა თურქებმა ბერი აკუნეს. ქართულმა ჯარმა დრო მოიგო და მტერი ქვიშხეთთან დაამარცხა.

თრიალეთის ტყეში, როცა დღეა მშვიდი,

— თევდორე!..

— თევდორე!..

ტირის ერთი ჩიტო.

განა მართლა ჩიტუნაა, სული არი სამოთხისა,

— სულო, სულო, სულეთიდან რა განგებამ გამოგზიზნა.

ბაღლობაში ნუკრი იყო, თრიალეთზე ბალახობდა,
თეთრი ირმის ძუძუს წოვდა და ალგეთში კალმახობდა.

ყელს ევიდა ქრისტეს ჯვარი --- გამგებელი საუფლოთა,
წმიდა იყო, სათნო იყო, ცაში ლმერთან საუბრობდა.

თოხნდა თუ ვენახს სხლავდა, -- ეხსნებოდა ბაგე ლოცვით,
ჩიტები რომ ეხვეოდნენ, თურმე იყვნენ ანგელოსნი.

მათ უწყიან მომავალი. თვითეულის სულის ხატი,
ვინ მოკვდება მამულისთვის ანდა კიდევ უფლისათვის.

ამიტომაც მსახურებდნენ, წმინდა ბერი სულს ერჩიათ
და ჭკვიანი ხარებივით ებმებოდნენ უღელშიაც

...ათას ექვსას მეცხრე წელი, როგორც უპატრონო რაში,
ტირებს ცემდა... ჭიხვინებდა, მთიდან გადარბოდა მთაში.

წმიდა ბერი ლოცვად იდგა... ციდან ჩამოესმა რეკა...
თრიალეთთან მტერი მოდგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ქართულ ვენახს,

ქართულ ჯვარს, —

ქვეყნის ოთხივ მხარეს,

როგორც იატაგანი, სხემს თურქული მთიარე.

აჰა, მახვილ შუბებით აზღარბულა სერი,
ჩაღმოსანთა მწკრივები ჰგავს სიკვდილის წერილს.

ინერგბა სულთანო. ინერგბა ქადილს
და სიკვედილის ეჭრატივით იგრაგნება ქართლი

ხმლით აკუნულ ცისარტყელებს და ხოხობა ცისკრებს
ფარსეულად გაიტანენ ისპაანს თუ მისრეთს...

შენ ხარ ვენახი აჩეხილი,
მქსიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
ნაქვეული, დაქვეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,
მამაო, სანთელი ხარ დამწვარი.
მამაო, ცეცხლი იყავ სვე-კეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...
ლოცვა ხარ ბაგეზე შეყინული,
ნახეჯრად სიზმარი.. არაკი...
ლომი ხარ ქართველობას შეწირული
და კრავი -- ქრისტეს ზვარაკი.

ეს სისხლია, ღვთის კაცო, ღვართქაფად რომ დაგდინდა,
თუ რიჟრაჟმა იფეთქა ანაფორის ღამიდან.

-- ოსანა!
-- ოსანა!

მოდგენენ ანგელოსები,
ანაფორის ნაკუნები მიაქვთ ავგაროზებად.
გალობაში შეგახვიეს და შეგმოსეს ლეგენდებით,
თუ გაჭირდა, მტერს და ორგულს ლეგენდითაც ვეკვეთებით,
შენი ჯვარი, ოქროს ჯვარი, როგორც გახიზნული ჩიტი,
როგორც სული, შენი სული -- ფერად გასისხლული შინდი,
გამოება ენად ზარებს, საყდრის დამუნჯებულ ზარებს.
და მზე უძღვის ჩალისფერი ქართლის გამარჯვებულ ჯარებს.

-- თეოდორე!..
-- თეოდორე!..

ეს რა ძალამ გასულდიდა,
მომაჯალი კიდევ ბეჭჯერ გამოგიხმობს წარსულიდან.

-- თეოდორე!..
-- თეოდორე!..

შენსთანა მიკვლე გვინდა,
შენი ერი კიდევ ბეჭჯერ გამოგიხმობს ლეგენდიდან.

მთაში ფანდურს აქლავლებენ, წვიმს გამირული კავია.
ცაში ეღვით ინერგბა შენი ეპიტაფია.

საქართველოს ისტორიის შავ-ბნელი ფურცლებიდან გვიმზერს თევდორე კვიციანი, ბერი, რომლის „ნებაყოფლობითი სიკვდილი იდეალისათვის /სამშობლოსათვის, საქართველოსათვის/ სიკვდილის უნიკალური მაგალითია“ /პროფ. გ. გიგინეიძე/.

მადლიერი ქართველი ხალხი არ ივინჯებს თევდორე მღვდლის უმაგალითო გმირობას: თბილისში მისი სახელი ეწოდა ქუჩას, შემოქმედნი ოდებს ქმნიან მის სადიდებლად. ასეც უნდა იყოს, რადგან, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა მსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა მსურს და ეგრეც არის, როცა ერი ერობს“. მაგრამ დიდმა ილიამ იმაზეც მიგვიჩიოთ, რომ ერის „დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა“ ძეგლი უნდა ავაგოთ. „რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალნი იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს“.⁶²

თევდორე ბერს, ერთ-ერთ ასეთ სახელოვან კაცს, იქნებ დავუდგათ ძეგლი თბილისში თუ არა, მის მშობლიურ კუთხეში მაინც.

მანგლისის მხარე ეთნოგრაფიული ოვალსაგრისით

საქართველოში ეთნოგრაფიას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ასირიული, ხეთური, ურარტული ლურსმული და ხატოვანი დამწერლობის ძეგლებიდან მოყოლებული ქართველური ტომების, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფისა და კულტურის ამსახველ ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს ახლო და შორეული მეზობელი ქვეყნების ისტორიული მწერლობა და წყაროები, დასავლეთეფროპელ თუ რუს მოგზაურთა და სწავლულთა შრომები, ქართული პაგიოგრაფიული, ისტორიული თუ მხატვრული ლიტერატურა. პირველი მეცნიერ-მეკვლევარი, რომელმაც გამოიყენა ეთნოგრაფიული კულტურის ამსახველი მასალა, აღწერა ეთნოგრაფიული სინამდვილე და ქართველთა ზნე-ჩვეულებანი ისტორიულ წყაროდ გამოიყენა, იყო ვახუშტი ბატონიშვილი. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს პირველი გამოცემელი მარი ბროსე წერდა: „ვახუშტომ ისე აღწერა თავისი სამშობლო, როგორც არც ერთი აზიური ქვეყანა, გარდა ჩინეთისა, არ ყოფილა აღწერილი“. ამ ნაშრომში სხვა რეგიონებთან ერთად დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქვემო ქართლს, რომლის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს, როგორც აკად.ნებრძენიშვილმა აღნიშნა ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის შედეგების გაანალიზებისას, თანდათან ეფინება სინათლე და „სულ უფრო და უფრო საბუთიანი ხდება ის მოსაზრება, რომ ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული /და ფეოდალური/ საქართველოს მონინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა); თანდათან მოიხაზა ქვემო ქართლის ტერიტორია: ფეოდალური ურთიერთობის ხანაში აქ იგულისხმება როგორც ხუნან-გაჩიან-სამშვილდის ბარი („ქართველთა ვილი“), ისე თრიალეთ-გუდარეხისა და ალგეთ-მანგლისის ზეგან-მთიანეთი“.

საქართველოს ამ უძველეს მხარეს — მანგლისის მხარეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უამთა სიავემ ძალზე დიდი დალი დააჩნია. და მაინც, მიუხედავად აქაური ძირძველი მოსახლეობის თავს დატეხილი უბედურებისა (აყრა, გადასახლება, ფიზიკური განადგურება), მას შემორჩა პოტენციური ძარღვი, რომელმაც ერთ დროს თითქმის გაუკაცრიელებული მხარე კვლავ ააღორძინა და ააყვავა. აქ დაბრუნებულმა და მთისა და ბარის, აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობამ სიცოცხლე დაუბრუნა იავარქმნილ მანგლისის მხარეს.

ამდენად, მანგლისი და მისი შემოგარენი დღეს მეტად თავისებურია ისტორიულ-ეთნოგრაფიული დასახლება და ჩვენც შევიკადით მეცნიერთა შრომებსა და ჩვენ მიერ მოპოვებულ საველე მასალებზე დაყრდნობით ნაშრომის ამ ნაწილში წარმოგვიდგინა ამ მხარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ისეთი საკითხები, როგორცაა: მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორია, აგროეთნოგრაფია, ხელოსნობის დარგები, ხალხური მედიცინა, სხვადასხვა წეს-ჩვეულებანი, რიტუალები, დღესასწაულები, კვების თავისებურებანი, ტოპონიმია, მანგლისი და მისი შემოგარენი სოფლები ქართულ მწერლობასა და ხალხურ პოეზიაში.

ნაშრომში ზემოთ აღნიშნულ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომების გარდა გამოყენებულია ივ.ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას მეცნიერული, ნაწარმოებები, ნბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ქვემო ქართლში ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მასალები, გჩიტაიას ნაშრომი „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფ., 1928), აგრეთვე ლ.ბოჭორიშვილის „ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახსტორიის ინსტიტუტის მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956), სბედუკაძის „ხალხური ქვითხურობა ალგეთის ხეობაში“, თბ., 1973, თ.სალარიძის „ალგეთის ხეობის ქართლური“ (ჟურნ. „მაცნე“, ენსა და ლიტერატურის სერია, 2, 1971), ი.ახუაშვილის „ქვემო ქართლის ეთნოსი ისტორიულ ასპექტში“ (ჟურნ. „მნათობი“, 10, 1989), კრებ. „ქვემო ქართლში“ გამოქვეყნებული ა.გოგიაშვილის, მ.ზანდუკელის შრომები.

ნაშრომის ამ ნაწილში გამოვიყენეთ, აგრეთვე, ჩვენ მიერ უშუალოდ ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა.

საველე კვლევა-ძიება ჩავატარე 1981-1982 წლების ზაფხულში მანგლისსა და მის შემოგარენ სოფლებში (სოფ.თონეთი, დვალთა, მოხისი, ზირბითი, ნამტჭრიანი, შეხვეტილა, პალიანა, არხოტი, ნაფილნარი, ალგეთი და სხვ.). გამოვიკითხე მანგლისელები ილიკო აღიხანაშვილი (95 წ.). ვასო დევსურაშვილი (80 წ.), ანიკო კალმახელიძე (63 წ.). მარო მარიკაშვილი (66 წ.), ლიუბა მაჩაიძე (88 წ.), ვანო ქავთარაძე (70 წ.), ნამტჭრიანელები სოლო გაბიდაური (85 წ.), ნინა გაბიდაური (76 წ.), პალიანელი კოტი ნიკლაური (51 წ.), თონეთელი გიორგი ბადალაშვილი (74 წ.) და სხვ. ჩავატარე აგრეთვე ჯგუფური გამოკითხვები.*

* შემდგომ ტექსტში მითითებული იქნება მთხრობელთა მხოლოდ გვარი და სახელი.

მე უღრმესი მადლობით ვიხსენებ ყველა ჩემს ინფორმატორს. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს ჩვენს შორის აღარ არის. ღმერთმა შეინდოს მათი სულები.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მანგლისის მხარის ყოფა და კულტურა ჩემთვის ბავშვობიდანვე ახლობელი იყო. მანგლისთან მე მაკავშირებს მამაპაპეული სახლ-კარი, სახლი, რომელსაც სათნოებისა და მეგობრობის სახლს უწოდებდნენ. ყოველ ხუთშაბათს და კვირა დღეს, როცა მანგლისში ბაზრობა იმართებოდა, ჩვენი ეზო იცხებოდა ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გაჭირვებული გლეხებით. ჩემი ღამაში და საყვარელი, გულკეთილი და გულუხვი, დაუზარელი და დაუღლეი ანიკო ბებია ხალისით უმასპინძლებოდა მათ. ჩვენი ოჯახი შეძლებულად ითვლებოდა და იშლებოდა დიდი სუფრა. მე ხელსაყრელ მომენტს არ ვუშვებდი, მიუჯდებოდი გლეხებს და გულისყურით ვისმენდი მათ ნაამბობს ამ მხარის წარსულის, ხალხის ადამ-ჩვეულებების, რიტუალებისა და ტრადიციების შესახებ. შემდგომში ინტერესთა სუერო გამიფართოვდა და გადავწყვიტი ჩაღრმავებით შემესწავლა ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მანგლისთან და მის შემოგარენთან. სტუდენტობისას ფეხით შემოვიარე ამ მხარის მრავალი სოფელი. ინფორმაციორთა გამოკითხვითა და ჩემთვის საინტერესო საკითხებზე უშუალო დაკვირვებით ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები გავიღრმავე და სადიპლომო შრომაზე მუშაობისას გამოვიყენე.

როგორც დიდი ვაჟა იტყოდა, „პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილება და შეყვარებული საგანი სამარის კარამდე საყვარელ საგნად რჩება“. სწორედ ჩვენი სასიქადულო პოეტის სიტყვების დადასტურებაა წინამდებარე ნაშრომი. მისი დიდი ნაწილი ხომ ძირითადად მანგლისის მხარის შესახებ ბავშვობაში მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებს, აქ მოპოვებული ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებს ეყრდნობა.

აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

1921 წლიდან დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე არსებობდა თეთრი წყაროს, მანგლისისა და ასურეთის რაიონები.

1925 წლიდან, როდესაც რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დაყოფაში რაიონული სისტემა შეიქცა სათემო სისტემით, მანგლისის თემი თბილისის მაზრაში შედიოდა. ამ დროისათვის მანგლისის თემში შედიოდა შემდეგი სასოფლო საბჭოები: პოსელენის სასოფლო საბჭო მასში შემავალი სოფლებით ახალი მანგლისი, ძკმანგლისი, დსლობოდა, ახალი სოფელი,

ზორბითი, კოდის წყალი, პოსელენი, ლენინსი, საფეკრები, მოხისი, უხმარა; დიდი თონეთის სასოფლო საბჭო, რომელიც აერთიანებდა შემდეგ სოფლებს დიდი თონეთი, პატარა თონეთი, ლოლოვანი, ზომოვნიკი, ნალსარი; შეხვეტილის სასოფლო საბჭო მასში შემავალი სოფლებით: უგურეთი, დიდი ნამტყრევანი, პატარა ნამტყრევანი, ჭინჭრანი, არხოტი, შეხვეტილა, მკავისი, თხინვალი, გოხნარი, ნაპლნარი, ზაზა სოფელი.⁶³

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1928 წლის 4 იანვრის დადგენილებით დაკმაყოფილებულ იქნა ტყვილის აღმასკომის შუამდგომლობა მანგლისის თემის სოფლოლოვანს პრიუტის თემთან შეერთების შესახებ.⁶⁴

1930 წელს მანგლისს, აღბულაღისა და ასურეთის რაიონები გაერთიანდნენ მანგლის-აღბულაღის რაიონად, რაიონული ცენტრი მანგლისიდან აღბულაღში იქნა გატანილი.

1930 წლის 14 ივლისს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მანგლის-აღბულაღის რაიონს ეწოდება აღბულაღის რაიონი.⁶⁵

იმავლე წლის 14 ოქტომბერს აღბულაღის რაიონის მანგლისის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: დიდი თონეთი, პატარა თონეთი, მოხისი, ნაოსარი და ზომოვნიკი და დაარსდა ცალკე თონეთის სასოფლო საბჭო — ცენტრით სოფ. დიდ თონეთში.⁶⁶

1947 წელს ადრე მანგლისის თემში შემავალი პოსელენის და შეხვეტილას სასოფლო საბჭოები გამოყოფილი იყო ცალკე სასოფლო საბჭოებად. პოსელენის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები გაერთიანებული იყო მანგლისის სადაბო საბჭოში (ახალი მანგლისი, ძველი მანგლისი, ლენინსკოე, ბუდიონოვკა, ვოროშილოვკა, თხინვალი), პრიუტის სასოფლო საბჭოში (პრიუტი, ახალი ზორბითი, ძველი ზორბითი), თონეთის სასოფლო საბჭოში (მოხისი). ამ დროისათვის მანგლისის სადაბო საბჭოში შედიოდა: დაბა მანგლისი, სოფლები: ძველი მანგლისი, ლენინსკოე, ბუდიონოვკა, ვოროშილოვკა, თხინვალი; თონეთის სასოფლო საბჭოში — დიდი თონეთი, ზომოვნიკი, მოხისი, პატარა თონეთი, ნაოსარი, თონეთ-გოხნარი; შეხვეტილას სასოფლო საბჭოში — შეხვეტილა, არხოტი, გოხნარი, დიდი ნამტყრევანი, ზაზასოფელი, კოდის წყარო, ნაფილნარი, პატარა ნამტყრევანი, პოლიანა, უგუდეთი, ჭინჭრანი; პრიუტის სასოფლო

63. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა ტფ., 1925, გვ 58-59

64. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონ 284, აღწ 1, საქ 1029, ფურც. 8.

65. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონ 284, აღწ 1, საქ 2542, ფურც. 2

66. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონ 284, აღწ 1, საქ 4869, ფურც. 1

საბჭოში -- ცენტრი პრეზიდი, დაქვემდებარებული სოფლები -- ამლივი, ახალი ზირბითი, ძველი ზირბითი, ლოლოვანი, ახალი პანტიანი.⁶⁷

1961 წლის იანვრისათვის მანგლისის მხარეში არსებობდა მანგლისის სადაბო საბჭო, ცენტრი დაბა მანგლისი, დაქვემდებარებული სოფლები -- ალგეთი, თხინჯალი; თონეთის სასოფლო საბჭო, ცენტრი დიდი თონეთი, დაქვემდებარებული სოფლები -- მოხისი, პატარა თონეთი. შეხვეტილას სასოფლო საბჭო, ცენტრი შეხვეტილა, დაქვემდებარებული სოფლები -- არხოტი, კოდის წყარო, ნაფილნარი, პოლიანა, ჭინჭრიანი; ორბეთის სასოფლო საბჭო, ცენტრი ორბეთი, შემავალი სოფლები -- ამლივი, ახალი ზირბითი, ლოლოვანი, ახალი პანტიანი, ნაოსარი; ღვევის სასოფლო საბჭო, ცენტრი ღვევი, შემავალი სოფლები -- ვანეთი, დრე, მეორე შამთა, მესამე შამთა, შამთა.⁶⁸

1987 წლის 1 იანვრისათვის მანგლისის ზონაში განლაგებული იყო ოთხი სასოფლო საბჭო: ორბეთის, ცენტრი -- ორბეთი, დაქვემდებარებული სოფლები -- ამლივი, ახალი ზირბითი, ახალი პანტიანი, დრე, ვანეთი, მესამე შამთა, ნაოსარი, ღვევი, ლოლოვანი, შამთა; შეხვეტილის, ცენტრი -- შეხვეტილა, დაქვემდებარებული სოფლები -- არხოტი, კოდის წყარო, ნაპილნარი, პოლიანა, ჭინჭრიანი; თონეთის, ცენტრი -- დიდი თონეთი, დაქვემდებარებული სოფლები -- მოხისი, პატარა თონეთი; ახალსოფლის, ცენტრი -- ახალსოფელი, დაქვემდებარებული სოფლები -- გოხნარი, ზირბითი, საფუძრები.⁶⁹

1995 წლის 1 იანვრისათვის მანგლისის ზონაში შედის იგივე ოთხი სასოფლო საკრებულო. ცვლილებები მოხდა მხოლოდ შეხვეტილის სასოფლო საკრებულოში, რომელსაც შეუერთდა სოფლები -- ჯვრისხევი და ნამტყრიანი.⁷⁰

1999 წლის 1 იანვრიდან მანგლისის სადაბო საკრებულოში შედის სოფლები ალგეთი და თხინჯალა.⁷¹

67. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1949, გვ. 55-56.

68. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1961, გვ. 49.

69. მანგლისის სადაბო საკრებულოს მიმდინარე არქივი. საკრებულოს 1986 წ. მუშაობის ანგარიში, გვ. 5-6.

70. მანგლისის სადაბო საკრებულოს მიმდინარე არქივი. საკრებულოს 1994 წ. მუშაობის ანგარიში, გვ. 7.

71. მანგლისის სადაბო საკრებულოს მიმდინარე არქივი. საკრებულოს 1998 წ. მუშაობის ანგარიში, გვ. 4.

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგათს ლეკები მგლისანი“

მანგლისი, მისი ისტორიული წარსული და თანამედროვეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მდინარე ალგათსა და მის ხეობასთან. ალგათი სათავეს იღებს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, კლდეკარის კლდეების მახლობლად. მისი სიგრძე 108 კმ-ია. ალგათი მანგლისსა და მის დასავლეთით მდებარე ბევრ სოფელს ჩამოუდის, ზემონელში მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ღრმა, ტყიან, ხოლო სოფელ ტბისიდან -- ვინრო, კლდოვან ხეობაში, მარნეულთან კი გამოდის ვაკეზე. მარჯვნიდან, სოფელ ქესალის მახლობლად მდინარე მტკვარს ერთვის. „ალგათი საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მინისქვეშა წყლით. წლიური ჩამონადენის დაახლოებით 45%-ს შეადგენს წვიმის, 25%-ს --- თოვლის, 30%-ს --- მინისქვეშა წყალი. გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს წყალდიდობა იცის, წლის სხვა დროს კი -- წყალმცირეა. ჩამონადენის მინიმუმი ოქტომბერშია. გაზაფხულზე მოდის წლიური ჩამონადენის თითქმის 48%, ზაფხულზე -- 32,4%, ზამთარზე -- 11,6%, შემოდგომაზე -- 7,9%“.⁷²

ალგათი არასოდეს შრება. ის ძალზე კეთილ გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ალგათის მთელ გაყოლებაზე აყვავებული ბაღები, მდიდარი ტყეები და საძოვრებია, მსხვილი და წვრილფეხა საქონლით. აქ ჯანსაღი შავაა, ნოყიერი მიწა, კარგად ხარობს ხეხილი, ბოსტნეული კულტურები, ხორბლეული, უდიდესი მნაშენელობისაა ალგათის წყალსაცავი. ყოველივე ამის სათავე, როგორც აღვნიშნეთ, თრიალეთის მთები და კლდე-კარია.

ალგათის ხეობაში გავრცელებული გადმოცემა, თითქოს, მდინარე ალგათს ეს სახელწოდება თათრებმა დაარქვეს და ნიშნავს „აიღე და წადი“, სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რაზე დაც მონიშნავს თუნდაც ის ფაქტი, რომ მდინარე ალგათს ალგათი ერქვა მაშინაც კი, როდესაც „თათრები“ (ოსმალები) სულაც არ არსებობდნენ ჩვენს მეზობლად. ტოპონიმი ალგათი მოხსენიებულია ვერ კიდევ თამარ მეფის ენ. პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.⁷³ უფრო მეტიც, ვახუშტი ბატონიშვილიც ვერ ხსნის მის სახელწოდებას. მის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“,

72 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1975, ტ I, გვ 282
73 ქართლის ცხოვრება, სეფხიძის აღწ. თბ., 1955, ტ II, გვ 64

ნათქვამია: „კლდეკარი ალაშენა ლიპაროტ ბაღუაშმან და, არს მალალ მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი. არა არს უწყებული, რთ ენოდა ალგეთი. ამას ქვეით ერთვის ალგეთს საყაჯრის-ხევი ჩრდილოდამ. ამას ქვეით ერთვის ალგეთს მჟაეის — ხევი, გამოსდიან კლდე-კარს. ამათ უწოდებენ კლდე-კარის სოფლებად. ამას ქვეით არს მანგლისი“.⁷⁴

შემდგომ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მანგლისის ქვემოთ ალგეთს ერთვის „ხევი კველთეთისა, გამომდინარე დიდგორის მთისა“, უფრო ქვემოთ ერთვის ლაკუას-წყალი, შემდეგ — დვალთა — ლოლოვანის — ხევი, გუდარეხის — ხევი, ამლივის წყალი, საღირაშენის — ხევი, ზრბითოშეთის ხევი, ბოგვის ხევი, ასურეთის ხევი. ამ ადგილებს საბარათიანო ეწოდებოდა.⁷⁵

ტოპონიმ „ალგეთის“ თაობაზე ასეთივე საკმაოდ საინტერესო და დამაჯერებელი მოსაზრება აქვს შალვა ამინაშვილს.⁷⁶

ალგეთი მოხსენიებულია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ძეგლებში. აი ერთი მათგან:

„ღეკებმა რო დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა,
ათი მთა გადამატარეს,
მეთერთმეტე ალგეთისა...“⁷⁷

მოსახლეობა, გვარ-სახელები

მანგლისი ეთნიკურად ფრიად აჭრელებული და მრავალფეროვანია. აქ ძირითადად სახლობენ ბარისა და მთიელი ქართველები, რუსები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და სხვა ერის წარმომადგენლები. ეთნიკური სიტყველ პირველ რიგში მტრის თარეშის შედეგად ამ მხარის გაპარტახებით არის გამოწვეული. ხეობა თანდათან გაუკაცრიელდა და გვიანდელ ფეოდალურ ხანაში იგი თურქმანი მომთაბარე ტომების საძოვრებად იქცა. გაპარტახდა და დაკარგა თავისი მნიშვნელობა მანგლისმაც, რომლის ადგილზე, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ადრინდელ ანტიკურ ხანაში იყო დასახლება.

74. ქართლის ცხოვრება, ს.ჯაუხრიშვილის რედ., თბ., 1973, ტ. IV, გვ. 325.

75. ქართლის ცხოვრება, ს.ჯაუხრიშვილის რედ., თბ., 1973, ტ. IV, გვ. 326-327.

76. შამინაშვილი, ალგეთი, ეურნ დროშა, 1990, №5, გვ. 10.

77. ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1974, გვ. 99.

აყრასა და განადგურებას გადაარჩინილი მოსახლეობა ალგეთ-ის ხეობის სხვადასხვა სოფელს აყარებდა თაჯს და იქ მკვიდრდებოდა. ეს სოფლებია: დიდი და პატარა თონეთი, კოდა, ტბისი, ფარცხისი, არაშენდა და სხვ.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული დოკუმენტების მიხედვით დაცლილ ტერიტორიას ავსებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, მათ შორის შიდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, მესხეთ-ჯავახეთის და სხვ. მოსულან და დასახლებულან თვით ალგეთის ხეობის მახლობელი თუ შორეული სოფლებიდანაც.

მანგლისის ძირითადი მოსახლეობა მთიდანაა ჩამოსული. ისტორიული წყაროების მიხედვით, მაგალითად, მთიულების დასახლება XIII საუკუნიდან უნდა იყოს დანყებული. მთიულების გარდა მანგლისში მთიანი ჩამოსახლებულან აგრეთვე გუდამაყრელები, ფშავლები და სხვ.

სხვადასხვა იყო ადგილსამყოფლის შეცვლის მიზეზი: „ყველაზე ადრე დამკვიდრებულ მცხოვრებელთა შორის ორ ძირითად ნაკადს ვამჩნევთ: საბარათიანოს ბატონების მიერ მოყვანილებს ანუ „მორეკილებს“ და თავისი სურვილით მოსულებს. შედარებით მოგვიანებით ხანაში მათ სხეებიც მიმატებიან, მაგრამ სწორედ ამ დაგვიანებულობის გამო, ახალმოსულებს სათანადო უფლებები ვეღარ მოუპოვებიათ. პირველი რიგით მოსული მოსახლენი მამულიანი გამხდარან, მეორენი კი, ბოლომდე მდგმურებად და ეუღებად იწოდებოდნენ“.⁷⁸

მიგრაციის ძირითადი მიზეზი, განსაკუთრებით მთის მოსახლეობისა, იყო მიწის ნაკლებობა. ასე განდნენ მანგლისში აბიათარები, ალიხანაშვილები, აფციაურები, აზრუმელაშვილები, ალთუნაშვილები, ბექაურები, ბედოიძეები, ბეჟუაშვილები, გაბიდაურები, გიგაურები, თეთრუაშვილები, ზაქაიძეები, ზანგურაშვილები, კობაიძეები, ნიკლაურები და სხვ., რომლებიც ამჟამადაც აქ სახლობენ.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, თავისი სურვილით მოსულთა შორის ზოგი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე დასახლებულა ამ მხარეში: მაგალითად, მანგლისის მკვიდრის ილიკო ალიხანაშვილის გადმოცემით, მისი წინაპრები მიქაძეები ყოფილან. პაპამისი დასახლებულა პატარა თონეთში. დაოჯახება რომ გადაუნყვეტია, მისთვის ქალი არ გაუტანებიათ ალიხანაშვილებს, — ქალს არ მოცემთ, სანამ ჩვენს გვარზე არ დაენერებიო. ასე ქცეულან მიქაძეები ალიხანაშვილებად. შემდეგ გადმოსულან მანგლისში და იქ დასახლებულან; სოფელ ნამტყრუ-

78 ლ. ბოკორიშვილი, ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. თბ., 1953 გვ. 164

ანაში მცხოვრები სოლო გაბიდაურის სიტყვებით, მისი წინაპრები ყოფილან ქასტები. ერთ მათგანს მოსწონებია ქართული გვარი და დანერგა გვრიტიშვილად. მის პაპას მოუკლავს ბატონი და გამოქცეულა, დამალვია მდევარს, გადმოსულა მანგლისში და შემდეგ იქვე ახლი სოფელ ნამტკვირანაში დასახლებულა; მანგლისელმა ივანე ქავთარაძემ მოგვითხრო, რომ მისი მამა-პაპა ცხოვრობდა სოფ. შეხევეტილაში, სადაც მოსახლეობას ბატონისგან უყიდია მამული, გაუჭრაა ტყე, გაუყიდია ხის მასალა და ამ ფულით ეკლესია აუშენებია. ომის პერიოდში საცხოვრებლად მანგლისში გადმოსულან, აუშენებიათ სახლი და დასახლებულან.

ასე თანდათანობით შეივსო ერთ დროს აყვავებული, მჭიდროდ დასახლებული, ხოლო შემდგომ გამუდმებული ომების შედეგად გაპარტახებული მანგლისი და მისი მიმდებარე ტერიტორია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსახლეობით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მანგლისში იმატა რაჭიდან და იმერეთიდან მოსულთა რიცხვმა. არაქართველთა შორის მომრავლდნენ ბერძნები, სომხები, ოსები.

მანგლისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, შეადგენენ რუსები. ისინი აქ გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც დაარსდა რუსეთის კოლონია. გასულ საუკუნეში მანგლისში იდგა რუსეთის არმიის ერთ-ერთი პოლკი. ამ ხანებში გადამდგარი სამხედრო მოსამსახურენი ქმნიან ახალ დასახლებას. რუსი ეროვნების მოსახლეობამ განსაკუთრებით იმატა ე.წ. „ცოლიანი ასეულების“ შექმნის თაობაზე ერივნის პოლკის მეთაურის გადანყვეტილების მიღების შემდეგ. ამ გადანყვეტილების თანახმად, უცოლო ჯარისკაცებს დაქორწინების უფლება მიეცათ. რადგან იმ დროს საქართველოში ცოტა რუსი ქალიშვილი იყო, მონოდებით მიმართეს რუსეთის გუბერნიებში მცხოვრებ ქალიშვილებს ჩამოსულიყვნენ საქართველოში. ამ მონოდებამ ფართო გამოხმაურება პოვა და სულ მალე მანგლისი რუსი მანდილოსნებით აივსო. შეიქმნა ოჯახები. წამოვიდა შთამომავლობა. რუსები ამ პერიოდში, ბუნებრივია, ქარობდნენ სხვა ერების წარმომადგენლებს. მომრავლდა რუსული დასახლებები. გაიხსნა რუსული სკოლები. გაჩნდა ახალი ოჯახები, გვარები: იუნკინი, იაშკოვი, ფომინი, კახანცევი, კამიშინი, ყვდოსიევი, აგაფონოვი, პარშინი, დუტოვი, მარკოლოვი, ლუკოანოვი, კატალიცკი, ვასილევი, მაშტალერი, ივანოვი, კრაკოსევიჩი, მილაევი, შალიაპინი, სოკოლოვი, ლადიჟენსკი და სხვ.

უკვე საბჭოთა პერიოდში რუსი ახალგაზრდები რუსული სკოლის დამთავრების შემდეგ უმეტეს შემთხვევაში სწავლას აგრძელებდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. რუსეთში რჩებოდნენ საიუშაოდ, ქორწინ-

დებოდნენ, ქმნდნენ ოჯახებს. ეს პროცესი შესამჩნევი გახდა მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, ხოლო საუკუნის ბოლოს ჩვეულებრივ მოკლენად იქცა და რუსეთში საცხოვრებლად მიდის არა მარტო ახალგაზრდობა. მანგლისს ტოყებს რუსული ოჯახებიც. ზოგიერთი რუსული დასახლება მნიშვნელოვნად დაცარიელდა. და რაკი ეს დასახლებები საუკეთესო სააგარაკო ადგილებში მდებარეობს, რუსების სახლები მეტწილად თბილისელებმა შეიძინეს, ნაწილი — მეზობელი სოფლებიდან ჩამოსულმა მთიელებმა, აგრეთვე ადგილობრივმა მოსახლეობამ. უმეტეს შემთხვევაში, ეს სახლები იყო მოძველებული, ამორტიზებული. ამიტომ, ვისაც საშუალება ექონდა, ააშენა ახალი, კეთილმოწყობილი სახლი.

მანგლისში გავრცელებული გვარებია: აბიათარი, ახალკაციშვილი, ალიხანაშვილი, აფციაური, ავაქოვი, აზრუმელაშვილი, ახინანი, ალთუნაშვილი, ადამაშვილი, აგაფონოვი, ბადუაშვილი, ბერძენიშვილი, ბეჟუაშვილი, ბროლიძე, ბექაური, ბურდული, ბედოიძე, ბერუაშვილი, ბესკროვნი, გაბიდაური, გოზალოვი, გულვერდაშვილი, გიგაური, დევსურაშვილი, დიენოზაშვილი, დემეტრაშვილი, დავიდოვი, დამღვრაჯელი, დუტოვი, ვლასოვი, ვასილკოვი, ზაქაიძე, ზანგურაშვილი, თეთრუაშვილი, თოროზოვი, თაქთაქაშვილი, თაყნაშვილი, იორბალიდი, იობაშვილი, კაზანცევი, კალმახელიძე, კვიციანიძე, კობაიძე, კატალიევსკი, კურდოვი, კვიტინსკი, კამიშინი, ლონდარიძე, ლაშქარაშვილი, ლამბრიანოვი, ლებანიძე, ლუკიანოვი, ლებედივი, მუჯირიშვილი, მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მანველაშვილი, მინდორაშვილი, მიხაილოვი, მიჩაიძე, მიქოიანი, მისურაძე, მარიკაშვილი, მანუკოვი, მელიქოვი, მარკელოვი, ნეკერაშვილი, ნადირაშვილი, ოგანოვი, ოსტროვსკი, პაპაიანცი, პოზოვი, პეტროვი, პარშინი, სამადაშვილი, სულემაშვილი, სარდლიშვილი, სმოლიარი, სემინოვიჩესკი, ტატულაშვილი, ფირცხალავა, ფედოსეევი, ფურცილაძე, ქავთარაძე, ქოჩაროვი, ლონლაძე, ლარიზოვი, შვერდაშვილი, შალიბაშვილი, შაჰშიშვილი, შუბლაძე, ჩემიჩევი, ჩივაძე, ცხოვრებაშვილი, ნიპლიაშვილი, ნიკლაური, ჯალიაბოვი.

სხვადასხვა გვარები ადგილობრივ მოსახლეობაში ცნობილია შემდეგი სახელებით: აჩიანთი (შავერდაშვილები), აბარონანთი (ბროლიძეები), ახუნაანთი (ნიკლაურები, გარდა ამისა ნიკლაურები მოიხსენიებიან შიოლანთებად და ეფხიანთებად), ბოლორანთი (შაჰშიშვილები), კუჭანთი (სარდლიშვილები), ლახტუანთი (ჩივაძეები), როსტომანთი (ღარიბაშვილები), ქაჭუსაანთი (აბიათარები), შაჰანთი (მჭედლიძეები), ჭიშიანთი (ლაშქარაშვილები) და სხვ.

იხივე მოგორც ყველა ქალაქსა და სოფელში, მანგლისშიც ფართოდაა გავრცელებული მეტსახელები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ მანგლისელებისთვის არის დამახასიათებელი.

ქსენია: აჯია, არხეინა, ბალამა, ბაგდალა, ბაღე, ბურჩიკა, ბურლაკა, დაჯგა, დიდლი, ედიოლე, ზანზარა, თლიხე, თომიკურა, თურთუშა, თუშურა, თუთუნესა, თათუხა, კალიშა, კოფჩიკა, კუჭა, კაჭოტა, კალასა, კალასკა, კისერა, ლუშკია, მაცაე, ნაჩხა, იბოლა, პაჭო, პანჩო, რახამინა, ტუსტა, ტროიცი, ტიტლო, ფანცი, ფოცხვერა, შიბზკა, ჩაპკა, ჩოჩო, ჩითახო, ჩიფთალა, ძუგე, ქიპრო, ქინკა, ხუნე, ხელქო, ხინკალა, ჯუჯა, ჯოხო და სხვ.

მანგლისის მოსახლეობა 1925 წლისათვის შეადგენდა 3.000 კაცს (612 კომლი), მოსახლეობის უმრავლესობა რუსები იყვნენ, რადგან აქ რუსეთის ჯარის შტაბ-ბინა იყო.⁷⁹

ამ დროისათვის მანგლისს თემი, როგორც აღვნიშნეთ, თბილისს მაზრაში შედიოდა. თემი აერთიანებდა 27 სოფელს. ამ სოფლების კომლთა საერთო რაოდენობა 1524 იყო, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 8128 კაცს შეადგენდა. მათ შორის ახალ მანგლისში კომლთა რაოდენობა 168 იყო, ხოლო მცხოვრებთა — 750, სლობოდაში, შესაბამისად — 45 და 241, ახალსოფელში — 60-323, ზირბითში — 20-159, კოდის ნყალში — 8-45, პოსელენაში — 130-754, ძველ მანგლისში — 89-419, ლენინსში — 180-816, საფუძრებში — 43-226, მოხისში — 20-137, უხმარაში — 2-15, დიდი თონეთში — 311-177, პატარა თონეთში — 180-948, ლოლოვანში — 48-243, ზომოფნიკში — 8-45, ნალსარში — 10-61, უგურეთში — 7-35, დიდ ნამტვრევანში — 14-75, პატარა ნამტვრევანში — 15-77, ქინჭრიანში — 22-165, არხოტში — 36-158, შეხვიტილაში — 34-210, მყაეისში — 4-31, თხინვალაში — 23-129, გოხნარში — 6-35, ნაბილნარში — 32-200, ზაზა-სოფელში — 9-60.⁸⁰

მოგვიანებით ჩატარებული აღწერის მიხედვით, მანგლისის მოსახლეობა 1970 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 6 ათას კაცს. მათ შორის 75% ქართველები, 12% რუსები, 8% ბერძნები, 3% სომხები, 2% სხვა მოსახლეობა (ებრაელები, აზერბაიჯანელები და ქურთები).

ბოლო ათეული წლების განმავლობაში მანგლისის მოსახლეობამ შესამჩნევად იკლო. ამის მთავარი მიზეზი ახალგაზრდა სპეციალისტების დაუსაქმებლობაა. ისინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მშობლიური მხარე და სამუშაო ადგილები საქართველოს დიდ ქალაქებში ეძებნათ. განსაკუთრებით დიდძალი მოსახლეობა დაიძრა სამუშაოდ რუსთავეში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც 1944 წელს დაიწყო. ამ ახალგაზრდებმა იქ შექმნეს ოჯახები და მუდმივად დასახლდნენ. განსაკუთრებით ბევრი ადგილობრივი მცხოვრები

79. Тифлис и его окрестности, Тифлис, 1925, стр.293.

80. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა, ტფ. 1925, გვ 58-59

წავიდა სამუშაოდ საზღვარგარეთ ბოლო 5-7 წლის განმავლობაში. ყველაფერმა ამან მწიფელოვნად შეამცირა მანგლისის მოსახლეობა. 1999 წლისათვის მანგლისის მოსახლეობის რაოდენობა 4300 კაცი იყო. მოსახლეობის ძირითადი ბირთვი ქართველებია -- 64%, ბერძნები -- 14%, რუსები --- 12%, სომხები -- 4%, დანარჩენი -- 6% სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია.⁸¹

1981 წელს ჩემთან საუბრისას 80 წლის მანგლისელმა ვასო დევსურაშვილმა მიაშრო, რომ „მანგლისში ცხოვრობდნენ რუსები, თონეთიდან იყვნენ გოზალოვები, სამადაშვილები. მანგლისში გაუვალა ტყეები იყო. „სტარი“ მანგლისში 4-5 კომლი იყო. ძირითადად სულ რუსები იყვნენ. მანქანების ავტოსადგური რომ არის, იქ იყო დიდი ეკლესია, ეკიდა დიდი ზარი, რომლის ხმაც ისმოდა მეზობელ სოფლებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს ეკლესია ააფეთქეს. მანგლისში იდგა ერეკნის პოლიკი. მღვდლებმა აზიარეს ჯარი და შემდეგ 1914 წლის ომში გაგზავნეს“.

მანგლისი ლა მისი შემოგარენი სოფლები ქართულ ხალხურ პოეზიასა და მწერლობაში

მანგლისისა და მისი შემოგარენი სოფლების შესახებ არაერთი ლექსი გვხვდება ხალხურ პოეზიაში ისინი უმთავრესად დაცულია კ.კიკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. ზოგიერთი მათგანი დაიბეჭდა 1974 წელს გამოცემულ „ქართული ხალხური პოეზიის“ კრებულში, ზოგიც სხვადასხვა დროს პრესაში გამოაქვეყნა იაკობ ახუაშვილმა. ძალზე საინტერესო მასალებია წარმოდგენილი თამარ სალარიძის ნაშრომში „ალგეთის ხეობის ქართლური“, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომში თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ავტორისა და ივ.გიგინეიშვილის მიერ დაბა მანგლისსა და სხვადასხვა სოფლებში ჩანერილი ზღაპრები და თქმულებები, რომელთა ნაწილი ქვემოთ არის მოტანილი. ქართლური დიალექტის შესწავლასთან ერთად ეს მასალები ხალხური თქმისა და ეთნოგრაფიის მდიდარ ნიმუშს წარმოადგენენ. ვაჭყეყნებთ აგრეთვე ჩემ მიერ მანგლისსა და მის ახლო მდებარე სოფლებში ხანდაზმულ ადამიანებთან ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებულ სხვადასხვა ლექსებსა და თქმულებებს.

ხალხური პოეზიიდან მეტად პოპულარული ყოფილა ლექსი

81 მანგლისის სადაბო საკრებულოს მიმდინარე არქივი საკრებულოს მიერ 1998 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში გვ 2.

„მანგლისი რომ ააშენეს“, რომლის სხვადასხვა ვარიანტებია ჩვენამდე შემონახული.

მანგლისი რომ ააშენეს,
წყარო ადინეს მილითა,
ადგანან კალატოზები,
გვერდებს ულესენ კირითა,
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი,
თმა შეუღებეს ინითა.
მეცხვარე შემოიჩვია,
ყველს უზიდავდა სინითა.
იმ ქალმაც ხელი შეუნყო,
ღვინოს ასმევედა მინითა.
მეცხვარეს ქალი შეჰყვარდა,
არ ახსოვს ცხვარი ბინითა,
გამოუცხადა იმ ქალსა
თავის ბეჩავი პირითა:
"ნეტავი, ქალო ლამაზო,
შენთან გამაძლო ძილითა".
ქალმა შესწყველა მეცხვარე
თავის ლამაზი პირითა:
"მეცხვარევ, ცხვარი გაგიწყდეს,
ეზიდებოდე ვირითა,
ვირებიც დაგკოჭლებოდნენ,
ურმებს იჭერდე ქირითა".
ახლა მეცხვარემ შესწყველა
თავის ვაჟკაცურ პირითა:
"მანგლისიმც ამოვარდება,
ქვა აღარ ედოს ძირითა,
შენ, ქალო, ლეკებს მიჰყავდე
ვაი-ვაგლახით, ჭირითა,
უკან მოგდევდეს საქმარო
თავისი დამბლა ვირითა,
მე მთიდან ჩამოვიარო
ჩემი ცხვრითა და ბინითა,
დაგიხსნა, ნამოგიყვანო
ქაშანჩითა და სტვირითა,
ერთად ვიცხოვროთ ბოლომდე,
დრო გავატაროთ ლხინითა."⁸²

არსებობს ამ ლექსის სხვა ვარიანტიც:

მანგლისი რომ ააშენეს,
წყარო ადინეს მილითა,
სასახლეები დამართეს

82. „ქართული ხალხური პოეზია“, თბ., 1974, გვ.220-221.

თორად ნაღესი კირთა,
 შიგ დასვეს ქალი ლამაზი
 ხელშეღებილი ინითა,
 ქალს შეუყვარდა მეცხვარე,
 ყველი უზიდა სინთა.
 ქალმა დასწყევლა მეცხვარე
 თავის ლამაზი პირითა:
 „მეცხვარე, ცხვარი გაგინყდეს
 სატკივრითა და ჭირითა,
 ველარ ნახვიდე თრიალეთს
 მაგ შენი დიდი ბინითა“.
 ახლა დასწყევლა მეცხვარემ
 თავის სანყალი პირითა:
 „მანგლისიც ამონყვეტილა,
 ქვაც აღარ იყოს ძირითა,
 შენ ლეკებმა წაგიყვანონ,
 ნითელ იაბოზედ შაგსვან
 ძუა ნაღები ინითა.
 მე ხო წინ შემოგეყარო,
 გამჭონდეს ფული პინითა,
 შენა კი ლეკებს მიჰყავდე
 ქამანჩითა და სტვირითა“.

ზაქარია ჩხიკვაძეს ამ ლექსის ვარიანტი კახეთში ჩაუნერია
 სათაურით „მანგლისელი პატარძალი“:

ერთი მანგლისელი ქალი
 წარბს იღებავდა ინითა,
 ადგა ამ ქალმა დასწყევლა
 თავისი კოკების პირითა:
 „მეცხვარე, გაგინყდეს ცხვარი
 ჩინჩრახითა და ჭირითა,
 ტყავებას ვერ ასდიოდე
 მაგ შენი ხანჯლის შვილითა;
 ასვლა-ჩამოსვლას უნდებოდე,
 მაგ შენი კუდა ვირითა“.
 ახლა მეცხვარემ დასწყევლა
 თავის სანყალი პირითა:
 „შენ წაგიყვანონ ლეკებმა,
 ლამე გზა გამოკლებინონ
 და ტინ ქვეშ გმალონ დილითა.
 წინ დაგხვდნენ მეცხვარეები
 თეთრი მოჭონდით ქილითა,
 დაგიხსნან, წამოგიყვანონ
 ჩონგურითა და სტვირითა“.

მანგლისთან ახლოს მდებარე სოფელი თონეთი ხალხურ
პოეზიაში ასეა წარმოდგენილი:

თონეთი რისთვის შენ უხდა,
მალ-მალე მოდის ბეგარაო,
მაგრამ არაფრათ აგდებენ,
ვირა შჯობია ქვეყანაო!

* * *

თონეთისთანა ქალები
არ არი ქვეყანაზედა,
დარიგდებიან სუფრაზე,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა,
ეგრეთი დასუქებულან,
როგორც ირმები მთაზედა,
ლხინი რო გაიმართება,
ბიჭებ(ი?) მიზღვივენ კვალზედაო.

* * *

ყმანვილო, იყავ უცვლელი,
ერთგული შენი ქვეყნსა,
იქა ხარ დაბადებული,
და იქვე ჩახვალ საფლავსა!

* * *

რა კარგია კაი კაცი,
კარგ საქმეზე დაგებულიო,
ქვეყანა ჰყავს მადრიელიო,
სწორის გული მოგებულიო.

* * *

ქართველმა ხალხმა თავის დროზე შეიყვარა და დღესაც
სიამოვნებით ისმენს და ასრულებს გამოჩენილი კომპოზიტორის,
ქართული სიმღერის უბადლო ოსტატის რევაზ ლალიძის ნაწარ-
მოებს „ტიყე შეუნახე შეილებსა“. მღეროდა, ლილინებდა ქართვე-
ლი კაცი და არ იცოდა, დღესაც ბეჭრმა არ იცის, რომ ამ
სიმღერის ტექსტი ე.პოტყნის ერთ ჩვეულებრივ მიტყყვის ვახო

აფციაურს. მანგლისსა და მისი ხეობის თვალწარმტაც ბუნებაში, წინკოვანი და ყოთლოვანი ტყით დაფარულ მთა-გორებზე აღზრდილი ვასო აფციაური თავისი ლექსით თანამედროვეებს და მომავალ თაობებს შთააგონებს ბუნების სიყვარულს და სხარტად, ლაკონურად ხატავს ადამიანთა დაუდევრობისა და გულგრილობის მიზეზით გამოწვეულ მოსალოდნელ არასახარბიელო ეკოლოგიურ სურათს:

„ხეებს ნუ კაფავ, ძმობილო,
ტყე გატიტვლდება, ბრალია;
ია და ვარდი დაჭკნება,
ფესვებს მოუთხრის ქარია.
მალე გადმოსჩქეფს ავდარო,
კლდეა დარჩება სალია,
ცივ-ცივი წყარო დაშრება,
ყანას მოგვიჭამს კალია...
ტყე შეუნახე შვილებსა,
მამა ხარ, შენი ვალია!“

ეს ლექსი დაწერილია 1926 წელს. ის ერთგვარი გაფრთხილება, ეედრებაა ბუნების ტრფიალი გონიერი კაცისა და მიმართულია ყველა თაობისადმი.

ვასილ აფციაურმა საშუალო განათლება სოფელ თონეთში მიიღო. ეს ის სოფელია, სადაც პოეზიის რაინდი ყაჭა-ფშაველა მასწავლებლობდა. ვაჟას გამორჩეულ მოსწავლეთა შორის ბასილ /ვასილ/ აფციაურიც ყოფილა. „ტყე შეუნახე შვილებსა“ და მისი სხვა ლექსები, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმის ფონდებშია დაცული, ამის დადასტურებაა. მეტყევე პოეტის უახლოესი ნათესავია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ლვანლმოსილი მეტყევე, ღირსების მედლის კავალერი, პროფესორი შალვა აფციაური. შალვას პაპა და ვასილი ალალი ბიძაშვილები ყოფილან. სხვათა შორის, 300 არაგველის მედროშე წინა აფციაური პაპად ეკუთვნოდა შალვა აფციაურის პაპას ანანია აფციაურს, რომლისთვისაც სახელოვანი წინაპრის პატივსაცემად დაურქმევიათ ანანია.⁸³

პროფესორ შალვა აფციაურს სასიამოვნო მოგონება აქვს მისი ნათესავის ვასო აფციაურის ლექსთან „ტყე შეუნახე შვილებსა“ და ამ ლექსზე შექმნილი სიმღერის ავტორთან დაკავშირებით: „ერთხელ, — იგონებს ბატონი შალვა, — ნადირობისას საყვარელ კომპოზიტორს რევაზ ლალიძეს შევხვდი. ვკითხე, თუ იცით, ვინ არის ამ ლექსის ავტორი-მეთქი. არ ვიციო, მიპასუხა. მე ლექსი მომეწონა, ხალხური მგონია. თუკი ავტორი ჰყავს, კი

83. როცა ასეთი მეცნიერი ვეყავს. ვაზ. „საქართველოს ჩესქუბლია“, 1997, 1 აგვისტო.

ბატონო, რა მატყს ხანინააღმდეგო. ისე, მუხიკის ავტორი კი ნამდვილად მე ვარო", გაუხუმრია ბატონ რევაზს.

ასეთი გამორსწეული ბედი ხვდა წილად მანგლისის მხარეში აღზრდილი და დაკავშირებული მეტყვევი პოეტის ლექსს — ჯერ იყო და ხალხმა გაითავისა, შემდეგ ჩვენმა საყვარელმა კომპოზიტორმა ყველა ქართველს გააცნო და მის მიერ შექმნილი დიდებული მელოდიით უკვდავყო ქართული პოეზიის ეს შესანიშნავი ნიმუში.

* * *

მანგლისსა და მანგლისელების შესახებ თანამედროვე ქართველი პოეტებიც მოაგვიტხოვრებენ თავიანთ ქმნილებებში.

ვისაც ერთხელ მაინც უსარგებლია კურორტ მანგლისის სიკეთით, არ შეიძლება პოეტისა და მეცნიერის ნუგზარ წერეთლის, მანგლისელთა დიდი მეგობრის, ლექსებმა არ გაახსენოს იქ გატარებული დღეები, იქაური დარი თუ აკდარო, ის უცნაური, ბევრისმთქმელი განწყობა, ტაძარში შესულს თუ აკადემიკოს ნ.მუსხელიშვილის სახლთან ჩაკლილს რომ ეუფლებოდა:

„შორით კლდეები მოჩანს პირბასრი, აქ კი ნებიჯრობს მზეზე მანგლისი“ და

„ირგვლივ მთებია მთებზე დაკრული,
ფიჭვების ტყეჯის გათრობს სურნელი,
აქ გაფინყდება ყველა მზაჯრული,
არსაყვარელი, არსასაურველი,
გულიც არ გტკივა ბნელი დროის სითბონაკლული“.

ასეთია მანგლისი დარში, წვიმიან ამინდში კი:

„დღეს მონყენილი არის მანგლისი,
ვით მონყენილი არის ყოველი,
აიქონრება ტყეთა ჯაჯრისი,
ინყება წვიმა დარდის მოველი“...

„აკდარში“ — ასე პქვია ამ პატარა ლექსს:

„ახლა ალგეთზე დიდი ჩიხლია,
ცა დაიქაილა წვიმის ძაფებით,
აღარც შრომობენ, აღარც ისჯრთან,
ისევე ვუზივარ საწერ მაგიდას
და წისღში ვხედავ მინდორს ყვითელ ნოხად გაფენილს“.

პოეტის მიერ აღწერილი ეს სურათი კი ნაცნობია ყველა-სათვის, ვინც ერთხელ მაინც შესულა მანგლისის ქალაში:

„მატარა ბავშვი

... ..გამორბის მოღზე,

უცინოს სახე, უცინოვებებს ლურჯი თვალები,
მიძჭრება ხეზე მონდომებით და გამალებით,
ვდგავარ, ვდარაჯობ, სიხარული მისი მიღება
და ქვეყნად თითქოს ყველაფერი მიემდება“.

ალბათ, ბევრს უნახავს მანგლისის ტაძარი და მისი ეზო ისეთ
ვითარებაში, პოეტი ნუგზარ წერეთელი რომ აღწერს:

“წირვას მოქონდა ხმა და ლაღადი
ეგზალტირებულ განცდით ნეტარით,
გარეთ ეყარა ჭრელი ქალაღდი,
ქალაღდი უკვე ნაკამფიტარი.
და როგორც ნიშანს ბავშვის გართობის
აფარფატებდნენ ქალაღდს ქარები,
მწეანით დამენჭრილ ტყეთა ფართობით
ქარი გარბოდა მიუკარები.
ტაძარში იდგა სუნი საკმეველის,
შავი სამოსი ჩანდა ბერული,
გუმბათის დაბლა გაჭრილ სარკმელით
ჩანდა მანგლისის დღე უფერული.
ყველა მორწმუნეს, თუნდაც ურწმუნოს
ეფარა მაღალ ტაძრის სიმშვიდე“.

მანგლისელი მანდილოსნებისთვის, ალბათ, ფრიად სასიამოვნო
იქნება იმ ლექსის შეხსენება, რომელიც 1965 წლის 29 აგვის-
ტოს გაზეთ „ლეინურ გზაში“ გამოაქვეყნა პოეტმა გიორგი
შეთეკაურმა. ლექსი მანგლისელი ასულისადმია მიძღვნილი და
ასეც პქვია:

მანგლისელ ასულს

მივდივარ..

ცა გულზე მიხატავს,

ნსლივით მშვიდი ვარ, მთაზე რომ ზოზინებს.

დე, ვიქცე მანგლისის თიხადა

და შენმა ხელებმა მომზილოს...

მომზილოს, შენივე ქანდაკი

გაძერნოს,

ან ვიყო ღრუბელი ჟანდაკი

და სულის შებერვით ამწენოს...

ცისფერი ფიჭვივით იყავი სულ ლაღად, —

ხნულებში თავთუხის მარცვალო,

შენ ღვინთ საესე პანია სურა ხარ,

- დაგცალო?

მე დარში აედარო, ავდარში დარი ვარ,

შენმა ხმამ ზვირთივით ნაძლეკოს.

ეს შენ ხარ ტაძარი, მე ტაძრის ზარი ვარ,

- დაფრეკო?

ეთნოგრაფიული თქალსაზრისით ყრვიად საინტერესო და მნიშვნელოვანი ლექსი აქვს დიდი ქართველი მწერლების, საერთოდ, ქართული მწერლობის ტრადიციის ერთგულ გამგრძელებელს პოეტ შოთა ნიშნაძეს:

პურის მკა ალგეთზე

ბადრი, უსუბი, ამირან ალგეთზე შევიყარენით,
ყანები ისე გავთიბეთ, მუხლში არ გავიხარენით,
ალგეთში მონათლულები მუხებქვეშ დავეყარენით,
დალმა სამხარი მოგვართვა, დიახაც გავიხარენით,
ბანზე გადმოდგა ყამარი, შიშითაც გავიპარენით...

ამირან დარეჯანის ძემ მოელი ეს მინდორ-ხევები
მოაფინა ძნებით, ზვინებით — თავებდაჭრილი დივებით...
და მიცურავდა შუქჩრდილად, წინაპრის სუნტქვით გამოთბარი
დღევანდელიობა, წარსული, სინამდვილე და ზღაპარი.

გზად კაცმა ჩამოიარა და ცხრაჯერ მეტი შეკონა,
გაფითრდა დარეჯანის ძე, მაგრამ რა უნდა ელონა,
ასეთი რამე, ღმერთმანი, ზღაპარში არ გაეგონა,
იქნებ ის კაცი /ვინ იცის/ თავის ნათლია ეგონა?!

— ეჰე, პე-პეი, ლომებო! —

კაცი მთის წვერზე შემოდგა,
იმის თეთრ წვერს და დიდ ხელებს
მივმტყრებოდით ქვემოდან...

მზე კი, ძნასავით ჩაშლილი,
მთელ საქართველოს შევნოდა.

საერთოდ, მანგლისი და მისი შემოგარენი საკმაოდ ჯრცლად არის წარმოდგენილი ქართულ მწერლობაში. და არცაა გასაკვირი. ძნელია, ისტორიულ თემაზე ქმსადე ნაწარმოებებს და გვერდი აუარო ამ მხარეს, სადაც „ძველთაგან სიცოცხლე სდუღდა, სად მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა“.

ცნობილი სასულიერო პირი, მწერალი და პუბლიცისტი, დიდი ილიას თანამებრძოლი ზაქარია გულისაშვილი მანგლისის მხარესაც გულისხმობდა, როდესაც წერდა: „სიღიადე აქაურ ბუნებისა. სიღიადე აქ მოიხდარ ამბავთა, სახელწოდებანი აქაურ ნანგრევთა უნდა ღაღადებდნენ ჩვენ შორის. ყველასათვის საჭიროა მათი ცოდნა და სამარცხვინოა მივიწყება“. გულისტ-

კვილით აღნიშნავდა, რომ „ნანგრევები და ნაოსნობი სხვა არა გვხვდება რა ამ ამონაცხეულ მხარეში. კომუნა, ციხენი, მათზედ წარწერანი და კვლავ ნანგრევები გითვალისწინებენ საქართველოს მატრიანეთა შავ-ბნელ ფურცლებს“⁸⁴

მანგლისის მხარეში მომხდარი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი არაერთი ნაწარმოები შექმნეს ქართველმა მწერლებმა: „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილმა თევდორე კველთელსა და იოანე მანგლელს მათი საკადრისი განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა. თუ თევდორე მღვდელს მთელი საქართველო იცნობს და ეთაყვანება, იოანე მანგლელი ნაკლებად ცნობილია. იოანე ბატონიშვილი იოანე მანგლელის შესახებ მოგვითხრობს და მოიხსენიებს იმათთან ერთად, ვინც არიან „ღირსნი კაცნი და მეცნიერნი ქართველთა შორის“:

მამისა იოანე მანგლელისათვის

წმინდა იოანე მანგლელი, სამღვდლოთა წერილთა შინა გამოცდილი და აღძრვილი ღვთისმეტყველი. ესე წმიდანთა შინა არს შერაცხილ, რომელმანცა იღვანა მსგაჟსად ძველთა ღირსთა მამათა, და კურნებასაც უყოფდა. და ესრეთ სწმინდით შეივედრა სული თვისი ხელთა შინა ღვთისათა. და აწ საფლავის მისი არს სიონის ეკლესიასა შინა წინაშე ღვთის მშობლის ხატისა, და უყოფს აწცა სასწაულთა“.

სხვა მანგლელი ეპისკოპოსი — კირიონ მანგლელი უყავს გამოყვანილი მოქმედ გმირად ტიტრალოგია „დავით აღმაშენებელში“ კონსტანტინე გამსახურდიას: ამ ნაწარმოების მიხედვით, „უშიშარი იყო მანგლელი ეპისკოპოსი. მხოლოდ სატანის შიშით ძაბაგებდა ნადაგ. ღამით მგზაჟობას გაურბოდა, მუდამ ავსულები ელანდებოდა ბეროკაცს. წყალს არ დალიედა, სანამ ჯვარს არ ამოაგლებდნენ მასში. ...გულფიცხი იყო მანგლელი, მაგრამ თანაც გულალაღი ფრად. მას წრფელად სჯეროდა: ადამიანს ეშმაკი შეაჯდება ხანდახან მხარზე. ქადაგებით, შეგონებით და თათბირით მაინც შესაძლოა მოთვინიერება მისი“.

მანგლისის მხარის ისტორიულ წარსულს, ადამიანებს ვხვდებით აგრეთვე ვასილ ბარნოვის /“ცოდვა სიჭაბუკისა“, „ნაძვანარის დევი“/, ოთარ ჩხეიძის /“მამაო თედორე“, პიესა/ და სხვა მწერლების შემოქმედებაში. დიდი ადგილი უკავია ამ თემას ქართულ პოეზიაშიც, რომლის რამდენიმე ნიმუში ზემოთ შევთავაზებთ მკითხველს.

84 ზაქარია გულისაშვილი, გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაონი და მონი ნაშენი ვახ. „ივერია“, 1911, №154

ლეგენდები, თქმულებები

მანგლისის მხარის შესახებ ხალხში მრავალი თქმულებაა შემონახული. ზოგი მათგანი გამოუქვეყნებელია, ზოგი ჩვენ მოვიპოვეთ მანგლისსა და მის მეზობელ სოფლებში ხანდაზმულ ადამიანებთან საუბროსას და პირველად ქვეყნდება. მათ შორისაა: მანგლისის სახელწოდებაზე, ბედისწერაზე, ოჯახის ანგელოსზე და სხვ. თქმულებები „თევდორე მღვდელსა“ და „მამიდას ქვაზე“ ჩანერილია თამარ სალარიძის მიერ 1976 წელს სოფელ თონეთში. (იხ.თამარ სალარიძე „ალგეთის ხეობის ქართლური“, თბ., 1978, გვ. 194-195).

„მამიდას ქვა“

მანგლისის სამხრეთ-დასავლეთისაკენ, 8 კმ-ის მანძილზე, საკრისის მთაზე მდებარეობს ე.წ. „მარამ-ჯვარი“. ეს სახელწოდება, როგორც ვარაუდობენ, უნდა გამომდინარეობდეს ქართველების „ქალ-ქვას“-საგან, რომელმაც ჯვართან დაკავშირებით, ალბათ, მოგვცა ერთგვარი საშუალო სახელწოდება, რომელშიც ერთი მხრივ „მანგლისის ჯვარი“ არის გამოსატული („ჯვარი“) და მეორე მხრით — „ქალ-ქვა“ (მარამი).

ამ ქალ-ქვას აქაური მცხოვრებლები გადმოაბრუნებდნენ ხოლმე ხანგრძლივი გვალვისა ან წვიმიანობის დროს. ამ ჩვეულების შესახებ ვახუშტი გვატყობინებს: „პატრივანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გადააბრუნო, იქმნების უწვიმობა“.* „მარამ ჯვარის“ მარჯვნივ, რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე მოიპოვება რამდენიმე გამოქვაბული და ნაპრალი — პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი ბინა, რომელთა წინ აგრეთვე ეტყობა „ციკლოპური“ აგებულების ზღუდეები.

სოფ.გოხნარის მთის თავზე ლოდია, რომელსაც მამიდას ქვას ეძახიან. (თურმე) ლეკები მოსდევდნენ ქალს; იმას უთქვამს: ღმერთო, ოღონდ ამათ ხელში ნუ ჩამაგდებ და გამაქვავიო, ისიც გაქვავებულა. გვალვის დროს რუსები მიდიან იქ, პარაკლისს იხდიან, დაიკრამენ ქვასა და ეტყვიან: აგვე მამიდაო, და ასწვევენ სუბუქათა, ისე კი დიდი ქვაა, მძიმეა. გადააბრუნებენ და მერე გაავდრდება.

* ვახუშტის გეოგრაფია, გამოც. ი. ჯანაშვილის მიერ, გვ.60.

„ქვის პატარძალი“

გადმოცემით, მანგლისის მხარეში ხალხი სალოცავად დადიოდა ე.წ. „ქვის პატარძალთან“.

„ქვის პატარძალი“ მდებარეობს ლეკვას მთის (ყვითელი მთის) აღმოსავლეთ მხარეს, ძველი მანგლისიდან 8-10 კმ-ის დაშორებით.

რას წარმოადგენს „ქვის პატარძალი?“ — ეს არის დიდი ზომის ოთხკუთხა ქვა, რომელსაც შუალში ხეჩელი აქვს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ადგილას ქრისტეს შობამდე უნდა მდგარიყო წარმართული ტაძარი. ამ მოსაზრებას ამაგრებს ხალხში გავრცელებული წარმართული რიტუალი. მორწმუნეთა ღრმა რწმენით, აყადმოფი, რომელიც შეძლებს ხეჩელში გაძრომას, აუცილებლად გამოიჯანმრთილდება.

ქრისტიანულ ხანაში, 1035 წელს, წარმართული ტაძრის ნაცვლად აუგიათ ქრისტიანული ეკლესია, მაგრამ არა ძველი ტაძრის ადგილზე, არამედ ლეკვას მთაზე. წარმართული ტაძრისგან გადარჩა კედლის ქვემო ნაწილი და მას ეკლესიის მსახურნი სადგომად იყენებდნენ.

ქრისტიანული ტაძარი, ისევე როგორც წარმართული, აგებული იყო ბაზალტის ქვისაგან. ეკლესია დაუნგრევიათ ურწმუნოთ. უზარმაზარი ქვები მოწმობს, რომ ეს ტაძარი საკმაოდ დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო.

„ქვის პატარძლის“ წარმოქმნის შესახებ ხალხში გავრცელებულია ლეგენდა: ხუთ ძმას ერთი მზეთუნახავი და პყლია. საპატარძლოდ რომ გამზადებულა, სასიძოს მტრებს მისი მოტაცება და ამ გზით ქორწილის ჩაშლა განუზრახავთ. მომხდურებსა და ქალის ძმების შეტაკების დროს ძმები დაღუპულან. უპატრონოდ დარჩენილი ქალი ღმერთს შეეიდრებია, მტრის ხელში ნუ ჩამაგდებ, ღმერთოო, და ქცეულა ქვად, რომლისთვისაც „ქვის პატარძალი“ შეურქმევიათ. ძმების საფლავზე საპატარძლოდაკარგულ სასიძოს ფერები აღუმართავს. ამჟამად „ქვის პატარძლის“ სიახლოვეს ოთხი ფვარია. ერთი მთაგანი, ყველაზე დიდი, მინაზე დევს, სამი აღმართულია. მთხრობლების ნაამბობით, მეხუთე ფვარი ალგეთის ზემოთ, ქვის პატარძლისგან 10-12 კმ-ის დაშორებით, ბროლივით გამჭვირვალე წყაროსთან დაუდგამთ; იქვე ახლოს, 10-15 ნაბიჯის მოშორებით ნასოფლარია.

1974 წლამდე „ქვის პატარძალი“ დანგრეული ეკლესიის კედლებს შორის იყო მოქცეული. ამ წელს ერთ ბერძენს ეკლესიის აღდგენა განუზრახავს, კედლებიც ამოუყვანია, მაგრამ ეკლესია გადაუხურავი დარჩა.

წალკელმა ბერძნებმა „ქვის პატარძალი“ არ იცინან. ფერებს

ისინი გადარეულ ქვებს — დელი-ხანს უწოდებენ. მათი გად-
მოცემით, ჯჯრებს ერთი ურწმუნო უპატიოდ, არასაკადროსად
მოქცევიან. ღმერთს ჯჯრების შეურაცხყოფა ამ კაცისთვის არ
უპატიებია და გაუგოებია. მას შემდეგ გადარეული ქვები
ქვეიან, — ამტკიცებენ ბერძნები.

ალსანიშნავია, რომ მანგლისელები 1914 წლამდე ადიოდნენ
თურქი მღვდელთან ერთად „ქვის პატარძალთან“ და ლოცუ-
ლობდნენ. თუ ხშირი წვიმები იყო, აღმართავდნენ ძალიან
მაღალ ჯვარს; როცა გვალვა იყო — ჯვარს დაბლა დაუშ-
ვებდნენ.

თავალი არჩილ თარხანი

სიმონ სლივიცი ალდგომის დღესასწაულის აღწერისას გად-
მოგვცემს, რომ მას მანგლისში დღეობაზე მოუსმენია ასეთი
ღებენდა: ძნელბედობის ჟამს, როდესაც საქართველოს გამუდმე-
ბით ესეოდნენ მტრები, თავად არჩილ თარხანს შეუკრებია
დიდი რაზმი და მომხდურ თურქებს შებმია. ქართველებს
გაუმარჯვიათ. ამ ბრძოლაში მტერი გაუფლელტიათ, მათი სისხ-
ლით მინდორი მოურწყავთ. ვინც გადარჩა, გაქცევით უშველია
თავისთვის. მაგრამ დაღუპულა ახალგაზრდა თავადი არჩილი.
მეომრებს მის საფლავზე იმდენი მინა დაუყრიათ, რომ ბორცვი
აღმართულა. შემდგომში ბორცვზე ქვის ჯვარი დაუდგამთ.
ბორცვი ჩანულა, ხის ჯვარი კი გაშავებულა.

თქმულებები თევღორე მღვდელზე

მანგლისში სულ ტყე იყო. ოძისში იყო საყდარი. რო თქვეს
თათარი მოდისო, ოძისიდან გაიქცა ხალხი. თათარი რო მოვი-
და, მღვდელი კეტივდა ეკლესიას. დაიჭირეს მღვდელი და
კითხეს სად წავიდა შენი ხალხიო. მღვდელმა იფიქრა, ჯობია
მე მოკვდეო, ვიდრე ამდენი ხალხიო. მღვდელმა ატარა ისინი
და სხვაგან წაიყვანა კლდეკარში. ისეე უკან მოვიდნენ. ერთმა
თათარმა, სადაც გამოიარეს, ნიშანი დასდო — როცა იგივე
გზით გაატარა მღვდელმა, ადგნენ და მოკლეს.

თქმულება თევღორე მღვდლის შესახებ სხვა სახითაცაა შე-
მონახული:

ვაკისოფელი წასოფლარი ადგილია, უწინ ქველთა რქმევიან. ის
თევღორე ღვდელი მანდედან წაუყვანიათ ოსმალებსა (და უთქ-
ვამთ): გვანჯენე სად არის თქვენი ხემნიყყო (ლუარსაბი,
ნოსტეს ხემნიფი), ამას არ უჩვენებია; ერთი დღის გზა სამი
დღე უტარებია; ამათ გაუგიათ, რო ამან გზა აგვირია და
მოუკლიათ ის თევღორე ღვდელი. მერე მინდჯრის მწყემსებსა

გაუგიათ, რო ესეთი ამბავია, გაქცეულან და შეუტყობინებიათ, ხემნიფისთვინა.

ბელისწერა

სოკდაგრებს შემოალამდათ ერთ ტყეში, სადაც აღმოაჩინეს სახლიც. სთხოვეს სახლის პატრონს, რო ღამე გაეთიათ. სახლის პატრონმა ბოდში მოუხადა, რო ვერ შეასრულებდა მათ თხოვნას, რადგან ქალი მშობიარობსო.

ამათ უთხრეს, კარგით, აქ ვიქნებით ეზოშიო. ყველაფერს უსმენენ რაც ხდება. დაიბადა ვაჟი. მოფრინდენ ბედის მწერლები. ერთმა თქვა. მოდი ამ სოკდაგრების ქონება ამ ვაჟს დარჩესო, მეორემ თქვა, რო დაქორნილდეს მგელმა შეჭამოსო. დილით ერთ-ერთმა სოკდაგარმა ოჯახის უფროსს უთხრა — ეს ბავშვი მე უნდა მომანათლინოო და მე უნდა დამაქორნილებინოო. ნათლიამ სიმდიდრე დაანათლა. 16 წლის დააქორნინა, შეაიარალა მაწოონი.

ნეფე-დედოფლის დანოლის დრო რო მოვიდა გარედან დაკეტა ბოქლომით და შეიარაღებული ხალხი დაუყენა, როცა გახსნა დილით კარები ნახეს, რომ პატარძალი გადაქცეულა მგლად. ასე ვერ აცდა ბედისწერას.

ოჯახის ანბელოზი

ერთი მრავალრიცხოვანი ოჯახი უკულმა გზას დაადგა. ოჯახის მამას არაფერს აღარ უგონებდნენ. როცა ახალი წლის დილა თენდებოდა ოჯახის უფროსმაც უჯობრა ოჯახს და არ ადგა. ამგვარად მოვიდა შუადღე და არავინ არ დგება. ბოლოს ისევ ოჯახის მამას შეუნუხდა გული და იძულებული შეიქმნა ამდგარყო. კარები რო გააღო, ნახა, რო კარებიდან მიდის ერთი ნავალი თოვლზე, დახურა კარები, გადაითვალა ოჯახის წევრები და ნახა სუყველა ადგილზე იყო. გაუკვირდა, წაყვა ნავალს, მიყვა და მივიდა კლდეზე და დაინახა, რო ნავალი შეწყდა. შეეშინდა და თქვა: „ღმერთო მიშველე, ეს რა ხდება ჩემს თავსო“. ამ დროს გამოემცნაურა თავისი სახლის ანგელოზი, რომელმაც უთხრა: „მე თქვენი ოჯახის ანგელოზი ვარ, ახალი წელი გათენდა, რადგან თქვენ არავინ ადექათ, წამოვიდით. მე როგორც თქვენი სახლის კეთილი ანგელოზი ერთ უკანასკნელ თხოვნას კიდევ შეგისრულებო. წადი მოიფიქრე რას ინატრებ და მოდიო. წამოვიდა კაცი და ახალმა მოყვანულმა პატარძალმა უთხრა: სჯობს სთხოვეთ და თუ სჯობს მოგცემს, სიმდიდრე თავისთავად მოგვიცაო. ეს კაცი გამოიქცა

სორბილით და უთხრა ანგელოზს რძლის ნათქვამი. მაშინ ანგელოზმა უთხრა: „მე სიმნარეს გამოცხადები, რადგან სიტყვა გინდათ, წადით და მეც მოვდივარო. ოჯახში უფროს მამას უნდა უჯერებდნენ“.

დღესასწაულები

მანგლისის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი დღე: ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დღესასწაული იყო და დღესაც არის ახალწელიწადი. ახალი წლის პირველ დღეს ერთნაირი სიხარულით ელოდა და აღნიშნავდა მდიდარიც და ღარიბიც,

მის შესახებდრად განსაკუთრებულად ემზადებოდა ყველა ოჯახი.

მანგლისელები „ახალი წლის წინა ღამის გამოაცხობდნენ „ბახილას“ — გააკეთებდნენ ცომით ადამიანის ფიგურას, ცომის ქმარს შემოარტყამდნენ, ჩაურჭობდნენ ჩიკვონს გულეების თვალებს, ჯოხებს გააკეთებდნენ ცომისაგან. ღამე ციციხლს არ გააქრობდნენ. კლავდნენ ცხვარს, ძროხას, ქათამს, პურის კოკორებს ჩამოკიდებდნენ სახლში.

ღილის 5 საათზე ადგებოდა ოჯახის უფროსი. შევიდოდა საქონელთან, შეუწრიდა საახალწლო საკვებს, შემდეგ ანთებული თაფლის სანთლით და ხის თაბახით, რაზეც ეწყო გოზინაყი, თაფლი, ნამცხვარი, შემოუვლიდა სახლს, მერე შინ შევიდოდა და იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდით ღმერთი. ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო“, ტკბილეულს ჩამოარიგებდა და უსურვებდა ოჯახის წევრებს: „ესე ტკბილად დაბერდით, მრავალს დაესწართო“.

სუფრა გაშლილი იყო და ეწყო ღორის თავი, გოზინაყი, ქათამი, მრავალი ტკბილეული. სახლის დაგვა არ იცოდნენ სამ დღეს. არც წყალს დააქცევდნენ — ჭიანჭველა გაგვიჩნდებო. მეკვლედ იცოდნენ ძირითადად ოჯახის უფროსი, ან კაცი, რომლის ფეხიც კარგად ჰქონდათ დაცდილი“.⁸⁵

საერთოდ, მეკვლეობა და მილოცვა ქართული ხალხური საახალწლო რიტუალის ძირითადი მომენტებია. მათი დანაშნულეობა მთელი წლის განმავლობაში ოჯახის ჯანმრთელობის, დოქლათიანობისა და ბედნიერების დაბეჭებაა.

ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ მოდიოდა სუფსარქისი, რომელსაც, აგრეთვე, თავისებურად ხედაობდნენ:

„ამ დღეს მანგლისში აკეთებდნენ „ქუმელას“. ხორბალს არსევენ, დახლიან და ისე ფქვავენ. მერე აღუღებულ წყალს დაასხამენ, კოვზით აურევენ და ზემოდან მოაყრიან ქუმიშს ან კანფიტებს.“⁸⁶

სუფსარქისის დროს უმეტესად ქარი იცოდა. ძლიერი ქარის დროს შეშინებული გლეხი თავისებური ლოცვა-ღიქვით შესთხოვდა ჩამდგარიყო ქარი: „ქარი აღექა, ჩადექა, შენსა ბინას მიდექა. შენსა ცოლსა მარიამსა სამი შვილი აკოლებოდა. ერთი — კოჭლი, ერთი — ბრუცი, ერთი ყველას სჯობნებოდა. მალე მიხვალ, მოგიჩვენებ, გვიან მიხვალ, მოგიკვდება.“⁸⁷ ამ ლექსს სამჯერ იტყობდნენ და სჯეროდათ, რომ ქარი ჩადგებოდა.

მანგლისსა და მის მიმდებარე სოფლებში განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავდნენ იესო ქრისტეს „მოკვდრეთით აღდგომის“ აღსანიშნავ მთავარ ქრისტიანულ დღესასწაულს -- აღდგომას.

აღდგომას წინ უსწრებდა ყველიერი, რომელიც იწყებოდა ორშაბათიდან და ერთი კვირა გრძელდებოდა. ყველიერის დროს აცხობდნენ ქადას: მოზელდნენ ცომს, ერბოს დაადგამდნენ ქვებით, ჩაყრიდნენ პესოკს, ფქვილს და ურეკდნენ კოვზით. შემდეგ მოზელილ ცომს ძალიან თხლად გააბრტყელებდნენ და შიგ ჩადებდნენ ქადის გულს. ანთებდნენ ფურნეს და შიგ შეაწყობდნენ.

აცხობდნენ, აგრეთვე, ნაზუქს. ფქვილს მოზელდნენ რძეში, უზამდნენ კვერცხს, შაქარს და ერბოს. ეს გაღვივდებოდა, ამოიღებდნენ, დაჭრიდნენ დანით და ფურნეში რომ შეაწყობდნენ, უსვამდნენ კვერცხს.

ყველიერის დროს იყო ლხინი და ჭიდაობა“.⁸⁸

ყველიერის დამთავრების შემდეგ იწყებოდა ორმოცდღიანი მარხვა — დიდი მარხვა, რომელიც მორწმუნეებს აღდგომის შესახებდრად ამზადებდა. აღდგომის დღესასწაული გრძელდებოდა ერთ კვირას /ნათელი კვირა/, ახალკვირამდე /კვირაცხოველი/.

აღდგომა დღეს და აღდგომის მეორე დღესაც მანგლისის უძველესი ტაძრის ეზოში საზეიმოდ გამოწყობილი ქალი თუ კაცი იყრიდა თავს. მლოცველები მოდიოდნენ შორეული სოფლებიდანაც. ისინი ურმებით მოდიოდნენ და ეკლესიის გარშემო ბანაკდებოდნენ. დღესასწაულს ზეიმობდნენ სხვა სოფლებიდან მოსული თავადებიც.

86 მთხრ. მარო მარიკაშვილი

87 მთხრ. ანიკო გოგლიძე-კალმახელიძე

88 მთხრ. მარო მარიკაშვილი

ტაძარი გაჩირალდნებული იყო სანთლებით. მოძღვარი წირვას იხდიდა. „გარეთ, ტაძრის ეზოში, ისმოდა დაირის, ჩონგურის და სტყირის ხმები. ლურჯი სუფრის გარშემო, რომელზედაც უხვად ეწყო სურსათი და ღვინოები აზარფეშებით, ისხდნენ მეზობელი სოფლების მფლობელები. ამათში ერია საზანდარიც, რომლის გამოჩენასაც ხალხი დიდი სიხარულით ხვდებოდა და რომელსაც სთხოვდნენ ემღერა“. ასე აღწერს ალდგომის მეორე დღეს მანგლისის ტაძარში გამართულ ზეიმს თვითმხილველი და მონაწილე იხლივიციკი⁸⁹

ალდგომის მეორე დღეს იმართებოდა ქრისტეს ზეცად ამალლების აღსანიშნავი დღესასწაული — ამალება. ამალების დღესასწაული საყოველთაო გახდა ქრისტიანული ეკლესიისათვის IV-V საუკუნეებში. ალბათ, ამ დროიდან მოყოლებული აღნიშნავს ამ დღესასწაულს მანგლისის, ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი კერის, მოსახლეობაც.

ამალეება მთხრობლები „არიფნობას“ უწოდებდნენ. ამ დღეობაში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. ამით ისინი თითქოს თანადგომას უცხადებდნენ ღვთისმშობელს, რომელსაც შვილი გაუცოცხლდა.

„არიფნობა დღეს ქალები შევაგროვებდით ფულს. ამ ფულით ვიყიდდით სასმელს. უბან-უბანით სახლებში გაჰამზადებდით, რაც კი რამ გექონდა, გამოჰაცხობდით ნამცხვარს და აუცილებლად შეჰადებდით მანონს

ყველა ქალი თავის „პოდნუცზე“ ან ხის ტაბაკზე გადააფარებდა თეთრ სუფრას, ზედ დაანყობდა საქმელ-სასმელს. ზემოდან კიდევ გადააფარებდა თეთრ სუფრას და ასე მივიდოდა დანშულ ადგილას.

არიფნობა დღეს შევიკრობოდით ვინმეს სახლში /ყველა უბან იკრიბებოდა/, ვინცუბდით დროსტარებას. ყველას თავისი „პოდნუცი“ ედო და იქდან ჭამდა საქმელს“.⁹⁰

სადილობის შემდეგ იმართებოდა გართობა-თამაშობანი. საღამოს კი დაიშლებოდნენ და თავ-თავიანთ სახლებში მიდიოდნენ.

ამალეებიდან მეათე დღეს, ე.ი. ქრისტეს ნამებიდან 50-ე დღეს, ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს საუფლო დღესასწაულს სამების სულთ მოფენას — სულიწმიდის მოფენას. სახარების თანახმად, ამ დღეს იერუსალიმში ქრისტეს მონაფეებზე სულიწმიდა ცეცხლის ენებად გადმოსულა და მოციქულებს შესძენიათ უნარი ქრისტიანობა ექადაგათ სხვადასხვა ხალხში, სხვადასხვა ენაზე, მოეხდინათ სასწაული.

89. И. А. Сливников. Древний храм в Манглиси, Тифлис, 1902, стр. 35.

90 მთხრ ლება ივანეს ასული შანიძე.

მანგლისის მხარეში სულთმოფენობა იმართებოდა ყოველთვის. ამ დღეს მიცვალებულთა პატრონები დაკრეფდნენ ყველანაირი ხეილის ტოტებს, ვარდებს, მინდვრის ყვავილებს და თავთავიანთ მიცვალებულებს საფლავებზე დაუფენდნენ, მათი სუნი ესაიმოვნებათო. ეს დღე მიცვალებულთა მოსაგონარი იყო. სულიწმინდის დღესასწაული აღინიშნება დღესაც და ემთხვევა შაბათ-კვირას.

სულიწმინდის დღესასწაული როგორ იმართებოდა მანგლისში, სრულ წარმოდგენას გვაძლევს კონსტანტინე გამსახურდია „დაკრით აღმაშენებელში“ /წიგნი მეორე/;

„აიყარნენ მეფე და ტაძრეული, ორი ათასი თოროსანი რაინდი ეახლა მათ, საზეიმოდ მორთულ ჯვარისმტვირთველს თან გაჰყვნენ მანგლისისაკენ.“

სულიწმინდის მოფენის დღე იყო.

ტირფითა და ველის ყვავილებით შეემოსათ სახლების სვეტები, ჭიშკრები და ქოლბაქები მკვიდრთ. თორ-მუზარადში, ცხენსაკაზმში ბზის ტოტები ჰქონდათ ჩანწული რაინდებს...

ხეობიდან შემოკრეფილნი მოსეირენი ფსალმუნის გალობით ეგებებოდნენ ჯვარისმტვირთველსა და სეფიდროშას.

“უფალო, ძალითა შენთა იხარებდეს მეფე

და მაცხოვარებითა შენთა იშვებდეს ფრიად“.

ქვაბუბიდან გამოსულნი მემღვიმენი, მონები, უზოვარნი და გლახაკნი მტფრიან გზაზე ეცემოდნენ პირქვე, მერმე სდგებოდნენ და უკან მისდევდნენ დასდასად მიმავალ ლაშქართ.

სეფიდროშა დადგის ეკლესიის კართან...

მანგლელი და მამაი ბასილი სწირავენ იმ დღეს. შეიდი ეპისკოპოსი თანამწირველად ჰყავდათ...

საზეიმოდ იყო ტაძარი მორთული. ხატებიც ვარდებით მოერთოთ, ვარდები ეჭირათ ეპისკოპოსებს ხელში, მთელი ეკლესია ვარდებით იყო შემკული...

წაწირვეს დიდხანს იქადაგა მანგლელმა. ბისონის იმყორით მოსილს პირისფერი ვარდები ეჭირა ხელში; ვარდებით მოფენილ ორხოყანზე იდგა სახეიამზრალი ბერიკაცი და აღგზნებული ოქროპირობდა სიკვიდილისა და უკანასკნელი განკითხვისათვის. ჰქარდავდა ამ სანუთროთი შემსტვალულთ, ხორციელ ტკობასა და მოლხენას. იმუქრებოდა ჯოჯოხეთის უშრეტი გინით...

ქადაგება დაასრულა, მაგრამ არვინ აპირებდა ტაძრიდან გასვლას, რადგან ეხოც გაჭედილი იყო და კარიბჭეებიდან ახალ-ახალი ტალღა მლოცველებისა მოიკაფავდა ეკლესიისაკენ გზას.

კვნესოდნენ დიაკობი, ლნაოდნენ ბაღლები, მაინც ტაძრისკენ მოისწრაფოდა ხალხი, ოთხივე ჭიშკარს ჩუხჩნი იკავდნენ, *მა-

გრამ კვლარ აკავებდნენ ბრბოს".

მანგლისის მხარეში გაჩრდილებულ დღეობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მარიაშობა — წმინდა მარიამის მიძინების (გარდაცვალების) აღსანიშნავი დღესასწაული, რომელიც იმართებოდა და დღესაც იმართება 28 აგვისტოს. აგვისტოს (მარიაშობის) თვის ძველი ქართული სახელწოდებაა „ქუელთობა“. ამ თვეში იწყება შემოდგომისთვის მზადება, იმართება საშემოდგომო ხვნა-თესვა, კალოობა, პურეულის მოსავლის დაბინაჟება. ამ დროს ბალ-ვენახები შეიმოსულია. ერთი სიტყვით, მარიაშობის დღესასწაული მოქცეულია სამეურნეო წლის დასასრულს. ამიტომაც რიტუალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალ ხილს, ყურძენს.

მანგლისელები განსაკუთრებული აქტიურობით, ხალისით აღნიშნავდნენ ყოველთვის მარიაშობას. მანგლისის ღვთისმშობლის ტაძარში ამ დღეს უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი შორეული სოფლებიდანაც. სრულდებოდა საკულტო წესები: ნათლავდნენ ბავშვებს, აქვე კლავდნენ შესანირს, მართავდნენ პურობას, შესანირი, საღმრთო შეიძლებოდა ცხვარი, მამალი. საკლავი უნდა ყოფილიყო თეთრი. ცხვრის რქებზე სამ სანთელს დაანთებდნენ, სანთლითვე ოდნავ მოუნვაჟდნენ ბენჯს ფერდზე, სამჯერ შემოაჭარებდნენ ეკლესიას, შემდეგ დაკლავდნენ და ყველაფერს, რაც საჭმელად უვარგისი იყო, მინაში მარხავდნენ, რათა რომელიმე უწმინდური ცხოველის საფიჯგნი არ გამხდარიყო.

ამ დღეს მღვდელს ხილს აკურთხებინებდნენ. გადიოდნენ საფლავებზეც.

დღევანდელი მანგლისელების უფროს და საშუალო თაობასაც კი კარგად ახსოვს როგორი ხალხმრავალი და მხიარული დღესასწაული იყო მარიაშობა არცთუ დიდი ხნის წინ და როგორი სიზუსტით სრულდებოდა საკულტო წესები.

რელიგიური დღესასწაულების გარდა ძველად თბილისში და, საერთოდ, საქართველოს თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში იმართებოდა მასობრივი ხალხური სანახაობა — ყეენობა. ეს იყო ქართული ხალხური თეატრის ერთ-ერთი სახეობა. მისი სანწყისები სამინათმოქმედო, განაყოფიერების კულტის მისტიკრიულ წარმოდგენებშია. შემდგომ ჩამოსცილდა რელიგიური შინაარსი და დამყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის გამომხატველ სანახაობად იქცა.

ყეენობა იმართებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათ დღეს. ამ ორშაბათს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებდნენ: შავი ორშაბათი, იკუმეჭა, დიდი ორშაბათი, დიდმარხვის ორშაბათი, წმინდა ორშაბათი.

დიდმარხვის პირველ ორშაბათ დილას აიშლებოდა მთელი

სოფელი, აღმართაჲდა მტრედისფერ დროშას მაღალი ტარით, რომლის სიგრძის მიხედვითაც მიმდინარე წლის მოსავლის რაოდენობასაც განსაზღვრავდნენ აირჩევდნენ ყეენს და მის ამაღას. ყეენის არჩევა ერთი გარკვეული წესით ხდებოდა ყოველ წელს ახალ ყეენს ასახელებდნენ. თუ ყეენის ქარგ ფეხს დაცდიდნენ, — „კარგი ფეხს მქონესა და ბედნიერი წელიწადის მომკანს“, მას განმეორებით აირჩევდნენ, ხოლო „მძიმე ფეხის მქონე ყეენის გადარჩევა აუცილებელი ხდებოდა. ყეენად ირჩევდნენ ღონიერ და მჭკვრემტყველ ახალგაზრდა კაცს, უფრო ხშირად — ახალდაქორწინებულ, „ნეფის ძეგლას“. თუ სოფელში რამდენიმე „ნეფის ძეგლა“ იყო, შეარჩევდნენ მათ შორის ყველაზე წარმოსადგება და მჭკვრემტყველს, რათა იმ წელს მაღალი და ღონიერი მოსავალი მიეღოთ. განსაკუთრებული იყო ყეენის მორთულობა, ზოგჯერ მას სახე შავად უნდა შეეღება და ხელოვნური, თმის წვერ-ულვაში უნდა გაეკეთებინა. ცხვრის გადმობრუნებული ტყავკაბა ხან ეცვა და ხან წამოხურული ჰქონდა.

კახეთისა და ქართლის სოფლებში ყეენთან ერთად დედოფალსაც ირჩევდნენ. „ყეენობაში მონაწილე დედოფალი ჩიხტაკობით ან აბრეშუმის წითელი ქალაღადით იყო მორთული, ქართული კაბა ან სოფელურ ყაიდაზე შეკერილი ჩითის კაბა ეცვა... დედოფალი, რომელსაც აქაც ვაჟი ასახეირებდა, სახეზე ფერუმაროლს ისვამდა და ნაჭრებისგან მკერდს იკეთებდა“.⁹¹

მანგლისსა და მისი შემოგარენი სოფლების სინამდვილეში მოპოვებული მასალის მიხედვით, დედოფლის არჩევა არ დასტურდება. ამ სოფლებში ირჩევდნენ მხოლოდ ყეენს. „მას თავზე დაახურავდნენ ჩალისაგან ან თივისაგან გაკეთებულ მრგვალ ქუდს, რომელიც, ალბათ, მაჰმადიანური ჩალმის მაგივრობას სწევდა. ყეენს შეუკრავდნენ ფეხებს. ორივე ფეხს შუა გაუდებდნენ ფიცარს და ისე დასვამდნენ თვალსაჩინო ადგილას, სადაც ხალხი იყრიადა თავს. ყველა მომხვედელი მასხრად იგდებდა, დაცინოდა, უწმანურ სიტყვებს უეზნებოდა. ხალხი გულს რომ იჯერებდა ამ სანახაობის ყურებით, ყეენს უკულმა შესვამდნენ ვირზე და მიიყვანდნენ წინასწარ დაგუბებულ წყალთან, რომელშიც ნაკვლს ყრიდნენ, რათა უფრო გაჭუჭყიანებულიყო. ყეენს ჩააგდებდნენ ამ ჭუჭყიან წყალში. თუ ვინმე მოშველებას მოინდომებდა, იმასაც აგდებდნენ შიგ. ჩინგის ხანზე გაბრაზებული ხალხი თავის გულის ჯაფრს ყეენზე იყრიადა“.⁹²

ყეენს წყალში ჩაგდების დროს ტანსაცმელი ეცვა. რამდენიმე წუთის შემდეგ წყლიდან ამოჰყავდათ, რომ არ გაცივებულიყო. კახეთისა და ქართლის სოფლებში „ხალხს ყეენი და დედოფალი ურმით, სახედრით, ცხენით ან ხელში აყვანილები მდინარეზე

91. ჯ.რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული თბ., 1966. გვ. 11

92. მთხრ. ლუბა მანაიძე.

მიჰყავდა, მაჭრონიც მიჰყვებოდა... დედოფალს და ყენს წყალში ან პირდაპირ ურმით შეიყვანდნენ, ან ცხენიდან თუ ვირიდან ხელისკრით ჩაყრიდნენ. წყალში ჩასული ყენი ზოგჯერ თასით ღვინოს შესვამდა... ამის შემდეგ ყენი და დედოფალი ქულებს მოიხდიდნენ, წყლით ააყებდნენ და ხალხს წუნავდნენ. თან დაილოცებოდნენ: გაგიმრავლდეთ ძროხა, ცხვარი, კრუხი, ნინილა და ასე მრავალი მოგსელოდეთ პურიო".⁹³

მანგლისის მხარეში ყენის გაშიშვლებას ერიდებოდნენ. დიდი სიცივეების დროს ყენს წყალში არ ჩააგდებდნენ, „ავად არ გახდეს და ცუდი მოსაყალი არ მოგვიყვანოსო“. მას წყალს მიაპკურებდნენ და იტყვიდნენ: „ნამი, ნამი, ნამი და მოსაყალიო“.

ქართლის ზოგიერთ სოფელში სამი ყენიც ჰყოლიათ. აქედან — ერთი კაცი და ორი ქალი. სოფლელების ღრმა რწმენით, ქალების მიერ განსახიერებელი ყენის შემთხვევაში უფრო კარგი მოსავალი მოდიოდა.

ყენის წყალში დახრჩობის შემდეგ ხალხი სალამოს შეიკრიბებოდა და იმართებოდა ლხინი, ქეიფი, ზეიმობდნენ საძულეელი „ყენის“ დახრჩობას. ნადიმისათვის წინასწარ აკრეფილი ფულით ყიდულობდნენ სურსათ-სანოვაგებს. ამავე დროს ყენობის ყველა მონანილეს თავისი ოჯახის ნამზადიც მიჰქონდა.

კახეთში ქალებს ევალებოდათ სადილის თუ ვახშამის მომზადება, „მაგრამ ლხინში მონანილეობა ეკრძალებოდათ“.⁹⁴

მანგლისის მხარეში კი ლხინში მონანილეობის უფლება ქალებსაც ჰქონდათ. ხალხი სალამო ხანს უბან-უბან შეიკრიბებოდა. ღამეს ათენებდნენ. იცვამდნენ სხვადასხვა ტანსაცმელს, ქალი — კაცისას, კაცი — ქალისას. იყო ხუმრობა, ციკვა, მხიარულება. დღესასწაულობდნენ ყენის დახრჩობას.⁹⁵

ყენობის ლხინ ერთ კვირას გრძელდებოდა. ლხინის დროს იმართებოდა წრთული და ორსართულიანი ფერხული, სხვადასხვა თამაშობანი.

ასე მთავრდებოდა ეს მხიარული დღესასწაული. სოფელი სიმშვიდეს ეძლეოდა და ყოველდღიური, საქმიანი ცხოვრების ფერხულში ებმებოდა.

ყენობამ XIX საუკუნეში ბევრჯერ იცვალა სახე. 80-იან წლებში ყენი ტყავადაბრუნებული ტანსამოსის ნაცვლად კიტელს იცვამდა. ასეთ კოსტუმში ის ასახიერებდა სამსახურიდან გადამდგარ რუს ოფიცრებსა და მოხელეებს.

დროთა განმავლობაში ყენობის წესები იცვლებოდა, ირღვე-

93. ჭრუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბ., 1966, გვ.13.

94. თ.ბერიძე, ერთი სურათი ძველი თბილისის ყოფიდან ეჭრნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, 7-8, გვ.73.

95. მთხრ. ლუბა მანაიძე.

ოდა. ყვენობის ნაცვლად გაჩნდა ყვენობის ქუდი, რომელშიც ქართული კულტურის მედროშეს ილიასაც მიუღია მონაწილეობა.*

მანგლისის მხარეში განსაკუთრებული სიამაყითა და პატივითული გრძნობით აღინიშნება საერთო-ეროვნული სახალხო დღესასწაული — დიდგორობა. ყოველ წელს, 12 აგვისტოს, იმ დღეს, როდესაც დაეთ აღმაშენებლის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო დიდგორის ველზე, დიდი ზეიმი იმართება დიდგორის ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან. გარდა თეთრი წყაროს, მცხეთისა და კასპის რაიონების მოსახლეობისა, რომლებიც დღეობის მასპინძლები არიან, ამ დღეს აქ უამრავი ხალხი იყრის თავს თბილისიდან, ქვემო და შიდა ქართლის რაიონებიდან, ახლომდებარე სოფლებიდან. დილიდანვე უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი. მოდიან მანქანით, ურმით, ცხენით, ფეხით. ინთება სანთელი, იკვლება საკლავი, მღვდელი ღმერთს ავედრებს მამულისათვის დაცემულ გმირთა სულებს. ტარდება სმორტული და მხატვრული ღონისძიებები. გამოფენები, იმართება ბაზრობა. ზეიმს, როგორც წესი, ესწრებიან ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი, სხვა ოფიციალური პირები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

აღსანიშნავია, რომ მკვიდრდება დიდგორის ველზე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა საზეიმო შეხვედრების ტრადიცია.

საქორწინო წეს-ჩვეულება

ქართველ კაცს უთქვამს: „სახლი დავდგი ვერხვისაო, საძირკველი ვერცხლისაო, შიგ დედოფალი მობრძანდა ბედნიერი ფეხისაო“.

დედოფლის მობრძანება, ბუნებრივია, ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ ხდებოდა. ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მანგლისის მხარეში არცთუ იშვიათი იყო ქალის გატაცებისა და პირიქით — ოჯახში ქალის ძალად მისვლის შემთხვევები. ქალები ძალად მიდიოდნენ ძირითადად ისეთ ოჯახებში, რომელთა გვარიც განთქმული იყო ბიჭიანობით, ე.ი. ქალი დარწმუნებული იყო, რომ თუ ასეთი ოჯახის რძალი გახდებოდა, აუცილებლად ვაჟი შეეძინებოდა. მთხრობელი სოლო გაბიდაური /85 წლისა, ჩანერილია 1981 წელს/: „ქალი ხანდახან თვითონ მოდიოდა. მოვიდოდა სახლში და

დაჯდებოდა და არსად არ წავიდოდა. იტყოდა, ჩემი ბედ-
ყონსათი ეს ოჯახიაო. ჩემს ქმასაც ასე ძალად დაუჯდა ქალი
სახლში“.

მანგლისსა და მის მიმდებარე სოფლებში, ისევე როგორც
მთელ საქართველოში, ქორწინება სისხლით ნათესავებს შორის
დაუშვებელი იყო. მეზობლების შეუღლებას კი ხელს არავინ
უშლიდა. სახელგატივთილ ვაჟს, „დროებით რომ მაიყვანდა ცოლს“,
ეი. ცოლგაშეგებულს, წუნობდნენ.

ხშირად ქალ-ვაჟის ბედი მათ დაუკითხავად, ოჯახების ერთ-
მანეთში მორიგებით წყდებოდა. ისინი ერთმანეთს არც იც-
ნობდნენ. ქალს ვაჟის პატრონები შორიდან შეხედავდნენ დღე-
ობაში ან ქორწილში. თუ მოეწონებოდათ, მოკლაპარაკებოდნენ
სანდო ადამიანს (ნათლიას, დედისძმას, ბიძაშვილს) და გაგზა-
ვნიდნენ ქალის ოჯახში. განსაკუთრებული პატივისცემით ეყუ-
რობოდნენ ნათლიას. მანგლისში იტყოდნენ: „ნათლიის ბანზე
არ გაივლიან, მინა არ ჩაუცვივდეს ნათლიასაო“. ქალის გარი-
გებაში ნათესავ-მოკეთთა მონაწილეობას ნდობის ფაქტორი
განაპირობებდა -- ნათესავს დაეჯერება, მას შხოლოდ კარგი
ენდომება თავისიანისთვისო. გარიგება ხდებოდა ქალის მამის
ოჯახში. შუაკაცი შაბათ საღამოს არყით მიადგებოდა ქალის
მამას. სოლო გაბიდაურის ნაამბობიდან: „შაბათ საღამოს სტუ-
მარ-მასპინძელი ისრე ილაღანებს, იქნება შუაკაცობაზე სიტყვაც
არ დაძრას და მხოლოდ მეორე დღეს ჩამოაგდოს ლაპარაკი
მისვლის ნამდვილ მიზანზე“. იყო შემთხვევები, როდესაც საქმის
გარიგებას უცხოს — „მარჯიკალს“ ანუ მაჭანკალს სთხოვდნენ.
მაჭანკალი ამისათვის გასამრჯელოს ითხოვდა. ზოგი ცხვარს
აძლევდა, ზოგი — ფულს.

მთხრობელი ვასო დევსურაშვილი გვიამბობს /82 წლისა,
ჩანერლია 1981 წელს/: „ქალს გახინჯავდნენ. ბიჭი და გოგო
ერთმანეთს არ იცნობდნენ. ბიჭის პატრონები გოგოს დღეობა-
ში ან ქორწილში ნახავდნენ, რომ კოჭლი ან ბრუცინი არ
ყოფილიყო. ვინაც გული ენდობოდა, მი ნათესავს ან მაჭანკალს
მოკლაპარაკებოდნენ. მაშა და დედა არ მიდიოდნენ. ნათლიას
ან ბიძაშვილს გააგზავნიდნენ ქალის სახლში. ქალს სახე
თავშალით ჰქონდა ახვეული. კაცის ხარჯით მოდიოდნენ: ქადა,
ნაზუჭი, ლავაში, გუდის ყველი, ცხვარი, უთვლო ბიჭყადი,
შაღები. პატარძალი ჯერ დამალული იყო, მერე კაცის მეჯ-
ვარე გამოიყვანდა. სუფრას გაშლიდნენ და ასე იტყოდნენ:
„ჩამოჯექ ჩემო ნათლიას მამაო“. პატარძლის დიდ-მამას ჯერ
დაუტოვებდნენ ბელგას. ბელგის დროს დალივდნენ ერთ ჭიქა
არაყს. თუ მოეწონებოდათ პატარძალი, მერე დანიშნავდნენ.
ბელგის დროს ჯერ ერთხელ მიკიდოდნენ, მერე მყორეჯერ,
შემდეგ მესამეჯერ, მერე ეტყოდნენ თანხიობას. ამის შემდეგ

მაჭანგალი წავიდოდა ბიჭის მშობლებთან და ეტყუა, თქვენი საქმე გავაკეთეთ. ამის შემდეგ იყო დანიშნა“.

იყო შემთხვევები, როდესაც ქალის მშობლები, თუკი ვაჟის შესახებ რაიმეს ცუდს გაიგებდნენ, ბელგას უკან დაუბრუნებდნენ, მიუყრიდნენ.

ბელგის შემდეგ იყო პატარა ნიშანი — დასაწიანი ქალისათვის ბელგაზე უფრო მეტი მისატანი. მაგალითად, ქალისათვის თავსახურავის მიტანა ბელგაში სავალდებულო არ იყო, მაგრამ პატარა ნიშნისთვის იგი აუცილებელი ელემენტი ყოფილა. მიჰქონდათ არაყი, საჭმელი, აუცილებლად — ქადა, რომელსაც იმდენ ნაჭრად დაჭრიდნენ, რამდენი თანამესუფრეც იჯდა ნიშნობის სუფრასთან. სუფრას უშლიდა, ცხადია, ქალის ოჯახი. ის მზად ხვდებოდა ვაჟიანთ. პურის ქამის დანყების წინ ყვილა თავის წილ ქადის ნაჭერს შეჭამდა. ქადის რიტუალური დანიშნულების შესახებ საინტერესო მასალები არსებობს /პროფ. ვ.ბარდაველიძე/. ქადა წმინდა შესანიშნავი იყო ხატებისათვის, სახატო დღეობების სუფრაზე იგი აუცილებელ და თავ ელემენტთაგანს წარმოადგენდა. ქადა კეთდებოდა წმინდა პურისა და ერბოს შეზავებით და მისი გამოყენება ნიშნობაშიც რიტუალური დანიშნულებით სავსებით გამართლებული და კანონზომიერი.

ბელგისა და პატარა ნიშნობის შესრულებით ქალის საპატარძლოდ „დათავისება“ მთავრდებოდა. ვაჟი არცერთ მათგანში უშუალოდ არ მონაწილეობდა. ამ მხრივ განსხვავებული იყო გასათხოვარი ქალის მდგომარეობა. ბელგის დროს ქალი არ გამოდიოდა მაჭანკალთან, პატარა ნიშანში კი გამოჩნდებოდა. საპატარძლოს უფლება არ ჰქონდა დალაპარაკებოდა ვაჟის მშობლებს. თუ გავსაუბრებოდნენ, არ უნდა ეპასუხა. მოსმენით უნდა მოესმინა, დავალება შეესრულებინა, მაგრამ უხმოდ, უსიტყვოდ.

ბელგისა და პატარა ნიშნის შემდეგ ხდებოდა ე.წ. სახლის სანახავი ანუ დიდი ნიშანი. როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, დიდი ნიშანი მანგლისში ნახევარი ქორწილიაო. პატარა ნიშნის მიტანის შემდეგ ვაჟის კომლი დიდი ნიშნის მომზადებისათვის იწყებდა თადარგის დაჭერას. პატარა ნიშნობიდან დიდ ნიშნობამდე დროის შუალედი სამიდან ხუთ თვემდე აღწევდა.

“დიდ ნიშანში“ სასიძოს მიჰყვებოდნენ მაცრები. მაყართა რაოდენობა 10-დან 20მდე იყო. ვაჟს რამდენი კაციც მიჰყავდა, იმდენისათვის სამყოფი საჭმელი უნდა წაეღო ქალიანთას. რამდენსაც ახვიდრებდნენ ქალის მშობლები, იმდენზე თვითონ უნდა მომზადებულყოფნენ. დიდ ნიშნობაზე ჩნდება ორი ახალი პიროვნება — ეჯიბი და მეჯვარი. ეჯიბს ებარა საჭმელ-

სასიელი და მაცრები. ეჯობად აუცილებლად შეარჩევდნენ ნეფის ბიძაშვილს, ასაკოვან კაცს -- არც მოხუცს და არც ახალგაზრდას. თუ ბიძაშვილი ძალიან ახალგაზრდა იყო, გამოუვალ შემთხვევაში უფროსს უნებნავდნენ. ეჯობის მოვალეობა მექორწინე ნეფილის გვირგვინის მოხდისთანავე მთაჯრდება, ხოლო მეჯვარე-ნათლია საშვილიშვილოდაა დაკავშირებული ამ ოჯახთან. ეჯიფი /ეჯიბი/ სანიფოს მკვიდრი, ძირი ნათესავია, მეჯორე-მეჯვარე კი არ არის ნათესავი, ის ახალი მოკეთება. ეჯიბის მოვალეობას „დიდ ნიშნში“ შეადგენდა ნეფის ოჯახიდან ნიშნობის პურობისათვის განკუთვნილი მისატანის საპატარძლო სახლის მიერ გამოყოფილი მეუფროსისათვის გადაცემა. დიდ ნიშნობაში ძირითადად სასიძოს ოჯახის პურ-მარლით იშლებოდა სუფრა. ქალის ოჯახი შედარებით მცირედ მოემზადებოდა ხოლმე. საპატარძლოს მოგვიანებით მეჯვარე შემოიყვანდა, მაგრამ ნეფის გვერდით არ უნდა დამეჯდარიყო. დიდ ნიშნობაგადახდილ ქალ-ვაჟს ეკრძალებოდა არათუ განმარტობულად საუბარი, პირისპირ შეხვედრაც კი. თუ ქალის სახლში მივიდოდა სასიძო, საპატარძლოს დედა ქალს ახლოს არ გააკარებდა, — „ჩემი ქალი ჯერ პატარააო“, — ეტყოდა.

ქალ-ვაჟი დანიშნული იყო დაახლოებით ერთი წელი, შეიძლებოდა ორი და იშვიათად სამი წელიც კი.

ნიშნობის ვადის გასვლის შემდეგ ინიშნებოდა ქორწილი.

ქორწილისთვის ემზადებოდა როგორც ქალის, ასევე ვაჟის ოჯახიც. ქორწილი იმართებოდა საღამოთი. ერთ საღამოს ქალთან იყო, მეორე საღამოს — ვაჟთან.

ქორწილის დღეს პატარძლის ოჯახში მიდიოდა სიძე. მას თან მიჰყავდა თერთმეტი მაცარი, საუკეთესო ვაჭკაცები, რომელთაც ჰყავდათ უფროსი — ეჯიბი. წაიყვანდნენ ერთ ქალსაც, რადგან პატარძლის წამოყვანის დროს ქალის იქ ყოფნა აუცილებელი იყო. პატარძლისთვის მიჰყავდათ ერთი ცხენი.

პატარძლის მშობლები სუფრას გაშლილს ახვიდრებდნენ სიძეს და მის მაცრონს. ქალის ოჯახში ქორწილი მალე მთაჯრდებოდა. აიშლებოდნენ და ახლა ქალის მაცრები გაჰყვებოდნენ მექორწინეებს. მათ შორის პირველი ადგილი ქალის ძმას ეკუთვნოდა, რომელსაც მზითვეა ჰქონდა ჩაბარებული.

ნეფის სახლში პატარძალს ჯვარდაუნერელს არ მიიყვანდნენ. თუ ეკლესია იმავე სოფელში იყო, რომელშიც ქალი ცხოვრობდა, მაშინ სიძე და მისი მაცრები რომ მოვიდოდნენ, ჯერ პატარა სუფრას გაუშლიდნენ, შემდეგ წავიდოდნენ ეკლესიაში, დაინერდნენ ჯვარს, მობრუნდებოდნენ ქალის ოჯახში და გაგრძელებოდა ქორწილი. თუ ეკლესია იმ სოფელში იყო, სადაც ვაჟი ცხოვრობდა, მაშინ ქალთან ქორწილის შემდეგ წავიდოდნენ ჯერ ეკლესიაში, დაინერდნენ ჯვარს და შემდეგ

მივიდოდნენ ვაჟის ოჯახში. ამ წესის დამრღვევი დაცინვის საგანი ხდებოდა. იტყოდნენ, ხასადა ჰყავს მოყვანილი ქალიო. ჯჯოსნერის ცერემონიალს მოხრობელი მარო მარიკაშვილი (66 წლისა, ჩანერილია 1981 წელს) ასე აღწერს: „მაყრები ხანჯლებს შეაერთებდნენ და ამის ქვეშ უნდა გაივლით ნეფე-პატარძალს ეკლესიის შესასკლელთან ეკლესიაში წინ მღვდელი მიდიოდა, მას ნეფე-პატარძალი მისდევდა. მათ ეჭირათ მღვდლის ანაფორა. ნეფე-დედოფალს უკან მისდევდა ნათლია; ერთ ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, მეორეში — პატარძლისა და ნეფის თითო-თითო გვირგვინი, შემოუვლიდნენ სამჯერ საკურთხეველს. შემდეგ მღვდელი ნეფე-პატარძალს ეკლესიის ქორწინების ნიგნში ჩასწერდა“. ეკლესიიდან გამოსვლისასაც ნეფე-დედოფალს გადაჯვარედინებული ხანჯლების ქვეშ უნდა გაევიღო.

70 წ. ივანე ქავთარაძის ნამუბობიდან /ჩანერილია 1980 წელს/: „ჯჯოსნერის შემდეგ დადგებოდნენ და იმღერდნენ: „ჯვარის წინასა ადგამ მხარესა ამ ჩვენს ნეფესაო, შენ, ქრისტივე ღმერთო, შენ დასწერ ჯვარსა ამ ჩვენს ნეფესა და დედოფალსაო“. ამას სამჯერ გაიმეორებდნენ და შემოუვლიდნენ სუფრას. კვირას ქალთან იყო ქორწილი, ორშაბათს კაცთან, სამშაბათს დაკლავდნენ ცხვარს, გააკეთებდნენ ხინკალს. ამას ეძახდნენ სამღვთოს და ამით გაისტუმრებდნენ ქალის მაყრებს. მაყრები პირდაპირ დაბრუნდებოდნენ ქალის სახლში, იქაც გააკეთებდნენ ხინკალს. იმ დღეს პურს ჭამდნენ და მერე გაუშვებდნენ“.

საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ სრულ წარმოდგენას გვაძლევს მოხრობელ მარო მარიკაშვილის ნამუბობი: ჯჯოსნერის ცერემონიალის შემდეგ ნეფის სახლში პირველი მოვიდოდა მახარობელი. „მახარობელი შემოვიდოდა, მიანოდებდნენ ჯამს ღვინით სავსეს. ჯერ იტყოდა „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი“. ღვინოს დაღვედა, — „იხარე ჭერო, მოკვდი მტეროო“, — იტყოდა და ჯამს დაანარცხებდა იატაკზე, თან დაიძახებდა“, — მიჭამია ბალი, ამიხვიეთ მხარი“. ოჯახის დიასახლისი ცხვირსახოციტ მკლავს შეუხვივდა. მახარობელს მისცემდნენ სინზე დანყობილ ღვინით სავსე ხელადას, პურს, ყველს და მწვადს. მახარობელი უნდა მიგებებოდა ნეფე-დედოფალს. ნეფე-დედოფალი რომ მოვიდოდა, ხალხი დიდ ჯოხზე აანთებდა ციცხლს /მაშხალას/. ნეფისა და პატარძლის მშობლებს ტანზე შემოახვედნენ ტანსაცმელს, ქალს, მაგალითად, მანდილს. ყველა დალოცავდა გაბედნიერებულ ნეფილს ღვინით, მერე სახლში შესვლამდე პატარძალს მიახრთმევდნენ შარბათს, წინ დაუდებდნენ თევზს, რომელიც ყველამ უნდა გაეჭიხათ სახლში შესვლამდე კარებთან აუცილებლად უნდა იცეკვათ.

მერი გამართულ მაგიდასთან მიიწვევდნენ. სუფრაზე იდო ყველი, პური, მარილი, ცხვარი, ძროხა, წვნიანი საქმელი --- ბოზბაში ჯამებით მიქონდათ. უკოვზოთ პირდაპირ ჯამიდან უნდა ელიათ. ქორწილში იცოდნენ, გამოაცხობდნენ ჯვრის პურს. ჯვრის პური უნდა ეყიდა ნათლიას სულ მცირე ფასად.

ქორწილს ესწრებოდნენ ძირითადად ახლო ნათესავები. თუ სოფელი პატარა იყო, მთელი სოფელი ან უბანი აუცილებლად.

„ნეფის ოჯახში ქორწილში ნეფი-დედოფლისათვის განკუთვნილი ადგილი საგანგებოდ იყო გამოყოფილი. კედელზე ხალიჩა უნდა ყოფილიყო გაკრული. პატარძლისათვის განკუთვნილ ადგილზე დებდნენ ბალიშს. ნეფიონი რომ მოვიდოდა, ერთ-ერთი ბავშვი, აუცილებლად ბიჭი, დედოფლის ბალიშზე დანჯებოდა პირქვე და ხელს დაიდებდა ზურგზე, რომ ყული ჩაედოთ მისთვის. ისე არ ადგებოდა. ნათლია მისცემდა ფულს და ამით დაიხსნოდა პატარძლის ადგილს. ზოგჯერ ბავშვს ატყუებდნენ და ფულის ნაცვლად ქალაქს ჩაუდებდნენ. ამ დროს იქვე სვეტიალურად მდგომი ბავშვს ეტყოდა, რომ ატყუებდნენ. ისიც, სანამ ფულს არ ჩაუდებდნენ, არ ადგებოდა, ხოლო როცა ფულს მისცემდნენ, სწრაფად წამოხტებოდა და გაიქცეოდა, რომ არ წამოერტყათ. ამის შემდეგ ნეფი-დედოფალი დაჯდებოდა თავის ადგილას. პატარძალს კალთაში ჩაუსვამდნენ პატარა ბიჭს. დედოფალი მას აჩუქებდა წინასწარ მომზადებულ წინდებს.

ნეფის სახლში თამადად ნიშნავდნენ ვაყის ახლობელს. თამადა პირველი ქაჩით ოჯახს ადღეგრძელებდა. შემდეგ — ნეფი-დედოფალს, მესამე ქაჩით კი — მეჯვარეს.

ქორწილში სტუმრები ცეკვა-სიმღერითაც უნდა გაერთოთ. პირველად აუცილებლად იცეკვებდა ნათლია, რომელიც პატარძალს გადმოითამაშებდა. შემდეგ ნეფი-პატარძალს აცეკვებდნენ. საცეკვაოდ ადგილი გამოყოფილი უქონდათ სუფრის ბოლოში.

პატარძალს კაბა ეცვა ქრელი აბრეშუმის ან სხვა ძვირფასი ქსოვილისა.

ქორწილის დროს აწყობდნენ სხვადასხვა თამაშობებს, მაგალითად, ბასტის დაბმას. მექორწილენი ხელს ჩაკიდებდნენ ერთმანეთს. თავში დადებოდა, ვინც კარგად მღეროდა და დაიწყებდა: „ნან, წინან, ნანა, ნაი, ნანაი, წინა, ნანაი, ნა“. ხალხი კი ფეხებს არტყამდა მიწაზე და თან იძახდა: „სსს, სსს, სსს“. შემდეგ ორი კაცი ადიოდა სახურავზე და იქიდან ასხამდა ღვინოს დაბლა იდგა ერთი კაცი, რომელიც ღვინოს უშვებდა პირს. მას უნდა შეძლებოდა სახურავიდან ჩამოსხმული ცოტაოდენი ღვინო მაინც დაეღია. ამის შემდეგ ენ. სახრჩობელას ჩამოაბამდნენ სახლის ქრებზე დაიჭრდნენ ვინმეს ქალის მაყრონიდან, მიიყვანდნენ „სახრჩობელასთან“, წელზე შემოარტყამდ-

ნენ თოკს და მანამ არ გამოუშვებდნენ, სანამ ვინმე არ დაიხსნიდა. გამოსახსნელად თხოულობდნენ მცირეოდენ თანხას და ხილს.

ქორნილის შემდეგ ხდებოდა გვირგვინების მოხდა. მაგრამ ვიდრე ამას ჩაატარებდნენ, ნათლია კიდევ ერთ წესს შეასრულებდა: ერთ ხელში აიღებდა ლავაშს, მეორე ხელში ხანჯალი ეჭირა. ნათლია დაიძახებდა: — „ხალხო, ამ პატარძალს ფეჭი მოვაჭრათ, დაკოჭლდება, ხელი მოვაჭრათ, საქმეს ვეღარ გააკეთებს. მოდით, ისევ ენა მოვაჭრათ, რომ დეღამთილ-მამამთილს არ ეჩხუბოსო“. შემდეგ კი იტყოდა: „მოდით, ენასაც ნუ მოვაჭრით და ისევ ლავაშს მოვაჭრათ წვერო“, და ლავაშს ხანჯლით წვერს წააჭრიდა. ამის შემდეგ ნათლია ნეფედედოფალს გვირგვინებს მოხდიდა. გვირგვინების მოხდით ქორნილი დამთავრებულად ითვლებოდა.

ქორნილის დამთავრების შემდეგ, სამშაბათ დილას, ეწყობოდა ნეფის განადირება. ნეფის განადირება ასე ხდებოდა: ნეფე თავისი მაყრონით წავიდოდა ჯერ სასაფლაოზე. გაიხსენებდა თავის მიცვალებულებს და ყველას საფლავზე თითო ჭიქა ღვინოს წააქცევდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ მამაკაცები ჯგუფს შეადგენდნენ და მწკრივად დალაგდებოდნენ. ამოირჩევდნენ თავიანთ უფროსს — წინამძღოლს. მისი მეთაურობით ჯგუფი ჩამოუვლიდა ნათესავების ოჯახებს. ნათესავი ეზოში გააფრენდა ქათამს. მისულთაგან ნეფეს ან მის მყარს უნდა დაეჭირა ქათამი და ხანჯლით თავი მოეკვეთა. თუ ამას ვერ შეძლებდნენ, ქათამი დაკარგული იყო. ქათმისთვის თავის მოკვეთა ვაჟკაცობად ეთვლებოდათ და ამიტომ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი თავნაკვეთილი ქათამი დაეგროვებინათ.

იმავე საღამოს, როცა ნეფის განადირება დამთავრდებოდა, ნეფის სახლში დაკლავდნენ ცხვარს, გააკეთებდნენ ხინკალს და გაუმასპინძლებოდნენ პატარძლის მაცრებს. ამას ეძახდნენ საღვთოს. ამის შემდეგ პატარძლის მაცრები პირდაპირ ქალის სახლში მიდიოდნენ, რათა ამბავი მიეტანათ პატარძლის მშობლებსთვის, თუ როგორი ქორნილი იყო და როგორ მოეწყო მათი ქალიშვილი ახალ ოჯახში.

პატარძლის ოჯახში მიბრუნებულ მაყრონს ხვდებოდა სუფრა. ოჯახი ოთხშაბათ დღეს გააკეთებდა ხინკალს, აქეიფებდა სტუმრებს. შემდეგ მაცრები თავ-თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ.

ასეთი იყო, ძირითადად, მანგლისისა და მისი მიმდებარე სოფლებისათვის დამახასიათებელი საქორნილო წეს-ჩვეულებანი.

დაკრძალვის წეს-ჩვეულებანი

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაკრძალვის წეს-ჩვეულებანი. ზოგიერთი თავისებურებების გარდა, ძირითადადში ერთნაირი იყო და არის. მანგლისის მხარეს უფრო მეტი საერთო, ბუნებრივია, ქართლთან აქვს.

აკადემიკოსი გ.ჩიტაია წერდა: „ხევსურულ და მეგრულ მიცვალებულის კულტში მოცემული წეს-ჩვევები და თავისებურებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მეტყველი იქნება, როდესაც შეგროვდება სხვა ქართული ტომების მიცვალებულის კულტის მასალები. მათ საფუძველზე შეიძლება აღდგენილი იქნეს ქართული ტომების უძველესი რწმენები და მათთან დაკავშირებული მსოფლმხედველობა“.⁹⁷

სანამ მკითხველს გაეაცნობდეთ დაკრძალვის წეს-ჩვეულებების შესახებ ჩვენ მიერ მოპოვებულ საველე მასალას, გვინდა გავიხსენოთ ქართული ხალხური პოეზიის ზოგიერთი ნიმუში, შექმნილი სიკვდილის თემაზე:

„სიკვდილმ თქვა: ზღვა-ზღვა ნამოველ,

ზღვა ჩქევით შამოვიარე,
შეკვმაზე ჩემი ლურჯაი,
ხმელეთ სულ შამოვიარე,
გადმოუხედენ ფშაველთა,
ყოოდეს როგორც იანი,
ჩაველირე და ვერ ჩაველ,
ხატი ჰყოლიყო ძრიალი,
შორს გზაზე ამამეგება,
შავარდენივით მხრიანი,
გადმოუხედენ ხევსურთა,
შავნ იყვნეს, როგორც ჭიანი,
ჩაველ და ისე ჩავთიბე,
როგორც ნალევება თივანი.
ბეჯრს კარი გამოუჯარე,
ბეჯრისა ისევ მღე არი,
ბეჯრისა დედა ვატირე,
ბეჯრისა ცოლი, თმიანი,
ბეჯრისა თოფი შავეკიდე,
სიათა, ჰორკომლიანი,
ბეჯრისა ხმალი დავაგდე,
ფრანგული, ფხასისხლიანი,
ბეჯრისა ქალი გაენირე,
კალათა, ჩხირ-წინდიანი“⁹⁸

97. გ.ჩიტაია, წინასიტყვაობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, 1940, გვ. 14.

98. ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1974, გვ. 55, 56.

„სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
სიცოცხლე, ჩემი ძმა ხარო.
— მე შენი ძმა რათ ვიქნები,
შენ პირქვე დასამარხავო?
დადიხარ ჩუმათ სოფლებში,
ქურდულად, ჩუმათ დახვალო,
ჯეელ ვაჟაკებს დაგვირჩევ,
ბებრებს კი შაგვინახამო.
სიკვდილო, თავსა არ მოგცემ,
თავიც, რომ ქვაზედ ახალო!“⁹⁹

„გიორგი, დედის გაზრდილო, ვეფხო შე სალის კლდისაო!
გიორგის ებრძვის სიკვდილი, ელვა გამოდის ხმლისაო,
შამუქნა სიკვდილმა, მარჯვენას მააჭრისაო,
შამუქნა გიორგიმ, სიკვდილს ორაზე სჭრისაო!“¹⁰⁰

მანგლისის მხარეში გავრცელებული დაკრძალვის წეს-ჩვეულების საინტერესო და ყურადსაღები ცნობები მოგვანოდა სოფელ შეხვეტილის მცხოვრებმა ივანე ქავთარაძემ: „ადამიანს რომ შეატყობდნენ, მომაკვდავი იყო, მიუყვანდნენ მღვდელს და აზიარებდნენ. როცა მოკვდებოდა, გაბანდნენ, სულ გააშიშვლებდნენ. ჯერ წყლით გაბანდნენ თავსა და ტანს, იაზმის წყალს — ნაკურთხ წყალს ასხურებდნენ და მერე ჩააცმევდნენ ტანსაცმელს. თუ ჰქონდა, სასურველი იყო ახალი, თუ არადა ძველს ჩააცმევდნენ. საცვლები კი აუცილებლად ახალი უნდა ჩაეცვათ. ქამარ-ხანჯალს შემოაკრავდნენ, სანამ მიიტიანდნენ სამარემდე, შემდეგ კი შემოხსნიდნენ, რათა არავის არ ამოეთხარა. პანაშვიდის დროს არ იყო მუსიკა, ზოგი თავის მკვდარს ტიროდა. ახალი მკვდრის პატრონებს მიჰქონდათ ან ხანჯალი, ან სურათი და ამას დასტიროდნენ, თან თავის მკვდართან აბარებდნენ სათქმელს. ამ დროს მოდიოდნენ ნათესაეები შორიდან, რომელთაც უნდა მოეტანათ ქადა, პურო, სასმელი, საკლავი, ხმიადი. მეზობლებსაც მიჰქონდათ, ვისაც რა ჰქონდა: ზოგს ლობიო, ფქვილი, ყველი და ა.შ. ქელეხის დროს ვისაც ენის ლოლიკა ჰქონდა ის ხელმძღვანელობდა. პურის ჭამა როცა მიმდინარეობდა, ფულს აკრეფდნენ. ეს კაცი ხმამალა ყველას გასაგონად იძახდა, ვინ რამდენი შესანირი მისცა ოჯახს. ადრე მკვდარს ფულს გულზე აყრიდნენ, მაგრამ შემდეგ ეს წესი შეცვალეს, რადგან გაუგებარი იყო, ვინ რამდენი დაეხმარა ოჯახს. თამადად ქელებში არჩევდნენ უფროს კაცს, ვისაც მეტი გამოცდილება ჰქონდა. პირველი ჭიქით მიცვალებულის სადღეგრძელო ისმებოდა“.

99. ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1974, გვ. 53, 54

100. იქვე გვ. 49.

მიცვალებულის თავთან გაუქრობლად ენთო სანთელი და ჯამით ხორბალი ედგა. მიცვალებულის ახლობლები გარდაცვალების დღიდანვე შავი ფერის ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ. უფრო ახლი ნათესავი ქალები შავ სამოსელს წლისთავამდე არ გამოიცვლიდნენ, ხოლო თუ ქალს შვილი ან ქმარი მოუკვდებოდა, მთელ სიცოცხლეში შავ ტანსაცმელს ადარ იშორებდა.

მიცვალებულის პატივსაცემად ლამის გათევა იცოდნენ და იციან. ლამის თევის დროს და საერთოდ მიცვალებულის გასვენებამდე დიდ სირცხვილად ითვლება სიცილი, ოხუნჯობა და ხუმრობა. მეზობლები პანაშვიდებისა და გასვენების დღეს ტელევიზორს, რადიოს არ რთავენ.

სამგლოვიარო დღეების დროს მეზობლები, ნათესავები თავიან სახლში ამზადებენ და მიაქვთ საჭმელი ჭირისუფლის ნეჭრებისათვის და შორი მანძილიდან ჩამოსული ნათესავებისათვის.

სამუშაო დღეს რომ ვინმე გარდაიცვლებოდა, გლეხი მიწის ხენას მიატოვებდა და გუთანს ხელს არ მოკიდებდა. სანამ მიცვალებული სახლში ესვენა, მიწის გადაბრუნება არ შეიძლებოდა.

პანაშვიდები ტარდება უფრო 12 საათის შემდეგ, თუმცა დრო შეზღუდული არაა. პანაშვიდის ყოველი დღის ნებისმიერ დროს გარდაცვლილის ოჯახში ყოველთვის არიან ახლობლები, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები. პანაშვიდზე უკრავს მუსიკა. მამაკაცები მიცვალებულის გასვენების წინ წვერს გაიპარსავენ და ორმოც დღემდე დაიყენებდნენ. ომის შემდეგ დაიწყეს მიცვალებულის სურათის ტარება, რომელიც შავი ბაფთით მაგრდებოდა ჰიჯაბზე ან პერანგზე მარცხენა მხარეს. მამაკაცებს დაკრძალვის დღეებში შავი პერანგი აცვიათ.

ძველად და ახლაც მანგლისს მხარეში გამოსვენება, როგორც წესი, მესამე დღეს ხდება, თუ არ დაემთხვა ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი, როდესაც მიცვალებულს არ კრძალავენ. ორშაბათი ითვლება შავ დღედ, ხოლო ოთხშაბათი და პარასკევი, ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად, მარხვად ითვლებოდა. გარდა ამისა ხალხის რწმენით იესო ქრისტე პარასკევ დღეს იყო დასაფლავებული, ამიტომ მის პატივსაცემად ამ დღეს მიწის „განძრევა“ არ შეიძლება.

გამოსვენება იციან შუადღის შემდეგ. გამოსვენების წინ მიცვალებულთან რჩებიან მხოლოდ ის ახლობლები, რომელთაც უნდა გამოასვენონ გარდაცვლილი. გამოსვენების წინ კარფანჯრებს დაკეტიან, კუბოს ასწვენ, სამჯერ შემოატრიალებენ, დახურულ კარებს სამჯერ მიაჯახებენ, გარეთ გაიტანენ და ეზოში დაასვენებენ. უფრო მეტად საფლავამდე მიცვალებულს ხელით მიასვენებენ. გასვენების დროს ხშირად დუღუკები,

დოლი და გარმიანი უკრავს, ახლი წარსულში ზოგჯერ სასულიერო კეცტრიც უკრავდა.

დამარხვის დღეს იციან შესანეკარი. ის ვინც შესანეკარს არ შეიტანს, ქელეხზე არ ბრუნდება. საერთოდ სოფლის ყველა მცხოვრები ცდილობს არ გამოაკლდეს ამ წესს, თუკი, რა თქმა უნდა, ამის საშუალება აქვს.

შესანეკარი ხესია, ვალია მიცვალებულის ოჯახისათვის, ურთიერთდახმარების თავისებური ფორმაა. თუ ჭირისუფალი შეძლებულია, ის ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდა და ამბობს დახმარებაზე (ყულის შეგროვებაზე).

სამარეს, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ დაკრძალვის დღეს ჭრიდნენ.

ეს მოკლე მიმოხილვა მანგლისის მხარეში ძველთაგან მომდინარე იმ სანესო მოქმედებისა, რომელიც სრულდება ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ნათლად მიწმობს, რომ ქართველმა ხალხმა ბოლო დრომდე შემოინახა სამგლოვიარო წეს-ჩვეულება, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის.

დაბოლოს, როცა სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე არის მსჯელობა, არ შეიძლება არ გაეხსენოთ რუსთაველის სიბრძნე:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი.
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი“.

ან კიდევ, ვაჟა-ფშაველას გენიალურად ნათქვამი:

„ღმერთმა გიშელოს, სიკვდლო,
სიცოცხლე ფასობს შენითა“.

მემინდვრეობა

მანგლისის მხარის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სხვადასხვა დაქანების მთის კალთები, ციცაბო, დამრეცი და ყლახე ფერდობებია. მდინარეთა ხეობების ვიწრო დეპრესიები, მათთა შორის მდებარე ზეგნები და დავაკობანი გამოყენებულია სახნავ-სათესად და მრავალწლიანი ნარგავებისათვის.

მანგლისისა და მისი შემოგარენი სოფლების მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს და უძველეს სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს მინათმოქმედება, კერძოდ, როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდანაც ჩანს, ყველაზე მეტად განვითარებული იყო და არის მემინდვრეობა.

მარცვლიერი კულტურებიდან გაჩვენებული იყო ხორბალი, ჭვავი, ქერი, სიმინდი, ყვითი და სხვ. გლეხურ მეურნეობაში ხორბალთან ერთად განსაკუთრებული გამოყენება ჰქონდა ქერს.

ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებსა და ხალხური პოეზიის ნიმუშებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქერი საკვებ პროდუქტად დიდი სამომავლო გამოიყენებოდა: „კენაცვალი ქერის პური, ანაცერო დეკისაო“, ამბობდა აქაური კაცი.

მოსავლის აღება ხდებოდა ივლისის დასაწყისიდან და გრძელდებოდა თვის ბოლომდე. თიბავდნენ ცელით. თიბვის დროს რამდენიმე მთიბავი მიჰყვებოდა ყანის ერთ მონაკვეთს. მთიბულს აბულულავებდნენ და შემდეგ ზვირებად დგამდნენ. თიბვის დამთავრების შემდეგ ზვირი გადაჰქონდათ კალოზე გასაღენად. გადაზიდვა ხდებოდა ურმებით.

ყველა მოსახლეს თავისი კალო ჰქონდა. კალოობის დანყებაზე საკალოე მინა საგანგებოდ მზადდებოდა. მას ჯერ გაასუთავებდნენ, შემდეგ კი კარგად დატკეპნიდნენ, რათა მარცვალი არ ჩაჭრილიყო მინაში. გამზადებულ კალოზე ძნას შლიდნენ. გაშლას იწყებდნენ ნაპირებიდან და თანდათან გულსაც ავსებდნენ. კალოზე ძნის სიხშირე დამოკიდებული იყო კვერის, ხარისა და მუშახელის რაოდენობაზე. კვერში უღელი ხარი იმებოდა, ცხენს იშვიათად აბამდნენ. კვერში ცხენის შებმა ხდებოდა უფრო მეტად კახეთის მხარეს /ქიზიში/. ხარებს კალოზე ატრიალებდნენ წალმა-უკულმა, სანამ ზემოდან თავთავი კარგად არ გაეცლებოდა ნამჯას. შემდეგ ხარებს გაიყვანდნენ გვერდზე და ჩალას გადაატრიალებდნენ, რასაც კალოს ქცევა ეწოდებოდა. მიღებულ მარცვალს ამბრებში ინახავდნენ. ამბარი ყუთის მსგავსი დიდი ტივადობის სათავსოა, რომელიც შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან. ერთში ინახავდნენ ხორბალს, მეორეში — სიმინდს, მესამეში — ლობიოს და ა.შ.

მარცვლეულის დაფქვა ხდებოდა ნისქეილში, რომელიც ძირითადად მდინარე ალგეთის პირას იყო მოწყობილი. წყალი ნისქეილში შედიოდა სპეციალური ღარით. იმისათვის, რომ წყალი ნისქეილში დაქანებული შესულიყო, ღარის ბოლოს გაკეთებული ჰქონდა სხვა დამრეცი ღარი, რომელიც მთავრდებოდა შუშუტოთი. შუშუტო ხის საცობია, რომლის საშუალებით ხდება ნისქეილში წყლის რაოდენობის რეგულირება.

მინდჯრის კულტურებიდან მარცვლეულის გარდა მოჰყავდათ აგრეთვე ბაღჩეული, კარტოფილი. მანგლისის მხარის კარტოფილი ოდითგანვე განთქმული იყო, დღესაც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. იგივე ითქმის შუშა კიტრზე, რომელიც უმთავრესად ალგეთის პირას მოჰყავდათ.

მთხრობელ ილიკო ალიხანაშვილის ნაამბობიდან: „ყაჭრიანთ მთაზე ბატონები იყვნენ. ეს ბატონები გვამუშავებდნენ. ვხნავდით, ვთესავდით ხორბალს, სიმინდს, ქერს, ჭარხალს, კომბოსტოს, კარტოფილს, უვლიდით საქონელს, ცხვარს. მინას

ქნავდით ხის გუთნით. მეგრე ჩვენმა მემამულემ რკინის გუთნები შეიძინა ხვნის დროს უღელში ვაბამდით ხარებს ან კამეჩებს. შრომის დროს გასამხნეებლად სიმღერას წამოვიწყებდით. მეტწილად „ოროველას“ ვმღეროდით.

ჩვენ მხარეში ხვნის დაწყების წინ იმართებოდა სასოკლო საღმრთო. პირველად რთ გაიტანდნენ გუთანს მინდორში, ხვნის დაწყებამდე გუთნისდედას ხარისთვის უნდა დაეკრა თავში კვირცხი და ეთქვა: „ასე გასკდეს იმის თვალი, ვინც შენ ავი თვალთ შემოგხედოსო“.

მესაქონლეობა

საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან რეგიონებში, მესაქონლეობა ტრადიციულად ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი და სპეციალიზაციის განმსაზღვრელი დარგია. მას, ცალკეული მხარის მიხედვით, გაძლოლის დამახასიათებელი და სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოლოგიური წყობიდან და ყოფა-ცხოვრების ადათ-წესებიდან იღებს სათავეს.

ამ თვალსაზრისით, მეცხოველეობის, ასევე სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, ამა თუ იმ მხარეში (კუთხეში) გაძლოლის ტრადიციების შესწავლასა და განზოგადებას გარკვეული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მათი განვითარების სწორი მიმართულებების დასახვისა და დარგთაშორის, დასაბუთებული პროპორციების დაცვის მიზნით.

ამ მხრე უდავოდ საყურადღებო ობიექტს წარმოადგენს მანგლისის მხარე, როგორც სპეციფიკური სამთო რეგიონი.

მანგლისსა და მის შემოგარენ სოფლებში მესაქონლეობის უპირატეს განვითარებას ისტორიულად ხელს უწყობდა შესატყვისი ბუნებრივი პირობები (ლანდშაფტი, ნადაგური საფარი, კლიმატი, ფლორა). ამ მხარეში მდებარეობს ბედენის სათიბები და საძოვრები, სადაც გაჯრცილებულია მშრალი და მეზოფილური საკვები საკვარტულები, ტყე-ბუჩქნარების სხვადასხვა სიშორით.

სათიბ-საძოვრებს ადგილობრივი გლეხობა მეტად რაციონალურად და მათზე მთელი წლის მოთხოვნილების გათვლით იყენებდა, რადგანაც ამ მხარეს ზამთრის საძოვრები საერთოდ არ გააჩნია. ამ გარემოებაში მესაქონლეობის ტექნოლოგიის ნიშანდობლივი ტრადიციები ჩამოაყალიბა, რაც ამჟამადაც უდევს საფუძვლად მისი ცალკეული ქვედარგის გაძლოლის სისტემას.

სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთრის პირობებში (რაც დამახასიათებელია ამ მხარისათვის) საქონელი ბაგურ კვებაზე გადა-

პყავდათ და მთელ ზამთარს ბოსელში ატარებდა. მთაში (სადიოჭრად) საქონელი მას შემდეგ მიჰყავდათ, როცა სადიოჭრები თოვლის საფარისაგან თავისუფლდებოდა. საკვების დამზადება იწყებოდა ივლისში.

მესაქონლეობასთან დაკავშირებით მანგლისის მხარეში ბევრი რიტუალური წეს-ჩვეულება იყო გაფრცვლებული, რაც მესაქონლეობის გაძლიერების მდიდარ ტრადიციებზე მეტყველებს. მაგალითად, ახალი წლის პირველ დღეს დარბაზში შეჰყავდათ ხარი, რომელსაც რქებზე კოკორა პურებს ჩამოაცვამდნენ და ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ხარს წინ თრყას დაუჭრიდნენ და თუ იგი ქამის დროს რქებზე წამოცმულ კოკორა პურს წამოყრდა, კარგის მომასწავებელი იყო, ხევეიანი წელი იქნებოდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხარის კულტი მანგლისის მხარეში ფართოდ იყო გაფრცვლებული. იგი სიკეთის, სიუხვისა და ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ალბათ, ამის გამო აკრავდნენ დარბაზის დედაბოძებზე ხარის რქებს.

პროფესორი გ.ჩიტაია აღნიშნავს, რომ: „აღბუღალის რაიონის მთიულები საახალწლო ბედისკვირების ცხოობის დროს ცალკე აცხობენ „გუთნის კვირს“. ამ კვირს ჩვეულებრივად ხარს შეაქმევდნენ. აქ აქვთ აგრეთვე ჩვეულება, გუთნის სამუშაოდ გატანის პირველ დღეს ხარს კუდზე წითელი ჩვარი და ყელზე ტყემლის ან აკაკის ტოტი და ნახშირი შემოაბან. მათვე, მარჯვენა მხარზე ცომის ჯვრებს გაუკეთებენ. მამულში პირველად სამუშაოდ გატანილ გუთნისთავზე გუთნის-დედა საგანგებოდ დამზადებულ ქადას გასტეხს, ნახევარს თვით შესჭამს, ხოლო ნახევარს კვალში დაატანს; ამ დროს გუთნისდედა ასე დაილოცება: „ცა-ლრუბელთ მეუფროსე, მშვიდობით ჩააბარე ნახნაე-ნათესი ნაშრომი მშრომელ ხალხსა, შენს სახელის ქირიმი, ცა-ლრუბელი დაგვიმშვიდე“. ამის გარდა, ხარის გათვალისწინების საწინააღმდეგოდ ხარს ტაბიკები აკაკის, ან ვაშლის ხის უნდა გაუკეთდეს. ასეთი ტაბიკები უნდა იყოს მოჭრილი „უზმად და უმზრახად“. დილაადრიან დიდ-ხუთშაბათს, ყენობა დღეს, ან თევდორობას ავი თვალისაგან გუთნის დასაცავად მას რვილა ვაშლის ხის უნდა ქჭონდეს. გუთნის გატანის დღეს ყოველწლიური „საციქვილი“ აღკვეთილია: „ხელს გადაყოფა ბარაქა“-ო, ამბობენ გლეხები. ჩხიკვილებმა და მენქალისელებმა გუთნის პირველი უღლის ხარის შუბლზე კვირცხის გატეხა იციან: „ასე გასჭდეს ავი თვალის პატრონიო“. ბოსელში ზღურბლზე საქონელს კვირცხს დაუდებდნენ; თუ კვირცხი ხარმა ფეხის დაბიჯებით გასჭეხა, ეს გუთნისა და ხარისათვის კარგი ნიშანია.

ამრიგად, როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, მანგლისის მხარის მოსახლეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორიის

მანძილზე მესაქონლეობის დარგთან დაკავშირებული მიდიარს და მრავალმხრივი წეს-წყობილებები აქვს, რომელთა ცხოვრებაში დამკვიდრებამ მნაშენილოვნად შეუწყო ხელი მეცხოველეობის განვითარების მაღალ დონეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი მცირე მიწიანობისა და წარმოების ინტენსივიკაციის შეზღუდული შესაძლებლობების გამო მემცენარეობის პროდუქციით შეკერხებულ დაკმაყოფილებას ერთგვარ კომპენსაციას უკეთებს მეცხოველეობის დარგი, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის საკვების კალორიებით შევსების ძირითადი წყარო მესაქონლეობაა.

მეცხოველეობის ისტორიულად ჩამოყალიბებულმა ტრადიციებმა გადამწყვიტი გავლენა იქონია არა მარტო მანგლისის მხარეში, არამედ მთელ მის შემოგარენ რეგიონში მეცხოველეობის როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის განმსაზღვრელ დარგად ფორმირებაში, რომელმაც პროპორციულად შეითანაწყო სამთო ტიპის საკვებწარმოება, მემარცვლეობა, აგრეთვე მეკარტოფილეობა, მეხილეობა და სხვა დარგები.

სოფლის მეურნეობის დარგთა აღნიშნული სპექტრი განსაზღვრავს ამჟამადაც ამ რეგიონის ძირითად სანარმოო მიმართულებას, რომელთა განვითარების ტემპები და მასშტაბები ეტაპობრივად ეთანაწყობა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და პროდუქციის გამოყენების როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო-საიმპორტო პრინციპებს.

ამ საერთო მოთხოვნათა შესაბამისად ყალიბდება და თანდათან იკავავს გზას მეურნეობრიობის ახალი ტიპი — ფერმერული მეურნეობები, რომელმაც ერთის მხრივ უნდა მოირგოს როგორც მესაქონლეობის, ისე სხვა დარგების გაძლიერების ისტორიულად აპრობირებული ტრადიციები, ხოლო მეორეს მხრივ იხელმძღვანელოს მეწარმეობის განვითარების თანამედროვე და პერსპექტიული მოთხოვნებითა და პრინციპებით.

მეხსპარეობა

მანგლისის მხარეში ოდითგანვე მისდევდნენ და დიდად იყო განვითარებული მეცხვარეობა. ცხვრის პროდუქტები (ხორცი, ყველი, მატყლი) ფართოდ გამოიყენებოდა ყოველ ოჯახში. ცხვრის მატყლისაგან მიღებული ნართით (ძაფით) ქსოვდნენ წინდებს, ბაჭყის ფაჩოჩებს, სხვადასხვა სამოსებს, ქალის თბილ მოსასხამებს; მატყლს იყენებდნენ ლეიბების, საბნების დასამზადებლად. საერთოდ, ეს მხარე მატყლის დამუშავებისა და

მისგან სხვადასხვა ნაწარმის დამზადების მეტად მაღალი კულტურით გამოირჩეოდა. ცხვრის ტყავიდან ამზადებდნენ მეცხვარის ქუდეებს.

ცხვარი, მისი მოვლა-შენახვა მანგლისის მხარის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო. ამას ადასტურებს მთხრობელთა ნაამბობიც. შიგვეტილილი მეცხვარი კოტი ნიკლაური მოგვითხრობს:

“მანგლისსა და ალგეთის ხეობაში ხეყსურული ჯიშის ცხვარია. სამოყარზე ცხვარი ყოველდღე მიგვიყავდა, გარდა ცუდი ამინდისა და ჭირხლისა. ეს ცხვარს აბერნებს, რადგან მაკე ცხვარმა რო ჭირხელიანი მოძოვოს ან დადგეს, ცივდება და ბერნდება. ცხვარი მთა-ბარობს. ზაფხულში მთაშია, ზამთარში — ბარში. ძველად ზაფხულში ცხვარი დაუდიოდათ კარნახში (თურქეთის ხელშია ეხლა), ზამთარში კიდე ალაზანზე და იორზე. მაისის 27-დან გამოდის მთებისკენ ნელ-ნელა. სექტემბერში ისევ ნელ-ნელა ბრუნდებიან ბარში.

ძველად მეცხვარეს ეცვა ჩოხა, ახალუხი, ტყავის ქუდი. ქუდს ამზადებდნენ ბატკნის ტყავისაგან, სამკუთხა ფორმისას, კერავდნენ ხელით. სამკუთხა ფორმის ქუდი თავში განჯრილებული იმიტომ იყო, რო ნყალი დაესხლიტა.

ზამთარში მეცხვარეებს ცხვრებთან ერთად ბოსლებში ეძინათ. ცალკე ლასტით გამოყოფდნენ პატარა კუთხეს და იქ ერთოთ ცეცხლი. ზაფხულში კიდე ნაბადში გაეხვიოდნენ და ცხვრის გვერდზე წამოწებოდნენ და გარეთ ეძინათ.

დოლი როცა უნდა ატარონ, იმ დროისთვის გაურევს ყონს. მაგალითად, თუ არის 700 სული დედა ცხვარი, 45 ყონი მაინც უნდა იყოს. ყონი ილახება, როცა ცოტაა და ვერ ნერბავს ცხვარს. დოლი ერთ თვეში უნდა გასუფთავდეს. ცხვარმა ხუთი თვე და სამი დღე უნდა ატაროს მუცელში ბატკანი. გება უნდა დაიწყოს მეექვსე თვეს. როგორც კი ხუთი თვე გავა, უკვე ბატკანი უნდა მისცეს. იწყება დოლი. დოლისთვის ვინახავთ სამოჯრებს. ძირითადად დოლი ხდება თებერვალში. დოლის დროს პირის პარსეა არ შეიძლება. ქალებს ამ დროს ფარეხში არ უშვებენ.

ცხვარმა იცის შვილის აძულება — ხამიშაქი. ამ დროს ბატკანს მარილს მოჰაჭრით ზემოდან, რო გალოკოს. თავისი „კორაკნები“ გვაქვს. ფარეხის ერთ კუთხეს ლასტებით გადავლობავთ და იმ ცხვარსა და ბატკანს ჩავსვამთ, რომელმაც შვილი აიძულა. ზოგი ცხვარი ბატკანს მალე აიყვანს. ხან გვერდზე ძალს დაუბავთ, რო ცხვარი შემინდეს ძალის ყოფაზე და თავისი შვილი დაიცვას და აიყვანოს. ზოგი მცნობი ბატკანს დუმითაც კი ცნობდა, რომელი ცხვრის იყო. ზოგი შავიდან იცნობს, ზოგი მატყლით იცნობს. ზაფხულში და გაზაფხულში შეიძლება ცხვარმა ცუდი ბალახი შეჭამოს, დაენწყება მუცლის ფიქტვა. იმ წუთში თვალთან რო აქვს ძარღვი,

ის უნდა გადაიჭრას. ნამოცვა შავი სისხლი და გადარჩება. თუ ბატკანმა თვალი აიღო, იმის გადარჩენის იმედი ძალიან ცოცხაა.

არ ვარგა კიდე ცხვრის ქოცვა სველ ბალახზე, ანდა დილით ადრე ნამიანზე და ცივი წვიმების დროს. ამ დროს განსაკუთრებით ზარალდება ბატკანი.

ყოველ ფარეხში საჭიროა 2-4 კარგად დაგეშილი მეცხვარის ძაღლი, რომლებიც მწყემსს ეხმარებიან ცხვრის მოგროვებაში მოკვებასა და დაცვაში.

ცხვარს პარსავენ შემოდგომით და გაზაფხულით, ბატკანს — აგვისტოში. ადრე დუქარდებით (მაკრატილით) პარსავენ. 8 კაცი ერთად იყო ცხვარში. ჯერ ერთი კაცის ცხვარს გაპარსავენ, საკლავს დაკლავდნენ. მეორეს მიეხმარებოდა დანარჩენი 7 კაცი და ა.შ.

ყველაზე განვითარებული ბლუდა არის ყაურმა.

მუდამ შაბათს თუ მაროლი არ ჭამა ცხვარმა, შეიძლება შაგეჭამოს. ქვამარილი ცხვარს კბილს უფუჭებს, უკეთესია დაფქვილი. მარილს ადგილზე ყიდულობენ. ადრე მეცხვარეები ცხენებით და სახედრებით გადადიოდნენ, ცხენზე იჯდნენ. სახედარს ძაღლის ჯერს (ძაღლების საჭმელ ქერს ფქვილს — თ.კ.), ხორცს და მარილს აკვიდებდნენ".

ძველად თურმე, როგორც ჩემი წინაპრები მიაშობდნენ, მანგლისის მხარეში იშვიათი ყოფილა ოჯახი, 20-30 სული მენველი ცხვარი მაინც რომ არ ჰყოლოდა. იყო ოჯახები, რომლებსაც 200-300 სულზე მეტი მენველი ცხვარი ჰყავდათ. ცხვარს უვლიდა სოფლის მიერ დაქარავებული მწყემსი. სამოყაროში ცხვარი ექვს თევს იყო. მეცხვარეებს გასამრჯელოს აძლევენ, ზოგს — ფულს, ზოგს — წინასწარი მორიგებით — ცხვარს. მორიგების თანახმად მწყემსი 20-25 ცხვარზე ერთ თოხლს და ორ კოდ ქერს იღებდა.

მთხრობელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მანგლისის მხარეში თუმცა მეცხვარეობა და, საერთოდ, მესაქონლეობა ძალზე განვითარებული დარგები იყო, იგი ძირითადად ოჯახისათვის და კვლავწარმოებისათვის იყო განკუთვნილი და საბაზროდ თითქმის არასოდეს გამხდარა. ჭარბი პროდუქტი გასაყიდად ძალზე იშვიათად გაჰქონდათ.

მეუუტკრეობა

მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ ადამიანის კვებისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე მრეწველობისათვის საჭირო პროდუქტების — თაფლის, ცხილის, დინდგე-

ლის, შხამის მიღებით; ფუტკარი მეტად დიდ როლს ასრულებს მკენარეთა დამტყვერანება-განაყოფიერებაში; ზრდის მოსაყლიანობას, აუმიჯობებს ხეხლისა და ბალჩიული კულტურების ნაყოფის ხარისხს.

საქართველოში მეფუტკრეობას უძველესი დროიდან მისდევენ. ამაზე მიუთითებს წერილობითი წყაროები. მათ შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს ძველი ბერძენი ისტორიკოსის, სნაყლულისა და მხედართმთავრის ქსენოფონტის (ცხოვრობდა დაახლოებით ძვ.წ. 435-431 წწ. — 355-354 წწ.) პოპულარული ნაწარმოები „ანაბასისი“, რომელიც საქართველოს ისტორიის პირველხარისხიან წყაროს წარმოადგენს.

მეფუტკრეობას, ბუნებრივია, მისდევდნენ მანგლისის მხარეშიც, სადაც მეტად ხელსაყრელი პირობებია ამ დარგის განვითარებისათვის. აქ, როგორც მალალმთიან მხარეში, ყოველთვის უფრო გაზრდილებული იყო ქართული მთის რუხი ფუტკარი — მსოფლიოში ყველაზე მალალზროდუქტიულად აღიარებული.

მთის ქართული გრძელხორთუმიანი რუხი ფუტკრის ექსპორტს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ბერტონმა, რომელიც 1986 წელს საქართველოში ყოფნის დროს გაეცნო ამ ჯიშის ფუტკარს და რამდენიმე დედა ფუტკარიც წაიყვანა თან.

ქართულმა მთის რუხმა ფუტკარმა 1965 წლის აგვისტოში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მეფუტკრეობის საიუბილეო XX საერთაშორისო კონგრესზე, მეფუტკრეობის პირველ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრიბაზე დაიმსახურა ოქროს დიდი მედალი. აქ თითქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გააფორმეს ხელშეკრულება ქართული რუხი ფუტკრის შექენაზე.¹⁰¹

მეფუტკრეობის განვითარებასთან დაკავშირებული საინტერესო მასალა მოვიპოვეთ მანგლისსა და მის ახლომდებარე სოფლებში მოსახლეობის ჯგუფებთან საუბრისას:

„მანგლისში ბევრ ოჯახში ყავდათ ფუტკარი. ხეები რო ბერდებოდა, შიგნიდან დაღებოდა, გამოვაცლიდით გულს. შიგნიდან უსჯამდით შაქარწყალს, რო ფუტკარი შესულიყო. ნიფელას, მუხას, თილას, ცაცხვს, ნეკერჩხალს, გრძელ ხეს კაცის სიმალეზე ხერხავდნენ, დააყენებდნენ მინაზე, დაახურავდნენ ფიცრებს, ბურათი უბურღავდნენ სათვალეს, რომელსაც უკეთებდნენ პატარა ფიცარს. ზამთარში სახლში შეგვექონდა დინდგალი — სახლის ფერია — ეს ნიშნავს რო ფუტკრები თვითონ დახურავდნენ სათვალეს ამითი. ფუტკრები იყო ძირითადად ადგილობრივი. ხეში როცა იპოვნიდნენ ფუტკარს, დაუხურავდნენ სათვალეს და ხეს მოჭრიდნენ, მოიტანდნენ სახლში. თავლს

ზაფხულში გაქსინჯავდით ფუტკრებს თავისივე თავს ვაჭ-
მეკვდიოთ. ზაფხულის პერიოდში გაუშვებდნენ, ზამთარში კი
შემოიყვანდნენ. ზოგი ფუტკარი რო გამოდის, შეიძლება წაუ-
იღეს, ამიტომ ტაშს უკრავდნენ და მინასაც ესროდნენ.

ერთი დედა ფუტკარი უნდა იყოს, დანარჩენი კი მამრები.
ახალგაზრდა დედა ფუტკარი პირველად სულ განაყოფიერებულ
კერძებს ღებს, რითაც ოჯახი სწრაფად მრავლდება. თუ
დედა გამოიჩენება, იმდენი ახალი ოჯახი იქმნება. დედა
ფუტკარი საითაც წავა, იქით წაყვებიან ფუტკრები".

"ნორმალურ ოჯახში იცის მხოლოდ ერთი დედა ფუტკარი,
რომელიც ვერ იტანს სხვა დედა ფუტკრის გამოჩენას და
მისდით ჩხუბი. დედა ფუტკარი პირველ ორ წელიწადში
იძლევა კარგ ნაყოფს, შემდეგ სუსტდება. საერთოდ ის 4-5
წლამდე ცოცხლობს.

ფუტკრის ოჯახი შედგება ერთი დედის, რამდენიმე ასეული
მამლისა და რამდენიმე ათასი მუშა ფუტკრისაგან.

ფუტკრის მოვლა-პატრონობა ბევრადაა დამოკიდებული კარ-
გად აშენებულ საფუტკრეზე. ესლა ფუტკრები ყველას თითქმის
სკიბში გვყავს. სკიბი კარგად გამომშრალი ფიცრებისგან კეთ-
დება, რომლის ძირზე ფუტკრის დასაყრენად მიმაგრებულია
საფრენი ფიცარი. ჩვენს მხარეში აკეთებენ თორმეტწარწიანი
სკიბს. ჩვენში სკიბის გაკეთების ცნობილი ხელოსნები იყვნენ და
ესლაც არიან. ბავშვობიდან გვახსოვს, ხელოსანი სკის გაკეთებას
რო დაამთავრებდა, იტყვოდა:

"სახლი ავაგე ხისაო,
შედიან და გამოდიან
ანგელოზები ღვთისაო".

ჩვენს მხარეში ფუტკარი კარგად გრძნობს თავს, კარგი
პირობები აქვს, რადგან მდიდარი ტყეა, ბაღები, სათიბები და
სხვა თავლის მომცემი მცენარეები. ჩვენში კარგად ხარობს
აკაცია. მაგის ყვავილით ნაკვეჭა ფუტკარი ძალზე კარგ და
ბიჭურ თავლს იძლევა. ეს თავლი გამჭვირვალე ფერისაა,
კარგად ინახება, არ შაქრდება. სხვა მცენარეებთან შედარებით
ამ მხარეში ადრე ხარობს შინდი, რაც ფუტკრის კარგი
საკვებია და კარგი თავლი იცის. განსაკუთრებით გემრიელია
ცაცხვის თავლი. ცაცხვი მანგლისის მხარეში ფართოდაა მოყე-
ნილი. ცაცხვის თავლი მოუკითალო ფერისაა, კარგი არსამატი
აქვს. ცაცხვის ყვავილებს ფუტკარი უფრო დილით და საღამო
ხანს ეტარება. თავლი, და განსაკუთრებით, ცაცხვის თავლი
ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

ფუტკარს დიდი მზრუნველობა და ყურადღებით მოვლა-
პატრონობა სჭირდება. ყურადღებას თუ მოაკლებ, მაშინათვე

მოქმედებს თავლის რაოდენობაზე და ხარისხზე. მოვლა-
პატრონობის ბევრი წესია გაკრძალებული ჩვენს მხარეში.
ფუტკრის გარეთ გამოზამთრებას რო ეძახიან, ბევრად უკეთე-
სია, ვიდრე საზამთრო ბინა. ჩვენი მთიანი მხარეა, დიდი
თოვლი იცის სკები რო თოვლით იფარება, კარგია, იმიტომ
რო შიგნით სიკვივე ნაკლებად შედის და სითბო ნარჩუნდება.
საფუტკრეს არ უხდება მომთაბარეობა. ბუდეში იმდენ თაფლს
ათავსებენ, რამდენიც ფუტკარს მთელი ზამთარი ყოფნის. ამი-
ტომ დედასაც არ ეშლება ხელი კვარცხის დებაში. თაფლის
ამოღება გვიან შემოდგომაზე ხდება. ძალზე ფრთხილად ვიღებთ
ჩარჩოს ბუდიდან, ისე რო არ მოკლავს არც კედლებს და
არც ბუდის სხვა ჩარჩოებს თუ ასე არ გაკეთდა, ფუტკარი ან
დაიხოვება, ან ძალზე გალიზიანდება.

განსაკუთრებით საჭიროა ფუტკრის მავნებლებთან ბრძოლა.
ავადმყოფობის გარდა ფუტკრის მტერია გულყვითელი ჩიტო,
რომელსაც „ფუტკრაჭამიას“ ეძახიან.

თაფლის გამოყოფაზე ძალიან ცუდად მოქმედებს გვალვა,
რადგან ამ დროს, განსაკუთრებით თუ ასეთი ამინდები დიდხ-
ანს გაგრძელდა, ის მცენარეები, რომლითაც იკვებება ფუტკარი,
წყვეტენ ნექტარის გამოყოფას, მსიმე დღეში ვარდება ფუტ-
კარი. ის განა მარტო ველარ იძლევა თაფლს, თავისთვისაც
ველარ იმარაგებს საზამთრო საკვებს. თაფლის გამოყოფას ხელს
უშლის სხვა ფუტკრის შეღწევა ბუდეში. ამიტომ ფუტკრები
დარაჯობენ სკას, ისინი სუნით გრძნობენ სხვა ფუტკრის
გამოჩენას და არავითარ შემთხვევაში ბუდეს არ გააკარებენ“.

იმ ოჯახებში, სადაც კარგად იციან ფუტკრის მოვლა-
პატრონობის წესი, თაფლიც უხვად აქვთ და ხარისხიც მაღა-
ლია. ასეთი ოჯახები მანგლისში არა ერთი და ორია. გან-
საკუთრებით გაითქვა სახელი თაქთაქშვილების ოჯახმა, რომელიც
ტრადიციულად მისდევს მეფუტკრეობას და დიდ წარმატებებ-
საც აღწევს.

საქართველოში ბევრი მეცნიერი-პრაქტიკოსი დაულალავად შრო-
მობდა და შრომობს მეფუტკრეობის დარგის განვითარები-
სათვის. თავის დროზე მეფუტკრეობას სათავეში ჩაუდგნენ და
ბუნების დაცვისათვის იღვწოდნენ ილია ჭავჭავაძე, ილია
წინამძღვრეშვილი, გიორგი ჩაჩუა, პეტრე ნულუკიძე, ვასილ
რცხილაძე, იოსებ გუნცაძე, მიხეილ ზაალიშვილი და სხვ.

საქმელები

მანგლისის მხარის კვების ტრადიციები, ბუნებრივია, მრავალ
ფაქტორთანაა დაკავშირებული - გეოგრაფიულ მდებარე-

ობასთან, კლიმატურ პირობებთან, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებასთან, დემოგრაფიულ ცვლილებებთან, წეს-ჩვეულებებთან, რელიგიასთან, კულტურასთან, სოცლის მეურნეობის განვითარებასთან და ა.შ.

რაკი მანგლისის მხარეში უფრო მეტად განვითარებული იყო მესაქონლეობა და მეცხვარეობა, ამიტომ, ბუნებრივია, აქაური საჭმელები მეტწილად ხორცისა და რძის პროდუქტებისაგან მზადდებოდა. რძისგან დამზადებული საკვები პროდუქტებიდან ძველად ამ მხარისათვის დამახასიათებელი იყო გუდის ყველი. ნამტვრითანელი მარო მაროკაშვილი ასე აღწერს გუდის ყველის დამზადების პროცესს:

„რძეს მოიწვევლიდით ფაშეთან ერთად, რასაც „დეროტას“ ეძახიან. ამას ამარილებენ მარილითა და შაბით, ჩააგდებდნენ ქლაში, შეანელებდნენ ტყემლითა, ტყლაპით, შინდის კერკით და ხორბლით. იღებოდა ორი სამი დღე. ღვინის ჭიქით ამოილებდნენ დედიდან (გამზადებულ მასალას ქვია დედა) წყალს და ცხელ მონჯილილ რძეში ჩაასხამდნენ, შედედებოდა ისე, როგორც მანონი, მერე კოვზით აურევდნენ და დანკნებოდა — ქვემოთ ყველი და ზემოთ შრატი დარჩებოდა. მერე გვერდნდა სვეციალურად იმისთვისა ტილოს პარკი, ჩაჯახსამდით შიგნით და გაინურებოდა. შრატი პარკიდან სულ გადიოდა. თავს მოახვევდნენ და მიწას ამოთხრიდნენ ორმოსათვის (იალაღში), იქ ნედლ ბალახს დააყრიდნენ, ჩასდებდნენ შიგ გუდას და ზემოდან წააყრიდნენ ბალახს და მერე კიდე წაფარავდნენ ძველ თბილ ტანსაცმელს, ბალახი ჩაიორთქლებოდა და ყველი გაცხილდებოდა, გაღვივდებოდა და ნახვლეტებს გაიკეთებდა. საღამოს რომ ჩაფლავდნენ, დილით ამოილებდნენ. ეს იყო უკვე მაგარი ყველი და გადაიტანდნენ გუდაში. (გუდა ეს არის დაკლული ცხვრის ტყავი. მთელ ტყავს ამარილებდნენ მარილითა და შაბით. გუდას შემდეგ გადაკიდებდნენ ლობეზე და გააშრობდნენ. ყველს ჩადებდნენ გუდაში თან მარილს დააყრიდნენ და მაგრად მოუკრავდნენ თავს, რათა პაერი არ ჩასულიყო).

მარო მაროკაშვილისავე ნაამბობით კარაქი ასე მზადდებოდა: „სალამოთი მოსწვევლიდნენ ძროხას, რძეს ჩაასხამდნენ ტაშტში და მეორე დილით ჩაის თევშით მოხდიდნენ ნალებს და ჩაასხამდნენ ბოჩკაში. ერთი კვირის განმავლობაში აკეთებდნენ ასე. როცა მოგროვდებოდა, ნალებს სადღვებელში ჩაასხამდნენ. სადღობელა ამოფურლული ხისგანაა გაკეთებული, აქედან იქედან დამაგრებულია. ზემოდან ამოჭრილია დაახლოებით თეთშის ხეღა, ზოგი ხეს აყარებს. მალა ქერზე იყო ჩამოკიდებული თოკებით. აქანებდნენ და ანჯღრევდნენ, რო კარგად შედგებოდა ბილიყო. არ მოსწონდათ, რო კინზე უყურებდა მდღვებელს

დღეების დროს. ასე ამბობდა: „ყვენი არ აირიოსო“. „თვალი არ ეცქისო“. კინეჟი რა შემოსულიყო, ეჩყვოდა მდღევებელს: „ჩემი წონა კარაქი ამოგივიდესო“. ყველაზე კარგი იყო მაისის ერბო, ყვითელია“

გულის ყველს, ჭინჭრანელი მიცხვარის კოტე ნიკლაურის ნაამბობის მიხედვით, ასე ამზადებდნენ:

„ცხვარს დაკლავენ, შიგნიდან გამოაცლიან ყვავს. დარჩება მხოლოდ ტყავი. ამ ტყავს წყლით რეცხავენ. ცოტა შეშრება, რომ დაიწროტოს და მოპარსავენ მატყლს, ისე, რომ ორი მილიმეტრი ქონდეს კიდე.“

12 საათიდან იწყებენ წველას, წველა გრძელდება 2-3 საათი. ცხვარი ძნელი მოსაწველია. კასრი იქვე დგას, ზედ მარლაა გადაფარებული, რომ რძე სუფთად გაიწუროს. პატარა-პატარა ბაკებში „სანველ ბერაში“ შედის 300-400 ცხვარი. კაცები ბერის ყელში სხედან, ერთი ერეკება ცხვარს (შიგნიდან დგას), სხვები იჭერენ და წველიან. რძეს ახხამენ „ბოჩკაში“, როცა დამთავრდება ცხვრის წყველა, შემდეგ ჩაახხამენ დედას. უნდა ვიცოდეთ, რამდენი დედა დავახხათ, იმიტომ, რომ ბევრი დედა აფუჭებს ყველს. როგორც მანონი, ისე კეთდება. თუ ცივი რძე იქნა, დედა აღარ შეადელებს. მაშინ მეტი დედაა საჭირო, რომ გაჭრას. შრატს ყველს აცლიან ორჯამიანით და უსხავენ ქაღალბს“.

მანგლისის მხარეში გავრცელებული ყოფილა და არის სხვა-დასხვა შეჭამანდი.

„წინათ შეჭამანდს ეჭყოდით. ახლა კერძოებს ვეძახით, ვიცოდით ლოლოს შეჭამანდი, შვინდის, ლობიოს, კარტოფილის, ფქვილის, რძის, დოს, მანჯნის, დომხლის, ჩუმის, სისირის შეჭამანდი.

ლოლოს შეჭამანდი. ლოლო უნდა მოიხარშოს, უნდა ამოწუროთ წყლიდან, მერე უნდა დაკვებოთ წმინდათ. მერე ჩაყვაროთ ისევ თავის წყალში, უზამთ ნორს, ხახვს, წინაქას, ნგოზს და მაროლს, მერე მოუკიდამთ ფქვილს ცოტას და ვადუღებთ კარგათ. ლოლოს უთქვია: იმდენი ხანი მადუღეთო, მინამ მაზლის ცოლები ჩხუბით გაძლებოდნენო. ლოლო რამითენიც მეტს იდუღებს, იმთენი გემრიელია.

ფაქვილის შეჭამანდი. მოჭრაკამთ ერბოში ხახვს, მერე ჩაყვრით ერთ ლამბაქ ფქვილსა და ისიც მაიშუშება კარგათ, დანთლდება. მერე დავახხამთ წყალს და ვადუღევთ კარგათ, ლამაზათ, გადმოვიღევთ, უზამთ მარილსა და ქჭამთ.

ლოს შეჭამანდი. მანონს შეუდღევთათ და ღო ის არი. იმ დოს დაჯგამთ ციხლზე, მერე მოუკიდამთ იმსაც ფქვილსა და დაუნკამთ ხახვს ერბოში და დავახხამთ იმ დოს, დავახხამთ და ვადუღებთ. გადმოღების დროს კერძებს უზამთ და გადმოვიღევთ.

დომხალი რიგო არის? ჯერ უნდა მანონი შეიდუღებოს,

მერე უნდა გაინუროს შადღეებილი დო: სუფთა პარკში უნდა ჩაახან და განურონ. რი გაინურება მაგრათ (ორ დღეს უნდა იყოს პარკში), იმასა გადაზელამენ სუფთა ტაშტში, მერე ნყანის უზამენ, მაროს უზამენ და ჩაზღებენ ქილაში და მერე ზამთრისთვინ შინახამენ. ზამთარში ამიღებენ ქილიდანა, დაუნვამენ ხახესა ერბოში და დაახამენ მერე ნყალსა იმ ერბოსა და ხახესა და აადულებენ იმ ნყალს და მერე ერთი მათლაჟა დომხალს ჩაპყრიან იმ ადულებულ ნყალში. ერთი ნამოდულდება, გადმოიღებენ, კვერცხს უზამენ და შჭამენ.

ჩუშის შაჭამანდსაც ერე ვაკითყთ: (ნალები) შეიღვიბება, მერე კარაქს ამოვიღეთ და დარჩება ჩუშა. ამ ჩუშას დაკდ-გამთ ციცხლზე და ცოტა ფქვილს მოუკიდათ, ნამოადულებით, მაროს უზამთ და ვჭამთ.

მანწინს შაჭამანდი ყველაზე კარგია. დაკჭრით ხახესა, დაუნვამთ ერბოში. მერე ჩავახამთ მანონსა, მერე დავახამთ ცოტა ნყალსა და მოუკიდათ ფქვილსა და მოვადულებით. უზამთ ყველანაირ წვნილსა: ქინძი, კამა, ქონდარი, რეპანი, მაგდანოზი (ოხრახუში). ნამოადულებით, გადმოიღების დროს კვერცხს უზამთ. მერე მზათ არი¹⁰².

ნ ა ზ უ ქ ი

“ნაზუქი ცხეება დღესანაულებში: აღდგომას, სამებობას, სონობა, კვირაცხოველი, გიორგობა, მარიაობა. ცოშს მოყზელამთ რძეში, უზამთ ერბოს, შაქარს, კვერცხს დავზელამთ პურის ცომზე უფრო კარქათ; მერე ჩავაკრამთ თონეში ან ფურნეში შევსხამთ; გათხელებულ გუნდას ზევიდან უსვამთ გათქვივილ კვერცხს.

ხვეული ნაზუქი

მოვზელამთ ცოშას; რო გაღვივდება, ამოვიღებთ გუნდას, გაგათხელებთ, მოვახსამთ გამდნარ ერბოს, მოვაყრით შაქარს ან დამწკარს ხახეს და ცოტა ფქვილს, მერე სიგძეზე დავახვეთ, მერე მოვარგვალბებთ კოსასავითა, ცოტა გავათხელებთ, ჩანგლით დავაჭრელამთ, ზევიდან გადაუსვამთ კვერცხსა და შაქარსა და შევსვამთ ფურნეში.

უხა

რძეში, ერბოში, სიტკბოში მოზელამენ ფქვილსა, როგორც ხმიადი, მაგარსა, გაათხელებენ უხლავითა ლავაშივით, მერე გამოაცხობენ, გაახმობენ, დაფქვავენ ხელსაფქვავზე, გასცრიან საკერში, მოუხარშამენ რძეში და აქმევენ ქორფა ბავშვებს ერთ ნლამდინ, ვისაც ძუძუ არა ჰყოფნის.

102. ი. გიგინეიშვილი, ეთნოგრაფია, თქეთარაძე ქართული ლექსიკონოგია. I, თბ., 1961, გვ 314-315

რძის შეჭამანდი (რძიფუა)

ჯერ ყველის გახსნიან ცივ რძეში, მერე შედგამენ და ადუღებენ, -- ცოტა მარილი და კვერცხი უნდა, როგორც მანვნის შეჭამანდს.

ავადუღებთ რძესა, ჩაყვრით მარილსა, მოუკიდებთ ან პურის, ან სიმინდის ფქვილსა".¹⁰³

ხალხური მკურნალობა

ხალხური მკურნალობა მედიცინის უძველესი დარგია. იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ პრეეღყოფილი თემური წყობილებიდან. როცა ადამიანი განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა, ხალხური მკურნალობა, ხალხური წამალთმცოდნეობა ვითარდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად. ბუნებისაგან ნატურალურად მიღებული სამკურნალო საშუალებების გარდა, „ხალხური მკურნალ-ფარმაცოლოგები“ სწავლობდნენ წამლების დამზადებას სხვადასხვა შეზავების გზით. აკვირდებოდნენ სხვადასხვა ბალახის დადებით თუ უარყოფით მოქმედებას ჯერ ცხოველებზე, ხოლო შემდგომ ამ ბალახებს თვითონაც ხმარობდნენ. საუკუნეების განმავლობაში იხიენებოდა და მდიდრდებოდა ხალხური მედიცინა.

საქართველოში, უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაში, დიდი ყურადღება ექცეოდა ხალხურ მედიცინას. იყვნენ მკურნალები, რომლებიც ექიმის მოვალეობას ასრულებდნენ. თავიანთ გამოცდილებას ისინი ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას ან ხელნაწერს სახით ინახავდნენ.

საქართველო მეტად მდიდარია ძველი ქართული ხელნაწერი ძეგლებით. შემორჩენილია ასზე მეტი ხელნაწერი საექიმო წიგნი და კარაბადინი.

საქართველოში უძველესი ქართული მედიცინის განვითარების შედეგია წიგნი „იადიგარ დაუდი“, რომელიც 1579-1585 წლებში შეუდგენია მეფე ლუარსაბ I (1534-1558) უმცროს შვილს დავითს ანუ დაუდ-ხანს. „იადიგარ დაუდი“ სხვა „საექიმო“ წიგნთაგან განსხვავებით, პოპულარულ-პრაქტიკული ხასიათისაა, რაც თვით ძეგლის შესავლიდანვე ჩანს: „თუ კაცი ასეთსა ადგილსა ავად გახდეს, რომ იქა ექმი და შემდგომი კაცი არ იყოს, ეს წიგნი დაადუან წინა და ამა წიგნთა უაქმონ...“

ხელნაწერი წიგნების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ,

წამალთა დამზადება და მკურნალობის მეთოდები ზეპირადაც გადაიცემოდა.

საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი მკურნალობის წესები ჰქონდა.

მკურნალობა მანგლისელთა ყოფაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ისინი ყოველგვარ დაავადებას შიშით უყურებდნენ. განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩინდნენ ხატის ან მკვდრის სულის დამიზნებით დაავადებულთა მიმართ. ავადმყოფობის მიზეზის დასადგენად ფთილების დახვევის ძველ წესს მიმართავდნენ. ამის ჩასატარებლად ეძახდნენ სოფელში ან მის გარეთ მცხოვრებ ცნობილ შემლოცველ ქალს. ის აიღებდა რაიმე ქურჭელს, აავსებდა სანახევროდ უმხსნელი წყლით (ახალმოტანილი წყლით), ხის კოვზე გადაადებდა სამ ცალ „ფთილას“ (მატყლისაგან დაგრეხილი ძაფი), რომელსაც წყლიან ჯამზე დადებდა და ლოცვას იტყობდა:

„ღმერთო, შენი ჭირიმი, შენი სახელის ჭირიმი, თუ მიზეზი რამე იყოს, ეს ფთილა გამოიხსნას, თუ არადა ნუ დაიძვრებოა“.

დაასახელებდა ხატის ან მკვდრის სახელებს, რომელზედაც ფთილის წვერი გადაიხრებოდა, ის იქნებოდა მიზეზი. მიზეზის გამოცნობის მერე გარკვეული ძღვენის გაღება იყო საჭირო, რომ ავადმყოფს მიზეზი მოხსნოდა. ავადმყოფობის მიზეზი ხშირ შემთხვევაში სხვისი თვალის ცემა იყო. ანუ ადამიანი „თვალაღებული“ იყო. ასეთ დროს უებარი წამალი გამოლოცვა. მთხრობელი ლუბა ქავთარაძე მანგლისიდან თვითონ იყო „თვალაღებულის“ შემლოცველი. იგი ასე შეულოცავდა ავადმყოფს:

„იჯდა დედა მარიაში, ტოლსა ქსავდა ბრონეულსა,
გვერდს ედგა ოქროს ჭურჭელი, შიგ ედგა ვარდის წყალი.

ჩამაიარა ურიაში, თვალნაცრიაში, ყურბანრიაში.

დამნატრა, სანატრელი ნეტავი შენ დედა მარიაში,

ტოლსა ქსავ ბრონეულს, თმასა სწნავ ძონეულს.

გასკდა ოქროს ჭურჭელი, დაიღვარა ვარდის წყალი.

თმა ჩაშოვიდა ძონეული, ტოლი დაიშალა ბრონეული.

დაჯდა დედა მარიაში, დაიწყო ტირილი.

ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა, რატომ ტირი დედა მარიაში?

ჩაუყარე თვალის წყალი ორშაბათსა, სამშაბათსა, ხუთშაბათსა,

შაბათსა. დადგეს იმის თვალი, გასკდეს იმის გული,

ვინც შენ ავის თვალით შემოგხედოს.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა,

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა,

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა“.

ყველაზე მეტად ეშინოდათ ბავშვის გათვალვისა. თუ იჭყს

აიღებდნენ, მაშინ მოიყვანდნენ მოხუც ქალს, რომელიც აიღებდა ცოტა მარილს და ბავშვის თავის გარშემო სამჯერ შემოაატარებდა. ამ პროცედურის დროს მოხუცი თან ამთქნარებდა და შემდეგ გამოაცხადებდა, რომ ბავშვი „თვალნაკრავი“ იყო.

ბავშვის დედა დაძაბული იგონებდა, თუ ვინ იყო ბოლო სამი დღის განმავლობაში მათთან, რათა დაედგინა ვისი თვალი ეცა ბავშვს. ბოლოს მიაგნებდნენ ასეთ ადამიანს და ბავშვის დედა ჩუმად უყვებოდა მეზობლებს, ვის უნდა მორიდებოდნენ. ასე, სრულიად უდანაშაულო ადამიანი თანასოფელითა თვალში ხდებოდა არაკეთილსაიმედო. ბავშვის გამოჯანმრთელების მიზნით კი იგი მიჰყავდათ ცნობილ შემლოცველთან. მლოცველი იღებდა მოტანილ კვერცხს, ბუტბუტებდა სიტყვებს, კვერცხის ნაჭურჭზე ჩხანდა რალაცეებს და ამით ამთაწრებდა შელოცვას. შემლოცველი მიიღებდა თავის გასამრჯელოს, ხოლო ავადმყოფი ბავშვი და დედა მიდიოდნენ სახლში. სახლში მისვლისთანავე შელოცვილ კვერცხს დებდნენ ნაჭრის პატარა ტომსიკაში და კიდებდნენ ქერში, სადაც წლების განმავლობაში რჩებოდა.

ბავშვის კუჭის ძლიერი აშლილობის დროს ასე იქცეოდნენ: დედა ეძებდა ისეთ მამაკაცს (თავის ან მეზობელ სოფელში), რომლის მოსახლეც არავინ უნდა ყოფილიყო სოფელში. მიჰყავდათ ბავშვი მასთან. თან მიჰქონდათ თეთრი თუნუქს ან სპილენძის ნაჭერი. შემლოცველი ბავშვს გასინჯავდა და ამ ნაჭერზე ნამგლის მსგავს ფიგურას ამოტიფურავდა, გაუკეთებდა საკიდს და ბავშვს ყელზე ჩამოჰკიდებდა. ამით მთაწრებოდა ეს პროცედურა. ხოლო ბავშვი ან გამოკეთდებოდა, ან არა. ეს შემლოცველს არ ეხებოდა.

ამრიგად, მანგლისსა და მის მიმდებარე სოფლებში ტრადიციული, ხალხური მკურნალობის, ასევე ექიმის მიერ დანიშნული წამლების გვერდით, იყენებდნენ შელოცვით მკურნალობის ხერხებსაც.

მკეპლობა

ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს — მჭედლობას, კერძოდ, რკინის მჭედლობას, მანგლისის მხარეში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამას ადასტურებს არა მხოლოდ ტოპონიმი „მანგლისი“, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მჭიდროდაა დაკავშირებული მემინდჯივობის იარაღთან ნამგალთან. რკინამჭედლობის მდიდარ ტრადიციაზე ლაპარაკობს ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო ხალხური პოეზიის ჩვენი თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ერთი ნიმუში უეჭველს ხდის ამ მხარეში

მჭედლობის საერთოდ, და, კერძოდ, მეხმლეობის განვითარების
მაღალ დონეს. აი, ეს ლექსიც:

„წინაპარო ასე უთქმიათ,
ძველთაგან ნადასტურია,
რომ ალგეთისა მიდამო
მთელ ქვეყნს სამჭედურია.
ამა აშბისა მონშეა
ინდო, მისრი და ურია,
თუ სადმე ხმალი მძლეობდეს,
უსიტყვოდ აქაურია“.

/ვ.კოტიტაშვილი, ქართული ხალხური პოეზია, გვ.20/.

ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს ხალხურ პოეზიაში
ალგეთის ხეობის მთელი ქვეყნის სამჭედურად, ხოლო აქაური
ხმლის საუკეთესოდ მოხსენიება. ისიც ცხადია, რომ ამ ლექსის
შემთხვევითი ხალხი ამაყობს თავის კუთხეში რკინა-მჭედლობის
განვითარების მაღალი დონით. არც ესაა შემთხვევითი: ხალხ-
ური წარმოდგენით, მჭედელი გრძნეული იყო, ხოლო სამჭედლო
-- წმინდა ადგილი. ცნობილია, რომ წვენში სამჭედლოში
გრდემლოთან დაფიცება ან დანყველა-დარისხვა ყველაზე მძიმე
სასჯელად ითვლებოდა. ერთ-ერთი თქმულებით, კავკასიის მა-
ღალ მთაზე ამირანი მჭედელმა მიაჯაჭვა და სწორედ მჭედელ-
ბი ყოველი წლის დიდ ზუთშაბათს განყვეტაზე მიმდგარ ჯაჭვს
ამთილებდნენ. მჭედელთა მფარველად ითვლებოდნენ იესო ქრისტი,
წმ.გიორგი, სოლომონ და სხვ.

ძველად რკინის დამუშავება ძალიან ცოტამ იცოდა და ეს
ხელობა თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მან-
გლისის მხარეში მჭედლები ამზადებდნენ ფუნქციური დანაშ-
ნულებითა და ფორმა-მოყვანილობით მრავალფეროვან სამეურ-
ნო და საოჯახო იარაღს: სახნის-საკვეთებს, ბარ-თოხებს, სამკალ-
სათიბებს, ქვის დასამუშავებელ იარაღებს, კალატოზს ქაფჩა-
ჩაქურებს და სხვ. მჭედლობის უწყვეტი ტრადიციის დამადას-
ტურებლად მიჩნეულია საფლავის ქვებზე გამოსახული გარ-
დაცვლილის პროფესიის მიმნიშნებელი ინვენტარი. ამ მხრივ
საყურადღებო და ბევრის მთქმელია მანგლისის მხარეში, სოფელ
გოხნარში საფლავის ქვებზე ამოკვეთილი სიმბოლო გარდაცვ-
ლილის საქმიანობისა -- ერთ საფლავის ქვაზე გამოსახული
მჭედლის იარაღები, მეორეზე -- ნამგალი

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მარცველული კულტური-
ბის ერთ-ერთი ასაღები იარაღი ნამგალი, მით უმეტეს, როდეს-
საც მანგლისის მხარეზეა საუბარი. სანამ პურიული კულტური-
ბის აღებას ხალხნი მანქანებით დაინყებდნენ, მოსამკვლ საშუ-
ალებას ნამგალი -- მანგალი /ხელხან-საბას განმარტებით,
„მანგალი -- ყანის მოსაჭრელი“/ წარმოადგენდა ამიტომ მასზე

დიდი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქვემოქართლელი მჭედლები ისე ყოფილან დახელოვნებული ამ იარაღის წარმოებით, რომ აქ მისი მომზადების კერაც უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ამაგრებს სულხან-საბასეული განმარტება და ეთნოგრაფიული მასალაც: „ნამგალი უნინ მანგლისშიც უკეთებიათ და საკმაოდ კარგიც იმდენად კარგი, რომ მანგლისი ამ ნამგლისაგან დაურქმევიათ“ (მთხრ.ლევან ნოზაძე, ახალსოფელი).

კერამიკა

კერამიკის წარმოებას — სამეთუნეო ხელოვნებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში. უძველესი კერამიკული წარმოების მქონე კულტურად ცნობილი ცენტრალური ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითის ხანის (ძვ.წ. V-IV ათასწლეულები) შულავერ-შომუთეფის კულტურის შულავერს ჯგუფს მიეკუთვნება ქვემო ქართლში მოპოვებული ამ ეპოქის ნაწარმი. შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარი) თრიალეთის გორასამარხებში აღმოჩენილია მაღალმხატვრული კერამიკის უბადლო ნიმუშები — მოხატული კერამიკა. თრიალეთშივეა აღმოჩენილი ადრინდელი და შუა ფეოდალური ხანის მოჭიქული კერამიკის ცალკეული ნიმუშები.

ქვემო ქართლის ისტორიული მხარის — თრიალეთის ძეგლებს შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წინაფეოდალური ხანიდან დასახლებული ანინდელი სოფ. დიდი თონეთის ტერიტორიაზე გორანამოსახლარში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი. სოფ. დიდი თონეთი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, დაბა მანგლისის მისადგომებთან. ის პირველად მოხსენიებულია XVII საუკუნის წყაროებში როგორც სათვანეთი, სთონეთი, სთორნეთი, თონეთი და თონეთი, რაც ჩვენ თემისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ამ სოფლის სახელწოდება დავეუკავშიროთ სიტყვა თონეს, თორნეს, თიხის ნაკეთობას (ძველ ქართულში გვხვდება „თურნე — საცხობელი პურისა“). აქედან გამომდინარეა სწორედ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თონეთთან უნდა იყოს დაკავშირებული თონის წარმოება ამ მხარეში. ამ მოსაზრებას ამაგრებს ეთნოგრაფიული მასალა, კერძოდ, თეთრი წყაროს რაიონის სოფ. დაღეთის მკვიდრის სომეხი ეროვნების მთხრობლის ნაამბობი იმის შესახებ, რომ მან ისე გააკეთა თონე, როგორც ქართველებს აქვთო თონეთში, თონეთში ნათესავი მყავს და კიცხი, როგორ აკეთებენო.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ასევე დადასტურებულია მანგლის აგურ-კრამიტის დამზადების ერთ-ერთ ცენტრად. მთხრობლები ბევრ ხელოსნს გვარებს ვერ იხსენებენ. მათი ინფორმაციით, მანგლისში დამზადებული კრამიტით მთელი თეთრი წყაროს სახლები იხურებოდა. მანგლისს კრამიტს ერთ-ერთ სუკეთესოდ მოიხსენებენ.

საერთოდ, თეთრი წყაროს რაიონში გაჯრცილებულია თვალსაზრისი, რომ თიხის ნაწარმი თონეთიდან მოჰქონდათ. შესაძლებელია, თონეთის ალიარება თიხის ჭურჭლის წარმოების კერად ასოციაციით დაკავშირებული იყოს წარმოშობით თონეთელი ა. მუჯირიშვილის სახელთან, რომელსაც აგურისა და კრამიტის ქარხანა ჰქონდა მანგლისში. მაშასადამე, თეთრი წყაროს რაიონის მოსახლეობა მარაგდებოდა მანგლისში დამზადებული თიხის ჭურჭლით. მას იძენდნენ ფულით ან ცვლიდნენ ჭირნახულზე.

1963 წლის მარტში ყოფილი ზემო ოძისის (ეი. მანგლისის) მიდამოებში შენობის საძირკვლის გათხრისას მშენებელმა ჭუშებმა იპოვეს სხვადასხვა ზომისა და ფორმის დიდი ხელოვნებით შესრულებული თიხის ჭურჭელი — დოქები და სხვა საოჯახო ნივთები. ისინი დაცულია მანგლისის ქართული საშუალო სკოლის მუზეუმში.

თანამედროვე მანგლისი

თანამედროვე მანგლისს საფუძველი ჩაეყარა 1823 წელს, როდესაც რუსეთის მთავრობამ სამხრეთის საზღვრების დაცვის გაძლიერების მიზნით აქ სამხედრო ნაწილი გადმოიყვანა. ამ დროისათვის საქართველოს ეს უძველესი, ქართველებით მჭიდროდ დასახლებული და აყვავებული მხარე უკაცროელ ნასოფლარად იყო ქცეული. გაუთავებელი შემოსევების შედეგად თითქმის ერთ საუკუნეზე მეტი აქ სიცოცხლე ჩამკვდარი იყო.

სწორედ 1823 წელს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ნერმოლოვმა კარაბინერთა მე-7 პოლკის მეთაურს ნ. მურავიოვს, რომელიც შემდგომში კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი გახდა, უბრძანა მოეძებნა შესაფერისი ადგილი ნალკასა და თბილისს შუა პოლკისათვის სამხედრო ქალაქის ასაშენებლად. ამ მიზნით ძველი მანგლისის ტერიტორია იქნა არჩეული. აღნიშნული პოლკი 90 წელი (1824-1914) იყო დაბანაკებული მანგლისში და, ბუნებრივია, მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე მანგლისის ისტორია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პოლკის თაობაზე თითქმის

არავითარი ცნობები არ მოიპოვება. 1871 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ამ პოლკის ისტორიის ამსახველი ფუნდამენტალური ნაშრომი სამ ნაწილად „История Лейбс-Гренадерского Эриванского Его величества Александра Николаевича полка“.

ეს პოლკი იყო უძველესი რუსულ არმიაში. იგი დაარსდა 1642 წელს. თავისი არსებობის მანძილზე პოლკს რამდენჯერმე შეიცვალა სახელი. სპარსეთთან პირველი ომის დროს (1805-1815 წწ.) მას მე-17 ეგერთა პოლკის ნაცვლად ეწოდა კარაბინერთა მე-7 პოლკი. ამ დროს პოლკის მეთაურებად იყვნენ პოლკოვნიკები კარაგინი და კოტლიაროვსკი. 1828 წელს სპარსეთის ციხე-სიმაგრე ერივანის აღებასთან დაკავშირებით პოლკს ერივანის სახელი ეწოდა. პოლკის მეთაურები იყვნენ პოლკოვნიკი მურავიოვი და ბარონი ფრიდრიკი.

1850 წლის 14 ნოემბერს პოლკის შეჯად დაინშნა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს; ამ დროიდან მოყოლებული პოლკი მის სახელს ატარებდა. 1856 წლის 17 აპრილს მას ეწოდა „მე-15 ლაიბ-გრენადერთა ერივანის მისი იმპერატორული უდიდებულესობის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის პოლკი“.


პოლკს თავისი ისტორიის მანძილზე მიღებული ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოს მრავალი უმაღლესი ჯილდო და მისი შეფის მატერიალური და მორალური წახალისებანი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ პოლკისა და თავისი ქვეყნის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩანერეს ჩვენი ერის საამაყო შეილებმა, გამოჩენილმა ქართველმა მხედართმთაურებმა: გენერალ-ლეიტენანტებმა ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა (მუხრანსკიმ), ივანე ანდრონიკაშვილმა (ანდრონიკოვმა), ალექსი ქავთარაძემ, გენერალ-მაიორმა გიორგი თარხნიშვილმა (თარხან-მოურავმა), პოლკოვნიკებმა: დადიანმა,¹⁰⁴ მოსე გურამიშვილმა (გურამოვმა) და ბევრმა სხვა მამაცმა მეომარმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი.ბაგრატიონ-მუხრანელის გმირული საბრძოლო გზა. 1848 წელს იგი დაინიშნა ერივანის ლაიბ-გრენადერთა ლეგიონის უფროსად. ამ ლეგიონში სამსახური ი.ბაგრატიონ-მუხრანელის ბიოგრაფიის საუკეთესო ფურცლებია. სხვადასხვა ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი დაჯილდოებული იყო წმინდა ანას, წმინდა გიორგის, წმინდა სტანისლავის, წმინდა ვლადიმერის ოთხივე ხარისხის ორდენებით.

საინტერესოა, რომ 1875 წლის 14 ნოემბერს ლივადიაში დიდ ზეიმზე, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე II-ის ლაიბ ერივა-

104. პოლკოვნიკი, თავადი დადიანი 1828-1830 წლებში ამ პოლკის მეთაური იყო.



მანგლისის ხელი XIX საუკუნის ქეორე ნახეცარუი.

ნს ლეგიონის შეფად დანიშნის 25-ე წლისთავს ეძღვნებოდა, ბაგრატიონ-მუხრანელი ლეგიონის დელეგაციას მეთაურობდა. სამეფო სადილზე მან ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ მეფისა და მთელი მისი ამაღლის ყურადღება დაიმსახურა — აქ მეფემ პირადად დააბნია მას გულზე თეთრი არწივის ორდენი.¹⁰⁵

როგორც კი გაიცა განკარგულება რუსი პოლკის მანგლისში დაბანაკების შესახებ, აქ დაუყოვნებლივ დაიწყო სამხედრო ქალაქის მშენებლობა. პოლკის შემადგენლობიდან დაკომპლექტდა სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებისა და ხელოსნების ჯგუფები, რომლებსაც, როგორც წესი, სათავეში ედგნენ ცალკეული ასეულების მეთაურები. მათ ევალებოდათ ყაზარმების, ლაზარეთების, აბანოების, ასეულთა ეზოების, ოფიცერთა ფლიგელების, პოლკის შტაბ-ბინის, მანგლისი-თბილისის გზის მშენებლობა, მანგლისის ტაძრის აღდგენა, სასმელი წყლის გამოყვანა.

1824 წლის შემოდგომისათვის მთავარი სამუშაოები შტაბ-ბინის მოსაწყობად დამთავრებული იყო. ამავე წლის სექტემბერში პოლკი ბაშკირეთიდან (ამჟამად დმანისი), სადაც ის თითქმის 8 წელი იდგა, საბოლოოდ გადმოსახლდა მანგლისში. ოფიცერთა და ჯარისკაცთა მთელი შემადგენლობის თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში მოხდა ახალი ყაზარმების კურთხევა; საფუძველი ჩაეყარა ქვის საპოლკო ეკლესიას, რომლის გეგმის ავტორი და მშენებლობის ხელმძღვანელი თვით ნ.მურავიოვი იყო.

როდესაც პოლკი ჩამოვიდა და დაბანაკდა მანგლისის უძველესი ტაძრის ნანგრევების მახლობლად, მის გარშემო მიდამოებში გამოქვაბულების, მინისქვეშა გალერეებისა და სხვადასხვა დანგრეული საცხოვრებლების გარდა არაფრის ნასახი არ იყო. თვით მანგლისის ტაძრის სახურავზე ნაძვის ხე იზრდებოდა. ეს ადგილი გაუედა ტყეებს ეკავა, რომელიც გავსებული იყო გარეული მხეცებითა და ყაჩაღებით. ამიტომ პოლკის წინაშე დაისახა ამოცანა მიეღო ყველა ზომა, რათა გაეყვანა გზები, გაენმინდა ტყეები, დაემუშაებინა მინდვრები, გამოეყო სათიბები, საბაღე ნაკვეთები, მოკლედ, ხელახლა აელორძინებინა ეს უძველესი, უმშვენიერესი და ერთ დროს აყვავებული მხარე. „Чуждая в этом крае русская песня вместе с топором, лопаткою и косой раздалась по сосновым рошам и лугам“¹⁰⁶

პოლკის ხელმძღვანელობის მითითებით ყველა ასეულმა დაიკავა სათიბები და საბაღე ნაკვეთები.

პოლკთან არსებობდა ენ „ცოლიანი ასეულები“, („)Кенатые

105. შვეტცილი. ჩვენი სახელოანი სამხედრო წინაპრები, 1979, გვ.153.

106. История Лейбъ-Гренадерскаго Эриванскаго Его величества Александра Николаевича полка, часть I, Тифлис, 1871, стр.148.


ითხს"), რომელთაც გამოყოფილი პქონდათ ცალკე შენობა მდინარე ალგეთის მახლობლად. ისინი ენერგიულად შეუდგნენ აქვე მოჭრილი ფიჭვის ხეებისგან თავიანთის სხვადასხვა ფორმის რუსული ქოხების აშენებას. საცხოვრებლების სხვადასხვაობა ნათელი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ამ უძველესი ქართული მინის ეს ახალი მოსახლეობა ძირითადად ჩამოსული იყო რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან, უმთავრესად კი ვორონეჟის, ორლოვის, ტამბოვის, ტულისა და პენზის გუბერნიებიდან.

რადგანაც ვახსენეთ „ცოლიანი ასეულები“, გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ მათი შექმნის იდეა ეკუთვნის თვით გენერალ ნერმოლოვს. მან ჯერ კიდევ 1818 წლიდან უწყლება მისცა ჯარისკაცებს რუსეთიდან სახელმწიფო ხარჯზე ჩამოეყვანათ ცოლ-შვილი და სამხედრო სამსახურის დროს მათთან ერთად ეცხოვრათ. ამავე დროს უცოლო ჯარისკაცებს დაქორწინების ნება მისცეს. იმ დროს საქართველოში ცოტა იყო რუსი ქალიშვილი, ამიტომ მონოდებით მიმართეს რუსეთის გუბერნიებში მცხოვრებ ქალიშვილებს ჩამოსულიყვნენ საქართველოში. ამ მონოდებამ ფართო გამოხმაურება მოვა. დაიწყო ქალიშვილების ჩამოსვლაც. უცოლო ჯარისკაცები მათ ირთავდნენ და აქვე სახლდებოდნენ. მთავრობა ხელს უწყობდა დასახლებაში და შეღავათებს აძლევდა. ამ დროიდან იწყება საქართველოში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში ჯარისკაცთა დანაყოფების ე.წ. „ცოლიანი ასეულების“ ჩამოყალიბება და ცოლიან ჯარისკაცთა დასახლება.¹⁰⁷ თავის დროზე პოლკების „ცოლიან ასეულებს“ დიდი სარგებელი მოჰქონდა. ჯარისკაცებს შორის მნიშვნელოვნად მცირდებოდა სხვადასხვა ავადმყოფობა, სამშობლოს ნატვრის სურვილი, და, რაც მთავარია, ომის შემთხვევაში ამიერკავკასიაში რუსეთის სახელმწიფოს ჰყავდა საყრდენი პუნქტები, რომლებიც ერთგულად დაიცავდნენ მის პოლიტიკას ახალ შემოერთებულ ქვეყნებში. გენერალ ნერმოლოვსვე ეკუთვნის ინიციატივა პოლკის შტაბ-ბინების სტრატეგიულად ხელსაყრელ მუდმივ ადგილებზე მონყობისა, რომლებიც მოშორებული იქნებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

სამხედრო დასახლებულები დროთა განმავლობაში მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიურ ძდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

გაითვალისწინა რა ეს, 1857 წელს მეფის ხელისუფლებამ გააუქმა სამხედრო დასახლებები კავკასიაში და იგი სამოქალაქო უწყებებს გადასცა. კავკასიის კომიტეტმა მხედველობაში მიიღო გენერალ ბარიატინსკის პასუხი მეფე ალექსანდრე II-ს შეკითხვაზე და დაადგინა: ამიერკავკასიაში არსებული


107. К. А. Бороздин. Переселенцы в Закавказье, Русский Вестник, 1891, N 7, стр. 123.



წმინდა გიორგის ორდენის კავალრები.



გრენადერთა პოლკის ოფიცრები.



გრენადერები.

მდგომარეობის გამო მანგლისს, ელიზვეტინსკის, ბელი კლიუნისა და ლაგოდეცის სამხედრო დასახლებანი გადაეცეს სამოქალაქო უწყებას გენერალ-ადიუტანტ თავად ბარიატინსკის მიერ გამოტანილ წინადადებათა საფუძველზე ამ საკითხის ორგანიზაციის ყველა წინადადება დამტკიცდეს კომიტეტის ამ გადამწყვეტილებაზე შეფემ 7 ივნისს წაანერა „შესრულდეს“.

როგორც საქართველოს დამსახურებული მანგლისის პავლე იორბალიდის პირადი არქივიდან ირკვევა რუსეთის ჯარის შემოსვლისას თანამედროვე მანგლისში სამხრეთით იდგა მანგლისის ციხე-სიმაგრე და ეგრეთ წოდებული „თურქეთის დენთის სარდაფი“, რომელიც აშენებული იყო ჯერ კიდევ არაბების დროს, არაბულ სტილში. იმასთან დაკავშირებით, რომ არაბთა ბატონობისას (VII-VIII სს.) ჯერ კიდევ არ იცოდნენ დენთი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შენობა გამოყენებული იყო საყარაულო სამსახურსათვის, ხოლო მას შემდეგ, რაც თურქებმა მანგლისი დაიკავეს, მათ ეს შენობა გადააკეთეს დენთის სარდაფად. აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. კარგა მოგვიანებით — 1964 წელს მანგლისში მყოფმა სამხედრო ჩანილმა ეს შენობა დაშალა. ამას გარდა ეროვანის პოლკის შემოსვლისას თანამედროვე მანგლისში ყოფილი ლეჩინისა და მუშის ქუჩების კუთხეში იდგა 12 ოთახიანი საკმაოდ დიდი შენობა, სადაც მოთავსებულ იქნა პოლკის შტაბი, ფოსტა და ტელეგრაფი. ეს შენობა ნაწილობრივ დანგრეულ იქნა მენშევიკური მთავრობის დროს, ხოლო საბოლოოდ დაინგრა 1924 წელს. გარდა ჩამოთვლილი ობიექტებისა, თანამედროვე მანგლისის ტერიტორიაზე იდგა კიდევ რამდენიმე ნახევრად დანგრეული შენობა, რომლებიც გადაკეთებულ იქნა რუსეთის ჯარის მიერ პურის საცხობად. ზემოთ აღნიშნული ყველა შენობა ახსოვთ მანგლისის უხუცეს მცხოვრებთ.

როგორც აღვნიშნეთ, მანგლისში რუსი პოლკის შემოსვლისთანავე პირველ რიგში დაიწყო ყაზარმებისა და სხვა სამხედრო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

ასე, მაგალითად, 1848 წლის შემოდგომაზე პოლკოვნიკმა ვრანგელმა დაამთავრა მანგლისში ოფიცრებისათვის ორსართულიანი ყაზარმის მშენებლობა, რომელსაც პოლკში „ოფიცერთა ფლიგელს“ უწოდებდნენ.

1852 წელს პრაპორშნიკ ჩუკოვის ხელმძღვანელობით ააგეს დიდი ორსართულიანი შენობა პოლკის ლაზარეთისათვის.⁶⁵

პოლკის მეთაურის დე-საყეს 1856-1859 წწ ანგარიშიდან ჩანს, რომ მანგლისში მარტო ამ დროის განმავლობაში აშენდა

ფურშტატის ასეულის ყაზარმა, პოლკის მეთაურთა სახლი, პოლკის ლაბორატორია, დენტის სარდაფი. ამ დროს დაიწყო მანგლისის უძველესი ტაძრის აღდგენა, გაყვანილ იქნა გზატკეცილი ცენტრალური მოედნის გარშემო, ფიჭვნარის პარკში აშენდა პავილიონი.

1859 წელს ჯარის ნაწილებისათვის მანგლისში აშენდა სათრიმლავე და სამღებრო ქარხნები. შემოიღობა ფიჭვნარის ქალა საზაფხულო სეირნობისათვის, კეთილმოეწყო ცენტრალური პარკი.¹⁰⁹

1873 წლის 29 ივნისს ერევანის პოლკის ზეიმის დღესთან დაკავშირებით მანგლისში საფუძველი ჩაეყარა პეტრე-პავლეს ქვის ეკლესიის მშენებლობას. ეკლესიის მშენებლობისათვის გამოიყო 14642 მანეთი. იმპერატორმა პოლკზე შეფობის 25 წლისთავთან დაკავშირებით ეკლესიის მშენებლობისათვის დამატებით გაიღო 10000 მანეთი აშენდა ქვის სამრეკლო. ეკლესიის მშენებლობა დამთავრდა XIX საუკუნის მიწურულს პოლკის მეთაურის პოპოვის დროს, რომელიც იქვე იქნა დაკრძალული.¹¹⁰

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკებმა ეს ეკლესია ააფეთქეს. ასაკოვან მანგლისელებს დღესაც ახსოვთ შემზარავი აფეთქების ხმები. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აფეთქებული ეკლესიის საკმაოდ დიდი ტერიტორია დღევანდელი ავტოსადგურის გვერდით ხელუხლებელი დარჩენილა. ეკლესიის ნანგრევები თვალნათლივ მოწმობს ბოლშევიკების ბარბაროსულ მოქმედებაზე კულტურის ძეგლების მიმართ. კარგა ხნის შემდეგ ეკლესიის ნანგრევებზე საბჭოთა არმიის ოფიცერთა ოჯახების კოტეჯები აუშენებიათ. ასეთივე ბედი სწვევია მანგლისის მხარის სხვა ზოგიერთ ეკლესიასაც.

ყველაზე შესანიშნავი და ლამაზი ნაგებობა, რომელიც გრუნადერთა პოლკმა მანგლისში ააშენა, იყო ოფიცერთა კლუბი, ანუ, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებდნენ, სამხედრო კლუბი. ეს შენობა არა მარტო დაბის, არამედ ნებისმიერი ქალაქის მშენება შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი აშენებულ იქნა აკადემიკოს სიმონსონის მიერ შედგენილი პროექტით მასში მოთავსებული იყო სიმღერისა და ცეკვის დიდი დარბაზი, მოყვარულთა სექტაკლების სცენა, სასტუმრო, საბილიარდე, სასადილო, ოთახები ბიბლიოთეკისათვის და სხვ.

სახსრები ამ შენობის ასაშენებლად ნაწილობრივ (3000 ვერ-


109. История Лейбъ-Гренадерскаго Эриванскаго Его Величества Александра Николаевича полка, часть III, Тифлис, 1871, стр.120.

110. История Лейбъ-Гренадерскаго Эриванскаго Его Величества Александра Николаевича полка. за 250 лет (1642-1892) часть пятая, С.-Петербург, 1898, стр.9, 153, 300, 302.

გენდერთა პოლის ღირსშესანიშნაუ შენობები.



სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა



სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა




სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი
 ღირსშესანიშნაუ შენობა
 სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი
 ღირსშესანიშნაუ შენობა




სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა




სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა



სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა



სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა



სამხრეთ-აღმოსავლეთი კორპუსი, ღირსშესანიშნაუ შენობა



1872 წელს აშენებული ყაზარმა.

ცხლის მანეთი) შეგროვილ იქნა პოლკის ოფიცრების მიერ, ასეთივე თანხა გამოყო კავკასიის მეფოსანაცვალმა და კავკასიის არმიის მთავარსარდალმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ შენობის დასამთავრებლად რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ, რომლის სახელსაც ატარებდა პოლკი, თავისი კაბინეტურიდან გასცა ხუთი ათასი ვერცხლის მანეთი.¹¹¹

შენობის დამთავრება და მისი კურთხევა მოხდა პოლკის დღესასწაულის დღეს 1871 წლის 29 ივნისს, წმინდა პეტრე-პავლეს დღეს.

ამ დღეს მანგლისში მოწვეული იყვნენ დიდძალი სტუმრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მაღალი რანგის ხელმძღვანელები, პოლკის ყოფილი მეთაურები, ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მობრძანდნენ ამ ღირშესანიშნავი ზეიმის აღსანიშნავად.

დღის 12 საათზე მოხდა კლუბის საზეიმო გახსნა. დიდ დარბაზს, რომელიც შესანიშნავად იყო მორთული ყვავილებით, ამშვენებდა რუსეთის იმპერატორის გრანდიოზული პორტრეტი მთელი სიმაღლით, ხოლო კედლებზე გამოფენილი იყო 1825-1870 წლების პოლკის მეთაურთა პორტრეტები.

დიდ დარბაზს უზარმაზარი ფრანგული ბროლის ჭალი უხდებოდა, რომელიც ბოლო დრომდე შემორჩა.

ამ დღესასწაულს მთელი მანგლისის მოსახლეობა ზეიმობდა. მოენყო დიდი მეჯლისი, ილუმინაცია, ფერევერკები. გაიმართა ცეკვები, ყველგან ისმოდა სიმღერები.

ამ დღესთან დაკავშირებით შიღებულ იქნა რუსეთის იმპერატორის მისალოცი დეპეშა, რომელსაც დამსწრე საზოგადოება დიდი აღფრთოვანებითა და ვაჟას შექახილებით შეხვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზეიმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზატორი იყო პოლკის საზინადარი, კაპიტანი ზ.დევედარიანი, რომელიც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა პოლკში და ადგილობრივ მოსახლეობაში.¹¹²

საერთოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოფიცერთა კლუბმა მეტად დიდი როლი შეასრულა არა მარტო სამხედრო ჰირების, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, რაც ერთ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა. აქ იმართებოდა ერთობლივი კულტურული დანიშნულების ღონისძიებანი, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართულ მოსახლეობაზე; მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების გან-

111. Газ. Кавказ, 1870, 18 марта.

112. Газ. Кавказ, 1870, 8 июля.

მავლობაში, დანყებული 1989 წლიდან, ეს შენობა უპატრონობისა და უყურადღებობის შედეგად ნელ-ნელა დაიშალა და გაიქურდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ამ ერთ-ერთი უძველესი და სახელოვანი პოლკის მანგლისში ხანგრძლივი ყოფნის დროს მის დასათვალისწინებლად ხშირად ჩადიოდნენ მაღალი რანგის პირები, მათ შორის კავკასიის მეფისნაცვლები, კავკასიის არმიის მთავარსარდლები, რუსეთის მხედართმთავრები, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები. ყველას ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1856 წელს პოლკს სტუმრად ეწვია მისი ყოფილი მეთაური, კავკასიის არმიის მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი. მან დაათვალისწინა მის მიერ დაარსებული პოლკის შტაბბინა და მოინახულა მისივე ინიციატივით აშენებული წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესია.

1863 წელს მანგლისს ეწვია მისი იმპერატორული უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოზის ძე. ის კმაყოფილი დარჩა მანგლისში განლაგებული შტაბ-ბინით, მოეწონა ოფიცრების მიერ დადგმული სოლოგუბის პიესა „ღამე დუქანში“, რომელიც ფიჭენარის ქალაქში დაიდგა. ამ სპექტაკლმა ადგილობრივი მოსახლეობის მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია.¹¹³ აღსანიშნავია, რომ ამ პიესაში მონაწილეობდა თავადი მ.სუმბათაშვილი (სუმბატოვი).¹¹⁴

ასეთივე დიდი პომპეზურობით 1892 წლის 29 ივნისს მანგლისში აღინიშნა ერივანის პოლკის 250 წლისთავის იუბილე. სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად ამ დღეს მანგლისის „პატარა პლაცში“ საფუძველი ჩაეყარა რიგითი გავრილ სიდოროვის ძეგლს, რომელიც გმირულად დაიღუპა რუსეთ-სპარსეთის ომში 1805 წელს. პოლკის წარმომადგენლებმა — სტოლიცამ, გურჩინმა, ამირეჯიბმა და სტუმრებმა ცემენტის საძირკველზე დაამაგრეს სპილენძის დაფა წარწერით: „1892 года, июня 29-го дня, в царствование государя императора Александра III, при командующем войсками генерал-адъютанте Шереметеве и командире 13-го лейб-гренадерского Эриванского Его Величества полка, флигель-адъютанте Столица заложен сей памятник рядовому этого полка Гавриле Сидорову, однополчанину его, собравшимся праздновать день 250-летия годовщины верной боевой службы Престолу и Отечеству“.¹¹⁵

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რიგითი გ.სიდოროვის

113. История Лейб-Гренадерского Эриванского Его Величества Александра Николаевича полка, часть III. Тифлист, 1871, стр.144.

114. Газ. Кавказ, 1869, 27 августа.

115. История 13-го лейб-гренадерского Эриванского Его Величества полка за 250 лет (1642-1892), часть пятая, С.-Петербург, 1898, стр.348.

ძველი ბოლშევიკებმა ჩამოხსნეს, დატოვეს მხოლოდ კვარცხლბეკი, რომელზეც დაიდგა ვი.ლენინის ტრაფარეტული ხელგამწერი ძველი. ეს ხელი დიდ ბელადს გაშვერილი ქონდა სამხრეთით, პირდაპირ ცეკავშირის სოფეაჭრობის გამგეობის იმდროინდელი თავმჯდომარის რიაბუხინას სახლისკენ. მანგლისელები დღესაც ხუმრობენ, ლენინს ხელი იმიტომ ქონდა იქით გაშვერილი, რომ მასთან მისულ ყველა გაჭირვებულ კაცს ურჩევდა, რიაბუხინას მიაკითხეთო.

1991 წელს ეს ძველიც გადმოაგდეს. ამჟამად მანგლისის პატარა „პლაცში“ შემორჩენილია მხოლოდ ძველის კვარცხლბეკი

გრენადერთა პოლკის მიერ აშენებული შენობების უმრავლესობა დღესაც უცვლელი სახით დგას. ზოგიერთ მათგანში ამჟამად მოთავსებულია საქართველოს ეროვნული გვარდიის მანგლისის სასწავლო ცენტრი. ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, ზოგიერთი სამხედრო შენობა უპატრონობის გამო ნელ-ნელა გაიქურდა და დაინგრა. ეს ბედი ეწვია ზოგიერთ ყაზარმასაც. ყველაზე ძველ ყაზარმაში 1971 წელს მოთავსებულ იქნა თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის“ ფილიალი, რომელიც დღეისათვის ასევე, სამწუხაროდ, არ ფუნქციონირებს. იმისათვის, რომ არ არეულიყო ახალი დაბის დასახელება მანგლისთან, ახალს დაერქვა ახალი მანგლისი ანუ შტაბი, რადგან იქ იდგა პოლკის შტაბბინა, ხოლო ძველ ნაწილს დაერქვა ძველი მანგლისი.

1912 წლამდე ფიჭვნარის ხეივნიდან ძველ მანგლისამდე არცერთი შენობა არ იდგა, იყო მხოლოდ პურის ყანები. საზღვარი ძველსა და ახალ მანგლისს შორის გადიოდა კვეზერელის ყოფილ სახლთან (ახლანდელი ბავშვთა №1 სანატორიუმი). ახალი მანგლისიდან საზღვრის მარჯვენა მხარეს განლაგებული იყო დუქნები და პურის საცხობი, მარცხნივ იდგა რესტორანი „ქველთა“, რომელიც ფუნქციონირებდა მხოლოდ ზაფხულის პერიოდში. ორიოდ წლის წინ, საშენი მასალის გამოყენების მიზნით, სამწუხაროდ, ეს შენობაც დაშალეს და გაქურდეს.

გარდა ზემოთ აღნიშნული შენობებისა, მდინარე ალგეთზე აგებული იყო საკმაოდ დიდი ყაზარმები, სადაც სამხედრო ნაწილების შემოსვლის შემდეგ ინახებოდა ზამთრის საკვები პირუტყვისათვის, პირველ ხანებში მანგლისის ციხე-სიმაგრეში მოთავსებულ იქნა სამხედრო პოსპიტალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყაზარმების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა კერძო მშენებლობაც. მეთაურთა შემადგენლობას და ზემდეგებს ეძლეოდათ საკარმიდამო ნაკვეთები და სესხი. ეს ხელს უწყობდა მანგლისისა და მისი მოსახლეობის ზრდას სამხედროების, ხელოსნების, ვაჭრებისა და სხვათა ხარჯზე. განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდნენ ზემდეგები.

მათ ეძლეოდათ საუკეთესო მიწები და გრძელვადიანი სესხები, ხოლო მათი შვილები თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურ-რიდან იარაღის ტარების უფლებით. ისინი უმთავრესად სახ-ლდებოდნენ ახალი მანგლისიდან სამხრეთით, სამი კილომეტრის დაშორებით; შესანიშნავ ადგილას, რომელსაც „პოსელენიე“ დაერქვა. ეს სახელი რუსულად ზუსტად შეესატყვისებოდა ამ დასახლე-ბას, 1929 წელს სოფ. პოსელენიეს ეწოდა ბუდიონოვკა, ხოლო 1965 წელს — ალგეთი.


არასამხედრო პირებს უფლება არ ჰქონდათ შიგ მანგლისში აეშენებინათ სახლები. ამიტომ გასაგებია, რომ სახლების 90%-ზე მეტი სამხედროებისა იყო. აქ დასახლებულ სამხედროებს უფლება ეძლეოდათ სახელმწიფოს ხარჯზე რუსეთიდან ჩამოე-სახლებინათ თავიანთი მშობლები და ნათესავეები. ამიტომ იყო, რომ თავდაპირველად ამ ძირძველ ქართულ მხარეს რუსები დაეპატრონენ. გაჩნდა რუსული დასახლებანი, რომლებიც დღესაც ახსოვს აქაურ მოსახლეობას, ესენია: „პოსელენიე“, „პროტიაგა-ლოვკა“, „პისარსკაია სლაბოტკა“ და სხვ. ასეთივე სამხედრო დასახლებები შეიქმნა ბელი კლუჩის (ასე ეწოდებოდა მაშინ ახლანდელ თეთრი წყაროს) სამხედრო ნაწილთან — „პოსელენიე“ და „მიხაილოვკა“. შემდეგ 22 ოჯახი აქედან დასავლეთით — ოციოდე კილომეტრის მოშორებით გადასახლდა და გაჩნდა ახალი სოფელი ალექსეევკა.

სამხედრო დასახლებაში მცხოვრებთ ევალეობოდათ აეშენები-ნათ სტანდარტული სახლები და ეტარებინათ დანესებული სპეციალური ტანსაცმელი. მაგალითად, ბელი კლუჩში დაბანაკე-ბული პოლკის უფროსის სახელზე ჯარის კორპუსის შტაბისაგან გამოგზავნილ ბრძანებაში ნათქვამია: „სამხედრო ვალმოხდილი ჯარისკაცების სახლები ერთნაირი უნდა იყოს. ამაში დაბ-რკობება არ იქნება, რადგან ტყე ახლოსაა და სამშენებლო მასალის დამზადება ზამთრის განმავლობაში შეიძლება“¹¹⁶ ასეთი ნებართვის მიცემამ ის შედეგი გამოიღო, რომ ახალმოსახლებე-ბმა შეუბრალებლად დაინყეს სამხედრო დასახლებების ირგვლივ ძვირფასი ასწლოვანი ფიჭვნაროსა და მუხნარის გაჩეხვა, რამაც დიდი ზარალი გამოიწვია და თვით სამხედრო სარდლობაც იძულებული გახდა ერთგვარი შეზღუდვები დაენესებინა. 1842 წლის 11 თებერვლის ბრძანებაში ნათქვამია: „არაერთხელ შემ-ჩნეულია, რომ ცოლიანი ჯარისკაცები და სამხედრო დასახლე-ბულნი აქ ანადგურებენ მშენებლობისათვის ერთადერთ გამო-სადეგ ფიჭვნარ ახალგაზრდა ტყეს არა მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის, არამედ მეტწილად გასაყიდად.“¹¹⁷


116. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ.1390. საქ.1, ფურც.1.
 117. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ.1390. საქ.5, ფურც.2



გრენადერთა პოლკის რიგითი გავრილ სიდოროვის ძეგლი,
დადგმული 1892 წელს .პატარა "პლაცში".



რიგითი გ.სიდოროვის, შემდგომ ვლენინის ძეგლების
შემორჩენილი კვარცხლბეკი პატარა „პლაცში“



თადარიგში გასულ გრენადერთა ერთი ჯგუფი.

თადარიგში გასულ გრენადერთა ერთი ჯგუფი.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო დასახლებები მძიმე ტვირთად დაანვა სამეფო ხაზინას და, როგორც აღვნიშნეთ, მეფის ხელისუფლებამ ყველა ისინი სამოქალაქო უწყებებს გადასცა. მანგლისის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ასეთი ტენდენცია გრძელდებოდა რევოლუციის შემდეგაც. ამ დროს გაჩნდა ისეთი დასახლებული პუნქტები, როგორცაა „ბუდიონოვკა“, „ვოროშილოვკა“, „ნოვი სვეტ“ და ა.შ.

რუსეთი მანგლისის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ატარებდა კოლონიურ პოლიტიკას. „По мере развития наших успехов по умиротворению Кавказа, русская колонизация в этом крае стала увеличиваться в двух направлениях: во-первых, посредством развития новых казачьих станиц, к заселению которых призывались, между прочим, и женатые нижние чины кавказских войск, и, во-вторых, посредством заселения так называемых слободок при штаб-квартирах полков и крепостях... Урочище Манглис это в настоящее время представляет один из прелестных уголков Закавказья с населением почти исключительно русским, из великороссов и малороссов, которыми до ведения всеобщей воинской повинности преимущественно комплектовался Лейб-Эриванский полк. Все эти поселенцы, в числе до 3 тысяч жителей обоого пола, суть потомки отставных офицеров в нижних чинах, или же они происходят из семей женатой роты.

Манглис в настоящем своем виде служит прекрасным образчиком колонизаторской способности русских войск на Кавказе. В Закавказьи это был прелестный русский уголок.¹¹⁸

მანგლისის მხარეში რუსის ჯარის მეშვეობით იდევნებოდა ყველაფერი ქართული, თუკი სადმე კიდევ იყო შემორჩენილი. ძნელად თუ გაიგებდით ქართულ ლაპარაკს, ნახავდით ქართულად დადგმულ სანახაობებს, სანთლით საძებნი იყო ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვერსად ნახავდით ქართულ წარწერებს, ყველა ქუჩის სახელწოდებაც კი რუსული იყო: მურავიოვის, ალექსანდრეს, კოტლიაროვსკის, კომანდირსკის, ბელგარდოვსკის და ა.შ.

ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა XIX საუკუნის 80-იან წლებში, როცა მანგლისის მხარეში არაგვისა და გუდამაყრის ხეობიდან მთიულები და ფშავ-ხევსურები ჩამოასახლეს. ახალგადმოსახლებულნი არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიწების შესყიდვა ძალზე ძვირი უჯდებოდათ, ამასთან ნოყიერი მიწები უკვე დატაცებული აღმოჩნდა და მათ მხოლოდ მწირ და მიუდგომელ, მთიან და დაუმუშავებელ მიწებს აძლევდნენ. მთიელები ძირითადად დასახლდნენ სოფლებში: შეხვეტილა, ნვერი, ახალსოფელი, ლოლოვანი, ლვევი,

118. История 13-го Лейб-Гренадерского Эриванского Его Величества полка за 250 лет (1642-1892), часть пятая, Санкт-Петербург, 1898, стр.9-10, 330-331.

დრე, ზირბითი და სხვ. ეს მოსახლეობა იმ პერიოდში ყოველმხრივ შევიწროებული იყო. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „მანგლისიდან ინერებიან, რომ იქ ახლო-მახლო მდებარე ადგილებში გადასახლებული მთიელები დიდს შეწუხებაში არიანო, როგორც მომიჯნავე მებატონეებისაგან, აგრეთვე სხვადასხვა თავზედ ხელალებულის ხალხისაგანო. ამ დღეებში, მანგლისის ცოტა მოშორებით, ახლად გადასახლებულს ორ მოხევეს, რომელთაც შინიდან საქონელი მიუდიოდათ, დასცემიან რუსის მოსახლენი ვილაცა ბარათაშვილის თაოსნობით და ძალზედ უცემნათო. მიზეზი ამგვარი შეტაკებისა ჯერ კიდევ კარგად არ არის გამოკვლეული და არც გამოძიება მომხდარაო, თუმცა დაზარალებულები საჩივრელად თბილისში ჩამოსულანო.“¹¹⁹

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, კერძოდ, მანგლისა და მის მხარეში სისტემატური ხასიათი მიიღო გლეხების საშოვარზე წასვლამ ქალაქში. ხელმოკლეობის გამო გლეხი იძულებული იყო გაეყიდა სოფლად ყველაფერი და ქალაქსათვის შეეფარებინა თავი. ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვის მიზნით მცირეწლოვანი ახალგაზრდა მიდიოდა თბილისში რაიმე ხელობის შესასწავლად. ამათგან ზოგი შემდგომ ებმებოდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში და ცნობილი რევოლუციონერ-ბოლშევიკი ხდებოდა. ასე, მაგალითად, სიღარბემ აიძულა მანგლისელი ჯარისკაცი ერმილე აფანასევი, თავისი მცირეწლოვანი ვაჟი თევდორე სამუშაოზე გაეგზავნა თბილისში, სადაც ის მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში შეგირდად, შემდგომ ებმევა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში და ცნობილი რევოლუციონერ-ბოლშევიკი ხდება.

რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული პირები ხშირად ჩადიოდნენ მშობლიურ სოფლებში და თანასოფლელთა შორის აღვივებდნენ ცარიზმისადმი სიძულვილს, აწრცელებდნენ გლეხთა შორის რევოლუციურ ლიტერატურას, მოუწოდებდნენ არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

1903 წლის 15 ივლისს თბილისის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს სწერდა: „ქალაქ თბილისის სხვადასხვა სახელოსნოებიდან დათხოვნილმა და თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან გასახლებულმა მუშებმა დანაშაულებრივი პროპაგანდა გადაიტანეს სოფლებში და თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გაიჩინეს იქ თანამოაზრენი, რომლებთან ერთადაც დაიწყეს სოფლის მოსახლეობის ამბოხება უნესრიგობის

ჩასადენად. მიღებული ზომების წყალობით ასეთმა ამბოხებებმა თუმცა ფესვები ვერ გაიდგეს, მაგრამ მაინც ყოველთვის, როცა თბილისში მოსალოდნელია უნესრიგობანი, აგიტატორებს იმ-ნამსვე გზავნიან ხოლმე თბილისის მაზრის სოფლებში ხალხის ამბოხების მოსაწყობად".¹²⁰

აგიტატორები მოქმედებდნენ მანგლისის მხარეშიც. ისინი რაზმად-ნენ გლეხობას არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ სა-ბრძოლველად. გაზეთი „ბრძოლა“ 1902 წელს წერდა: „თბილი-სის უებდში, სოფ.თონეთში, მამასახლისი თავის ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე სახელმწიფო გადასახადი შეაგროვოს, მაგრამ დღესაც მოუკრებელი აქვს. სასონარკვეთილებაში ჩა-ვარდნლი მამასახლისი უგზავნის ყველას ბლანკის ფურცლებს, რომლებზედაც არცერთ გლეხს ხელი არ უწერია და გასმაგე-ბული გაიძახის: „გაირყვნა, გაირყვნა ხალხი“. ჭეშმარიტად უკანასკნელი დღე უდგება დესპოტურ მმართველობას“.¹²¹

1905 წლის ივნისში მიტინგზე სოფელ ნამჭვიანის ტყეში გლეხებმა აირჩიეს თავიანთი აგიტატორი-ასისტავეები ყველა სოფელში. ამ ასისტავეების მეთაურობით რაიონის სოფლებში შეიქმნა გლეხთა წითელი რაზმები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევ-ოლუციის შემდეგ მანგლისში მდგომ 117-ე ბატალიონთან შეიქმ-ნა რაიონის ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში მენშე-ვიკები და ესერები ჭარბობდნენ. ამან განაპირობა ის გარემოე-ბა, რომ 1917 წლის აგვისტოში მანგლისის ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტმა მს-არი დაუჭირა კავკასიელი მენშევიკებისა და რუსეთის ბურჟუა-ზიული დროებითი მთავრობის მიერ გაზეთ „პრავდის“, გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩისა“ და ბოლშევიკების წინააღმდეგ გამა-რთულ კამპანიას და გამოიტანა გადანყვეტილება გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ნომრების კონფისკაციის შესახებ.¹²²

საბჭოთა რუსეთი და ლენინის მთავრობა საქართველოს ბოლშევიკთა მხარდაჭერით, ყველანაირად ცდილობდა საქართველოში სოციალისტური ხელისუფლების დამყარებას.

1921 წ. II თებერვალს რუსებით დასახლებულ სოფლებში დაიწყო სპეციალურად ინსპირირებული გამოსვლები, რომელიც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს გლეხთა „საყოველთაო აჯან-ყებად“ მონათლა. საქართველოსკენ დაიძრა XI არმია აზერ-

120. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონ 34, საქ.1029, ფურც.24-26.

121. ვერს ქროლტარული რევოლუცია, 1943, № 5, გვ.130-131.

122. გაზ. Кавказский рабочий, 1917, 25 августа.

ბაიჯანიდან და VIII, IX და XIII არმიები კავკასიიდან.

1921 წ. 25 თებერვალს საქართველომ დაკარგა სახელმწიფო-ბრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. იგი კვლავ რუსეთის (ამჯერად საბჭოთა რუსეთის) იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

1926 წელს მანგლისში ჩამოყალიბდა კომუნა. კომუნების პარალელურად იქმნებოდა კოლექტიური მეურნეობების ერთ-ერთი პირველი ფორმა — საერთო ძალით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა და სამომხმარებლო საზოგადოება. 1930 წელს ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა.

1937 წლის 8 თებერვალს მანგლისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ი.გულბანი ალბულაის რაიონულ პარტიულ კრებას მოახსენებდა, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობამ ფართო მასშტაბი მიიღო და თანდათანობით ძლიერდება. ამასთან ერთად, — აღნიშნავდა ის, — დიდი ყურადღება ეთმობა მანგლისის კეთილმოწყობას, ამ მიზნით შემუშავდა სპეციალური გეგმა, რომელიც წარედგინა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს. ამ გეგმის განსახორციელებლად საქართველოს მთაწრობის მიერ გამოიყო საკმაოდ დიდი თანხა, რომელიც მოხმარდა მანგლისის კეთილმოწყობას.¹²³

ამ დრომდე არა მარტო მანგლისში, არამედ მთელ საქართველოში ძალზე გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო სოფლის მეურნეობა. 1922 წლის 30 მარტს საქართველოს მთაწრობის ერთ-ერთ ცირკულარულ წერილში ნათქვამია: „ჩვენი სოფლის მეურნეობა თავმინებებული იყო. ბევრმა გლეხმა დღესაც არ იცის რა არის გუთანი, კაბდო და მანქანებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. წლითი-წლობით ის ამუშავებს მიწას კავ-სახნისით და ფარცხავს რალაც ცოცხის მგზავს ფარცხით (დღევანდელი მიწის საფარცხავი წარმოადგენს ჯოხის სიგანეზე მიბმულ ხის ტოტებს). რა საკვირველია კავ-სახნისით და ფარცხით მიწა ცუდად იხენება და სრულებით არ იწმინდება უვარგის ბალახებისაგან, რისთვისაც ჩვენ პურში მრავლად ურევია სხვადასხვა უვარგისი მცენარეთა თესლეულობა.“

უეჭველია, ჩვენს მაზრაში რომ იყოს მონყობილი რაიონებათ გასაქირავებელ მანქანათა პუნქტები გაუმჯობესებულ გუთანთა, ფარცხთა და საჭირო მანქანათა საკმაო რიცხვით, მაგალითად: სათესავი, სანიავებელი და სათიბავი მანქანებით, ამასთან ერთად სამაგალითო საჩვენებელი მინდვრები მაზრის აგრონომის ხელმძღვანელობით, მაშინ გლეხები სიამოვნებით შესცვლიდნენ კავსახნისს გუთნით, თავის პრიმიტიულ ფარცხს ნამდვილი

123. საქართველოს პრეზიდენტის არქივი. ფონ. 78, აღწ. 4, საქ. 201, ფურც. 79.

ფარცხით, შეეჩვეოდნენ სოფლის მეურნეობას და ნაყოფიერების გაუმჯობესებაც მოყვებოდა...¹²⁴

ოცდაათიანი წლების დასაწყისშიც მანგლისა და მის ზონაში არ იყო სოფლის მეურნეობის არცერთი სპეციალისტი, მოსახლეობას არ ჰქონდა ტრაქტორი და სხვა მანქანა-იარაღი; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით მინერალური სასუქების შეტანაზე ხომ ოცნებაც შეუძლებელი იყო. კოლმეურნეობის დაარსების პირველ წლებში არცერთი სატვირთო ავტომანქანა არ გააჩნდათ.

1951 წლამდე არა მარტო მანგლისში, არამედ მთელ თეთრი წყაროს რაიონში იყო მხოლოდ ერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ასურეთში. 1951 წელს რაიონში დამატებით შეიქმნა კიდევ ერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური დიდ თონეთში, რომელიც მომსახურებას უწევდა მანგლისის ზონის ყველა კოლმეურნეობას.¹²⁵

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მათი პროდუქტიულობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით მანგლისისა და მისი ზონის კოლმეურნეობები წლითწლივით სულ უფრო და უფრო მეტ კაპიტალურ ბინებს აშენებდნენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრისა და ფრინველებისათვის, მარცვლეულისა და ბოსტნეულის შესანახად. მოენყო დიდი ტევადობის სილოსის ორმოები.

მანგლისის მხარის კოლმეურნეობებში და შემდგომ მეურნეობებშიც უმთავრესად თესავდნენ საშემოდგომო ხორბალს, ქერს, სიმინდს, მზესუმზირას, დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილი. ამ მხარეში ფართოდაა გაშენებული ხეხილის ბაღები მრავალფეროვანი ჯიშებით, ძირითადად ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი, ჭანჭყური, კაკალი, კომში, მაცვალი და სხვ.

აქ მემინდვრობის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას და მის პროდუქტიულობას. მხარის მთაგორიანი მდებარეობის გამო კოლმეურნეობებში კარგა ხანს ფართოდ იყენებდნენ ცოცხალ გამწვევ ძალას, ძირითადად მუშა ხარებს, რომელთა რაოდენობაც მექანიზაციის თანდათანობით გაძლიერებასთან ერთად შემცირდა პროდუქტიული ძროხების რაოდენობის. გაზრდის ანგარიშზე. ძირითადად აქცენტი ალებულია ხევისურული ჯიშის ძროხებზე, რომლებიც კარგად იტანენ ადგილობრივ პირობებს და კარგი მოვლის შედეგად დღე-ღამეში საშუალო 12 ლიტრაზე მეტ რძეს იძლევიან, განვითარდა მეცხვარეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა.

124. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ.78, აღწ.1, საქ.18, ფურც.9
125. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ.78, აღწ.13, საქ.488, ფურც.27.

1958 წელს მანგლისში არსებული კალინინისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა მერძეულობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობას ეკავა 18589 ჰექტარი ფართობი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს — 12468 ჰექტარი, სახნავს — 3018, სათიბს — 2366, საძოვარს — 6363, მრავალწლიან ნარგავებს. 119 ჰექტარი; ტყეების ფართობი შეადგენდა 135 ჰექტარს. მეურნეობაში ირიცხებოდა 772 მუშა-მოსამსახურე, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ხუთ განყოფილებაში. აქ 11 მემინდვრეობისა და 17 მეცხოველეუობის ბრიგადა არსებობდა.

მეურნეობა ძირითადად მეცხოველეობის მიმართულებისა იყო. რამდენიმე წლის შემდეგ მას უკვე ჰყავდა 3700 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის ძროხა — 1370, ცხვარი და თხა — 4600, ღორი — 700.

1963 წელს ასეთივე მძლავრი მეურნეობა შეიქმნა ორბეთში. ეს მეურნეობები ყოველწლიურად სახელმწიფოს დიდი რაოდენობით ხორცს, რძესა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს აწვდიდა. ასე, მაგალითად, 1970 წლის 11 თვეში მარტო მანგლისის მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 198,5 ტონა ხორცი, 1220 ტონა რძე, 165 ცენტნერი მატყლი.²⁶

მკვეთრად გაუმჯობესდა მანგლისისა და მანგლისის მხარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; გაფართოვდა მანგლისის მშენებლობის სფეროც. სამხედრო ნაგებობებთან ერთად გაიშალა სამოქალაქო მშენებლობაც. ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დადგა გზების მშენებლობა როგორც მანგლისში, ასევე თბილისის მიმართულებით. თავდაპირველად გზა თბილისისაკენ გადიოდა მანგლისის ჩრდილოეთით სოფელ მოხისთან და გრძელდებოდა სოფელ ორბეთისაკენ (პრიუტი), ანუ ელიზავეტინის დასახლებისკენ, შემდეგ გადიოდა სამადლოზე (თეთრი დუქანი) და წყნეთიდან ეშვებოდა თბილისში.

მას შემდეგ, რაც 1852 წელს თავადმა მუხრანსკიმ პოლკის მე-4 ბატალიონის მებრძოლთა დახმარებით მდინარე მოხისკაზე (ქველთას წყალი) ააშენა ქვის ხიდი, გზის მიმართულება შეიცვალა და მნიშვნელოვნად გააადვილა თბილისისაკენ მიმავალი აღმართის ასვლა, პოლკის საზეიმო დღეს ეს ხიდი და მის მახლობლად დადგმული სამლოცველო აკურთხეს.²⁷

ხიდს მანგლისის მოსახლეობა ახლაც თავად მუხრანელის სახელს უწოდებს — „მუხრანის ხიდი“.

126. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ 78, აღწ. 27 საქ. 39, ფურც. 1, აღნ., 24, საქ. 190, ფურც. 21.

127. История Лейб-Гренадерского Эриванского Его Величества Александра Николаевича полка, часть II, Тифлис, 1871, стр. 211.

XIX საუკუნის დამლევს დასრულდა თბილისი-მანგლისის გზატკეცილის მშენებლობა. „ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ამიერკავკასიაში. ის ცოტა რამით თუ ჩამოუვარდებოდა საქართველოს სამხედრო გზას“.¹²⁸

პირველ ხანობას მანგლისიდან თბილისამდე მგზავრობა არცთუ ისე უხიფათო იყო. ხშირი იყო ყაჩაღობისა და მკვლელობის შემთხვევები. ამისაგან დასაცავად გზებზე განლაგებული იყო სამხედრო საგუშაგოები — ორბეთში (პრიუტი), სამადლოში (თეთრი დუქანი), კიკეთსა და კოჯორში.

მანგლისი—თბილისის გზას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს, კერძოდ, თბილისის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მას სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ გზით ხდებოდა ჯარის გადაადგილება, საჭირო მასალებისა და სურსათის შემოზიდვა. ეს გზა მხარის მთავარ მომხმარებელს — თბილისს აკავშირებდა პურის ხორბლის მდიდარ რაიონებს. ამიტომ ამ გზის მშენებლობა და მისი გაუმჯობესება ყოველთვის იდგა საპრობლემო საკითხად მთავრობის წინაშე.

1837 წლის 29 დეკემბერს გრაფი ჩერნიშოვი ბარონ როზენსადმი გაგზავნილ წერილში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ატყობინებს, რომ მან გასცა განკარგულება თბილისი—მანგლისის ძალზე რთული გზის დასამუშავებლად.¹²⁹

იმ დროს ქალაქში მხოლოდ ცხენებით მიდიოდნენ, მანქანებზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. თბილისამდე ჩასვლას ორ დღეს უნდებოდნენ. ღამეს ათენებდნენ ორბეთში ან სამადლოში.

XX საუკუნის დასაწყისში ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ამ დროისათვის მიმოსვლა უკვე მანქანებით, დილიჯანებით და, რაც მთავარია, აეროპლანებითაც კი ხორციელდებოდა. ამ უკანასკნელს 25 წუთში ჩაჰყავდა მგზავრები. მგზავრობის ფასი 10 მანეთი იყო.¹³⁰

მანგლისის გზა მეტად დაკლაკნილია. აქაურ მცხოვრებლებში ახლაც გაიგონებთ, რომ მანგლისის გზაზე იმდენი მოსახვევია, რამდენიც დღეა წელიწადშიო. ეს გზა ხან მალლა მთისკენ მიემართება, ხან ეშვება ძირს; ის ძალზე ლამაზ ბუნებაში გადის. ადრე, სანამ წყნეთიდან გაიხსნებოდა გზა, თბილისიდან მანგლისამდე დადიოდნენ კოჯრის აღმართით (20 კილომეტრი); წავკისის, ტაბახმელისა და კოჯრის გავლის შემდეგ გზა ეშვებოდა სამადლოსკენ. სამადლოდან გზები იყრება ბეთანი

128. История 13-го Лебё-Гренадерского Эриванского Его Величества полка за 250 лет (1642-1892), часть V, Санкт-Петербург, 1898, стр.189.

129. Листы Кавказской Археографической Комиссии, Тифлис, 1881, т. стр.376.

130. Тифлис и его окрестности, Тифлис, 1925, стр.291.

ისაკენ და კურორტ კიკეთისაკენ. მანგლისის გზა სამადლოდან ჯერ აღმართზე ადის, შემდეგ ორბეთს არმისული ეშვება ძირს ენ. „პროპალაია ბალკასთან“ და შემდგომ ისევ მიემართება ზევით ორბეთისაკენ, რომელიც მანგლისიდან 23 კილომეტრითაა დაშორებული.

ორბეთიდან მანგლისამდე გზა 1950 წლამდე გადიოდა ტყეებს შორის დიდ თონეთამდე, აქედან გზა დაექანება ქვევით მანგლისისაკენ. თონეთიდან ხელისგულივით ჩანს მთელი მანგლისი და მისი შესანიშნავი სილამაზის გარემო, დაფარული ფიჭვნარითა და ნაძვნარით, მალალი მთებითა და გორაკებით.

XX საუკუნის დასაწყისში იწყება წყალსადენის მშენებლობაც. პირველ ყოვლისა, ნესრიგში იქნა მოყვანილი ძველი წყალსადენი, რომელიც გაყვანილი იყო ჯერ კიდევ ზემო ოძისის მოსახლეობის მიერ. ეს წყალსადენი სათავეს იღებდა ყოფილი სასაკლავოს შენობის მახლობლად და თიხის მილებით მიედინებოდა ყოფილი სამხედრო საბავშვო ბაღის შენობამდე, სადაც მოწყობილი იყო წყალსაცავი — აუზი, რომელსაც დარაჯობდა სამხედრო ყარაული. აუზიდან ამოღებულ წყალს კასრებით დაატარებდნენ ყაზარმებსა და სახლებში.

მეორე წყალსადენი სათავეს იღებდა დასახლება „პროტიაგალოვკის“ ზევით და ასევე თიხის მილებით მოედინებოდა მანგლისის ციხე-სიმაგრისაკენ, სადაც აშენებული იყო პოლკის აბანოები.

1904 წელს აშენებულ და გაყვანილ იქნა ახალი წყალსადენი, რომელიც სათავეს ღებულობდა სოფელ მოხისთან. წყალი თუჯის მილებით მიედინებოდა „დიდი პლაცისაკენ“, სადაც აშენებული იყო საკმაოდ მოზრდილი აუზი, რომელიც დღემდე შემორჩენილია. ამ დაგროვილი წყლით სარგებლობდა მანგლისის ზემო ნაწილის მოსახლეობა, ხოლო ქვემო ნაწილის მოსახლეობისათვის აშენებულ იქნა დამატებითი აუზი.

ამის შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში ცოტა რამ თუ გაკეთდა მოსახლეობის წყლით მომარაგების საქმეში. 1957 წლის 28 დეკემბერს მანგლისის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე მოახსენებდა თეთრიწყაროს რაიონის XIX პარტიკონფერენციას, რომ „მანგლისი მთელი წლის განმავლობაში არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით. წყლის დებიტი ამჟამად შეადგენს წამში 1,5 ლიტრს. მთელი წლის განმავლობაში მანგლისის გარნიზონი და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოინერთა ბანაკები ცისტერნებით ეზიდებოდნენ წყალს ახალსოფლიდან და გოხნარიდან.

ჩვენ რაიონი 1957 წელს აყენებდა საკითხს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა წინაშე გოხნარიდან წყლის გამოყვანისათვის. 21



სადაბო გამგეობის შენობა.

დეკემბერს მოვიდა კომისია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში უთვალთვალეს წყლის დებიტს. ამჟამად წყლის დებიტი შეადგენს 60 ლიტრს. ეს 40-ჯერ უფრო მეტია ვიდრე ამჟამად გვაქვს. მე ვთხოვ კონფერენციის მონაწილეებს, რათა ეს საკითხი უფრო სერიოზულად დაეაყენოთ ცენტრალურ კომიტეტთან და მინისტრთა საბჭოს წინაშე 1958 წლისათვის“.¹³¹

1959 წელს ეს დიდი ხნის ნანატრი ოცნება ასრულდა. გოხნარიდან ცხრა კმ-ის მანძილზე გამოყვანილ იქნა ახალი წყალსადენი. მისი სათავე იწყებოდა ბედენის მთის ჩრდილოეთის დაქანებიდან. წყალი ძალზე სუფთა და ანკარაა, არავითარი მინერალური მარილები არ ურევია. ბედენის მთის ძირიდან 200 მეტრის დაშორებით მძლავრი წყალი ჩქეფს. ამ წყლით მარაგდება სოფლები ზორბითი, საფუძრები, ახალსოფელი, გოხნარი, კლდეისი, ალექსეევკა, დიდი და პატარა ირაგა, ივანოვკა, ჯიგრაშენი და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოს მოსახლეობა განათლების მხრე განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო. გაზეთი „ივერია“ იუნ-ყებოდა: „მთელს საქართველოში არც ერთის მხარის ქართველობა არ არის ასე უპატრონოდ დატოვებული, როგორც ალგეთის ხეობა. ამ ხეობაზე მრავალი სოფლებია ქართველთა მიერ დასახლებული. მღვდელი არა ჰყავთ, თავის დროზე ქრისტიანულ წესს ვერ ასრულებენ და ძველი ქართველთა ეკლესიები სხვა ტომმა დაისაკუთრა. სკოლები ხომ მთელს ამ მხარეში არსად არ მოიპოვება“.¹³²

ცოტა მოგვიანებით გაზეთი „ივერია“ ისევ შეახსენებს ქართველ საზოგადოებას მანგლისის მხარის შესახებ და დასძენს: „დიდს საჭიროებას შეადგენს, რომ ამ მხარეს ქართველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაპყროს და ამ მხარის სოფლებში ქართული წიგნები გააფრცვალოს“.¹³³

რევოლუციამდე მთელ მანგლისსა და მის ზონაში უმაღლესი განათლებით იყო სულ ორი ადამიანი, საშუალო განათლებით — 30-მდე კაცი, დაწყებითი განათლება ჰქონდა 120-ს, ხოლო მოსახლეობის 75 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

1880 წელს სოფ. „პოსელენიში“ (ალგეთი) გაიხსნა ეგრეთ ნოდებული „მანგლისის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი“ ხუთწლიანი სწავლებით. სამხედრო სამსახურში შესვლისას ეს სასწავლებელი იძლეოდა მეორე თანრიგის შეღავათებს. სწავლა მანგლისელი ბავშვებისათვის უფასო იყო, ხოლო ჩამოსულებს ახდევინებდნენ სწავლისა და გათბობის საფასურს.

131. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ.78, აღწ.21, საქ.2, ფურც.27.

132. გაზ. ივერია, 1893, 3 ოქტომბერი.

133. გაზ. ივერია, 1895, 22 ივნისი

ასწავლიდნენ სახარებას, როიშელიც პირველ საგნად ითვლებოდა, რუსულ ენას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ხაზვას. სუფთა წერას, სიმღერასა და ფიზკულტურას (ტანვარჯიშს). შიგ მანგლისში 1903 წელს გაიხსნა სამწლიანი დაწყებითი სკოლა, ხოლო ძველ მანგლისში, როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო-სამრევლო სკოლა სამწლიანი სწავლებით. ყველა სკოლაში, გარდა დიდი თონეთისა, სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

თუმცა კანონით გაუქმებული იყო ფიზიკური დასჯა, მაგრამ ფაქტურად ის მაინც არსებობდა. ამითაც აიხსნება მოსწავლეების არადამაკმაყოფილებელი დასწრება. ასე 1907 წელს სოფელ „ქოსელენის“ ხუთსავე კლასში სწავლობდა სულ 87 მოსწავლე, აქედან 25 წალკიდან იყო. 87 მოსწავლიდან გოგონები მხოლოდ ცამეტნი იყვნენ. რევოლუციამდე ამ სკოლიდან არცერთს არ მიუღია უმაღლესი განათლება, საშუალო კი მხოლოდ ერთმა მიიღო. მენშევიკების დროს ეს სკოლა დაიხურა და მხოლოდ 1921 წელს გაიხსნა როგორც დაწყებითი ოთხწლიანი სკოლა.¹³⁴

1925 წელს სოფ.ბუდიონოვკაში (ყოფილი ქოსელენი) გაიხსნა ახალი სკოლა; სწავლება ახალი პროგრამითა და მეთოდებით მიმდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით 1925 წლის 1 მარტს შეიკრება ამ სოფლის ქალთა საზოგადოება, რომელმაც განიხილა საკითხი ახალ სკოლაში სწავლების მეთოდების შესახებ. კრებამ მოინონა ახალი სკოლის ამოცანები და სწავლების მეთოდები და მოითხოვა, რომ მომავალში სკოლაში ხშირად ჩამოსულიყვნენ განათლების სისტემის პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთაც უნდა წარედგინათ ანგარიში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის მათ მიერ განეული მუშაობის შესახებ.¹³⁵

1934 წელს ეს სკოლა რეორგანიზებული იქნა არასრულ საშუალო სკოლად, ხოლო 1961 წლიდან გახდა რვანწლიანი სკოლა.

როგორც აღვნიშნეთ შიგ მანგლისში სკოლა 1903 წელს გაიხსნა სამხედრო ექიმის ეზოროვის აგარაკის შენობაში. შემდგომში ეზოროვმა ეს შენობა აგარაკისათვის მიჰყიდა თბილისის პირველ გიმნაზიას, რომელიც მოთავსებული იყო დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში. 1908 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა დაუბრუნა მანგლისის სკოლას ეს შენობა.

134. ქიორბაღიდის პირადი არქივი, მასალები დაბა მანგლისის ისტორიიდან, გვ. 64
135. საქართველოს პრეზიდენტის არქივი ფონ 78, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 34.


ისმის კითხვა - რატომ დაარსდა ასე დაგვიანებით სკოლა მანგლისში? პასუხი უბრალოა. იმასთან დაკავშირებით, რომ მანგლისი წმინდა სამხედრო დაბა იყო, ბუნებრივია, მოსწავლეთა კონტინგენტის უმრავლესობაც სამხედრო მოსამსახურეთა შვილები იყვნენ. მეტაურთა შემადგენლობა თავის შვილებს, ძირითადად, სასწავლებლად თბილისში კადეტთა კორპუსსა და სამხედრო სასწავლებელში აგზავნიდა, ხოლო ზემდეგთა შვილები „მოსელენეს“ სკოლაში დადიოდნენ სასწავლებლად.

მენშევიკების დროს — 1918 წელს მანგლისის სკოლა დაიხურა და იმავე წელს ამ შენობაში მშობლების ხარჯზე გაიხსნა კერძო გიმნაზია რვანლიანი კურსით. მშობლები არა მარტო სწავლის ფულს იხდიდნენ, არამედ უზრუნველყოფდნენ გიმნაზიის შენობის გათბობას. გიმნაზია არსებობდა 1921 წლამდე, როდესაც არამარტო მანგლისში, არამედ მთელი მისი ზონის სოფლებში გაიხსნა დაწყებითი ოთხნობიანი სკოლები. 1921 წელს ეს სკოლა რეორგანიზებულ იქნა რვანლიან შრომის სკოლად. 1924 წელს ამ სკოლის ბაზაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სკოლა — დაწყებითი ოთხნობიანი კურსით და ახალგაზრდა გლეხთა სკოლა სამწლიანი სწავლებით. 1925 წელს ეს სკოლები ისევ გაერთიანდა ერთიანი სახელწოდებით — ახალგაზრდა გლეხთა სკოლა. 1934 წელს კი რეორგანიზებულ იქნა მანგლისის სრულ საშუალო სკოლად, რომელიც დღემდე არსებობს. სკოლა ემსახურებოდა არა მარტო მანგლისში მცხოვრებ ბავშვებს, არამედ პერიფერიის უფროსკლასელებს.

1932 წელს მანგლისში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი ქართული და რუსული სექტორებით. იგი ამზადებდა პედაგოგებს მანგლისის ზონის დაწყებითი სკოლებისათვის. ტექნიკუმმა გაამართლა თავისი დანიშნულება — არსებობის თითქმის ათი წლის მანძილზე მის კედლებში მომზადდა მრავალი კვალიფიციური პედაგოგი, რომლებმაც შეცვალეს ადგილებზე გამოუცდელი და დაბალი განათლების მასწავლებლები.

პედაგოგთა აღზრდის სათავეში იდგნენ პროფესორი ანდრო ჭილაია, დოცენტი ვახტანგ რევია, გრიგოლ გაბედავა და სხვები, რომლებმაც აქ დაიწყეს პედაგოგიური მოღვაწეობა და წლების მანძილზე უმნიშვნელოდ ემსახურებოდნენ მომავალი თაობის აღზრდის რთულ და კეთილშობილურ საქმეს. ტექნიკუმი 1941 წელს დაიხურა.

პირველი ქართული სკოლა მანგლისში გაიხსნა 1922 წელს. ის თავდაპირველად მოთავსებული იყო ვინმე შახარაჩიანის ყოფილ აგარაკზე მანგლისის სამხრეთით. შემდგომ სკოლა გადავიდა გოლუბინსკის, ტხიომიროვისა და მალცევის ყოფილი აგარაკების შენობებში.



ბაზრის მოედანი

„1972 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა მანგლისის ქართული საშუალო სკოლის ტიპური შენობა 440 მოსწავლეზე“.¹³⁶

მანგლისში ძალზე წელი ტემპით მიმდინარეობდა კულტურული დანებებულებების მშენებლობა. რევოლუციამდე მხოლოდ სამხედრო კლუბი და როტონდა იდგა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ზაფხულის სეზონში იხსნებოდა დამსვენებლებისათვის. პარკში შესასვლელად უნდა გქონოდათ სპეციალური ფასიანი აბონემენტი მთელი სეზონისათვის. არ იყო ბიბლიოთეკა, რომ არაფერი ვთქვათ კინოზე, რაზედაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მოსახლეობას.

უკეთეს მდგომარეობაში არც სამედიცინო მომსახურება იყო. მანგლისშიც კი არ იყო არათუ საავადმყოფო, არამედ ექიმიც კი. ამიტომ ხშირი იყო დაავადებების გაზრცელების შემთხვევები, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე პრიმიტიული მეთოდებით ხორციელდებოდა. ასე, მაგალითად, როდესაც 1884 წლის შემოდგომაზე მანგლისის მხარეს ყვავილი მოსდებია, ამ გარემოებისათვის სამაზრო ადმინისტრაციას ყურადღება მიუქცევია და მიუცია ქალაქი სოფ. დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლისათვის იმის თაობაზე, რომ „მას ყოველივე შემწეობა აღმოეჩინოს ყვავილის აცრის საქმეში. ზემოხსენებულს მასწავლებელს „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლისას მიუღია უფლება აცრისა სამკურნალო განყოფილებიდან, ხოლო აცრის იარაღისათვის საჭირო ფული „საზოგადოებას“ მიუცია მისთვის თავის ხაზინიდან“.¹³⁷

მძიმე შემთხვევებში ავადმყოფები ურმებით გადაჰყავდათ ქალაქში. ასეთი მდგომარეობა კარგა ხანს გრძელდებოდა. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ ბევრი დარგი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვა კარგა ხანს მოუგვარებელი რჩებოდა.

ამას ადასტურებს თუნდაც 1959 წლის აგვისტოში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმება. შემოწმების შედეგებზე შედგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ „მანგლისის ქალაქის ტიპის საავადმყოფო გაშლილია 30 სანოლზე. შენობა არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, საავადმყოფოში სივინროვეა. ავადმყოფების სანოლებს შუა გავლაც კი სიძნელეს წარმოადგენს. სივინროვის გამო ანტისანიტარული მდგომარეობაა. ამას ხელს უწყობს ის, რომ ავადმყოფებს სახლებიდან მოაქვთ ბალიშები, საკვები და სხვა“.¹³⁸

136. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ. 78, აღწ. 24, საქ. 394, ფურც. 24.
137. ვაზ. დროება, 1884, 5 ოქტომბერი
138. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ. 78, აღწ. 21, საქ. 102, ფურც. 78.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მანგლისისა და მისი მხარის მოსახლეობის კულტურული განვითარებისათვის. ზონის ყველა სოფელში გაიხსნა დანყებითი სკოლები ოთხნობიანი სწავლებით, რომლებიც სამამულო ომის შემდგომ გადაკეთებულ იქნა რევანიან და საშუალო სკოლებად. უკვე ორმოცდაათიანი წლების დასაბრუნებლს მარტო მანგლისის ქართულ და რუსულ საშუალო სკოლებში სწავლობდა 1000-მდე მოსწავლე. პედაგოგთა 80% უმაღლესი განათლებით იყო. ამ სკოლების კურსდამთავრებულები ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც


დაბაში გაიხსნა ორი ბიბლიოთეკა: საქალაქო და საბავშვო, რომელთა წიგნადი ფონდი და მკითხველთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

თუ მანამდე, როგორც ითქვა, არც მანგლისში, არც მის ზონაში არ იყო არათუ საავადმყოფო, არამედ ექიმიც, უკვე 50-იანი წლებისათვის დაბაში არსებობდა შესანიშნავად მოწყობილი საუბნო საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით.


სწრაფი ტემპით აშენდა ადმინისტრაციული შენობებიც, მათ შორის სადაბო საბჭოს, მილიციის განყოფილების, სახელმწიფო ბანკისა და შემნახველი სალაროს შენობები.

გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურება, კეთილმოეწყო ქუჩები და პარკები, აშენდა ახალი სახლები. ხალხის სამსახურში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ავტოსადგური, ფოსტა-ტელეგრაფი, პურის, რძის, ლიმონათისა და სახერხი ქარხნები, მეტროლოგიური სადგური, 30-მდე მაღაზია და სავაჭრო წერტი, „სოიუზპეჩატის“ ორი კოსკი, წიგნებისა და კულტსაქონლის მაღაზიები, სასტუმრო, საგზაო მშენებლობის უბანი, კურორტსამმართველო, სატყეო მეურნეობა, ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები, აშენდა კურორტვაჭრობის ორი სასურსათო მაღაზია, აფთიაქი. საექსპლუატაციოდ გადაეცა ახალი აბანო, მექანიზებული საცხოობი, თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ინის“ ფილიალი და სხვ.

საქართველოში ტელეგადაცემების მიღებისთანავე მანგლისის მოსახლეობამაც მიიღო ტელეგადაცემები და უკვე პირველ წლებშივე თითქმის ყოველ მესამე ოჯახში გაჩნდა ტელევიზორი. მართალია, თავდაპირველად მისი გამოსახულება არც თუ ისე ხარისხიანი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1970 წელს ხომლის მთაზე დაიდგა სპეციალური ანძა, ტელევიზორი შესანიშნავ გამოსახულებას იღებდა.



მანგლისის № 1 საშუალო სკოლა.



მანგლისის №2 საშუალო სკოლა.

დაბა მთლიანად რადიოფიცირებულია, უზრუნველყოფილია სადღეღამისო ელექტროენერგიით.

დაარსდა ახალშენი ზემო ქალაში და, ცხადია, გაჩნდა ახალი ქუჩებიც: „ვაჟა ფშაველას“, „რუსთაველის“, „განთიადის“ და სხვ.

1990 წლის სექტემბერს მანგლისის ახლოს, დიდგორის ბრძოლის ამ ჭეშმარიტად ისტორიულ ადგილზე დასრულდა დიდი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლის — დიდგორის ბრძოლის მემორიალური კომპლექსის მშენებლობა, რომელმაც დაამშვენა ნინაპართა ხსოვნის უკვდავსაყოფი ადგილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მანგლისი როგორც კურორტი. მანგლისი უძველესი დროიდანვე საკურორტო ადგილად არის მიჩნეული. ძველი ქართული სამედიცინო ძეგლებიდან, როგორც არის „იადიგარ-დაუდი“, „ნიგნი საეჭმო“ და სხვ., ჩანს, რომ საქართველოში კურორტულ მკურნალობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთ საკურორტო ადგილებად მიიჩნეოდნენ სურამს, ბორჯომის ხეობას, ნავკისს, მანგლისს, კოჯორსა და სხვ.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, 1923 წლის 23 თებერვლიდან მანგლისი ცნობილია სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტად, ამიერიდან მასზე გაზრდილია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის („ცაკ“-ის) 1923 წლის 3 თებერვლის დეკრეტი, რომლის ძალით თბილისის კურორტთა სამმართველოს გამგებლობაში გადადიოდა ყველა სამკურნალო დაწესებულება და საცხოვრებელი შენობა სამკურნალო დაწესებულებებისათვის საჭირო სათანადო ინვენტარით.

„ამის შესაბამისად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მანგლისის ადგილობრივ აღმასკომთან შეთანხმებით იქ მოსაწყობად განზრახულ დაწესებულებათა საჭიროებისათვის აიღო აღრიცხვაზე ჩამორთმეული ყოფილი კერძო აგარაკები ხაჩატუროვის, ცატუროვის, კვეზერელი-კოპაძის, სარიევის 1-ლი, სარიევის მე-2, კაკაბაძის, ყარბოვის, ქარელოვის, ტიხომიროვისა და ჩუდეცკოისა. ეს კურორტები გადაეცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ისეთ მდგომარეობაში, რომ მათი შეუკეთებლად გამოყენება შეუძლებელი იყო. ამ სამუშაოების ჩასატარებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და მასთან დაარსებულმა კურორტთა მთავარმა სამმართველომ დახარჯა ორი მილიარდ სამას ოთხმოცდაცამეტი მილიონი მანეთი.

ყველა ეს აგარაკი მოყვანილ იქნა ისეთ მდგომარეობაში, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ნაწილი დაკავებული იყო ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ, ნაწილი კი გაცემული იყო პასუხისმგებელ პირე-

ბზე -- ამიერკავკასიის კომისართა საბჭოს თანამშრომლებზე,¹³⁹ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით მანგლისის კურორტისათვის დაწესებულ იქნა 15 ათასი პექტარი სამთი-სასანიტარო ზონა შემდეგ საზღვრებში: „ჩრდილოეთით -- ადმინისტრაციული საზღვარი -- ალბულალ-მანგლისისა და ნითელქალაქის რაიონებს შორის, დაწყებული კლდეკარის მწვერვლიდან ქართლის მწვერვალამდე; აღმოსავლეთით -- ქართლის მწვერვლიდან -- მოხისისა და ხოზეთის ქედებით მდებარე ალგეთამდე მიმავალი ხაზი, შემდეგ მდინარე ალგეთის გაყოლებით ჩიკნაურის -- სერის ძირამდე და აქედან -- ჩიკნაურის -- სერის ტრიგონომეტრიულ წერტილიდან ბედენის მთის ქედით ცხვარის გზის მიმართულებით ტყის მსივებისა და სათიბების ბოლომდე; აქედან საზღვარი ჩრდილოეთისაკენ მიდის ყვითელი მთის ტყეების საზღვრამდე, აქედან კი წყალგამყოფ ქედის გაყოლებით წალკის ზეგანამდე; დასავლეთით -- წალკის ზეგანის სანაპიროები, რომლებიც გოხნარისა და უგუდეთის ტყეების ფართობებს ეკვრიან, კლდეკარამდე“.¹⁴⁰

მანგლისი ძველთაგანვე მიჩნეული ყოფილა ბავშვთა დაავადებების სამკურნალო კურორტად. ზომიერი ჰავა, მზის რადიაციის სიუხვე და ხანგრძლივობა, ჰაერის მცირე დამტვერიანება დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ მანგლისის ჰავის გავლენით მაგრდება ბავშვის ნერვული სისტემა, უმჯობესდება სისხლნაკულ ბავშვთა ჯანმრთელობა, ძლიერდება ზრდის პროცესი და გამძლეობა ინფექციების წინააღმდეგ, მანგლისის ჰავა კარგ შედეგებს იძლევა მშრალი პლევრიტის, ქრონიკული ბრონქიტის, მალარიის, რაქტისა და სხვა დაავადებათადროს.

აქაური ჰავა განსაკუთრებით უწყობს ხელს ტუბერკულოზური ხასიათის დაავადებათა ეფექტიან მკურნალობას. ამ მხრივ მანგლისი ბევრად არ ჩამოუვარდება კურორტ აბასთუმანს. ხუთიოდე წლის წინ ზაფხულობით დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსულთა რიცხვი 25000 კაცს აღემატებოდა.


როგორც დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, მანგლისში სამკურნალოდ ყოველთვის დიდძალი ხალხი ჩადიოდა. ასე, მაგალითად, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წლის 1 აგვისტოს იტყობინებოდა: „ბორჯომში წელს ძალიან მცირე ფასებში გაქორავებულა აგარაკები, ზოგი ცარიელიც დარჩენილა, რადგან მოაგარაკენი ნაკლებად მისულან. სურამში ამ ორის კვირის წინად

139 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ.600, აღწ.1, საქ.308, გვ.68-69.

140. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ.600, საქ.3437, გვ.5-6.



№2 სანატორიუმი.



მანგლისის ყოფილი კულტურის სახლი.

მოაგარაკეთა რიცხვი მცირე იყო, მაგრამ ორ კვირაში (რაც ბაქოში ცეცხლი გაჩნდა) იმდენი მოაგარაკე მოაწყდა თურმე სურამს, რომ თითქმის ყველა აგარაკი გაქრავდა. კოჯორშიაც ასეთი ამბავია თურმე. ამ ჩამოთვლილ აგარაკებისათვის გაუსწრია წელს მანგლისს, სადაც ამჟამად ბაქოდან ჩამოსული აუარებელი მოაგარაკეა."

მანგლისი ოდითგანვე მრავალჯერ ყოფილა თავშესაფარი ადგილი სხვადასხვა ინფექციური დაავადების თავიდან ასაცილებლად. ცნობილია მაგალითად, რომ როდესაც ჯერ კიდევ 1830 წლის ივლისში ასტრახანში შავი ჭირი გაჩენილა, რომლის დროსაც არ იყო ოჯახი, მიცვალებული რომ არ ყოფილიყო, მალე ეს ჭირი თბილისსაც მოდებია. 7 აგვისტოს თბილისის სამხედრო გუბერნატორი აცნობებს პასკევიჩს, რომ თბილისში ამ დროისათვის უკვე 238 კაცი დაიღუპა ამ დაავადებისაგან. ერთ-ერთ პუნქტად, სადაც თავი უნდა შეეფარებინა ქალაქს მოსახლეობას, დასახლებული იყო მანგლისი.¹⁴¹

მანგლისი ბუნებით მდიდარი და ლამაზია, მისი მშენებაა ფიჭვის ჭალა. სწორედ აქაა აგებული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. სულ ახლახან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კუთვნილებაში იყო 200-მდე ოთახი ინდივიდუალური მოაგარეკებისათვის. მანგლისში მუშაობდა სამი სანატორიუმი ბავშვთა, მოზრდილთა და სრულასაკოვანთა. ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც 1985 წელს გაიხსნა, ამჟამად მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. იგი მოთავსებულია იმ შესანიშნავ შენობაში, რომელიც ცარიზმის დროს მებატონე კვეზურელის სასახლეს წარმოადგენდა. სამუხაროდ, მეორე და მესამე სანატორიუმები, რომლებიც განკუთვნილი იყო მოზრდილთა და სრულასაკოვანთათვის, დღეისათვის აღარ ფუნქციონირებს. ისინი ბოლო წლებში ენერჯის უქონლობისა და უპატრონობის გამო გაპარტახებულია. ასევე გაპარტახებულია სხვა მნიშვნელოვანი ობიექტებიც.

კურორტ მანგლისის კეთილმოწყობის საქმეს სათანადო ყურადღება არც ადრე ექცეოდა. ამაზე მეტყველებს მრავალი წერილობითი წყარო, საუბრნალო თუ საგაზეთო მასალა. მაგალითისათვის საკმარისია მოვიტანოთ 1950 წლის 12 აპრილს პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მდივნის ე.გონგაძის მიერ საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ.ჩარკვიანისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ნათქვამია: „...დაბა მანგლისის კეთილმოწყობის საქმეს შესაფერის ყურადღებას არ აქცევს თბილისის ჯანმრთელობის საკურორტო სამმართველო, როგორც მოგეხსენებათ, მანგლისში ზაფხულო-

¹⁴¹ Акты Канцелярской Археографической Комиссии. т. VIII, Тиф.лик. 1878, стр.226-227.

ბიძი ათიათასზე მეტი ადამიანი ჩამოდის დასასვენებლად და გარდა ამისა, აქვე მოქმედებს ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში ბავშვთა სანატორიუმი. ამჟამად მანგლისში არსებული სასპედი ნყალი თვით ადგილობრივ მცხოვრებლების და იქ განლაგებულ სამხედრო ნაწილებისათვისაც არ არის საკმარისი და ზაფხულობით, როდესაც დამსვენებლები ჩამოდიან, წყლის უქონლობის გამო იქმნება ძალზე მძიმე მდგომარეობა, რაც იწვევს უკმაყოფილებას ხალხში. საკურორტო სამმართველოს შეკვეთით შედგენილია პროექტი გობნარიდან კარგი სასპედი წყლის მანგლისში გამოყვანაზე, პროექტის შედგენაზე ნაწილობრივ ფულიც აქვთ გადახდილი, მაგრამ წყლის გამოყვანის სამუშაოები დაწყებული ჯერ კიდევ არ არის, რადგან საკურორტო სამმართველოს მიერ შესაფერისი თანხები არ არის გამოყოფილი.

მანგლისის საკურორტო ზონას აკავშირებს ერთადერთი ძველი ხიდი მდებარე სტალინის ქუჩაზე, რომელიც ისეთ ავარულ მდგომარეობაშია, რომ ყოველ დღე მოსალიდნელია ჩაინგრეს და საკურორტო ზონაში მისვლა შეუძლებელი იქნება. ჩვენს აზრით ახალი ხიდი უნდა ააშენოს საკურორტო სამმართველომ, რადგან რაიონს საამისო სახსრები არ გააჩნია. მანგლისის საკურორტო ზონაში მდებარეობს საუკეთესო დასასვენებელი ნაძვის ხეებით სავსე დიდი დასასვენებელი პარკი, რომელიც დღემდე შემოღობილი არ არის, რის გამო პარკში თავისუფლად დაიარება პირუტყვი-საქონელი, რომლებიც მწვანე ბალახის ძიებასთან ერთად პარკს აბინძურებენ და ახალგაზრდა ნაძვის ხეებსაც ანადგურებენ, თუ სხენებული პარკი შემოღობილი არ იქნა, რამდენიმე ხნის შემდეგ პარკი მთლიანად განადგურდება. მანგლისში არა გვაქვს შესაფერისი სიმძლავრის ელექტრო სადგური, გარდა ერთი ძველის-ძველი პატარა ელექტრო სადგურისა, რომლის სიმძლავრეც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს კურორტის მოთხოვნილებას, საკურორტო სამმართველოს ამჟამად გათვალისწინებული აქვს დადგას 25 ცხენის ძალიანი მოტორი გასანათებლად, რაც სრულიად ვერ უზრუნველყოფს მათივე მოთხოვნილებას. საკურორტო სამმართველოს კი სრული შესაძლებლობა აქვს მანგლისში ააშენოს ერთი 50-60 ცხენის ძალიანი ელექტრო სადგური შიდაწვის ძრავის დადგმით, რადგან ჰიდროელსადგურის აშენების საშუალება იქ არ არის.

ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ მანგლისში არც ერთი კეთილმოწყობილი მოასფალტებული ქუჩა არა გვაქვს. ქობილისის ჯანმრთელობის საკურორტო სამმართველოსათვის მანგლისსა საუკეთესო დასასვენებელ კურორტს წარმოადგენს, მაგრამ იკავს შესაფერის მზრუნველობას არ იქნეს მანგლისის კეთილმოწყობისათვის. ამიტომ არის, რომ მანგლისში მისი კეთილმოწყობის

მიზნით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საკურორტო სამმართველოს მიერ სრულიად არაფერი გაკეთებულა.

მოგახსენებთ, რა ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობის შესახებ გთხოვთ დაავალოთ ქ.თბილისის ჯანმრთელობის საკურორტო სამმართველოს: შედგენილი პროექტის მიხედვით მიმდინარე წელშივე შეუდგეს მანგლისში გონარადან სასმელი წყლის გამოყენებას. მანგლისის საკურორტო ზონაში მდებარე დასასვენებელი პარკი შემოღობოს ფასადის მხარეს მაინც ლამაზი გათლილი ქვების და რკინის რეშოტკით, ააშენოს ერთი 50-60 ცხენის ძალიანი ელექტრო სადგური და ერთ-ერთი ქუჩა მაინც მოაასფალტოს (სტალინის ქუჩა). საჭიროა, ზემოთ ხსენებული სამუშაოებისათვის საკურორტო სამმართველომ გაიღოს შესაფერისი თანხები და გამოყოს ისეთი მასალები, რაც ჩვენს რაიონში არ მოგვეპოვება. დანარჩენ სამუშაოების შესრულების საქმეში მას აქტიურ დახმარებას აღმოუჩინებ ჩვენ".¹⁴²

მიუხედავად ამისა, ათეული წლების განმავლობაში მაინც ვერ იქნა მიღწეული სასურველი შედეგი. არაერთხელ დაისვა საკითხი უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების წინაშე კურორტის კეთილმოწყობისათვის საჭირო გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. მათ შორის წინა პლანზე წამოწეული იყო საკითხი დაბის კეთილმოწყობისა და საკურორტო მშენებლობის სამუშაოების უშუალოდ თბილისის საქალაქო საბჭოს დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე. მას უნდა ეწარმოებინა დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, მოსწავლეთა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა, მის გამგებლობაში მყოფი აგარაკების რეკონსტრუქცია.

1984 წლის 26 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის 13 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულ იქნა ის დადებითი მუშაობა, რომელსაც მანგლისის სადაბო საბჭო ეწეოდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამასთან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სადაბო საბჭოს აღმასკომის ყურადღება გაამახვილა გადასაჭრელ ამოცანებზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად, მშრომელთა საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, სავაჭრო და კულტურული მომ-

¹⁴² საქართველოს პრეზიდენტის არქივი. ფონ.78, აღწ.13, საქ.305, ფურც.6-



ფიჭვის ქალა - დამსვენებელთა გასართობი ადგილი.

სახურების შემდგომი გაუმჯობესებისა, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის.¹⁴³

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნულმა დადგენილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაბის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კურორტ მანგლისის სიმშენიერება მის ირგვლივ განლაგებული ტყის კორომები, რომლებიც ალგეთის ნაკრძალს წარმოადგენენ. ეს ნაკრძალი ერთ-ერთი ახალგაზრდათაგანია. იგი შეიქმნა 1965 წელს და მოიცავს 6822 ჰექტარ ფართობს. ნაკრძალის მიზანია დაიცვას აღმოსავლური ნაძვისა და კავკასიური სოჭის გაზრცელების უკიდურესი აღმოსავლური საზღვარი საქართველოში, სხვა ძვირფასმერქნიანი ტყის ჯიშები — ნიფელი, მუხა, ფიჭვი.

“ნაძვნარ ტყეს ალგეთის ნაკრძალში უჭირავს 1396 ჰექტარი (ტყეების საერთო რაოდენობის 23,9 პროცენტი) და საერთო ფართობის მიხედვით მხოლოდ ნიფლნარებსა და მუხნარებს (ქართული და მალაღმთის მუხებისაგან შექმნილი) ჩამოუვარდება.”¹⁴⁴

მანგლისის ტყე წარსულში გაცილებით უფრო მდიდარი იყო, მაგრამ მტრის გამუდმებულმა შემოსევებმა, ხოლო შემდგომ რუსი ჯარის ნაწილების აქ დაბანაკებამ და კერძო ბინების მშენებლობამ ტყეების დიდი ფართობის განადგურება გამოიწვია. ამას გარდა ტყეების დიდი ნაწილი ნადგურდებოდა სხვადასხვა სტიქიური მოვლენებისა და ხანძრის შედეგად.

ასე, მაგალითად, 1885 წლის 12 ივლისს მანგლისის ტყეს გასჩენია ცეცხლი. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ მანგლისის ტყეს ცხრა დღე იქნება, რაც ცეცხლი მოჰკიდებია, მაგრამ ჯერ ყურადღება არავის მიუქცევია. ცეცხლი თავადს თარხნიშვილების მამულში გაჩენილა და მით უფრო მალე მიშველება ეჭირება, რომ ტყე ფიჭვისა არის და ეს გარემოება ხელს უწყობს ცეცხლის გაძლიერებას.“

ჯერ თურმე მარტო ერთს ადგილას იყო ცეცხლი და ეხლა ოთხს ადგილას გაჩენილა; რამდენსაც მეტს დააგვიანებენ და გაქრობას მალე არ ეცდებიან, მით შემდგომში შეელა უფრო საძნელო შეიქმნებაო.

ვგონებთ, კავკასიის ზოგიერთმა ადგილებმა დაგვიმტკიცეს, რა გაჭირვებაც მოსდევს ტყის გაჩანაგებას და წარსულის მაგალითით მაინც უნდა შევჩვეულიყავით, რომ ამისთანა უსიამოვნო და საზარალო შემთხვევას მალე მიშველება უნდა.”¹⁴⁵

მრავალფეროვანია ნაკრძალის ფაუნა. აქ ბინადრობს 46 სახის ფრინველი, მრავლადაა გარეული ცხოველებიც — ლორი, შვე-

143. საქართველოს პარლამენტის მიმდინარე არქივი, საქმე 3540, გვ.16

144. ჟურნ. საქართველოს ბუნება, 1992, №1, გვ.10.

145. გაზ. დროება, 1885 წლის 21 ივლისი.

ლი, კურდღელი, თეთრბელა კვერნა, დაივი, ციყვი და სხვ.
მანგლისის შავა ზომიერად ნოტიოა. პაერის საშუალო წლი-
ური ტემპერატურა 7,9 გრადუსია, იცის ზომიერად ცივი
ზამთარი (იანვარში საშუალო ტემპერატურა 2,4 გრადუსია) და
ხანგრძლივი თბილი, მშრალი ზაფხული (აგვისტოს საშუალო
ტემპერატურა 18,6 გრადუსია). აბსოლუტური მაქსიმალური —
35 გრადუსი. ნალექები 770 მმ წელიწადში. მზის ნათების
ხანგრძლივობა 2000 საათი წელიწადში.

1999 წლის 1 იანვრისათვის დაბა მანგლისის მოსახლეობა
შეადგენდა 4300 კაცს, ტერიტორია 580 ჰექტარს. მანგლისში
განლაგებულია შემდეგი დანესებულება-ორგანიზაციები: სადაბო
საკრებულო, N1 ქართული, N2 რუსული საშუალო სკოლები და
ალგეთის რუსული 9-წლიანი სკოლა, ერთი საქალაქო, ერთი
საბავშვო და ერთი სასოფლო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი,
სასოფლო კლუბი, კინოთეატრი, N2 რაიონული საავადმყოფო,
მომხმარებელთა საზოგადოება, ავტოსატრანსპორტო კანტორა,
N12 საგზაო უბანი, მანგლისისა და ალგეთის სახელმწიფო
მეურნეობები, აგრობანკის მანგლისის განყოფილება, შემნახველი
ბანკი, სავაჭრო ცენტრი, პოლიციის ქვეგანყოფილება, საკოლმეურნეო
ბაზარი, სახანძრო პოლიცია, საყოფაცხოვრებო მომსახურების
კომბინატი, მრავალდარგოვანი კომუნალური მეურნეობა, მე-
ტიოსადგური, ბავშვთა სანატორიუმი, ბავშვთა დასასვენებელი
ორი ბანაკი, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, საქართვე-
ლოს ეროვნული გვერდიის მანგლისის სასწავლო ცენტრი,
ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი, სატყეო მეურნეობა, ვეტუბანი,
ავტოსადგური, აბანო-სამრეცხაო, რვა კომერციული ჯიხური და
სხვ.

სადაბო საკრებულოში არჩეულია 25 დეპუტატი. სადაბო
საკრებულოში შედის ორი სოფელი — თხივალა და ალგეთი;
მანგლისის ზონაში, როგორც ალენიშნეთ, განლაგებულია 4
სასოფლო საკრებულო.

დაბისა და სოფლის მოსახლეობამ მინის რეფორმის კანონის
თანახმად მიიღეს მინის ნაკვეთები. გაიზარდა მოსახლეობა.
მინის მიღებამ საშუალება მისცა მოსახლეობას გაეზარდა
პირუტყვის ოდენობა წინა წლებთან შედარებით. 1995 წელს
1994 წელთან შედარებით მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა
გაიზარდა 400 სულით, მათ შორის ძროხისა — 300 სულით.
ასევე გაზარდილია ცხვრისა და ღორის სულადობა.¹⁴⁶

1999 წლის გაზაფხულზე მანგლისელი მკვიდრის დავით ბეჟუა-
შვილის ხელშეწყობითა და ქველმოქმედებით კეთილმოეწყო

146 მანგლისის სადაბო საკრებულოს მიმდინარე არქივი. საკრებულოს
მუშაობის 1998 წლის ანგარიში, გვ.1-3

მანგლისის ყველა ცენტრალური ქუჩა, გაყვანილ იქნა გარეგანათება, შეკეთდა თბილისი-მანგლისის დაზიანებული გზის საკმაოდ დიდი მონაკვეთი.

ახლო მომავალში ბატონ დავით ბეჟუაშვილს გადაწყვეტილი აქვს მანგლისში ბუნებრივი აირის გაყვანა, წყლის პრობლემის მოგვარება, სანატორიუმის აშენება 300 ადგილზე და ბევრი სხვა მანგლისელებმა იციან, რომ ბატონი დავითი ტყუულ დაპირებებს არასდროს იძლევა. ამიტომაც აირჩიეს ის საქართველოს პარლამენტის წევრად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მალე მანგლისი გადაიქცევა საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილად და საუკეთესო კურორტად.

არქიტექტურული კვლავი


სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უნშიდესი და უნებარესი ილია II-ის საეპისკოპოსო სახლი მანგლისში

მანგლისის არქიტექტურულ ძეგლებს შორის მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უნშიდესი და უნებარესი ილია II-ის რეზიდენცია, რომელიც მან შემდეგ მანგლისის ეპისკოპოსს გადასცა. პროექტის ავტორია ცნობილი არქიტექტორი ნინო კანდელაკი, კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია მთავარი ინჟინრის გურამ ზამბახიძის მიერ. მშენებლობა დაიწყო 1982 წელს, დამთავრდა 1984 წელს.

ეს სახლი მდებარეობს მანგლისის ტაძრის გვერდით. შენობის ერთი მხარე ოთხსართულიანია, მეორე მხარე — სამსართულიანი. შენობაში რამდენიმე ოთახი დათმობილი აქვს კათალიკოს-პატრიარქს. აქვეა მანგლისელი ეპისკოპოსის სამყოფელიც. ოთახები გამოყოფილია ასევე სტუმრებისათვის. პირველ სართულზე განლაგებულია ჰოლი და დიდი სატრაპეზო (შენობას აქვს სარდაფი და მანსარდა).

გარეგნულად შენობა მრავალთემიანია, ანუ გამოირჩევა სხვადასხვა სახის არქიტექტურული დეტალებით. ჩრდილოეთის მხარეს ძველებური ქართული გადმოკიდებული აივანია რიკულებიანი მოაჯირით, სამხრეთით — პილონებზე დაყრდნობილი სამსახურავიანი აივანი, რაც მიგვანიშნებს ნ.მ.სამებაზე. აღმოსავლეთის ფასადი შედარებით თანამედროვე სტილშია გადანყვეტილი.

აღსანიშნავია, რომ მანგლისის რეზიდენციის თაღს ამშვენებს საკმაოდ დიდი მოცულობის ღვთისმშობლის გამოსახულება — ხატი, რომელიც თვით უნშიდესისა და უნებარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერაა შეს-



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესი და
უნეტარესი ილია II-ის
საეპისკოპოსო სახლი.

რულებული. როგორც ცნობილია, მის უწმიდესობას დახატული აქვს ასევე ორი ხატი წმიდა მეფის ვახტანგ გორგასლისა რუსთავეში და საპატრიარქოში, ორი ხატი წმიდა მეფის თამარისა დიდუბის ეკლესიასა და საპატრიარქოში, შემოქმედის გამოსახულება, სილომონ ბრძენის პორტრეტი, აგრეთვე მოხატული აქვს მთელი კედელი ძველ საპატრიარქო რეზიდენციაში.

აპაღმეიოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახლი მანგლისში


მანგლისელები დიდი მონინებით და სიამაყის გრძნობით იხსენებენ, რომ მანგლისის ხეივნის წარმტაც ბუნებაში გოხნარის ქვით აშენებულ ლამაზ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უდიდესი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, საქართველოსა და საზღვარგარეთის არაერთი აკადემიის აკადემიკოსი, 30 წლის მანძილზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

მ.მუსხელიშვილის სახლი აშენებულია 1950 წელს. არქიტექტურული თვალსაზრისით ის მანგლისის მშვენიერია. აქ, ამ სახლში 25 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და თავის ფუძემდებლურ გამოკვლევებზე მუშაობდა დიდი მეცნიერი.

1977 წლის ბოლოს, როდესაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო გაუჭირდა თბილისიდან მანგლისში მგზავრობა, ბატონი ნიკო საცხოვრებლად გადავიდა დაბა წყნეთში. ახლობლების სიტყვით, მას იმდენად უყვარდა მანგლისი, რომ ძლიერ განიცადა და ძალზე გაუჭირდა მანგლისის დატოვება. ეს ბუნებრივიც იყო, მას ხომ ბავშვობა თეთრი წყაროს რაიონში, სოფელ მანვეანში ჰქონდა გატარებული ბებიასთან და ბევრი ტკბილი მოგონება აკავშირებდა ამ მხარესთან. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო, მანგლისი რომ აირჩია სააგარაკოდ.

მსცოვანი ადამიანები იგონებენ, რომ მანგლისის მხარისა და, საერთოდ, მთელი თეთრი წყაროს მოსახლეობა დიდ ყურადღებას და სიყვარულს იჩენდა ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერისადმი.

აკად.მ.მუსხელიშვილი საკავშირო უმაღლესი საბჭოს ცხრა მოწვევის დეპუტატი იყო თეთრი წყაროს რაიონის ამომრჩეველებთან შეხვედრისას დიდი სიამოვნებით საუბრობდა მანგლისსა და მანგლისელებზე.



აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ყოფილი სახლი.

ბატონი ნიკო, როგორც მას ალერსით ეძახდა მთელი საქართველო, უდიდეს ყურადღებას იჩენდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი. მანგლისელებს ახსოვთ, რამდენ სასიკეთო საქმეს აკეთებდა იგი მანგლისის მხარისა და მისი მოსახლეობისათვის. ასეთ ფაქტებსაც იხსენებენ იმ პერიოდიდან, როდესაც თბილისი-მანგლისის მიმართულებით მგზავრობა ჭირდა და მგზავრები გადაჰყავდათ ძირითადად ავტობუსებით — ენ. „სოიუზტრანსებით“: ბატონი ნიკოს შავი ლიმუზინის გამოჩენა ზეიმი იყო აქაური მოსახლეობისათვის. მას გზადაგზა — პანტანში, ორბეთში, თონეთში, მანგლისში დიდის სიხარულით ხვდებოდნენ, მამაკაცები ქუდის მოხდით ესალმებოდნენ. ბატონი ნიკო ხშირად გადმოდიოდა მანქანიდან, ესაუბრებოდა სოფლებს. თუ გზად ფეხით მიმავალს დაინახავდა, უეჭველად გაუჩერებდა მანქანას, ჩაისვამდა და მთელ გზაზე ესაუბრებოდა, გულთან ახლოს მიჰქონდა მისი საზრუნავი თუ სატკივარი, იზიარებდა მის მხიარულებასაც: ყოველგვარი წინასწარი დაპირების გარეშე უგვარებდა სოფლებს საჭირბოროტო საკითხებს. თავისი მძლოლიც, ალიოშა, რომელიც ერთგულად ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე, გაფრთხილებული ჰყავდა, რომ მისი მანქანაში არყოფნის შემთხვევაშიც არ მორიდებოდა გაჭირვებულთა, ფეხით მიმავალთა წაყვანას, რასაც ალიოშა გულმოდგინედ ასრულებდა.

1975 წლიდან თავად ნიკო მუსხელიშვილის ინიციატივითა და თხოვნით მის სახლში კარგა ხანს თბილისიდან ჩასული საბავშვო ბაგა-ბაღებისა და მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები იკაუებდნენ ჯანმრთელობას, შემდგომში ბევრი სხვა დამსვენებელიც ჩადიოდა, მაგრამ სახლს მაინც ნიკო მუსხელიშვილის სახელი ჰქვია და მანგლისელებიც თვალისჩინოვით უფრთხილდებიან მას.

საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, პოეტმა და მეცნიერმა, პროფესორმა ნუგზარ წერეთელმა აკადემიკოს მუსხელიშვილის სახლს მანგლისში მიუძღვნა ლექსი, რომელიც ასევეა დასათაურებული:

აკადემიკოს მუსხელიშვილის სახლი მანგლისში

ეს კობტა სახლი, ბატონო ნიკო,
დღესაც რომ თქვენი სახელი ჰქვია,
ერთ დროს თქვენთვის რა ძვირფასი იყო,
ერთ დროს და თანაც არც ისე გვიან!
თქვენ აქ საკუთარ სამყაროს ქმნიდით,
რწყავდით მინას და უვლიდით ხეხილს,
შემოდოდა საღამო მშვიდი,
ვით ბალახებში ქალამნით გლეხი!

მზე დაეძებდა დაბურულ ალგეთს
 მწვანე ქერით და თოთო რიყეთი,
 ბეგრჯერ აქედან ქვეყანას არგეთ
 მადლი ნაპოენი დიდი სიკეთის!
 მთებში გემვივით შემოჭროლ კლდეკარს
 ოქროს აფრქვევდა ნათება ხვამლის,
 ფებს თუ შედგამდით იწყებდნენ დრეკას
 მაღალი მთები მომსწრენი მრავლის!
 ირგვლივ ჰაეროც იყო დრეკადი,
 მთა მაგნიტივით ზეცას ეკუროდა,
 მეცნიერების ზარებს რეკავდით
 ამ სიმაღლიდან, ამ სამრეკლოდან!
 აღმოჩენისთვის ქალაღზე დახრის
 გედგათ ნათელი თქვენვე მინის,
 ბეგრის მომსწრეა ეს კოხტა სახლი,
 მან უფრო მეტი სიმაართლე იცის...
 ახლაც ედება ფიჭვნარებს ქარი,
 ბნელში იმტყრევა ქვებზე ალგეთი,
 ისევ გაისმის დროების ზარი,
 ისიც გრძელდება, რაც თქვენ აკეთეთ!
 საზრდო მიეცით კაცსა და პოეტს,
 ადამიანის ფიქრსა და სურვილს,
 ქვეყნად ბეჭი რამ დრეკადი პოვეთ,
 მხოლოდ უდრეკი ყოფილა სული!
 განგება მაინც ერთ ზღუდეს გვახლის,
 განაჩენითაც ერთით გვაშინებს,
 და დარჩენია დღეს თქვენი სახლი
 გასახსენებლად ლტოლვას მაშინდელს!
 დროება იცვლის გეზსა და სამოსს,
 ბოლო ერთია ადრე თუ გვიან,
 მე გული მტკივა იმ სახლის გამო,
 რომელსაც თქვენი სახელი პქვია!..
 კვლავ აჭრიალებს ფიჭვნარებს ქარი,
 კლდეკარი ახალ დიდებას ელის,
 დღეს უკვე თქვენი სახლი და კარი
 საქართველოა ერთი და მთელი!
 უკვდავებაა სახელი, რადგან
 არის დრო-ჟამის დრეკვითა გამძლე
 და შორეული ნათელი ადგას
 თქვენი ყოფილი ოთახის ფანჯრებს!¹⁴⁷

კვევერელი-კოპაძეების სახლი მანგლისში

ბეგრმა მანგლისელმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, არ
 იცის, რომ შენობას, რომელშიც მოთავსებულია ბავშვთა მე-3
 სანატორიუმი, საინტერესო ისტორია აქვს.

147. ნ.წერეთელი, ჭავჭავაძის შემოღობა, თბ., 1987, გვ.133-134.

კარგა ხანს ეს შენობა ცნობილი იყო როგორც კვეზერელი-კოპაძეების ყოფილი სახლი. მანგლისის ღირსშესანიშნავი ადგილების ღრმად შესწავლის სურვილმა მიმიყვანა კვეზერელი-კოპაძეების ერთ-ერთ შთამომავალთან, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტთან, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატთან ქალბატონ ნატო კვეზერელ-კოპაძესთან. მე მას ბავშვობიდანვე ვიცნობდი როგორც საინტერესო პიროვნებას, შესანიშნავ პედაგოგს და კარგ მოსაუბრეს, როგორც დედაქემის მეგობარსა და კოლეგას. ქალბატონი ნატო, ხანდაზმულობის მიუხედავად, საკმაოდ მხნედ გამოიყურება და ჩინებული მესიერება აქვს მან მაქსიმალურად მოინდომა დაეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა — გამაცნო პირადი არქივი და არ დაიზარა დანკრულებით ეამბნა ყველაფერი, რაც ამ შენობასთან არის დაკავშირებული.

კვეზერელი-კოპაძეების სახლი მანგლისში აუშენებია ქალბატონი ნატოს პაპის ვანო კვეზერელ-კოპაძეს 1910 წელს თავისი დისთვის — თავად ლევან ბარათაშვილის ქვრივისთვის — კნენა ნატალიასათვის. შენობა აგებულია ალგეთის ქვისაგან. სახლის ძირითად ნაწილში, ორსართულიანში, ყოფილა 16 ოთახი. სახლს ჰქონია ფლიგელები ოთხოთახიანი და ორი ოროთახიანი. ცალკე იდგა საჯინბო, სადაც ინგლისური ჯიშის 14 ცხენი ჰყოლიათ. ეზოში იყო ჭა და წყაროს წყალი. სახლის გვერდით ფერმა იყო მოწყობილი. ფერმაში იდგა სეპარატორები, რომლებიც მანგლისის რუსი მოსახლეობის 200 სულ ძროხას ემსახურებოდა. სეპარატორი რძეს ამუშავებდა კარაქს, ხაჭოს, არაუანის სახით. რძის ნაწარმს ზაფხულში მოაგარაკებებენ ყიდოდნენ, ზამთარში კი თბილისს ბაზრებს აწვდიდნენ.

სახლს უკან მდებარეობდა შესანიშნავი ფიჭვის ტყე, რომელიც აგრეთვე კვეზერელ-კოპაძეებს ეკუთვნოდა. ფიჭვნარში შემდგომში კადეტთა საზაფხულო დასასვენებელი ხის სახლები აშენდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სახლები დაეთმო ჯერ უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელებს, შემდგომ კი აქ გახსნეს პიონერთა ბანაკი ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის მოსამსახურეთა შვილებისათვის.

მანგლისის საშუალო სკოლის უხუცესი პედაგოგის პავლე იორბალიდის პირადი არქივის მასალებით, კვეზერელ-კოპაძეებს ეკუთვნოდათ აგრეთვე დიდი ფიჭვნარის ის ნაწილი, სადაც დღეს აკადნიკო მუსხელიშვილის სახლი დგას, ასევე მთელი ის ტერიტორია, სადაც დღეს სოფელი პოლიანაა. პიორბალიდის მიხედვით, კვეზერელი-კოპაძეების მფლობელობაში შედიოდა წალკა-მანგლისის გზაზე, ბედენიასა და ენ. ყვითელ მთას შორის მდებარე უზარმაზარი სათიბებიც, რომელსაც დღესაც კვეზერელიანთ სათიბებს ეძახიან.

კვეზერელი-კოპაძეების შესახებ ბევრი რამ სმენია სოფ.შენ-ვეტილაში მცხოვრებ მეცხვარე კოტე ნიკლაურს. მისი გადმოცემით „კვეზერელი იყო ბატონი, რომლისაგანაც უყიდა პაპაჩემს ადგილი და დასახლებულა სოფ.კოდაზე. სახნავი ხევგაღმით შეხვეტილაში იყიდა“.


ქალბატონი ნატოს პირადი არქივიდან ჩანს, რომ ვანო პაპას და მის და-ძმებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონიათ. განსაკუთრებით გამოკვეთილია კნენა ნატალია ბარათაშვილის სახე (1854-1919). იგი ყოფილა მომზიბლელი ქალბატონი, კარგი დიასახლისი, კარგი ქარგვა სცოდნა და ჰქონია სასიამოვნო ხმა. შესანიშნავად მღეროდა აჭავეჭაძის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს. ერთხელ თბილისში იმ სახლის წინ, სადაც ნატალია ცხოვრობდა, გამოუვლია რუსეთიდან ახალდაბრუნებულ თავად ლევან ბარათაშვილს. მას ძალიან მოსწონებია ნატალია და თავისი ნაცნობი მრეწველების ძეგველოვების დახმარებით მის ცოლად შერთვა მოუხერხებია.

ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილი (1830-1877) 44 წლისა იყო, სრულიად ახალგაზრდა ნატალიაზე რომ დაქორწინდა. იგი იყო დიდი მამულების მფლობელი ბეთანიიდან მანგლისამდე, მამულები ჰქონდა ნალკაშიც და თეთრ წყაროშიც.

ლევან ბარათაშვილი ფრიად განსწავლული პიროვნება ყოფილა. შესანიშნავად სცოდნა მშობლიურ ენასთან ერთად რუსული და ფრანგული ენები. ლევან ბარათაშვილმა 19 წლისამ თბილისში დაამთავრა ერევნის სახელობის სამხედრო სასწავლებელი და ამის შემდეგ, ეი. 1849 წლიდან, მუშაობდა აშ-იერკავკასიის საკარანჯინო საბაჟო სამსახურში თარჯიმნად. 1855-1856 წლების ყი.კმის ომში გამირულად იბრძოდა სხვა ქართველ მეომრებთან ერთად. მათ შორის იყო ლევანის მეგობარი გენერალი სიმონ ლევანის ძე შალიკაშვილი. ამ ომში ლევან ბარათაშვილი მძიმედ დაიჭრა და მხოლოდ ექიმ პიროგოვის ცრიდანამ და გამოცდილებამ გადაარჩინა. ყირიმის ომში მან გაიცნო დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომელიც იმ დროს სამხედრო კორესპონდენტად იყო. სწორედ მაშინ ქმნიდა ლ.ტოლსტოი თავის სევასტოპოლურ მოთხრობებს.

ლევან ბარათაშვილი ახლოს იცნობდა რუს ადმირალებს ნახიშოვს, ისტომინს, კორნილოვს. დიდად მეგობრობდა შამილის დამტყვევებელ თავად ბარიატინსკის, რომელსაც ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად. მათ ოჯახში, მოსკოვის მახლობლად, გაიცნო დიდი რუსი მწერალი ნ.გოგოლი და საკუთარი ხელით გადაწერა მისი „მკვდარი სულები“.

ყირიმის ომის შემდეგ ლევან ბარათაშვილი ცხოვრობდა მოსკოვში თავის დასთან. იქ იშუშებდა ჭრილობებს. 1873 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1874 წ. დაოჯახდა, როგორც აღვნიშნეთ,



კვეზერელ-კობახევის ყოფილი სასლი -
ამჟამად ბავშვთა პსი. სანატორიუმი

ცოლად შეირთო ნატალია კვეზერელი-კოპაძე, მათ შეეძინათ ვაჟიშვილი მიშკო, რომელიც 1 წლის ასაკში ქუნთრუშით გარდაიცვალა. ამის შემდეგ ლევანს დიდხანს აღარ უცოცხლია. ომში მიღებულ ფიზიკურ ჭრილობებს შვილის სიკვდილით გამოწვეული განცდები დაემატა და 1877 წ. გარდაიცვალა. დასაფლავებულია მანგლისის ტაძრის გალავანში თავისი ვაჟის გვერდით (იქვე იქნა დაკრძალული 1919 წ. 65 წლის ასაკში გარდაცვლილი მისი მეუღლე ნატალია ბარათაშვილიც).

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნატალია ბარათაშვილისა, 23 წლის ასაკში დაქვრივებული, თავის ძმისწულებს, ვანოს შვილებს ზრდიდა.

ვანოს ხუთი შვილი ჰყავდა, მისი მეუღლე მამო კი სრულიად გამოუცდელი იყო. კნინა ნატალიამ დიდი ამაგი დასდო ძმის ოჯახს, ყოველმხრივ ეხმარებოდა. ვანომ, რომელსაც კარგად ახსოვდა, რომ თავად ლევან ბარათაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა სახლი აეშენებინა მანგლისში, მის ქვრევს, ე.ი. თავის დას, სახლი აუშენა. შემდგომში ნატალიამ მთელი თავისი მამულები, მთელი ქონება თავისი ძმის ოჯახს — კვეზერელ-კოპაძეებს გადასცა.

ქალბატონ ნატოს პირადი არჩვიდან ჩანს, რომ მანგლისში მისი წინაპრების სახლში ხშირად ჩადიოდნენ სტუმრად ქართველი მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი: ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი, ცნობილი ჯიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი, მისი ძმა, საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი სოსო, მათი და კეკე — ცნობილი პუბლიცისტის, გაზეთ „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის მეუღლე; ამ სახლში ცხოვრობდა გადასახლებიდან დაბრუნებული პოეტი იროდიონ ევდოშვილი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ამ ისტორიულ სახლში ზაფხულობით ოჯახებით ისვენებდნენ მამია ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა და სხვები. მალე კვეზერელ-კოპაძეებს ეს შესანიშნავი ბინა საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა, მაგრამ მანგლისისადმი მათ იმდენად დიდი სიყვარული ჰქონდათ, რომ ათეული წლების განმავლობაში და ახლაც კვეზერელი-კოპაძეების ნაშინი ჩადიან ზაფხულობით მანგლისში დასასვენებლად. ბედის უკუღმართობაა, რომ ერთ დროს მანგლისის მხარეში დიდი მამულების მფლობელებს ამ უაღრესად დიდებული გვარის წარმომადგენლებს დღეს მანგლისში სააგარაკოდ ჩასულებს ნაქრავებ ბინებში უხდებათ ცხოვრება.

ქალბატონი ნატო კვეზერელი-კოპაძე იგონებს, რომ 1924 წლის ზაფხულში მანგლისში რუსთაველის სახელობის თეატრის დასი ჩასულა კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით, რომელიც

იღებდა კინოფილმ „ქარიშხლის წინ“.

— ამავე წლის 28 აგვისტოს 12 საათზე, — გვიამბო ქალბატონმა ნატომ, — ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი მომხრეები თავს დასხმიან მათ ყოფილ მამულებში დაბანაკებულ სამხედრო სკოლას.

ასეთია მოკლედ მანგლისში კვებურელი-კოპაძეების სახლთან დაკავშირებული ცნობები. ეს სახლი დღესაც გამოირჩევა მანგლისის შენობებს შორის.

ლოკუმენტები მოგებითსროგენ

მგზავრის შენიშვნები

მანგლისი - 7 ივლისი. მანგლისი, მსგავსად კოჯრისა, სააგარაკო ადგილია თბილისის მაზრაში. მანგლისი კშორავს ტფილისს 62-ს ვერსტის მანძილით და მდებარეობს დასავლეთით, ან უკეთა ვთქვათ, სამხრეთ-დასავლეთით ტფილისიდან. მრავალი ხალხი ეტანება ზაფხულობით ამ მდებარეობით და პაერის სიმთელით შესანიშნავ ადგილს. მიმოსვლა თფილისიდან მანგლისამდე ხერხდება დელეუებით და დროგებით, — უკანასკნელთ იშოვის მსურველი ქალაქს იმ ნაწილში, რომელსაც „პესკას“ ეძახიან და შადარებით იაფადაც: ნასვლა თითოეულის კაცისა დროგით ჯდება მანეთ ნახევრამდე; ფაეტონი კი ყოველგან იშოვება და ფასი დამოკიდებულია გარიგებაზე, მხოლოდ იშვიათად, რომ თექვსმეტ მანეთზე ნაკლებ ნავიდეს; დელეუნის ბილეთები იყიდებიან ერევნის ქუჩაზე პატარა „ბულოჩნაიაში“ სამოქალაქო საბჭოს პირდაპირ. ბილეთი ჰღირს სამ მანეთ ნახევარ; დელეუანი გადის კვირაში სამჯერ — სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, — ბრუნდება უკან მანგლისიდან ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას. ნამსვლელი ყიდულობს ბილეთს წინა დღით, რადგან დელეუანში ცოტა ალაგია, — მეორე დილას შვიდ საათზე მიდის იქ, სადაც ბილეთი იყიდა, ჯდება დელეუანში და მიჰქრის მანგლისისაკენ... გამოაყოლე, ძვირფასო მკითხველო, შენი ყურადღება: — მე მივიღივარ მანგლისში. ავდივარ სოლოლაკზე და რასა ვხედავ? — მთელი თბილისი ჩემ წინ დაეფინება. — დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის მშვენიერება და სიდიდე მხოლოდ იმას უნახავს, ვინც ფრინველები აფრენილა და სოლოლაკით გადმოუხედავს საქართველოს სატახტო ქალაქსათვის! — გზა მიხველ-მოხვეულათ არის გაყვანილი და კოჯრამდი ისეთი აღმართებია, რომ

ექვსი ცხენი უბია „ოქნობუს“. კოჯორს იჩით კი ცხენებსაც და დელეჟანსაც გამოცვლიან ხოლმე და ექვსის მაგივრად ოთხს ცხენს უბმენ, რადგან ასეთი აღმართები არ არიან. შემდეგ ტფილისიდან გასულს მეტყის-მეტად მოგწონს კოჯორს მიდამო მთლად მანგლისამდე. ხე-ტყე, მდელო სათიბები ლაზათიანად ამკობენ სერებს, რიშლებს შუა მიიკლაკნება ეგ დაწრდილული და დაღვლარჩნილი გზა; მაგრამ ვინც იმერეთში ყოფილა, დამეთანხმება, რომ ბუნება ქუთაისის გუბერნიაში მაინც გაშორებით ძდიდარია ტყე-მისდვრების მწვანით. დილით გასული ტფილისიდან ნაშუადღის ოთხ საათზე მანგლის მივედით. დელეჟანი ჩერდება ფოსტის კონტორის წინ, სადაც მგზავრები ჩამოსტებიან და თავიანთ ბინისაკენ გასწევენ. უცნობს, ან ბარგის მქონებელს სალდათი გაჰყვება რამდენიმე კაპეიკად.

